ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: არქეოლოგია

ანა გაბუნია

# ძველი ქართული გლიპტიკის ინტერრეგიონალური ფენომენი: ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ინტერდისციპლინური კვლევა (კულტურული და სოციალური ასპექტები)

არქეოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

სრული პროფესორი

ვახტანგ ლიჩელი

თბილისი
2025

# მადლობა

ეს დისერტაცია ვერ შედგებოდა იმ ადამიანების დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე, რომელთაც მსურს მადლობა გადავუხადო.

ლითონის ფარაკიანი ბეჭდების თემისადმი ინტერესი პირველად 2015 წელს გამიჩნდა, როდესაც გავხდი სტაჟიორი საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში. თუმცა, ამ მიმართულებით სიღრმისეული კვლევის გაგრძელება და დისერტაციის ფორმატში გადმოტანა ჩემი ხელმძღვანელის, პროფესორ ვახტანგ ლიჩელის მხარდაჭერისა და რჩევების წყალობით შევძელი.

დისერტაციის წერის პროცესში მუდმივ კონსულტაციას მიწევდა ჩემი მენტორი მუზეუმში, ქალბატონი ქეთევან ჯავახიშვილი. მისი თანადგომა და რჩევები დისერტაციის მომზადების ყველა ეტაპზე განსაკუთრებით ფასეული იყო ჩემთვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ იულონ გაგოშიძეს, რომლის კრიტიკული შენიშვნები და თანადგომა ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ასევე, ქალბატონ ქეთევან რამიშვილს და ბატონ მინდია ჯალაბაძეს, რომელთა დახმარების გარეშე მასალაზე მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა. დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ ნინო კალანდაძესა და ნინო ქებულაძეს, რომელთა მხარდაჭერით განხორციელდა მასალის XRF - კვლევები.

მადლობას ვუხდი პროფესორ ერიკა ცვიერლაინ დილს და დოქტორ გერტრუდ პლატც-ჰორსტერს, რომელთა მენტორობისა და მხარდაჭერის წყალობით მომეცა შესაძლებლობა მემუშავა ბონის, ბერლინისა და მიუნხენის მუზეუმების გლიპტიკურ კოლექციებზე და გამეღრმავებინა ცოდნა გლიპტიკური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიების მიმართულებით.

განსაკუთრებული მადლობა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს (საგრანტო პროექტი FHDF-22-778), ასევე Rustaveli-DAAD - სა და FaRig - ის საგრანტო პროგრამებს, რომელთა ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ეს სადოქტორო კვლევა.

# აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია გლიპტიკური ძეგლების ერთი ჯგუფი - კერძოდ, ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოდან ძვ.წ. II საუკუნის ჩათვლით საქართველოში გავრცელებული, თითზე სატარებელი ლითონის (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) ფარაკიანი ბეჭდები.

ბეჭდების სპეციფიკური სტილი, მათი უეცარი გამოჩენა და სწრაფი გავრცელება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მეტად საყურადღებო მოვლენაა. საბეჭდავი ბეჭდების კვლევას მიეძღვა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი თუმცა, ამ ნივთების შესწავლა ძირითადად მხოლოდ მხატვრულ-ესთეტური კუთხით ხდებოდა და ისინი არქეოლოგიურ კონტექსტში არავის განუხილავს, მითუმეტეს არც ინტერდისციპლინური კვლევის საგანი გამხდარა. გარდა ამისა, ბოლო ათწლეულის მანძილზე ანტიკური პერიოდის სამაროვნების შესწავლის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების რიცხვი წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა, რამაც საჭირო გახადა დაგროვილი მასალის შესწავლა.

კვლევის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების კომპლექსური ანალიზი, რაც მოიცავს მათ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ და იკონოგრაფიულ კლასიფიკაციას არქეოლოგიური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. ასევე მათი დამზადებისას გამოყენებული ლითონის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრას შესაძლო წარმომავლობის დადგენისთვის.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს ანალიტიკურ-ინტერპრეტაციულ და ემპირიულ კვლევის მეთოდებს.

წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს გლიპტიკის განვითარების შესწავლისათვის, არამედ მხატვრული ხელოსნობის ხსენებული დარგის განვითარების ზოგადი ისტორიისათვისაც.

# Abstract

The subject of this dissertation is a distinct group of glyptic artifacts - specifically, metal finger rings (gold, silver, and bronze) that were widespread in the territory of Georgia from the late 6$^{th}$ century BCE to the 2$^{nd}$ century BCE.

The distinctive style of these rings, along with their sudden appearance and rapid spread throughout Georgia, is of particular interest to scholars. Several notable studies have been dedicated to the research of finger rings; however, these items have never become a subject of interdisciplinary research. Furthermore, over the last decade, as a result of archaeological investigations of the cemeteries dating to the Classical and the early Hellenistic periods, the number of metal finger rings discovered within the territory of Georgia has risen significantly. Therefore, it became necessary and important to study the accumulated materials.

This study aims to conduct a comprehensive analysis of metal finger rings discovered within the territory of Georgia, encompassing their typological, chronological, and iconographic classification in consideration of their archaeological and cultural contexts. Additionally, the research seeks to determine the chemical composition of the metals used in their manufacture to assess the possible provenance of the finger rings.

The dissertation employs both analytical-interpretative and empirical research methods.

The present study is significant not only for the investigation of the development of glyptic art in Georgia but also for the broader history of the development of this particular branch of artistic craftsmanship.

შინაარსი

შესავალი........................................................................................... 1-6

თავი I. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების შესწავლის ისტორია............................... 7-12

თავი II. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ტოპოგრაფია......................................... 13-18

თავი III. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების არქეოლოგიური კონტექსტი.................. 19

§3.1. სამაროვნები.......................................................................20-64

§3.2. შემთხვევითი აღმოჩენები.............................................. 64-69

თავი IV. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების სოციალური მნიშვნელობა: დანიშნულება, გამოყენება, სოციალური სტატუსი და სქესობრივი კუთვნილება.. 70

§4.1. ფარაკიანი ბეჭდების დანიშნულება. საბეჭდავი, სამკაული, ამულეტი?.......................................................................................... 70-72

§4.2. ფარაკიანი ბეჭდის მფლობელის სოციალური სტატუსი.................. 73-78

§4.3. ფარაკიანი ბეჭდის მფლობელის სქესობრივი კუთვნილება.............79-80

§4.4. ბავშვის სამარხებში აღმოჩენილი ფარაკიანი ბეჭდები..................... 81-82

§4.5. ერთ სამარხში აღმოჩენილი რამდენიმე ფარაკიანი ბეჭედი............. 82-85

თავი V. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ტიპოლოგია და ქრონოლოგია............86-89

§5.1. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ფორმები...........................................89-93

§5.2. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ქრონოლოგია................................. 94-95

თავი VI. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ტექნიკური კვლევა.................................. 96

§6.1. კვლევის მეთოდოლოგია.........................................................................96-98

§6.2. კვლევის შედეგები.................................................................................. 98-113

§6.3. ფარაკიანი ბეჭდების დამზადების ტექნიკა................................... 113-117

თავი VII. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების გამოსახულებათა კლასიფიკაცია.118-120

§7.1. იკონოგრაფიული ჯგუფები და მათი მიმოხილვა......................... 120-160

თავი VIII. საერთაშორისო კულტურული კონტაქტები....................................161-171

დასკვნა............................................................................................................... 172-177

გამოყენებული ლიტერატურა...............................................................................178-192

ტაბულების აღწერა...............................................................................................193

ტაბულები............................................................................................................194-205

# შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია გლიპტიკური ძეგლების ერთი ჯგუფი - კერძოდ, ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოდან ძვ.წ. II საუკუნის ჩათვლით საქართველოში გავრცელებული, თითზე სატარებელი ლითონის (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) ფარაკიანი ბეჭდები. ჭრილაფარაკიანი ბეჭდები ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ ძეგლზე ფიქსირდება და, უმეტეს შემთხვევაში, სამარხეული კომპლექსებიდან მომდინარეობს. ბეჭდის ფარაკზე სხვადასხვა გამოსახულებაა ამოკვეთილი. უმეტესად გამოსახულია ცხოველები, ასევე ადამიანები, ღვთაებები, საკულტო ხასიათის სცენები, ფანტასტიკური და მითოლოგიური არსებანი, ასტრალური სიმბოლოები. ძირითად გამოსახულებებთან ერთად, ხშირად ფარაკზე დატანილია ე.წ. შემავსებელი მოტივები, რომელიც ასტრალური სიმბოლოებით - ნახევარმთვარე, ვარსკვლავებითა და მზის სახითაა წარმოდგენილი.

გლიპტიკა მცირე ხელოვნების უძველესი დარგია, რაც ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებზე, აგრეთვე ლითონზე, ძვალზე, კერამიკაზე და მინაზე გამოსახულების ამოჭრის ხელოვნებას ნიშნავს. გლიპტიკურ ძეგლებს განსხვავებული ფუნქციები გააჩნდა. გამოიყენებოდა როგორც სამკაული, ავგაროზი ან საბეჭდავი. საბეჭდავის გავრცელება კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. საბეჭდავები იხმარებოდა წერილების, საბუთების, სათავსოების, ზეთით, ღვინით, ხორბლით და სხვა პროდუქტებით სავსე ჭურჭლის დასაბეჭდად. ბეჭედი საკუთრებას ხელყოფისგან იცავდა.

საბეჭდავი ინდივიდუალურიც იყო და ოფიციალურიც. მეფეებს, იმპერატორებს, წარჩინებულ პირებსა და მოხელეებს თავიანთი საბეჭდავი ჰქონდათ, რომლითაც საბუთები მტკიცდებოდა. “პლატონის ფსევდო-ერიქსიასში” არის ცნობა იმის შესახებ რომ ეთიოპელები ჭრილა ქვებს მონეტებად ხმარობდნენ (Eryxias, 397b). ერთი პერიოდის მონეტებსა და გემებზე ხშირად გვხვდება ერთნაირი მოტივები, თუმცა მონეტისგან განსხვავებით, გემა უმეტესად ინდივიდუალურ გემოვნებას ასახავს და, შესაბამისად, შინაარსობრივად უფრო

მრავალფეროვანია (ლორთქიფანიძე, 1958, 3).

საბეჭდავი ბეჭდის პრაქტიკულ გამოყენებაზე მიუთითებს მრავალრიცხოვანი ბულები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდისა და კულტურული კუთვნილების საბეჭდავთა ანაბეჭდებს შეიცავს. ძვ.წ. V საუკუნიდან მოყოლებული, თიხის ანებეჭდთა განძები აღმოჩენილია ბერძნული სამყაროს სხვადასხვა ნაწილში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოდის სელინუსიდან (სიცილია), კირენედან, დელოსიდან, კალიპოლისიდან, კვიპროსიდან, აგრეთვე ეგვიპტიდან და მესოპოტამიიდან (ტიგრის სელევკია). ანაბეჭდები ელენისტური პერიოდისაა და მათი უმრავლესობა ლითონის ფარაკიანი ბეჭდებით არის მიღებული (Boardman, 1970, 234). თიხის ბულები აღმოჩენილია ასევე საქართველოს ტერიტორიაზეც. კერძოდ, ციხია-გორასა (მათიაშვილი, 2005) და დედოფლის გორის არქეოლოგიურ კომპლექსში (Javakishvili, 2008, 1271).

გლიპტიკური ძეგლების გავრცელება საქართველოში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული გარე სამყაროსთან ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე. შესაბამისად, გლიპტიკური ძეგლები წარმოადგენს მნიშვნელოვან მატერიალურ წყაროს საქართველოს მოსახლეობის კულტურული დონისა და გარესამყაროსთან ურთიერთობების საკითხის შესწავლისათვის, რაც მათ კვლევით ღირებულებას კიდევ უფრო ზრდის.

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე მნიშვნელოვნად განაპირობა გლიპტიკური ძეგლების ხასიათი. შექმნილი პოლიტიკური ვითარების მიხედვით, საქართველოში ვრცელდება როგორც აღმოსავლური ქვეყნების, ისე დასავლური გლიპტიკის ძეგლები. შესაბამის გავლენას განიცდის ადგილობრივი გლიპტიკური ნახელავიც, რომელიც გარკვეული თავისთავადობით ხასიათდება, მაგრამ მაინც ძირითადად ხელოვნების ამ დარგის განვითარების საერთო ხაზს მიჰყვება (ჯავახიშვილი, 2015, 5).

ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში ანტიკურ სამყაროსა და მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო სხვადასხვა ფორმის ქვის საბეჭდავები და სხვადასხვა

ლითონისაგან დამზადებული თითზე სატარებელი ფარაკიანი ბეჭდები (Boardman, 1970, 189).

საქართველოში ფარაკიანი ბეჭდების გავრცელება დადასტურებულია ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოდან. ოქროსა და ვერცხლის ფარაკიან ბეჭდებს პირველად დასავლეთ საქართველოს სამაროვნებზე - ბრილი, ვანი, საირხე - ვხვდებით (ფუთურიძე და სხვ. 1972, 113-117; ლორთქიფანიძე და სხვ. 1972, 213-239; მახარაძე, წერეთელი 2007, 101).

ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ადგილობრივი წარმოების ათვისება საქართველოში სრულიად ბუნებრივი და ორგანული პროცესი უნდა ყოფილიყო ვინაიდან, სამხრეთ კავკასია (საქართველო) მელითონეობის უძველესი კერაა ლითონის დამუშავების უადრესი ტრადიციებით, რასაც ადასტურებს აქ აღმოჩენილი მეტალურგიული წარმოებისა და ლითონდამუშავების ამსახველი მატერიალური კულტურის ძეგლები: ბრინჯაოსა და რკინის საწარმო ობიექტები, ქურა სახელოსნოები, ძვირფასი, ფერადი და შავი ლითონებისგან დამზადებული არტეფაქტები (ინანიშვილი, 2014, 24).

საბეჭდავის მრავალი ტიპი არსებობს. იკვლევენ მათ ტიპოლოგიას, მხატვრულ თუ სტილისტურ ასპექტებს. საბეჭდავები მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში კერძო კოლექციების სახითაა შეღწეული, რაც ართულებს მრავალ პრობლემატურ საკითხზე მუშაობას. საგულისხმოა, რომ საქართველოს მუზეუმებში დაცული ფარაკიანი ბეჭდების აბსოლუტური უმრავლესობა არქეოლოგიური გათხრებითაა გამოვლენილი და სამარხეული კომპლექსებიდან მომდინარეობს, რაც უსვამს ხაზს მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მყარად ჩამოყალიბებული ქრონოლოგიური, გეოგრაფიული და სოციალური კონტექსტის თვალსაზრისით. ეს გარემოება საშუალებას იძლევა ფარაკიანი ბეჭდები შევისწავლოთ სამარხეული კონტექსტის გათვალისწინებით და, შესაბამისად, გავარკვიოთ ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ მსჯელობაც წარმოუდგენელი იქნებოდა. მაგალითად, რა იყო ბეჭდების ძირითადი ფუნქცია - საბეჭდავი, სამკაული თუ ავგაროზი, ვის ჰქონდა უფლება ეტარებინა საბეჭდავი, რომელი ხელი და თითი იყო განკუთვნილი საბეჭდავი ბეჭდის სატარებლად, იყენებდა და

ატარებდა თუ არა ინდივიდი ერთზე მეტ საბეჭდავს, როგორი იყო საბეჭდავის მფლობელის სოციალური სტატუსი და სქესობრივი კუთვნილება.

საქართველოში აღმოჩენილი ფარაკიანი ბეჭდების კვლევას მიეძღვნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი, თუმცა ამ ნივთების შესწავლა ძირითადად მხოლოდ მხატვრულ-ესთეტური კუთხით ხდებოდა და ისინი არქეოლოგიურ კონტექსტში არავის განუხილავს და მითუმეტეს არც ინტერდისციპლინური კვლევის საგანი გამხდარა. ამ გარემოებას ემატება ის ფაქტიც, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე, ანტიკური პერიოდის სამაროვნების შესწავლის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების რიცხვი წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა, რამაც საჭირო გახადა დაგროვილი მასალის კომპლექსური შესწავლა არქეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, შესაძლებელი გახდა ისეთი საკითხების კვლევა, როგორიცაა ფარაკიანი ბეჭდების ფუნქცია, საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების გავრცელების ხასიათი, ბეჭედთა მფლობელების სოციალური სტატუსი და სქესობრივი კუთვნილება.

**კვლევის მიზნები და ამოცანები:**

ნაშრომში პირველად და სრულად არის თავმოყრილი საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი და ამ ეტაპზე ცნობილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდები და შესწავლილია მათი გავრცელების ხასიათი. გაანალიზებულია არქეოლოგიური კონტექსტი, რაც გულისხმობს ყველა იმ სამაროვნის სამარხის დეტალურ განხილვის თანმხლები ინვენტარის გათვალისწინებით, სადაც აღმოჩნდა ფარაკიანი ბეჭედი. ამის საფუძველზე დადგენილია ბეჭდის მფლობელის სოციალური სტატუსი და სქესობრივი კუთვნილება.

კვლევის შედეგად შემუშავდა ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ფორმათა ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ბეჭდისა და ფარაკის ფორმათა თავისებურებებს. კვლევის შედეგად გამოყოფილია გამოსახულებათა იკონოგრაფიული და სტილისტური ჯგუფები, რომელიც შედარებულია თანადროული პერიოდის სხვადასხვა კულტურის ძეგლებს. ნაშრომში ლითონის ფარაკიან ბეჭდების უეცარი გამოჩენა და მასზე ასახული

კულტურული გავლენები განხილულია ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

**კვლევის მეთოდოლოგია:**

ინტერდისციპლინური კვლევის ფარგლებში, ლითონის (ვერცხლი, ბრინჯაო) ნივთების ქიმიური შედგენილობის დადგენის მიზნით, ბეჭდების შესწავლა მოხდა არადესტრუქციული რენტგენო ფლუორესცენტული მეთოდით, პორტატული რენტგენის, ფლუორესცენციის სპექტომეტრის გამოყენებით (XRFS). შედეგად, მოხერხდა ლითონის ფარაკიანი ბეჭდების დამზადებისას გამოყენებული ლითონის შენადნობების განსაზღვრა. კვლევა ასევე მიზნად ისახავადა გაგვერკვია არსებოს თუ არა რაიმე კოლერაცია ბეჭდის ტიპსა და ლითონის ქიმიურ შედგენილობას შორის; მსგავსი ტიპის ლითონის ბეჭდები დამზადებულია ერთსა და იმავე თუ სხვადასხვა სახელოსნოებში.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის კონტექსტუალური მიდგომა, რომელიც გულისხმობს იმ კონტექსტის გააზრებასა და შესწავლას, რამაც განაპირობა კონკრეტული არტეფაქტების შექმნა. გარდა ამისა, კვლევის პროცესში ვიყენებ კვლევის ჰერმენევტიკულ მიდგომას, რომელიც ფოკუსირებულია არტეფაქტების ინტერპრეტაციაზე მათ სოციალურ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში.

**ნაშრომის სტრუქტურა:**

ნაშრომი შედგება შესავლის, რვა თავისა და დასკვნისაგან.

**პირველ თავში** განხილულია ფარაკიანი ბეჭდების შესწავლის ისტორია.

ნაშრომის **მეორე თავი** ეძღვნება ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ტოპოგრაფიას. კვლევის პირველ ეტაპზე წარმოდგენილია დღემდე მოპოვებული საკვლევი მასალის გავრცელების ხასიათი. შემოთავაზებულია ლითონის ფარაკიანი ბეჭდების რაოდენობრივი ანალიზი მათი აღმოჩენის გეოგრაფიური მდებარეობის მიხედვით. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანია ლითონის ფარაკიანი ბეჭდების გავრცელების დინამიკის დადგენისათვის.

**მესამე თავში** დეტალურად არის განხილული ყველა ის არქეოლოგიური კომპლექსი, სადაც აღმოჩნდა ლითონის ფარაკიანი ბეჭედი.

**მეოთხე თავი** ეძღვნება მონაცემთა ინტერპრეტაციას. სამარხეული კომპლექსების შესწავლის შეჯერებისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია ლითონის ფარაკიანი ბეჭდების დანიშნულება და გამოყენება. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შემოთავაზებულია ბეჭდის მფლობელის სოციალური სტატუსისა და სქესობრივი კუთვნილების კვლევა.

**მეხუთე თავი** ეთმობა ფარაკიანი ბეჭდების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის შემუშავებას. შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის ფარგლებში, ფარაკისა და რკალის ფორმის მიხედვით გამოყოფილია ბეჭდის ცხრა ძირითადი ტიპი, რომელიც კონკრეტულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია ჩასმული.

ნაშრომის **მეექვსე თავში** გამოყენებულია კვლევის ანალიტიკური მეთოდები, დაფუძნებული მიკროელემენტების ანალიზზე. აღნიშნულ თავში შემოთავაზებულია კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური კვლევის შედეგად განსაზღვრულია ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ქიმიური შედგენილობა. ასევე გამოყოფილია ქიმიური ჯგუფები, ხოლო მასალების შეჯერების საფუძველზე დადგენილია არსებობს თუ არა რაიმე კორელაცია ბეჭდის ტიპსა და ქიმიურ შედგენილობას შორის. წინამდება თავში ასევე განხილულია ლითონის ფარაკიანი ბეჭდების დამზადების ტექნიკა.

**მეშვიდე თავი** ეთმობა ბეჭდებზე დატანილი გამოსახულებების კლასიფიკაციას, რომელიც დაფუძნებულია გამოსახულებათა კომპოზიციურ და იკონოგრაფიულ დეტალებზე. კლასიფიკაციის პირველ ეტაპზე მოტივის მიხედვით გამოსახულებები დაყოფილია შვიდ კომპოზიციურ ჯგუფად, ხოლო კლასიფიკაციის მეორე და მესამე ეტაპზე გამოყოფილია ქვეჯგუფები და ქვეკატეგორიები თემატიკისა და სიუჟეტების გათვალიწინებით.

**მერვე თავში** ყურადღება გამახვილებულია იმ ეპოქის საერთაშორისო კულტურულ კონტექსტზე, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ფორმირებასა და მათი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების ჩამოყალიბებაზე.

**დასკვნაში** შეჯამებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები.

# თავი I. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების შესწავლის ისტორია

ლითონის ფარაკიანი ბეჭდების სპეციფიკური სტილი, მათი უეცარი გამოჩენა და საქართველოს ტერიტორიაზე სწრაფი გავრცელება მეცნიერებისთვის ინტერესის საგანს ყოველთვის წარმოადგენდა.

მარგარიტა ლორთქიფანიძემ 1969 წელს, “ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსში”, ლითონის საბეჭდავი ბეჭდები III ჯგუფში გააერთიანა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივად მიიჩნია და ძვ.წ. VI-III საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოაქცია (ლორთქიფანიძე, 1969). მოგვიანებით, მანვე ლითონის საბეჭდავ ბეჭდებს ორი სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. მათგან ერთი - “კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი ბეჭდები” 1975 წელს გამოქვეყნდა (ლორთქიფანიძე, 1975). ნაშრომში შესწავლილია ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი საბეჭდავი ბეჭდები. მათი ანალიზის საფუძველზე ავტორი ადგენს, რომ ადრეანტიკური ხანის კოლხეთში (ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო წლებიდან - III საუკუნის ჩათვლით) ძირითადად გავრცელებული იყო ბერძნულ სახელოსნოებში ნაკეთები ლითონის ბეჭდები და ამასთანავე, თანაარსებობდა ადგილობრივ, კოლხურ სახელოსნოებში ნაკეთი საბეჭდავი ბეჭდები (ლორთქიფანიძე, 1975).

1981 წელს, მარგარიტა ლორთქიფანიძე გამოსცემს კიდევ ერთ ნაშრომს “უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან”. ავტორის აზრით, ძვ.წ. V-III საუკუნეებში იბერიაში ძირითადად ადგილობრივი წარმოშობის საბეჭდავი-ბეჭდებია გავრცელებული, რომელთა შორის სხვადასხვა მიმდინარეობებისა და სკოლების გავლენით შექმნილ ძეგლებს გამოჰყოფს. მისი ვარაუდით, ძვ.წ. V საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში უკვე სპეციალური სახელოსნოები არსებობდა, სადაც ლითონის ფარაკიან ბეჭდებს ამზადებდნენ (ლორთქიფანიძე, 1981).

ალგეთის ხეობაში აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭდების კვლევას შეეხო იულონ გაგოშიძე. მათზე დაკვირვების შედეგად, იულონ გაგოშიძე ასკვნის, რომ გამოსახულება ფარაკზე თეგით უნდა იყოს გამოყვანილი. მისი

აზრით, სწორედ ეს ფაქტორი აერთიანებს ადრეანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ლითონის საბეჭდავი ბეჭდების ამ ჯგუფს და ასხვავებს მათ ამავე ხანის სხვა საბეჭდავებისგან (გაგოშიძე, 1964). იულონ გაგოშიძის აზრით, ახალგორის განძის, ალგეთისა და ყანჩაეთის ადრეანტიკური ხანის სამარხებიდან მომდინარე ლითონის საბეჭდავი ბეჭდები სრულიად თავისებურია ფორმითა და სტილით, ამიტომაც ისინი მიჩნეულ უნდა იქნეს ამ ტიპის უძველეს ადგილობრივ (ქართულ) საბეჭდავ ბეჭდებად (გაგოშიძე, 1964, 32).

იულონ გაგოშიძე 2009 წელს აქვეყნებს სტატიას - “საქართველო და ბერძულ-სპარსული გემები”, სადაც აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის საბეჭდავი ბეჭდები შესაძლებელია მოექცეს ინგლისერი მკვლევრის, ჯონ ბორდმანის მიერ გამოყოფილ ბერძნულ-აღმოსავლური საბეჭდავების წრეში. იულონ გაგოშიძე თვლის, რომ შემდგომი კვლევის შედეგად ლითონის ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდების ამ მრავალრიცხოვან ჯგუფში რამდენიმე ქვეჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი რკალისა და ფარაკის ფორმის, დამზადების ტექნიკის ან რაიმე სხვა კრიტერიუმის მიხედვით (გაგოშიძე, 2009, 14-19).

ამავე აზრზეა ქეთევან ჯავახიშვილიც, რომელიც, თავის სტატიაში “საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური საბეჭდევები”, იმპორტული მასალის განხილვის დასასრულს აღნიშნავს საქართველოში, ძირითადად მის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების მნიშვნელობას და თვლის რომ, ბეჭდები მიჩნეულ უნდა იყოს აქემენიდური წრის პროვინციულ, იბერიულ ნახელავად (ჯავახიშვილი, 2009, 91-92).

იულონ გაგოშიძის მიხედვით, ძვ.წ. IV-III საუკუნეების ინოვაციების მთელი სერია ქართულ კულტურაში, რომელთაც საფუძვლიანად შეცვალეს მისი სახე - საქართველოსთვის ახალი აღმოსავლური და დასავლური კულტების, ბერძნული და არამეული დამწერლობის, საბეჭდავი-ბეჭდების, მოხატული კერამიკის, საფლავში მონეტის ჩატანებისა წესისა და სხვა ამ პერიოდის სიახლეები, წარმოადგენს საქართველოს გარე სამყაროსთან ურთიერთობის შედეგს. ამ ინოვაციების საქართველოში შემოსვლის კოკნკრეტული გზებისა და

ქრონოლოგიის დადგენით შესაძლებელია განისაზღვროს ერთიანი ქართული (კოლხურ-იბერიული) კულტურის ადგილი ძვ.წ. IV-III სს-ის მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპოქის ცივილიზებულ სამყაროში (გაგოშიძე, 2010, 69).

საგულისხმოა ქეთევან ჯავახიშილის ვრცელი სტატია საქართველოს გლიპტიკურ ძეგლებზე, რომელშიც სხვა მრავალ გლიპტიკურ ძეგლთან ერთად მოკლედ განიხილულია იბერიისა და კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდებიც (ჯავახიშვილი, 2015, 6-12).

ქეთევან ჯავახიშვილმა შეისწავლა "ნაომარი გორის" ელინისტური პერიოდით დათარიღული სამაროვანი, სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდების ჯგუფი - სულ შვიდი ერთეული. სტილისტური თავისებურებების მიხედვით, მკვლევარი მიიჩნევს, რომ მათგან ერთი ბეჭედი დასავლეთ ბერძნული ცენტრიდან მომდინარეოს, ორი საბერძნეთის რომელიღაცა პროვინციიდან, სამი ბეჭედი მცირე აზიიდან, კერძოდ, ქალაქ სმირნიდან, ხოლო ერთიც, შესაძლოა, ადგილობრივი, იბერიული ნაწარმი იყოს (Джавахишвили, 2006, 191).

ქეთევან ჯავახიშვილმა შეისწავლა ვანის სამაროვანზე 2003-2005 წლებში აღმოჩენილი ლითონის საბეჭდავი-ბეჭდების მცირე ჯგუფი. განხილულ ბეჭდებს მკვლევარი აღმოსავლურ და დასავლურ ბერძნულ სკოლებს უკავშირებს, რამდენიმე მათგანს კი ადგილობრივად დამზადებულად მიიჩნევს (ჯავახიშვილი, 2011, 121-130). ქეთევან ჯავახიშილმა ასევე იმუშავა ტახტიძირის გვიანაქემენიდური-ადრეელინისტური პერიოდის სამაროვანზე გამოვლენილ გლიპტიკურ ძეგლებზე, რომელთა უმრავლესობა ლითონის საბეჭდავი ბეჭდებია. ნაშრომში ბეჭდები კატალოგის სახით არის წარმოდგენილი (გაგოშიძე, 2020).

საინტერესოა ქეთევან რ. რამიშვილის სტატია, სადაც მკვლევარი განიხილავს მარტვილის მუზეუმში დაცულ ბრინჯაოს ფარაკიან ბეჭედს, რომელზეც ფრთაგალშლილი ფრინველია გამოსახული. მკვლევარი თვლის რომ ფარაკიანი ბეჭედი საბეჭდავს წარმოადგენდა, თუმცა შეთავსებული ჰქონდა სამკაულის ფუნქციას. ქეთევან რ. რამიშვილი ბეჭედს ადგილობრივ ნაკეთობად მიიჩნევს და ძვ.წ. VI ს. ის ბოლო და ძვ.წ. III ს - ით ათარიღებს (რამიშვილი, 2017).

ქეთევან რ. რამიშვილს თავის სტატიაში "სპარსელი ქალის მოტივი ქართულ გლიპტიკურ ძეგლებზე" განხილული აქვს ტახტიძირსა და კამარახევში აღმოჩენილი ფარაკიანი ორი ბეჭედი (რამიშვილი, 2021, 15-31).

ლითონის ფარაკიანი რამდენიმე ბეჭედი ქეთევან რამიშვილს ასევე განხილული აქვს თავის სტატიაში "Ancient Georgia and Pre-Islamic Iran: Issues of the Cultural Relations in the Light of Glyptic Data (Ramishvili & Giunashvili, 2024).

1981-1982 წლებში ნოქალაქევის სამარხებში აღმოჩენილი 16 ერთეული ლითონის ფარაკიანი ბეჭედი, სხვა სამარხეულ ინვენტართან ერთად, გამოქვეყნებული აქვს მერი ზამთარაძეს. ესაა ძირითადად ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან დამზადებული რკალგახსნილი და, ზოგ შემთხვევაში, რკალშეკრული ბეჭდები. ფარაკზე ყველა მათგანს გამოსახულება ჰქონია, თუმცა უმრავლესობა გაცვეთილი ყოფილა და სიუჟეტის დადგენა ვერ მოხერხდა (ზამთარაძე, 1987, 211-236). ნივთები დაკარგულია და შემდგომი კვლევისთვის მხოლოდ მერი ზამთარაძის აღწერებსა და ილუსტრაციებს ვეყრდნობით.

ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ძალიან საინტერესო ჯგუფი აღმოჩენილია სვანეთში, ჭუბერის თემში, ლარილარის სამაროვანზე (ჩართოლანი, 1968, 300-318). შოთა ჩართოლანს თავის ნაშრომში მხოლოდ ბრინჯაოს ერთი რკალგახსნილი ბეჭედი განუხილავს, რომელზეც რქებდატოტვილი ირემია გამოსახული (ჩართოლანი, 1968, 308). ქეთევან ჯავახიშვილის ცნობით, ამ ბეჭდის გარდა კიდევ ათი საბეჭდავი ბეჭედი ინახება სვანეთის მუზეუმში. მათ შორის სამი სწორკუთხაფარაკიანი, დანარჩენი კი მრგვალი და ოვალურფარაკიანი ბეჭდებია (ჯავახიშვილი, 2015, 11).

საირხის სამაროვნიდან მომდინარე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს თავისებური და ძალიან მნიშვნელოვანი ფარაკიანი ბეჭდების მცირე ჯგუფი განხილული აქვს ჯურხა ნადირაძეს (ნადირაძე, 1990, 51-52), ნივთები აგრეთვე კატალოგის სახით გამოქვეყნებულია გ. მახარაძისა და მ. წერეთლის ნაშრომში (მახარაძე & წერეთელი, 2007, 66, 760).

ფიჭვნარის სამაროვანზე აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები გამოქვეყნებული აქვს ამირან კახიძესა და  მერი ვაშაკიძეს,

თუმცა ბეჭდების ძირითადი ნაწილი სპეციალურად არავის შეუწავლია (კახიძე & ვაშაკიძე, 2010).

ბრინჯაოსა და ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდების მნიშვნელოვანი ჯგუფი გამოვლენილია სამცხეში, აწყურის სამაროვანზე. ვახტანგ ლიჩელი სამარხებს, სადაც ფარაკიანი ბეჭდები არის გამოვლენილი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით ათარიღებს. გამოსახულებები საკმაოდ მრავალფეროვანია, და უმეტესი მათგანი აქემენიდური ხელოვნების ძეგლებს უკავშირდება (ლიჩელი, 2011, 25-48).

ცნობილმა ინგლისელმა მკვლევარმა, ჯონ ბორდმანმა, ანტიკური ხანის ლითონის ფარაკიანი ბეჭდების კვლევას თავის მონოგრაფიაში სპეციალური თავი მიუძღვნა. ბორდმანმა წამოაყენა საბეჭდავი ბეჭდების კლასიფიკაციისა და წარმომავლობის ახალი თეორია. მკვლევრის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია აგებულია გამოხატულებათა შინაარსისა და ბეჭედთა ფორმის ღრმა ანალიზის საფუძველზე. მან გამოჰყო და მთელი რიგი სკოლები და სახელოსნოები როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სამყაროს სხვადასხვა ნაწილში (Boardman, 1970).

ბორდმანი თავის ნაშრომში “The diffusion of Classical Art in Antiquity” შეეხო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ფარაკიან ბეჭდებს. ბორდმანი მიიჩნევს, რომ ვანში აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭედი, რომელიც განსხვავებული ტექნიკითაა დამზადებული, რაც გულისხმობს ფარაკის ოქროს ვიწრო ზოლით შემოსაზღვრას, ადგილობრივ სახელოსნოში, თუმცა ბერძენი ხელოსნის მიერ არის დამზადებული (Boardman 1994a, 220). ბორდმანი ფიქრობს, რომ ადგილობრივმა ხელოსნებმა ბერძნული ბეჭდების ტიპებზე დაკვირვების შედეგად გადმოიღეს და შეითვისეს ის კონკრეტული დეტალები, რაც მათ სურდათ, თუმცა ეს მოხდა ადგილობრივი ტრადიციების სრულად დათმობის გარეშე (Boardman, 1994a, 220).

ამით სრულდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების კვლევის ისტორია. როგორც ვხედავთ, ისინი ერთიან კომპლექსში არავის შეუსწავლია, რაც აუცილებელი პირობაა მათი ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციისთვის, ასევე ბეჭდების მფლობელთა

სოციალური სტატუსის, სქესობრივი და კულტურული კუთვნილების განსაზღვრისთვის.

# თავი II. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ტოპოგრაფია

ძვ.წ. VI-II საუკუნეების სამაროვნების კვლევამ აჩვენა, რომ ფარაკიანი ბეჭდები თითქმის თანაბრად არის გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ფარაკიანი ბეჭდების უდიდესი ნაწილი სისტემური არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა აღმოჩენილი, მცირე ნაწილი კი შემთხვევითი მონაპოვარია.

ამ ეტაპზე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები 46 არქეოლოგიურ პუნქტშია აღმოჩენილი და მათი საერთო რაოდენობა 267 ერთეულს შეადგენს (ტაბ.I). აღსანიშნავია, რომ სამარხებში ასევე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია რკინის ფარაკიანი ბეჭდებიც (ნოქალაქევი, ვანი, ტახტიძირი, ოხერახევი და სხვ.), თუმცა ეს ბეჭდები უმეტესად ფრაგმენტირებული და იმდენად კოროზირებულია, რომ ფარაკზე დატანილი გამოსახულების იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. შესაბამისად, რკინის ბეჭდების რაოდენობა არ არის ნაშრომში შეტანილი.

დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ლითონის ფარაკიანი ბეჭდები 22 პუნქტშია აღმოჩენილი და ყველა მათგანი სამარხებიდან მომდინარეობს - სულ 166 ცალი. მათგან 15 ოქროს, 33 ვერცხლისა და 118 ბრინჯაოს ბეჭედია.

ლითონის ფარაკიანი ბეჭდების უმრავლესობა კონცენტრირებულია დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. ისინი 12 ძეგლზე დასტურდება - სულ 79 ცალი:

| ადგილმდებარეობა/სამაროვანი | სამარხი | ბეჭდების რაოდენობა |
|---|---|---|
| ვანი (სულ = 29) | N6 | 4 |
| | N9 | 4 |
| | N10 | 1 |
| | N11 | 1 |
| | N16 | 7 |
| | N19 | 2 |
| | N22 | 1 |
| | N24 | 7 |
| | N26 | 2 |

| | | |
|---|---|---|
| დაფნარი (სულ = 5) | N3 | 2 |
| | N11 | 2 |
| | N12 | 1 |
| დაბლაგომი (სულ = 5) | N4 | 1 |
| | N7 | 1 |
| | N19 | 1 |
| | N12 | 1 |
| | კრამიტსამარხი | 1 |
| ფარცხანაყანევი (სულ = 2) | სამარხი 1 | 2 |
| მუხიანი | ნომრის გარეშე | 4 |
| ქვიტირი | ნომრის გარეშე | 1 |
| ქვედა მესხეთი | ნომრის გარეშე | 4 |
| წიფნარი | ნომრის გარეშე | 2 |
| ზემო ფარცხმა (სულ = 6) | N3 | 3 |
| | N16 | 2 |
| | N18 | 1 |
| ნოქალაქევი (სულ= 18) | N4 (ქვევრსამარხი) | 1 |
| | N2 | 3 |
| | N3 | 3 |
| | N4 | 2 |
| | N5 | 1 |
| | N9 | 3 |
| | N17 | 1 |
| | N2 (1982) | 2 |
| | N6 (1982) | 1 |
| | N81 (1987) | 1 |
| ბატნაოხორუ (სულ 2) | N2 | 2 |
| კოდორეთი | ნომრის გარეშე | 1 |

ლითონის ფარაკიანი ბეჭდები აღმოჩენილია დასალეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც:

| ადგილმდებარეობა/სამაროვანი | სამარხი | ბეჭდების რაოდენობა |
|---|---|---|
| ფიჭვნარი (სულ = 48) | N6 | 1 |
| ძვ.წ. V საუკუნის ნეკროპოლი | N23 | 2 |
| | N104 | 1 |
| ძვ.წ. IV საუკუნის ნეკროპოლი | N138 | 1 |
| | N2 | 1 |
| | N39 | 1 |
| | N42 | 1 |
| | N47 | 1 |

| | | |
|---|---|---|
| კოლხური, ელინისტური ხანის სამაროვანი | N52<br>N78<br>N86<br>N116<br>N127<br>N128<br>N132<br><br>N15<br>N64<br>N65<br>N93<br>N99<br>N158<br>N162<br>N181<br>N195<br>N208<br>N209<br>N214<br>N217<br>N225<br>N231 | 1<br>1<br>1<br>1<br>1<br>1<br>1<br><br>1<br>2<br>2<br>5<br>2<br>2<br>3<br>2<br>2<br>3<br>1<br>3<br>2<br>1<br>1 |
| ქვემო ეშერა (სულ = 3) | N2 | 2 |
| | "მებრძოლის სამარხი" | 1 |
| გუადიხუ (სულ= 15) | N4 (16) | 1 |
| | N5 (17) | 2 |
| | N6 (18) | 1 |
| | N9 (21) | 8 |
| | N13 (25) | 1 |
| | 48 (81) | 2 |
| ლარილარი | კოლექტიური სამარხი | 11 |
| საირხე(სულ = 6) | N1 | 2 |
| | N8 | 2 |
| | N10 | 1 |
| | N13 | 1 |

| | | |
|---|---|---|
| მოდინახე | N6 | 1 |
| ითხვისი | N2 | 1 |
| ზრილი | N21 | 2 |

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ლითონის ფარაკიანი ბეჭდები გამოვლენილია 22 პუნქტში და მათი საერთო რაოდენობა შეადგენს 101 ერთეულს. ბეჭედთა უმრავლესობა ბრინჯაოსგანაა დამზადებული. გამოვლენილია ოქროს 2 და ვერცხლის 26 ფარაკიანი ბეჭედი.

ფარაკიანი ბეჭდების ყველაზე დიდი რაოდენობა, სულ 47 ცალი, კონცენტრირებულია შიდა ქართლში - 9 პუნქტში:

| ადგილმდებარეობა/სამაროვანი | სამარხი | ბეჭდების რაოდენობა |
|---|---|---|
| ტახტიძირი (სულ = 29) | N3 | 3 |
| | N5 | 2 |
| | N7 | 1 |
| | N8 | 3 |
| | N12 | 2 |
| | N14 | 3 |
| | N15 | 3 |
| | N16 | 4 |
| | N17 | 1 |
| | N19 | 1 |
| | N20 | 5 |
| ქვიანა | N7 | 2 |
| ყანჩაეთი | ნომრის გარეშე | 3 |
| საძეგური | ნომრის გარეშე | 3 |
| კამარახევი (სულ = 2) | N9 | 1 |
| | N65 | 1 |
| უფლისციხე | N1<br>N3<br>N4 | 1<br>1<br>1 |
| ედისი | ნომრის გარეშე | 1 |
| რიყიანების ველი | ნომრის გარეშე | 1 |
| ოხერახევი | N10 | 1 |
| | N27 | 1 |

| | | |
|---|---|---|
| | N28 | 1 |

ქვემო ქართლის სამაროვნებიდან მომდინარეობს 22 ცალი ფარაკიანი ბეჭედი. ისინი გამოვლენილია 10 პუნქტში:

| ადგილმდებარეობა/სამაროვანი | სამარხი | ბეჭდების რაოდენობა |
|---|---|---|
| ეცო (სულ = 8) | N16 | 1 |
| | N17 | 1 |
| | N39 | 2 |
| | N59 | 1 |
| | N60 | 1 |
| | N64 | 1 |
| | N91 | 1 |
| წინწყარო (ალგეთი) | ნომრის გარეშე | 4 |
| სხალთა (სულ = 3) | N1 | 1 |
| | N43 | 2 |
| ასურეთი | ნომრის გარეშე | 1 |
| აბელია | N6 | 1 |
| არდასუბანი | N1 | 1 |
| თეთრიწყარო | ნომრის გარეშე | 1 |
| პაპიგორა | N49 | 1 |
| ღრმახევისთავი | ნომრის გარეშე | 1 |
| კუშჩი | 3 | 1 |

ფარაკიანი ბეჭდები ასევე აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც:

| ადგილმდებარეობა/სამაროვანი | სამარხი | ბეჭდების რაოდენობა |
|---|---|---|
| ყოღოთო | ნომრის გარეშე | 3 |
| თოხლიაური | ნომრის გარეშე | 2 |
| ნაომარი გორა (სულ = 7) | a | 5 |
| | b | 2 |
| წნისისხევი (სულ = 3) | N1 | 1 |
| | N24 | 1 |
| | N33 | 1 |
| აწყური (სულ = 15) | N1 | 3 |

| | | |
|---|---|---|
| | N3 | 5 |
| | N5 | 5 |
| ნატახტარი | ნომრის გარეშე | 1 |
| ვარსიმაანთკარი | N80<br>N153<br>N167 | 1<br>1<br>1 |

# თავი III. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების არქეოლოგიური კონტექსტი

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების უმრავლესობა სამარხეული კომპლექსებიდან მომდინარეობს, რაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ისინი არქეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით.

წარსულში ადამიანთა აქტივობის რეკონსტრუქციისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიური მასალის აღმოჩენის კონტექსტის სრულფასოვან გააზრებას. სამარხეული კომპლექსის არსებობა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია დაკრძალულთა სოციალური მდგომარეობის შესახებ და, შესაბამისად, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების საერთო დონის შესასწავლად.

ლითონის ფარაკიანი ბეჭდების სამარხეულ კონტექსტში განხილვა შესაძლებლობას იძლევა პასუხი გაეცეს რიგ მნიშველოვან კითხვებს.

განსაკუთრებულთ საინტერესოა ლითონის ფარაკიანი ბეჭდების დანიშნულების განსაზღვრა, რაც აუცილებელია მათი კულტურული და სოციალური მნიშვნელობის სრულფასოვანი გააზრებისათვის. არსებითი კითხვებია: რა იყო ამ ტიპის ბეჭდების ძირითადი ფუნქცია, გამოიყენებოდა თუ არა ისინი უშუალოდ საბეჭდავად, და, ამ შემთხვევაში, რა როლი ენიჭებოდათ საბეჭდავ ბეჭდებს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საბეჭდავი ბეჭდების გამოყენება საკუთრების უფლებასა და ადმინისტრაციულ-იურიდიული ურთიერთობების რეგულირების პრაქტიკასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ კონტექსტში საბეჭდავის ფლობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც სოციალური პრესტიჟის, ავტორიტეტისა და ძალაუფლების ინდიკატორი. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება იმ პირების სოციალური სტატუსისა და სქესობრივი კუთვნილების განსაზღვრა, რომლებსაც ეკუთვნოდათ აღნიშნული ბეჭდები.

## §3.1 სამაროვნები.

**კოლხეთი.**

**ნოქალაქევი.** სენაკის რაიონ სოფელ ნოქალაქევში გამოვლენილ სამაროვანზე წარმოდგენილია ძვ.წ. IV-III სს - ის 26 ორმოსამარხი და ძვ.წ. III-II სს - ის თექვსმეტი ქვევრსამარხი (გვინჩაძე, 1981, 177; გვინჩაძე, 2003, 23). ოცდაექვსი ორმოსამარხიდან ლითონის ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა რვაში, სულ თხუთმეტი ცალი, ხოლო თექვსმეტი ქვევრსამარხიდან ორში, სულ ორი ცალი. ბეჭდები სამარხებში ფიქსირდება როგორც თითო ცალი, ისე წყვილად და ზოგ შემთხვევაში სამი ცალი ერთად. სამარხები, სადაც ბეჭდებია აღმოჩენილი ინდივიდულურია და არც ერთ მათგანში არ არის განსაზღვრული დაკრძალულთა სქესი. ორმოსამარხი N3, სადაც ბრინჯაოს სამი ცალი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა, ბავშვის კუთვნილებაა. N4 ქვევრსამარხში ფარაკიანი ბეჭედი მიცვალებულს ეკეთა მარჯვენა ხელის ერთ-ერთ ფალანგაზე (გვინჩიძე, 1981, 177).

ნოქალაქევში გამოვლენილი ფარაკიანი ბეჭდების აბსოლუტური უმრავლესობა ბრინჯაოსია. ბეჭდების ფორმისა და გამოსახულების სტილის მიხედვით, მათი დამზადება ადგილობრივ სახელოსნოში უნდა ვივარაუდოთ. ბეჭდები თხელი ფირფიტისგან არის დამზადებული, გახსნილი რკალით და სხვადასხვა ფორმის ფარაკით.

წარმოდგენილ ნაშრომში შემუშავებული კლასიფიკაციის მიხედვით, მრგვალი ფარაკის მქონდე ბეჭდები ერთიანდება VIII ტიპში, ხოლო ბეჭდები მართკუთხა ფარაკით - VI ტიპში. გარდა ამისა, სამარხებში ასევე ფიქსირდება რკალგახნილი ბეჭდებიც, რომელსაც არ აქვს ცალკე გამოყოფილი ფარაკი და რომლებიც მიაკუთვნება IX ტიპს.

ნოქალაქევში გამოვლენილი ყველა ბეჭდის ფარაკზე გამოსახულებაა დატანილი, თუმცა დიდი ნაწილი გაცვეთილია და ვერ ხერხდება სიუჟეტის დადგენა. ნივთები დაკარგულია, ამიტომ შემდგომი კვლევისთვის მხოლოდ ქ-ნ მერი ზამთარაძის აღწერებსა და ილუსტრაციებს ვეყდნობით.

სამაროვანზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ის სამარხები, რომლებშიც აღმოჩენილია ლითონის ფარაკიანი ბეჭდები, სოციალური თვალსაზრისით

არსებითად არ განსხვავდება სხვა დანარჩენი სამარხებისგან. სამარხეულ ინვენტარს ამ შემთხვევებშიც სტანდარტული არტეფაქტები წარმოადგენს: თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს, იშვიათად ოქროსა და ვერცხლის სამკაული, ასევე ვერცხლის მონეტები.

ამგვარი მასალის ერთგვაროვანი გავრცელება მიუთითებს იმაზე, რომ ფარაკიანი ბეჭდები ვერ ჩაითვლება როგორც სოციალურ განსხვავებასთან პირდაპირ კავშირში არსებული ერთადერთი ინდიკატორი. ამის ნაცვლად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ბეჭდებს ჰქონდათ კონკრეტული პიროვნული, კულტურული ან რიტუალური მნიშვნელობა, რომლის დეტალური განსაზღვრა მხოლოდ ფართო არქეოლოგიური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით არის შესაძლებელი.

სამარხთა აღწერილობა:

1974-1975 წლები:

**ქვევრსამარხი N4** - სამარხ ქვევრში ორი მიცვალებული აღმოჩნდა, რომელთაგან ერთი უინვენტაროა, ხოლო მეორეს მარჯვენა ხელზე ჩამოცმული ჰქონდა ორი სამაჯური, ხოლო იმავე ხელის ერთ-ერთ თითზე ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. IV, 6, გ.ფ. N1604). სამარხში ასევე გამოვლინდა ბრინჯაოს წყვილი საყურე რგოლი, ხელშუბისპირი, კანთაროსი, მიცვალებულის კბილებს შორის აღმოჩნდა მონეტა. სამარხის თარიღია ძვ.წ. II საუკუნის შუა წლები (გვინჩიძე, 1981, 175, გვინჩაძე, 2003, 24).

1981 წელი:

**ორმოსამარხი N2** - სამარხში გარდა კერამიკული მასალისა აღმოჩნა ორი ცალი ვერცხლის კოლხური თეთრი, მძივები, ბრინჯაოს სამი ცალი ფარაკიანი ბეჭედი.[1] სამარხის თარიღია ძვ.წ. IV-III სს (ზამთარაძე, 1987, 214).

**ორმოსამარხი N3** - ბავშვის სამარხი. სამარხეული ინვენტარი შეიცავდა ბრინჯაოს წყვილ საყურე რგოლს, მძივებს, ორ ცალ სამაჯურსა და სამ ცალ ბრინჯაოს ფარაკიან ბეჭედს. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV-III სს (ზამთარაძე, 1987, 215).

[1] გარდა იმ სამი ბეჭედისა, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, ყველა ფარაკიანი ბეჭედი დაკარგულია.

**ორმოსამარხი N4** - სამარხში აღმოჩნდა ქოთანი და ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV-III სს (ზამთარაძე, 1987, 215).

**ორმოსამარხი N5** - სამარხში აღმოჩნდა კოჭობი, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, მძივები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ორი სამაჯური და ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი. სამარხის თარიღია ძვ.წ. III ს. (ზამთარაზე, 1987, 217).

**ორმოსამარხი N9** - სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს ორი სამაჯური და ბრინჯაოს სამი ფარაკიანი ბეჭედი. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV-III სს. (ზამთარაძე, 1987, 220).

**ორმოსამარხი N17** - სამარხში აღმოჩნდა ოქროს წყვილი საყურე რგოლი, მძივები, მძივსაკიდები, ვერცხლის კოლხური თეთრი, ბრინჯაოს სამი სამაჯური და ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV-III სს. (ზამთარაძე, 1987, 222).

1982 წელი:

**ორმოსამარხი N2** - სამარხში აღმოჩნდა მძივები, ვერცხლის საყურე რგოლი, სამაჯური ბრინჯაოსი, რკინის და ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV-III სს (ზამთარაძე, 1987, 224).

**ქვევრსამარხი N6** - სამარხში ჩონჩხი არ გამოვლინდა. აღმოჩნდა მხოლოდ ხელის თითის ერთი ფალანგა, რომელზეც წამოცმული იყო ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი. იქვე აღმოჩნდა რკინის კიდევ ერთი ფარაკიანი ბეჭდი. სამარხის თარიღია ძვ.წ. III-II სს (ზამთარაძე, 1987, 217).

1987 წელი:

**სამარხი N81** - სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. XI, 150, გ.ფ. N1601).

კიდევ ერთი ბრინჯაოს ბეჭედი 1989 წლის დაზვერვების დროს აღმოჩნდა გიგა ზარქუას ეზოში. ბეჭედი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ტაბ. IX, 118, გ.ფ. N1605).

**ზემო ფარცხმის სამაროვანი:**

ჩოხატაურის რაიონში, ზემო ფარცხმის სამაროვანზე სულ გაითხარა ოცდათხუთმეტი ქვევრსამარხი (მათგან ცხრა სამარხი უინვენტაროა), საიდანაც ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა სამ სამარხში, სულ ხუთი ცალი.

წყვილი ბეჭედი აღმოჩნდა N3 ქვევრსამარხში, წყვილი N16 ქვევრსამარხში, ერთი ცალი ბეჭედი კი N18 ქვევრსამარხში[2] (ვაშაკიძე, 1985; თოლორდავა, 1980). ეს ნიმუშები მიეკუთვნება ელინისტურ პერიოდში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ბეჭდების ტიპს. მათგან ერთი, ფარაკის ფორმის მიხედვით, უნდა წარმოადგენდეს IX ტიპს. დანარჩენი ოთხი კი - VIII ტიპის მრგვალფარაკანი ბეჭდებია. ყველა მათგანი დაზიანებულია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ფარაკზე დატანილი გამოსახულების განსაზღვრას.

სამარხეული ინვენტარის ანალიზის საფუძველზე, ქ-ნი ნინელი ვაშაკიძე ქვევრსამარხებს ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად ჰყოფს. პირველ ჯგუფს ათარიღებს ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო და III საუკუნის პირველ ნახევარით. N18 სამარხს, სადაც ერთი ფარაკიანი ბეჭედია აღმოჩენილი, სწორედ ადრეულ სამარხების ჯგუფს მიაკუთვნებს. მეორე ჯგუფს ათარიღებს ძვ.წ. III-II საუკუნეებით. N3 ქვევრსამარხი, სადაც ფარაკიანი ბეჭდები აღმოჩნდა მეორე ჯგუფში შედის. N16 ქვევრსამარხს, სადაც ორი ფარაკიანი ბეჭედია აღმოჩენილი გარდამავალ ხანას აკუთვნებს და ათარიღებს ძვ.წ. III საუკუნის შუა წლებით (ვაშაკიძე, 1985, 104-105).

ქ-ნ ვერა თოლორდავას აზრით, ზემო ფარცხმისში ქვევრში დაკრძალვის წესის გავრცელება ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებიდან ივარაუდება. იგი სამაროვანზე სამ ქრონოლოგიურ ჯგუფს განარჩევს. 1. ძვ.წ. III ს. შუა ხანები; 2. ძვ.წ. III-II სს. მიჯნა და 3. ძვ.წ. II-I სს (თოლორდავა, 1985, 27).

სამარხებისთვის, სადაც ფარაკიანი ბეჭდები აღმოჩნდა ვერა თოლორდავა ნინელი ვაშაკიძესგან განსხვავებულ თარიღებს გვათავაზობს. N3 სამარხს ძვ.წ. II-I საუკუნეებით. ათარიღებს, N16 სამარხს ძვ.წ. III-II საუკუნეთა მიჯნით, ხოლო N18 სამარხას ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებით (თოლორდავა, 1985, 27-28).

---

[2] ნივთები ინახება ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. კვლევისას ვიყენებთ ილუსტრაციებს.

სამარხებში გამოვლენილი ფარაკიანი ბეჭდების ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, ჩვენთვის მეტად დამაჯერებელი ქ-ნ ვერა თოლორდავას თარიღებია, რადგანაც სამარხებში აღმოჩენილი ბეჭდის ტიპები ძვ.წ. III-II საუკუნის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჯდება.

ზემო ფარცხმის სამაროვანზე გამოვლენილი ქვევრსამარხების ინვენტარს აკუთვნებენ საშუალო შეძლების მოსახლეობას, თუმცა ამ სოციალურ ფენაშიც არის შენიშნული ქონებრივი უთანასწორობა (ვაშაკიძე, 1985, 110).

ფარაკიან ბეჭდებთან ერთად სამარხებში ფიქსირდება სამაჯურები, ვერცხლის საყურე რგოლები, მონეტები, მძივები და კერამიკული ნაწარმი. სამივე სამარახი, სადაც ფარაკიანი ბეჭდები გამოვლინდა, მრავალრიცხოვანი ინვენტარის შემცველია. საგულისხმოა, რომ N16 ქვევრსამარხში, სხვა მასალასთან ერთად ათი ცალი კოლხური თეთრი აღმოჩნდა, რაც დაკრძალულის ქონებრივი ფენის კუთხით გამორჩეულობას უსვამს ხაზს. ამავდროულად, არის სამარხები, სადაც მონეტები და ოქროსა და ვერცხლის საყურეებიც კი არის აღმოჩენილი ( N1, 5, 21, 23, 24, 25, 26), თუმცა ფარაკიანი ბეჭდები მათში არ ფიქსირდება.

სამარხთა აღწერილობა:

**ქვევრსამარხი N3** - სამარხში აღმოჩნდა კერამიკული ჭურჭელი, ექვსი ცალი ბრინჯაოს სამაჯური, მინის მძივები და ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი, რომელიც იდო მიცვალებულის მუცლის არეში (ვაშაკიძე, 1985, 32).

**ქვევრსამარხი N16** - სამარხში აღმოჩნდა კერამიკული ჭურჭელი, ბრინჯაოს ხუთი სამაჯური, ვერცხლის საყურე რგოლი, მინის მძივები, ათი ცალი კოლხური მონეტა და ბრინჯაოს ფარაკიანი ორი ბეჭედი, რომელიც აღმოჩნდა სამაჯურების მახლობლად (ვაშაკიძე, 1985, 40).

**ქვევრსამარხი N18** - სამარხში აღმოჩნდა კერამიკული ჭურჭელი, ბრინჯაოს ორი სამაჯური, მინის მძივები, მძივსაკიდები და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, რომელიც იდო სამაჯურთან ერთად  (ვაშაკიძე, 1985, 43).

**დაფნარი:**

სამტრედიის რაიონ სოფელ დაფნარში გაითხარა 38 ქვევრსამარხი. ფარაკიანი ბეჭედი დაფნარის სამაროვანზე მხოლოდ სამ სამარხში ფიქსირდება, სულ ხუთი

ცალი. წყვილი აღმოჩნდა N3 და N11 სამარხებში, ერთი ცალი აღმოჩნდა N12 სამარხში (Кигурадзе, 1976, 16-24).

დაფნარის სამაროვანზე აღმოჩენილი ყველა ბეჭედი ბრინჯაოსგან არის დამზადებული. მართალია ბეჭდები დაზიანებულია, თუმცა მათში ორი ტიპის გამოყოფა გახდა შესაძლებელი. გვხვდება რკალშეკრული II ტიპის ბეჭედი ოვალური ფარაკით და გვერდებისკენ განზიდული რკალით. ასევე რკალგახსნილი, წრიულფარაკიანი VIII ტიპის ბეჭდები.

კიდევ ერთი ბეჭედი, რომელიც შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენს ბეჭდის ფორმის მიხედვით ბორდმანის კლასიფიკაციის VII ტიპის სახესხვაობას წარმოადგენს და ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება (ტაბ. V, 34, გ.ფ. N1292), ხოლო მასზე დატანილი გამოსახულებების სტილისტური მახასიათებლების მიხედვით დასავლურ-ბერძნულ ნახელავად არის მიჩნეული (ლორთქიფანიძე, 1975, 71-73).

სამარხეული ინვენტარის ანალიზის საფუძველზე, ნინო კიღურაძე დაფნარის ქვევრსამარხებში ოთხ ქრონოლოგიურ ჯგუფს გამოჰყოფს. 1. ძვ.წ. IV ს. (8 სამარხი); 2. ძვ.წ. IV-III სს. (10 სამარხი); 3. ძვ.წ. III ს. (10 სამარხი); 4. ძვ.წ. III-II სს. (2 სამარხი). N3, N11 და N12 ქვევრსამარხები, სადაც ფარაკიანი ბეჭდები გამოვლინდა ნინო კიღურაძის მიხედვით ძვ.წ. IV-III და ძვ.წ. III საუკუნის ქრონოლოგიურ ჯგუფებში ერთიანდება (Кигурадзе 1976, 40-41).

ვერა თოლორდავას აზრით, დაფნარში ქვევრსამარხების გავრცელება ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნით უნდა ვივარაუდოთ, სამარხების უმრავლესობა კი ძვ.წ. III და III-II საუკუნეებს განეკუთვნება (თოლორდავა, 1980, 22).

ძეგლის გამთხრელის აზრით, დაფნარის სამარხეული ინვენტარის შეზღუდულობის მიზეზი დაკრძალულთა სოციალურ კუთვნილებაში უნდა ვეძიოთ. სამაროვანზე მოსახლეობის საშუალოზე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ დაკძალულნი და მიუხედავად რამდენიმე შედარებით მდიდრული სამარხისა (მაგ. სამარხი 13, 15, 31, 32) დაფნარის სამაროვნის შიგნით სოციალური კატეგორიის გამიჯვნა ვერ მოხერხდა (Кигурадзе, 1976, 47).

სამარხთა აღწერილობა:

**ქვევრსამარხი N3** - სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი სამაჯური, ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. X, 145a, გ.ფ. N1288, ტაბ. X, 132, გ.ფ. N1289) სამარხის თარიღია IV-III სს. მიჯნა (Кигурадзе 1976, 16).

**ქვევრსამარხი N11** - სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს საყურე რგოლები, მინის მძივები, კოლხური მონეტები და ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი. ერთი მათგანის ადგილმდებარეობა უცნობია. მეორე ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (ტაბ. X, 140, გ.ფ. N1290). სამარხის თარიღია ძვ.წ. III ს (Кигурадзе, 1976, 23).

**ქვევრსამარხი N12** - სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. VI, 42, გ.ფ. N1291), მინის მძივები და მძივსაკიდები. სამარხის თარიღია ძვ.წ. III ს. (Кигурадзе 1976, 24)

**დაბლაგომი:**

სამტრედიის რაიონ სოფელი დაბლაგომში გაითხარა ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებული 55 ქვევრსამარხი, საიდანაც ლითონის ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა 5 სამარხში, სულ 5 ცალი (თოლორდავა, 1980, 7-14; Куфтин, 1950, 20-45). მათგან ოთხი ბეჭედი ადგილობრივ, კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ სახელოსნოში დამზადებულად უნდა მივიჩნიოთ. სამი მათგანი ერთი ტიპისაა - ბრინჯაოს თხელი ფურცლისგან დამზადებული ოვალურფარაკიანი რკალგახსნილი ბეჭდები (ტიპი VIII). მეხუთე ბეჭედი, რკალგახსნილი, ცალკე გამოყოფილი ფარაკის გარეშე (ტიპი IX).

მეხუთე ბეჭედი ოქროსია და ბეჭდის ფორმისა და ინტალიოზე არსებული სიუჟეტის გათვალისწინებთ ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო წლებით დათარიღებულ დასავლურ-ბერძნული სახელოსნოდან გამოსულ ნივთად არის მიჩნეული (ლორთქიფანიძე 1975, 55-60).

ქ-ნ ვერა თოლორდავას ქრონოლოგიის მიხედვით, სამარხები N4 და N19 ძვ.წ. III ს. თარიღდება, ხოლო სამარხი N7 ძვ.წ. III ს. მიწურული ხანით. 1970 წელს გათხრილი სამარხი N12 ძვ.წ. III-II სს. მიჯნით (თოლორდავა, 1980, 14). სამარხეული ინვენტარის ასორტიმენტი დაბლაგომის სამაროვანზე ღარიბული და

შეზღუდულია. წარმოდგენილია თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამკაულები და მონეტები (თოლორდავა, 1976, 60).

დაბლაგომში აღმოჩენილი ყველა სამარხი, გარდა კრამიტით გადახურული სამარხისა, რომელზეც საუბარი ქვემოთ მექნება, საზოგადოების რიგითი წევრების კუთვნილებაა. გარკვეული ქონებრივი დიფერენციაცია ქვევრსამარხებშიც შეიმჩნევა, თუმცა ეს იმდენად სუსტად არის წარმოდგენილი, რომ თოლორდავას აზრით, ეს სამარხები არ უნდა მიუთითებდეს ამ ფენის შიგნით სოციალურ დიფერენციაციაზე (თოლორდავა, 1976, 78).

1936 წელი:

**ქვევრსამარხი N4** - კერამიკული ჭურჭელი, ბრინჯაოს ოთხი სამაჯური, ქვისა და მინის მძივები და საკიდები, ბრინჯაოს ორი ზარაკი, ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. X, 141, გ.ფ. N664), ვერცხლის მონეტა, კოლხური ნახევარდრაქმა. სამარხის თარიღია ძვ.წ. III ს. შუა ხანები (Куфтин, 1950, 22-23)

**ქვევრსამარხი N7** - კერამიკული ჭურჭელი, რკინის სამაჯურის ფრაგმენტები, ბრინჯაოს მრგვალფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. VI, 44, გ.ფ. N663), ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, მძივები სახვადასხვა მინისა, მათ შორის მოოქროვილი და მოვერცხლილი. სამარხის თარიღია ძვ.წ. III ს. მიწურული (Куфтин, 1950, 23-24, თოლორდავა, 1980, 16).

**ქვევრსამარხი N19** - კერამიკული ჭურჭელი, ბინჯაოს ოთხი სამაჯური, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. VI, 45, გ.ფ. N926), სხვადასხვა ფერის მინის მძივები, რკინის ფრაგმენტები. სამარხის თარიღია ძვ.წ. III ს (Куфтин, 1950, 30).

1970 წელი:

**ქვევრსამარხი N12** - ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, თიხის ჭურჭლის ნატეხები. სამარხის თარიღია ძვ.წ. III-II სს - ის მიჯნა ან II საუკუნე (თოლორდა, 1976, 57; თოლორდავა, 1980, 14).

დაბლაგომოს მატერიალურ კულტურაში ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის მანიშნებელი აქ აღმოჩენილი კრამიტით გადახურული ხის კონსტრუქციის მქონდა სამარხია. სამარხში აღმოჩენილი ნივთიერი მასალა მრავალფეროვანი და მდიდრულია. იგი წარმოდგენილია ოქროს სამკაულით,

ვერცხლის ჭურჭლით, რკინის იარაღით, ადგილობრივი თიხის ჭურჭლით, მინის, პასტისა და ქვის მძივებითა და მძივსაკიდებით (თოლორდაა 1976ბ, 68). სამარხის ცენტრში აღმოჩნდა ოქროს სამკაული: ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. VI, 50a, გ.ფ. N1240), სამაჯურები, საყურეები, მძივები. სამარხი ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისი ხანით დათარიღდა (თოლორდავა, 1976ბ, 76).

**ფარცხანაყანევი:**

ქუთაისის მიდამოებში, სოფელ ფარცხანაყანევში გაითხარა თოთხმეტი ქვევრსამარხი (Иващенко, 1950, 320-330; თოლორდავა, 1980, 31). ბრინჯაოს ფარაკიანი ორი ბეჭედი გამოვლინდა N1 სამარხში (ტაბ. V, 23). ორივე ბეჭედი მასიურია, ჩამოგრძელებული მსხვილი რკალი ოვალურ ფარაკში გადადის და II ტიპში უნდა გავაერთიანოთ. ფარხანაყანევის სამარხეული ინვენტარი არ გამოირჩევა სიმდიდრით და ყველა სამარხი თითქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი: გვხვდება თიხის ჭურჭელი და სამკაული. მრავლად არის ბრინჯაოს სამაჯურები, საყურე-რგოლები, ზარაკები, პასტისა და მინის მძივები. რამდენიმე სამარხში გამოვლინდა კოლხური თეთრი (Иващенко, 1950, 320-330). ფარცხანაყანევის ქვევრსამარხებში აღმოჩენილი მასალა თითქმის ანალოგიურია დაბლაგომის, დაფნარისა და ეშერას ელინისტური ხანის სამარხებიდან მომდინარე მასალისა.

ივაშჩენკოს მიხედვით, ფარცხანაყანევის ქვევრსამარხები უნდა ეკუთვნოდეს საზოგადოების რიგით წევრებს და მათ ძვ.წ. III საუკუნით ათარიღებს, ხოლო თოლორდავა თარიღს უფრო აკონკრეტებს და ძვ.წ. III ს. მეორე ნახევრით ფარგლავს[3] (თოლორდავა, 1980, 31).

**ლარილარი:**

ლარილარის არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც მდებარეობს ზემო სვანეთში, წარმოადგენს საკრემაციო მოედანს, რომელიც ძეგლზე აღმოჩენილი ინვენტარის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური შესწავლის შედეგად ძვ.წ. V-III საუკუნეებით არის დათარიღებული (ჩართოლანი, 1968, 302; ჩართოლანი, 1996, 144). ჩვენთვის საინტერესო საკვლევ მასალას აქ აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის

[3] ბეჭდები ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ფარაკიანი ბეჭდები წარმოადგენს, სულ 11 ცალი[4] (თორთლაძე & გველესიანი, 2019, 49).

ბეჭდების ფორმა სხვადასხვაგვარია. გვხვდება რკალგახსნილი და რკალშეკრული ბეჭდები წრიული და მართკუთხა ფარაკებით. ბეჭდის ტიპები ერთიანდება ნაშრომში შემუშავებული ტიპოლოგიის IV, V, VII და IX ჯგუფებში და ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო - II საუკუნიის ქრონოლოგიურ ჯგუფებში ექცევა. კვეთის მანერა და გამოსახულების სტილი დასავლეთ საქართველოს სხვა სამაროვნებიდან მომდინარე მასალასთან ამჟღავნებს მსგავსებას. შესაბამისად, ყველა ბეჭედი ერთის გარდა, რომელზეც ბერძნული ღვთაება ტიხე-ფორტუნას გამოსახულებაა ამოკვეთილი ადგილობრივ სახელოსნოებში დამზადებულად უნდა მივიჩნიოთ (ტაბ.V. 32., ტაბ. VI, 49-50., ტაბ. VIII, 92, 99-100, ტაბ. X, 134).

**გუადიხუ.**

1954 წელს, სოხუმის მუნიციპალიტეტში, გუადიხუს მთაზე 91 სამარხი გაითხარა. მ. ტრაპში აქ აღმოჩენილ სამარხებში ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად ჰყოფდა: "უფროსი ჯგუფის" სამარხებს, რომელშიც აერთიანებს 32 სამარხს და ძვ.წ. VIII-VI ათარიღებდა და "უმცროსი ჯგუფის" სამარხებს, რომელშიც აერთიანებს 59 სამარხს და ძვ.წ. V-II საუკუნეებით ათარიღებდა (Трапш, 1969, 20). მოგვიანებით ორივე ჯგუფის სამარხები ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში, ძვ.წ. VI-II საუკუნეებში მოაქციეს (კვირკველია, 1977, 65-70; Лордкипанидзе, 1978, 55; ლიჩელი 2018, 81-82). ბრინჯაოს თხუთმეტი ცალი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა ხუთ სამარხში (Трапш, 1969, 242-268). მათგან N9(21) სამარხში გამოვლინდა რვა ცალი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი. ბეჭდები სამარხის შუაგულში გროვად ეწყო. N5(17) და N48 (81) სამარხებში გაიწმინდა ორ-ორი ფარაკიანი ბეჭედი, ხოლო დანარჩენ სამარხებში თითო ცალი (Трапш, 1969, 142-268, Bill, 2003, 223-225). N9 სამარხი, მასში დადასტურებული ინვენტარის მიხედვით დაკრძალული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის საშუალო ფენის წარმომადგენელი, რომელიც სოციალურიდან გამოირჩევა საზოგადოების სხვა წევრებისგან (Лордкипанидзе, 1978, 58).

[4] ბეჭდები ინახება სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში. რამდენიმე მადგანი დაზიანებულია.

გუადიხუს სამაროვანზე აღმოჩენლი ყველა ბეჭედი იმპორტულია და ჯონ ბორდმანის კლასიფიკაციის V-VII ტიპებს იმეორებს, რომელიც ძვ.წ. V საუკუნის ბოლო და IV საუკუნეებით არის დათარიღებული[5]. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ ბეჭდების გამოსახულებები განვითარებული ბერძნული სტილის გავლენით შექმნილ გლიპტიკურ ძეგლებთან პოულობს ანალოგს (ლორთქიფანიძე, 1975, 51; ჯავახიშვილი, 2015, 8).

**სამარხი N4 (16)** - ბრინაჯაოს ერთი სამაჯური, ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი (Трапш 1969, 245). სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. V-III საუკუნეებით (Bill, 2003, 223)

**სამარხი N5(17)** - ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი, ჭურჭლის ნატეხები (Трапш, 1969, 245-246). სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. V-III საუკუნეებით (Bill, 2003, 223-224).

**სამარხი N6 (18)** - კერამიკული ჭურჭელი, მინის მძივები, ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი (Трапш, 1969, 246-247). სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. V-III საუკუნეებით (Bill, 2003, 224).

**სამარხი N9 (21)** - კერამიკული ჭურჭელი, მინისა და გიშრის მძივები, ბრინჯაოს სამი სამაჯური, ბრინჯაოს რვა ცალი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. V, 30). სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. V-III საუკუნეებით (Трапш, 1969, 251-255).

**სამარხი N13 (25**) - წარმოადგენს კრემაციულ სამარხს სადაც აღმოჩნდა კერამიკული ჭურჭელი, ბრინჯაოს ფიბულა და ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი (Трапш, 1969, 256-257).

**სამარხი N48 (81)** - წარმოადგენს კრემაციულ სამარხს სადაც აღმოჩნდა სკიფოსი, შავლაკიანი ატიკური სასმისი, ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი, რკინის მასრიანი შუბისპირი (Трапш, 1969, 265-266). სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. IV-III საუკუნეებით (Bill, 2003, 225).

**მოდინახეს სამაროვანი:**

საჩხერის ჩრდილოეთით, მოდინახეს ციხის სამხრეთ ფერდობზე გაითხარა თხუთმეტი სამარხი, რომელთაგანაც ექვსი სამარხი ჯურხა ნადირაძემ გამოაქვეყნა

[5] ნივთები ინახება სოხუმის მუზეუმში.

1975 წელს. მათგან ოთხი სამარხი ადრეანტიკური პერიოდით, ძვ.წ. VI-V სს. დაათარიღა (სამარხი N1 - 4), ორი კი ელინისტურით - ძვ.წ. III ს (სამარხი N5, 6) (ნადირაძე, 1975, 41). ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა მხოლოდ N6 სამარხში[6] (ნადირაძე, 1975, ტაბ. XII, 7).

**სამარხი N6** - სამარხში ერთი მიცვალებული ესვენა. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს თიხის კერამიკა, ვერცხლის ფიალა, ოქროს საყურე რგოლები, რკინის სამაჯური, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი. ინტალიო დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან. ბეჭდის რკალის დიდი ნაწილი დაკარგულია რაც შეუძლებელს ხდის ბეჭდის ფორმის აღდგენას (ნადირაძე, 1975, 38). სამარხის ჯურხა ნადირაძე ძვ.წ. III საუკუნით ათარიღებს (ნადირაძე, 1975, 38), თუმცა ნანა გოგიბერიძე სამარხს ძვ.წ. IV ს. შუა წლებს აკუთვნებს (Гогиберидзе, 2003:79).

**საირხე:**

საჩხერის რაიონ სოფელ საირხეში გაითხარა თოთხმეტი სამარხი. ექვსი ცალი ლითონის ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა ოთხ სამარხში. მათგან ორი ოქროსია, ერთი ვერცხლის და სამი ბრინჯაოსი. განსაკუთრებული სიმდიდრით გამორჩეულ სამარხებში ფიქსირდება წყვილადი დაკრძალვა, გარდა N8 სამარხისა, სადაც ოთხი მიცვალებული იყო დაკრძალული (მახარაძე & წერეთელი, 2007). ყველა შემთხვევაში ფარაკიანი ბეჭედი მთავარი მიცვალებულის ინვენტარს წარმოადგენს.

კიდევ ერთი ოქროს ოვალურფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა ე.წ. საკულტო ორმოში. ფარაკი ნაკლულია და გამოსახულების გარკვევა რთულია. ორმოს სხვადასხვა სიღრმეში აღმოჩნდა მრავალფეროვანი მასალა, ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა, ოქროსა და ვერცხლის ნივთები, აბჯრის ფრაგმენტები, რკინის ნივთები (მახარაძე & წერეთელი, 2007,112-113).

საბადურის გორაზე გათხრილი თოთხმეტი სამარხიდან ცხრა მდიდრული აღმოჩნა. დანარჩენ სამარხებში კერამიკის მცირერიცხოვანი უფორმო ფრაგმენტები და ბრინჯაოს სამკაული დაფიქსირდა. ყველა მდიდრული სამარხი, გარდა N1 - სა (ძვ.წ. III ს. დასაწყისი), ძვ.წ. V-IV სს - ით, დანარჩენი კი ძვ.წ. III-II სს. თარიღდება (მახარაძე & წერეთელი, 2007).

---

[6] ნივთები ინახება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

ბეჭდები გამოვლინდა ყველა იმ სამარხში (N5 გაძარცვული სამარხის გარდა) რომელიც მიჩნეულია სკეპტუხთა სახელისუფლებო შტოს წარმომადგენელთა სამარხებად (N1, N8, და N13 სამარხებში). ბეჭედი გამოვლინდა აგრეთვე N10 სამარხში, რომელიც ეკუთვნოდა მმართველი საგვარეულო ოჯახის წევრს, მაგრამ არა უშუალოდ ხელისუფალს (ზრაგვაძე, 2021, 37). სამარხები, სადაც ფარაკიანი ბეჭდები არ გამოვლინდა ან ბავშვებისაა (N4 და N6), ან ნაკლები სიმდიდრით გამოირჩევა (N9). უმაღლესი რანგის ხელისუფალთათვის განკუთვნილი აკლდამები (N5 და N14) გაძარცვული იყო (მახარაძე & წერეთელი, 2007).

ზემოაღნიშნული მასალები მიანიშნებს, რომ ფარაკიანი ბეჭდები, მათი გავრცელება და რაოდენობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინდივიდის სოციალურ და პოლიტიკური სტატუსთან. ისინი, როგორც ჩანს, წარმოადგენდნენ სახელისუფლებო ძალაუფლების სიმბოლოს და შესაძლოა, კონკრეტული ადმინისტრაციული ან რიტუალური ფუნქციის მატარებელი ნივთებიც ყოფილიყვნენ.

სამარხთა აღწერილობა:

**სამარხი N1** - შედგება მთავარი მიცვალებულისთვის განკუთვნილი სარკოფაგისა და ცხენებიანი კამერისაგან. მთავარ კამერაში გამოვლინდა ორი მიცვალებულის ჩონჩხი. ორივე მიცვალებულის ძვლებთან აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაული (მახარაძე & წერეთელი, 2007, 40). მთავარი მიცვალებულის კამერაში, სხვა მდიდრულ ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი[7] (ტაბ. VI, 56, ტაბ. VIII, 94).

სამარხი ჯურხა ნადირაძის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. IV-III სს. მიჯნით (ნადირაძე 1990, 79), გ. მახარაძე და მ. წერეთელმა სამარხი ძვ.წ. III ს. დასაწყისით განსაზღვრეს (მახარაძე & წერეთელი, 2007, 45).

**სამარხი N8** - პირველ კამერაში დაკრძალულია მთავარი მიცვალებული, მეორე კამერაში გამოვლინდა სამი მიცვალებული, ხუთი ცხენი, სამი ძაღლი და ფრინველის ძვლის ნაშთები. სამარხში დაკძალული ოთხივე მიცვალებული ქალია. მთავარი მიცვალებულის ასაკი 40-50 წელია. ბრინჯაოს და ვერცხლის ორი

---

[7] ხელოვნების მუზეუმის საინვენტარო Nს-82-23, Nს-82-24.

ფარაკიანი ბეჭედი მთავარი მიცვალებულის სარკოფაგში გამოვლინდა[8] (ტაბ. VIII, 101, 103).

სამარხის თარიღად ჯურხა ნადირაძე ძვ.წ. IV ის შუა ხანებს მიიჩნევს, მახარაძე და წერეთელი კი ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარით ათარიღებენ. ჯურხა ნადირაძის თარიღს ეთანხმება ნანა მათიაშვილი და სამარხი ადრეელინისტური ხანის ადრეულ ეტაპად აქვს განსაზღვრული (ნადირაძე, 1990, 58; მახარაძე & წერეთელი, 2007, 72; მათიაშვილი, 2011, 21)

**სამარხი N10** - აღმოჩნდა ორი მიცვალებულის ნეშთი. დასაკრძალავი ორმოს ცენტრალური ნაწილი ეკავა მთავარ მიცვალებულს. ოქროს ინვენტარის ძირითადი ნაწილი კონცენტრირებული იყო მთავარი მიცვალებულის გულ-მკერდის არეში. მთავარი მიცვალებულის ინვენტარს შეადგენდა ოქროს ორი ფარაკიანი ბეჭედი, რომელიც მარჯვენა ხელზე ეკეთა[9]. ორი ფარაკიანი ბეჭდიდან გამოსახულება მხოლოდ ერთ მათგანზეა დატანილი (ტაბ. VII, 73). აკლდამაში დაკრძალული პირი არ არის მიკუთვნებული უმაღლესი რანგის ხელისუფალთა პირს, რადგან სამარხში არ აღმოჩნდა დიადემები და კისრის რგოლები, ასევე არ დადასტურდა ცხენების შეწირვის ფაქტი (ნადირაძე, 1990, 144).

სამარხი ძვ.წ. IVს. მეორე მეოთხედით არის დათარიღებული (მახარაძე & წერეთელი, 2007, 80).

**სამარხი N13 -** აღმოჩდა ორი მიცვალებულის და ორი ცხენის ნეშთი. მთავარი მიცვალებული ესვენა მდიდრული და მრავალფეროვანი ინვენტარით. მის კუთვნილ ინვენტარს წარმოადგენს ოქროს ფარაკიანი ბეჭედი, რომელიც გაიწმინდა მიცვალებულის მარჯვენა ხელთან[10] (ტაბ. VII, 82).

სამარხი ძვ.წ. V ს. პირველი ნახევრით არის დათარიღებული და განსაზღვრულია როგორც უმაღლესი რანგის ხელისუფლის საკუთრება (მახარაძე & წერეთელი, 2007, 101).

**ითხვისი:**

---

[8] ხელოვნების მუზეუმის საინვენტარო Nს-85-419; Nს-85-420.
[9] ხელოვნების მუზეუმის Nს-86-459; Nს-85-460.
[10] ხელოვნების მუზეუმის Nს-88-542.

1962-63 წლებში ჭიათურის რაიონ სოფ. ითხვისთან გაითხარა ოცდაერთი სამარხი. სამარხთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. V-III საუკუნეებია (გაგოშიძე და სხვ., 40-55). ითხვისის სამაროვანზე დასტურდება კოლხეთის წარჩინებულ წრეში ღრმა ქონებრივი დიფერენციაცია. სამაროვანზე არსებული ორმოსამარხების გვერდით, რომელშიც ერთი მიცვალებულია დაკრძალული და რომლის სამარხეულ ინვენტარს შეადგენს თითო ოროლა ოქროსა და ვერცხლის სამკაული და ადგილობრივი თიხის ჭურჭელი, გამოირჩევა ორი მდიდრული სამარხი, სადაც მთავარ მიცვალებულთან ერთად აღმოჩენილია თანხმლები პირისა და ცხენის ჩონჩხები (სამარხი N2 და N21[11]).

**სამარხი N2** - ხის სარკოფაგში, რომელშიც ორი მიცვალებული ესვენა, სარკოფაგის გარეთ აღმოჩნდა ცხენისა და ძაღლის ჩონჩხი. სარკოფაგში დაკრძალული იყო ორი ქალი და შესაძლოა ბავშვიც (გაგოშიძე და სხვ., 2006, 38). მთავარი მიცვალებული მდიდრული ინვენტარით გამოირჩევა. აღმოჩნდა ასევე ბრინჯაოს რკალგახსნილი ფარაკაიანი ბეჭედი (ტაბ. X, 127, გ.ფ. N1125), რომელიც იდო მახვილის პირზე. სავარაუდოდ ბეჭედი მიცვალებულს თითზე ეკეთა. სამარხში ასევე გამოვლინდა იარაღი: ისრისპირები, შუბისპირები და მახაირა (გაგოშიძე და სხვ., 2006, 41).

სამარხი ძეგლის გამთხრელის მიერ ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევრის დასასრულით არის დათარიღებული (გაგოშიძე და სხვ., 2010, 51). ნანა გოგიბერიძე სამარხს ძვ.წ. IV ს. შუა ხანებით ათარიღებს (Гогиберидзе, 2003:79)

**ბრილი:**

ბრილში, ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებული ოცდახუთი სამარხიდან ვერცხლის ორი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. VII, 74, 75, გ.ფ. N1899, 1900) გამოვლინდა 1953 წელს გათხრილ N20ა სამარხში (ქობალია, 2023, 188). სამარხში ფენები არეული იყო, ბეჭდები მიცვალებულის მუცლის არეშია დადასტურებული. ბეჭდის გარდა სამარხში გამოვლინდა 2000-ზე მეტი სხვადასხვა სახის მინის, ქარვისა და ოქროს სხვადასხვაგვარი მძივი, ელექტრუმის ცალსხივიანი საყურე, ბრინჯაოს სათვალისებრი დუგმები, საკინძი. ინვენტარის მიხედვით, სამარხი განსაზრულია

[11] მდიდრული სამარხი N21 შემთხვევით იქნა აღმოჩენილი 1962 წელს. მისი ინვენტარი ნაკლულია.

როგორც ქალის კუთვნილება.[12] კიდევ ერთი ბეჭედი, ბრილში შემთხვევით გამოვლინდა მიწის სამუშაოების დროს (ტაბ. XI, 149).

ვანი:

ვანის ნაქალაქარზე, ძირითადად ზედა და ცენტრალურ ტერასებზე, გაითხარა სულ ოცდარვა სამარხი. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. V-III საუკუნეებია. მათ შორის ყველაზე ადრეული ხანით ძვ.წ V საუკუნით თარიღდება N6, N8, N11 სამარხები. ვანში გათხრილი 28 სამარხიდან, ლითონის ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა 9 - ში (N6, 9, 10, 11, 16, 19, 22, 24, 26) სულ 29 ფარაკიანი ბეჭედი. მათგან 10 ოქროსია, 10 ვერცხლის, 9 ბრინჯაოსი. ერთი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა 1969 წლის ექსპედიციის დროს, ჰუმუსურ ფენაში (ტაბ. VI, 43, გ.ფ. N1213).

სამარხთა აღწერილობა:

1961 წელი:

**სამარხი N6** - მიცვალებული 25 წლის ასაკის ქალია. სამარხეულ ინვენტარში მრავლადაა ოქროსგან დამზადებული ნივთები: დიადემა, საყურეები, კისრის რკალი, ყელსაბამი, სამაჯურები, ფირფიტები, საკიდები, მშვილდსაკინძი, მძივები, კილიტები და ოთხი ცალი ფარაკიანი ბეჭედი (გ.ფ. N1193, 1194, 1195, 1196). სამარხში აღმოჩენილი ფარაკიანი ბეჭდები სხვადასხვა ზომისაა (ტაბ. V, 22, ტაბ. VII, 83-84, ტაბ. VIII, 96). დიამეტრის მიხედვით, სამი ბეჭედი სხვადასხვა თითზე სატარებლად იყო გამიზნული, ხოლო მეოთხე ბეჭდის რკალის სიდიდის მიხედვით, რომელიც მკვეთრად აღემატება დანარჩენებს, მ. ლორთქიფანიძის აზრით, მამაკაცისთვის განკუთვნილ საბეჭდავს წარმოადგენდა (ლორთქიფანიძე 1976, 106). გარდა ოქროს ნივთებისა, სამარხში აღმოჩნდა ვერხცლის დიადემა, ტორევტიკის ნიმუშები და მინის ნივთები. სამარხის თარიღია ძვ.წ. V საუკუნე (ხოშტარია და სხვ., 1972, 115-117).

1969 წელი:

**სამარხი N9** - რამდენიმე ჩონჩხი აღმოჩნდა. ცენტრალური ნაწილი ეჭირა

[12] ცნობა მომაწოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძირითადი ფონდის თანამშრომელმა ნინო ქობალიამ.

მთავარ მიცვალებულს, რომელიც განსაზღვრულია როგორც წარჩინებული ჰეროიზებული მეომარი (ლორთქიფანიძე და სხვ., 1972, 202). სამარხში მრავლად აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინისაგან დამზადებული სხვადასხვა საბრძოლო იარაღი. გარდა იარაღისა, მთავარი მიცვალებული მორთული იყო სხვადასხვა სამკაულით. თავი ოქროს ფიგურებისგან შედგენილი თავსაბურავით ჰქონდა მართული, მაჯებს უმკობდა ოქროს ორი და ვერცხლის სამი სამაჯური.

ხელის მტევნების მიდამოებში აღმოჩნდა ოქროს ორი (ტაბ. IV, 5, გ.ფ. 1237; ტაბ. V, 26, 1238), ვერცხლის ორი (ტაბ.VI, 62, გ.ფ.1214, ტაბ. VIII, 95, 1215) და რკინის ფარაკიანი ბეჭდები. მარცხენა მკლავთან იდო ოქროს გარსაკრავით შემკული სალესი ქვა, კისრის არეში ფილიპე მაკედონელის ოქროს სტატერი (ლორთქიფანიძე და სხვ., 1972, 203). სამარხში ასევე დაფიქსირდა თითქმის უინვენტარო ქალისა და მამაკაცის ჩონჩხი, მხოლოდ ერთ მიცვალებულს ჰქონდა კისრის არეში პასტის მძივები. სამარხი თარიღია ძვ.წ. IV - ის შუა წლები (Гогиберидзе, 2003:48).

**სამარხი N10** - ბავშვისაა, სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა წყვილი სასაფეთქლე, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯური, ვერცხლის და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები, ბრინჯაოს ფარაკზე გამოსახულება არ იყო (ტაბ. IV, 10, გ.ფ N1216). გარდა სამკაულისა, სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის კოლხური მონეტა და კერამიკული ნაწარმი. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV ს. მიწურული (ლორთქიფანიძე და სხვ., 1972, 212, 213; თოლორდავა, 1986, 92).

**სამარხი N11** - აღმოჩნდა ოთხი ადამიანის ჩონჩხი. სარკოფაგის გარეთ დადასტურდა ცხენის ჩონჩხი. მთავარი მიცვალებული ქალია, რომელიც ყველაზე მდიდრულად იყო შემკული. მთავარი მიცვალებულის თავთან ელაგა იმპორტული ჭურჭელი - ბრინჯაოს ოინოხოია და პატერა. ასევე მრავლად აღოჩნდა სხვადასხვა ტიპის ტორევტიკული მასალა. ქალის სამკაული შედგებოდა ოქროსა და ვერცხლის ნივთებისაგან: დიადემა, საყურეები, სამაჯურები, სასაფეთქლეები. დიდი რაოდენობით გამოვლინდა ვერცხლის მილაკები, მძივები და საკიდები.

ხელის არეში აღმოჩნდა 5 ცალი ოქროს ბეჭედი. მათგან მხოლოდ ერთი წარმოადგენდა ფარაკიან ბეჭედს (ტაბ. V, 21, გ.ფ. 1239). მიცვალებულს ეფარა სუდარა, რომელიც ოქროს ღილაკებითა და ფირფიტებით იყო მორთული. მეორე

მიცვალებულს აღმოაჩნდა ვერცხლის ორი დიადემა ერთად, ოქროს საყურეები, ვერცხლის სამაჯურები. ხოლო მესამეს - ვერცხლის დიადემა, ოქროს საყურეები, და ოქროსა და პასტის მძივებისგან შემდგარი ყელსაბამი. მეოთხე მიცვალებულს მხოლოდ ოქროს ერთი საყურე ჰქონდა. წარჩინებული კოლხი ქალის სამარხი ძვ.წ. V ს. შუა წლებით არის დათარიღებული (ლორთქიფანიძე და სხვ. 1972, 239).

1980 წელი:

**სამარხი N16** - სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია პირადი სამკაულით, ცხენის აღკაზმულობით, იარაღით, ჭურჭლითა და მონეტებით. სამკაული ძირითადად გამოვლინდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში. აღსანიშნავია ოქროს ხუთი წყვილი საყურე, ბრინჯაოსა და ვერცხლის ორი ხატისუღელი, 27 სამაჯური, მათგან 5 ვერცხლის, 11 ბრინჯაოსი, დანარჩენი კი რკინისა, ოქროს მძივები და სხვადასხვა ფორმის ფირფიტები.

სამარხში გამოვლინდა ვერცხლის ერთი (ტაბ. VI, 53) ბრინჯაოსა ექვსი (NN07:1-80/1073-1076, 1080-1081) და რკინის სამი ბეჭედი (N07:1-80/1098-1100)[13]. სამაჯურები და ბეჭდები გროვებად იყო განლაგებული, სულ 8 გროვა. მათგან ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა 4 გროვაში (კაჭარავა & მჟავანაძე, 1986, 19, 20). ნანა მათიაშვილი ფიქრობს, რომ სამარხში ფარაკიანი ბეჭდებისა და ოქროს ზოდის, სავარაუდოდ მონეტის ინდიკაციის აღმოჩენის ფაქტი მოწმობაა იმისა, რომ სამარხში დაკრძალულები განსაკუთრებული იურიდიული სტატუსი მქონე პირები იყვნენ და კულტმსახურებასთან ერთად, ქალაქის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებასაც წარმართავდნენ (მათიაშვილი 2011, 12). ნ. გოგიბერიძე სამარხს ძვ.წ. IV ს. შუა წლებით ათარიღებს (Гогиберидзе 2003, 79).

**სამარხი N19** - მიცვალებული შემკული იყო ოქროს ყელსაბამითა და საყურეებით, ვერცხლისა და რკინის ორ-ორი სამაჯურით და ვერცხლის ორი ფარაკიანი ბეჭდით (ტაბ. VI, 55, ტაბ. VIII, 87). ორივე ბეჭედი მიცვალებულს ეკეთა მარჯვენა ხელის ერთ თითზე ერთად. სამარხის ჩრდილოეთით იყო ცხოველური ნაშთები და ორი დოქი. სამარხში ქალი იყო დაკრძალული. სამარხი ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრით არის დათარიღებული (Лордкипанидзе и дрг., 1985, 97; მათიაშვილი,

---

[13] ნივთები ინახება ვანის მუზეუმში. ბრინჯაოს და რკინის ბეჭდები დაზიანებულია.

2011, 15-16).

2003 წელი:

**სამარხი N22** - კოლექტიურია და მასში ხუთი ადამიანი იყო დაკრძალული. თითოეული მიცვალებული შემკული იყო მრავალრიცხოვანი ინვენტარით. სამკაულიდან აღსანიშნავია ოქროს საყურეები და სასაფეთქლეები, ვერცხლისა და რკინის საკისრე რგოლები, ვერცხლისა და რკინის სამაჯურები და სხვ (კაჭარავა & ხარაბაძე, 2018, 6-63).

სამარხი ორმოს ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი. ერთ-ერთ ორყურა დერგში ჩაყრილი იყო ოქროს სამკაული, ვერცხლის ფიალა და მონეტები. ოქროს სამკაული წარმოდგენილა სასაფეთქლეებით, საყურეებით, მეწკვებით, ფარაკიანი ბეჭდით (ტაბ. V, 31), მძივებით, საკიდებითა და ფირფიტებით. თიხის ორყურა დერგში აღმოჩნდა 300 მდე ოქროს ნივთი. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით არის დათარიღებული (Kacharava & Kvirkvelia, 2009, 262; კაჭარავა & ხარაბაძე 2018, 26).

**სამარხი N24** - ბაქანზე მიცვალებული, სავარაუდოდ მსახური, იყო დასვენებული სამარხეული ინვენტარით: ვერცხლის საკისრე რგოლი, ბრინჯაოს ბეჭედი, რკინის სამაჯური, ვერცხლის ოვალურფარაკიანი სადა ბეჭედი, სარდიონისა და მინის მძივები,

ბაქნის ქვეშ დაკრძალული იყო კიდევ ერთი მსახური, რომლის ინვენტარს წარმოადგენდა ვერცხლის საკისრე რგოლი, ვერცხლის წყვილი საყურე, თვალადი მძივები და ბრინჯაოს დაზიანებული ბეჭედი. იქვე აღმოჩნდა ცხენის ჩონჩხი.

სამარხი ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამოლინდა კიდევ ორი მსახურის ნაშთი. ერთი მათგანი შემკული იყო ვეცხლისა და რკინის საკისრე რგოლითა და სხვადასხვა ქვისა და მინისგან დამზადებული მძივებით. მეორე მათგანი შემკული იყო ვერცხლის საკისრე რგოლითა და ვერცხლის საყურეებით (Kacharava & kvirkvelia, 2009, 267).

მსახურების ნაშთის გვერდით კიდევ გამოვლინდა სამარხეული ინვენტარი, თუმცა შეუძლებელი აღმოჩნდა იმის დადგენა თუ რომელი მიცვალებულის კუთვნილი იყო ეს ნივთები. აქ გამოვლინდა რკინის სამაჯურები, ხუთი ცალი

ბრინჯაოს ბეჭედი, მინის თვალადი მძივები და რკინის გაურკვეველი ნივთები.

მთავარ მიცვალებულს სამარხის ცენტრალური ადგილი ეჭირა და გარშემორტყმული იყო დიდი რაოდენობით სამარხეული ინვენტარით. დაკრძალულის სქესის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხში სულ აღმოჩნდა 1300 ზე მეტი ოქროსა და ასობით ვერცხლის სამკაული. ასევე 12 თიხის, 9 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს ჭურჭელი, რკინის ისრისპირი, ვერცხლის ქამარი, ბრინჯაოს სარკე და 1500 ზე მეტი ქვისა და მინის მძივი.

მარჯვენა მაჯის არეში გამოვლინა ორი ოქროსი (ტაბ. VI, 54)[14], ხუთი ვერცხლის[15] (ტაბ. VI, 51-52; ტაბ. VII, 63, 72) და რკინის ერთი ფარაკიანი-ბეჭედი (Kacharava & Kvirkvelia, 2009, 284, 285). აღსანიშნავია სამარხში ნაპოვნი ქალცედონის პირამიდული ნეო-ბაბილონური საბეჭდავი. სამარხი ძვ.წ. IV ს. მესამე მეოთხედით არის დათარიღებული (Kacharava & Kvirkvelia 2009, 205).

**სამარხი N26** - მცირე ზომის, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ორმოსამარხს წარმოადგენდა. იგი გაძარცვული აღმოჩნდა და შესაბამისად, ინვენტარიდან მხოლოდ რამდენიმე ნივთი შემორჩა. მათ შორის იყო ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. IV, 8, გ.ფ. N1207; ტაბ. IV, 7, 1208). სამარხი ძვ.წ. IV-III საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული (კაჭარავა & ხარაბაძე, 2016, 160).

კიდევ ერთი ოქროს ბეჭედი შემთხვევითი აღმოჩენაა და გამოვლენილია ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე 1975, 100). ბეჭედი ბერძნული იმპორტია (ტაბ. V, 29).

ვანის სამარხების შეჯერების საფუძველზე შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა. ლითონის ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩენილია ყველა მდიდრულ სამარხში გარდა იმ სამარხებისა, რომელიც ძველად გაიძარცვა. სამარხებში ფიქსირდება როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილადი და ზოგ შემთხვევაში 4-5 ინდივიდი ერთ სამარხში. ფარაკიანი ბეჭედი თითქმის ყველა შემთხვევაში წარმოადგენს მთავარი მიცვალებულის კუთვნილ ინვენტარს (სამარხი N9, 11, 24). იმ სამარხებში, სადაც აღმოჩნდა ფარაკიანი ბეჭდები სამი მათგანი ქალის

---

[14] ინვენტარის N1-2005/53; 24-3006/20.

[15] ინვენტარის N24-2006/19; 24-2006/22; 24-2006/20; 24-206/123; 24-2006/21.

კუთვნილებაა, ერთი - მამაკაცის, სამარხი N10 - ში ბავშვი იყო დაკრძალული. ბეჭდები აღმოჩნდა მარჯვენა მაჯის არეში (სამარხი N19, 24).

ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილი სამარხებიდან სამი მათგანი ძვ.წ. V საუკუნით არის დათარიღებული (N6, 8, 11. სამარხი N8 გაძარცვულია). ყველაზე დიდი რაოდენობით ოქროს ფაკიანი ბეჭდები გამოვლინდა N6 ქალის სამარხში, მაშინ როცა ამავე პერიოდით დათარიღებულ ქალის N11 სამარხში მხოლოდ ერთი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა. ეს ორი სამარხი თითქმის ერთგვაროვანია და დაახლოებით ტოლფასოვან ინვენტარს შეიცავდა. ოთარ ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ ამ სამარხთა მეპატრონე ქალები როგორც ქონებრივად, ისე სიციალურად ერთსა და იმავე ფენას მიეკუთვნებოდნენ (ლორთქიფანიძე, 1977, 17). ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რომ ქალები სავარაუდოდ ერთი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, ისინი შესაძლოა განსხვავებული სტატუსის მქონენი ყოფილიყვნენ ამავე ფენაში. ამასთან, ბეჭდების რაოდენობრივი განსხვავება შესაძლოა ასახავდეს არა მხოლოდ სოციალურ სტატუსს, არამედ პირად არჩევანს, ოჯახურ ტრადიციას ან რელიგიურ წარმოდგენებს.

**ქობულეთ-ფიჭვნარი:**

ფიჭვნარის სამაროვანზე გამოვლენილია ძვ.წ. V-IV სს. ბერძნული ნეკროპოლი და კოლხური სამაროვანი სადაც დასტურდება როგორც ძვ.წ. V საუკუნის ისე, ელინისტური ხანის - ძვ.წ. IV-III სს. სამარხები (კახიძე & ვიკერსი, 2004).

დღევანდელი მონაცემების მიხედვით, ფიჭვნარის სამაროვანზე სულ 48 ლითონის ფარაკიანი ბეჭედი გამოვლენილა. მათგან 27 ბრინჯაოსია, 20 ვერცხლის, 1 კი ოქროსი. ბეჭდები დიდი ნაწილი დაზიანებულია ფიჭვნარის ნესტიანი გრუნტის ზემოქმედების შედეგად. აღნიშნულ სამაროვნიდან გამოვლენილი ფარაკიანი ბეჭდების მცირე ნაწილი ბერძნული იმპორტია, ხოლო უმრავლესობა ადგილობრივ სახელოსნოებში დამზადებულ სხვადასხვა ტიპებს წარმოადგენს. გვხვდება ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან დამზადებული რკალგახსნილი

წრიულფარაკია ბეჭდები, ასევე ოვალურფარაკიანი ბეჭდები შეკრული რკალით და რკალგახსნილი ბეჭდები ცალკე გამოყოფილი ფარაკის გარეშე.

ყველაზე დიდი რაოდენობით, ფარაკიანი ბეჭედი ელინისტური ხანის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩნდა, სადაც 340 სამარხიდან ფარაკიანი ბეჭედი 15 მათგანში ფიქსირდება, სულ 30 ცალი. მათგან 18 ბრინჯაოსია, ხოლო 12 ვერცხლისაა. სამარხებში სქესი ძირითადად არ არის განსაზღვრული. სამარხი N93 ბავშვს ეკუთვნოდა. ფარაკიანი ბეჭდები გამოვლენილია როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელის არეში, ხშირ შემთხვევაში მიცვალებულს ფარაკიანი ბეჭედი ორივე ხელზე ეკეთა (კახიძე & ვაშაკიძე 2010).

ძვ.წ. IV ს. ბერძნულ ნეკროპოლზე გათხრილი 136 სამარხიდან ფარაკიანი ბეჭედი 11 სამარხში გამოვლინდა - 11 ცალი. მათგან 9 ბრინჯაოსია, 3 ვერცხლის. სამაროვანზე ოქროს ბეჭდები საერთოდ არ გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ყველა სამარხში ფიქსირდება ხის კუბოს არსებობა, რაც, ძეგლის გამთხრელთა აზრით, მანიშნებელია იმისა, რომ მათში საშუალო შეძლების ფენა იყო დაკრძალული. ფარაკიანი ბეჭდები სამარხებში თითო ცალი ფიქსირდება და უმეტესად აღმოჩენილია მიცვალებულის მარცხენა ხელის არეში (კახიძე & კახიძე, 2014).

ძვ.წ. V ს. ბერძნულ ნეკროპოლზე გათხრილი 320 სამარხიდან, ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ 5 სამარხში (N6, 23, 58, 104, 138) სულ 7 ცალი, მათგან 5 ვერცხლისაა, ხოლო 1 ოქროსი და 1 ბრინჯაოსი (კახიძე, 2007). საგულისხმოა, რომ ძვ.წ. V ს. კოლხურ სამაროვანზე ფარაკიანი ბეჭედი საერთოდ არ გამოვლენილა (კახიძე, 2016, 145-148).

სამარხთა აღწერილობა:

**ძვ.წ. V ს. ბერძნული ნეკროპოლი:**

**სამარხი N6** - ვერცხლის ომფალოსიანი ფიალა, ერთი ცალი ოქროს ფარაკიანი ბეჭედი, აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ხელის არეში (ტაბ. V, 28). ფეხებთან მოზრდილი წითელფიგურული ლეკითოსი და შავლაკიანი სამარილე (კახიძე, 2007, 144, 264).

**სამარხი N23** - მიცვალებული ახალგაზრდა ქალია. ინვენტარი: ე.წ. იონური ჭურჭელი, შავლაკიანი ლეკითოსი და ამფორისკები, ბრინჯაოს სადა სარკე. ასევე

ვერცხლის სასაფეთქლე ხვია და საკინძი. პატარა ზომის ბალთა და მძივი. ხელების არეში დაფიქსირდა ოდნავ წელშეზნექილი სამაჯურები. მარცხენა ხელთან ნაპოვნია ვერცხლის ორი ცალი ფარაკიანი ბეჭედი (კახიძე, 2007, 268, სურ. 62/10,11).

**სამარხი N104** - მიცვალებულის თავის არეში გამოვლინდა ოქროს ორი ცალი ნახევარმთვარისებური საყურე და ოქროს ყელსაბამი. ასევე სინოპური მონეტა. სამარხში გაიწმინდა ფერადი მინის ალაბასტრი. ორივე ხელზე მიცვალებულს ეკეთა ვერცხლის სამაჯურები. სამარხში ასევე გამოვლინდა ვერცხლის ერთი ცალი ფარაკიანი ბეჭედი (კახიძე, 2007, 191, 278, სურ. 91/12).

**სამარხი N138** - სამარხში გამოვლინდა მოზრდილი ცილინდრული ლეკითოსი. სამარხის ცენტრალურ ნაწილში ვერცხლის სამაჯურთან ერთად გაიწმინდა ვერცხლის ერთი ცალი ფარაკიანი ბეჭედი, რომელიც მიცვალებულს მარცხენა ხელზე ჰქონია გაკეთებული. თავის არეში გამოვლინდა ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვიის ნაშთები (კახიძე 2007, 191, 282).

**ძვ.წ. IV ს. ბერძნული ნეკროპოლი:**

**სამარხი N2** - სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს სამკაული, რომელიც წვრილ მავთულზე იყო ასხმული. ბეჭდის ფარაკი, რომელზეც პორტრეტული გამოსახულებაა ამოკვეთილი მათ შორის აღმოჩნდა. სამარხში ასევე გამოვლინდა ვერცხლის ბეჭედი და რკინის სამაჯურები. ასევე ლეკითოსი და დოქი (კახიძე & კახიძე, 2014, 109).

**სამარხი N39** - სამარხში გამოვლინდა მონეტა და მძივები. მარცხენა ხელთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი. მარჯვენა ხელთან გაიწმინდა ლეკითოსი, ფეხებთან ოინოხოია (კახიძე & კახიძე 2014, 113).

**სამარხი N42** -სამარხში გამოვლინდა მონეტა, ოქროს საკიდი, ლეკითოსი, მარცხენასა ხელითან ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი (კახიძე & კახიძე, 2014, 113).

**სამარხი N47** - სამარხში გამოვლინდა მონეტა, მარჯვენა მხართან ბრინჯაოს სტრიგილა, მინის ალაბასტრი. მარცხენა ხელთან გაიწმინდა ბრინჯაოს ბეჭდის ოვალური ფარაკი (კახიძე & კახიძე, 2014, 46, 114).

**სამარხი N52** - სამარხში გამოვლინდა მონეტა, პალმეტებიანი ლეკითოსი, დოქი, მარცხენა ხელთან ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი (კახიძე & კახიძე 2014, 45, 114).

**სამარხი N78** - სამარხში გამოვლინდა ქიოსური ამფორა, ასევე ადგილობრივი ჭურჭელი და იხთია. იქვე გაიწმინდა ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკი (კახიძე & კახიძე 2014, 116).

**სამარხი N86** - სამარხში გაიწმინდა ფიჭვნარული დოქი, არიბალისებრი ლეკითოსი, რკინის მშვილდსაკინძი, ორი თვალადი მძივი, მარცხენა ხელთან ბრინჯაოსა და რკინის სამაჯური. ასევე ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდის ფრაგმენტი (კახიძე & კახიძე, 2014, 118, ტაბ. 28/2).

**სამარხი N116** - სამარხში გამოვლინდა ყურმილიანი დოქი, ორი ცალი მძივი. მარჯვენა ხელის არეში დაფიქსირდა რკინის სამაჯური და ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკი (კახიძე & კახიძე 2014, 121).

**სამარხი N127** - სამარხში აღმოჩნდა თაზოსური ამფორა. ასევე ორი დოქი და სამარილე. მიცვალებული გულმკერდის არეში, სადაც სავარაუდოდ მარცხენა ხელი იყო მოთავსებული აღმოჩნდა ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი. სამარხში დაფიქსირდა ლომისთავიანი წითელფიგურული გუტუსი, ფეხებთან შავლაკიანი ბოლსალი (კახიძე & კახიძე 2014, 122).

**სამარხი N128** - სამარხში გამოვლინდა მონეტა, მარცხენა ხელზე ეკეთა ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი (კახიძე & კახიძე 2014, 123, ტაბ 65/1)

**სამარხი N132** - მიცვალებულის პირის არეში დაფიქსირდა მოენტა, მარჯვენა ხელთან აღმოჩნდა დაზიანებული ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკი (ფოტო არ არის), მარცხენასთან კი სამაჯური (კახიძე & კახიძე, 2014, 123).

**ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანი:**

**სამარხი N15** - სამარხში გამოვლინდა ვერცხლის კირკალი და რგოლები, სინოპური მონეტა და სამი ცალი კოლხური თეთრი, მძივები და ბრინჯაოს სამი ზარაკი. ხელების არეში ბრინჯაოს სამი და რკინის ოთხი სამაჯური, ერთი ვერცხლის და სამი რკინის ბეჭედი, ორი კოლხური თეთრი და ორი ზარაკი (კახიძე & ვაშაკიძე 2010, 68, 214).

**სამარხი N64** - სამარხში გამოვლინდა ვერცხლის საყურე რგოლები, მძივები, ბრინჯაოს სამაჯურები, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს ბეჭედი (კახიძე & ვაშაკიძე, 2010, 220).

**სამარხი N65** - სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი და ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს ბეჭედი. ასევე მძივები და მძივსაკიდები, 160 ცალი (კახიძე ვაშაკიძე 2010, 220).

**სამარხი N93** - ბავშვის კრემაციული სამარხი, სამარხში გამოვლინდა იმპორტული დოქი, ბრინჯაოს ექვსი ცალი სამაჯური, ხუთი ცალი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. VIII, 85a), სამ მათგანზე გამოსახულების გარკვევა ჭირს, წყვილი ვერცხლის საყურე რგოლი, სინოპური მონეტა და მინის მძივები (კახიძე & ვაშაკიძე 2010, 223).

**სამარხი N99** - სამარხში გამოვლინდა ვერცხლის საყურე რგოლი, ორი ცალი ფარაკიანი ბეჭედი, ორი კოლხური მონეტა, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები (კახიძე & ვაშაკიძე 2010, 223).

**სამარხი N158** - სამარხში გამოვლინდა მოოქროვილი მძივები, მიცვალებულს ორივე ხელზე ეკეთა ბრინჯაოს თითო ბეჭედი, რომელზეც გამოსახულების გარკვევა შეუძლებელია და ბრინჯაო სამაჯური (კახიძე & ვიკერსი 2004, 121, კახიძე 2010, 230)

**სამარხი N162** - სამარხში გამოვლინდა ვერცხლის სამი მონეტა, ვერცხლის რგოლსაკიდი, მძივები, მათ შორის ორი ცალი ოქროს ფუყე მძივი და ვერცხლის ნახევარმთვარისებრი საკიდი, რკინის ფიბულა. მიცვალებულის ხელის არეში გამოვლინდა ვერცხლის დაზიანებული წყვილი ფარაკიანი ბეჭედი (ქ-ფ-99/34, ქ-ფ-99/35) (კახიძე & კახიძე 2014, 120). ასევე აღმოჩნდა ბრინჯაოს და რკინის ფარაკიანი ორი ბეჭედი, (კახიძე &  ვაშაკიძე, 2010, 230)

**სამარხი N181** - სამარხში გამოვლინდა ოქროს წყვილი საყრე, ოქროსა და მინის მძივები, რკინის ფიბულა და სანელსაცხებლე, ბრინჯაოს ოთხი სამაჯური და ორი ცალი ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. VII, 85; ტაბ. XI, 153). შესაძლოა კიდევ ერთი რკინის ბეჭედიც ყოფილიყო (კახიძე & ვიკერსი 2014, 107, ტაბ. 76, 107).

**სამარხი N195** - სამარხში ვერცხლის და ოქროს საყურე, ოთხი ცალი კოლხური მონეტა, კირკალი და მძივები. მიცვალებულის მარცხენა ხელთან დაფიქსირდა ბრინჯაოს ორი სამაჯური და ერთი ცალი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, ხოლო მარჯვენა მტევანთან გაიწმინდა ვერცხლის ორი სამაჯური და ვერცხლის ერთი ცალი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. VI, 47) (კახიძე & ვიკერსი, 2014, 109, ტაბ. 83, 112-6).

**სამარხი N208** - კოლექტიური სამარხი, დაკრძალული იყო სამი მიცვალებული. პირველი მიცვალებულის ინვენტარს წარმომადგენდა ვერცხლის წყვილი რგოლსაკიდი, სამი მონეტა, მძივები, ბრინჯაოს ორი სამაჯური. ბრინჯაოს ორი ცალი ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა მიცვალებულის მარჯვენა ხელთან, მათგან ერთი არის ბერენიკეს გამოსახულებიანი (ტაბ. III, 2), მეორეზე კი გამოსახულია სიუხვის ყანწი (ქ-ფ-04/159). კიდევ ერთი ბეჭედი გამოვლინდა მიცვალებული მარცხენა ხელის არეში, რომელზეც ექვსქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული (ტაბ. X, 142, ქ-ფ-04/157), (კახიძე & ვაშაკიძე 2010, 235, ტაბ. 97). მეორე მიცვალებული ინვენტარს წარმოადგენდა ორი მონეტა, ბრინჯაოს ორი სამაჯური. მესამე მიცვალებულთან გაიწმინდა ვერხლის წყვილი რგოლი, სამი მონეტა, მძივები, ბრინჯაოს ორი სამაჯური, რკინის ბეჭედი და ბრინჯაოს კვირისტავი (კახიძე & ვაშაკიძე 2010, 236).

**სამარხი N209** - სამარხში გამოვლინდა ვერცხლის რგოლსაკიდი, ელიფსისებური და მოზრდილი რგოლები, მძივები, ორი სამაჯური, ოქროს წვრილღეროიანი საკიდი და მინისებური პასტის მამაკაცის რელიეფურ გამოსახულებინანი საკიდი. ერთი ცალი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა მიცვალებულის მარჯვენა მტევნის არეში (ტაბ. XI, 147) მონეტასთან ერთად (კახიძე & ვაშაკიძე 2010, 237; კახიძე 2014ბ, გვ. 113, ტაბ. 101).

**სამარხი N214** - სამარხში გამოვლინდა ვერცხლის წყვილი საყურე რგოლი, სამი ცალი მონეტა და ყელთან მძივები. მარჯვენა ხელთან გაიწმინდა ბრინჯაოს (ტაბ. VIII, 71) და ვერცხლის თითო ფარაკიანი ბეჭედი, მარცხენა ხელის არეში გაიწმინდა ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. VI, 46). სამი ბრინჯაოს და ერთი რკინის სამაჯური (კახიძე & ვაშაკიძე, 2010, 237; კახიძე, 2014ბ, გვ. 113, ტაბ. 97).

**სამარხი N217** - სამარხის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა ბრინჯაოს და ვერცხლის თითო ფარაკიანი ბეჭედი, ასევე რკინის და ბრინჯაოს სამაჯური. პირის არეში დაფიქსირდა მონეტა. ასევე აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური და რკინის ბეჭედი. გამოსახულებები არ იკითხება (კახიძე 2014ბ, გვ. 114, ტაბ. 132).

**სამარხი N225** - სამარხში გამოვლინდა მძივები, ყურებთან ოქროს წყვილი რგოლსაკიდი. მარჯვენა ხელთან დაფიქსირდა ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯურები, მარცხენა ხელთან ერთი ცალი ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულება არ იკითხება (კახიძე 2014ბ, გვ. 115, ტაბ. 134)

**სამარხი N231** - სამარხში გამოვლინდა ვერცხლის დოლისებრი თვალბუდიანი საკიდები, ვერცხლის ორი მონეტა, ოქროსა და ვერცხლის რგოლსაკიდები, ვერცხლის ერთი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. XI, 154) და ვერცხლისვე სამაჯური. სამარხში ასევე აღმჩნდა იარაღი (კახიძე & ვიკერსი, 2014, 117).

**იბერია.**

**თეთრიწყარო:** თეთრიწყაროს რაიონში, ქალაქ თეთრიწყაროში, 1956 წელს გაითხარა მშენებლობის დროს დაზიანებული 3 ქვაყუთი და 1 ქვევრსამარხი. სამარხეული ინვენტარი ერთმანეთში არეული და ნაკლული იყო. დარჩენილი სამარხეული ინვენტარი მრავალფეროვანია, წარმოდგენილია კერამიკით, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაულით, მინის მძივებით. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი (ბოხოჩაძე, 1963, 30-32). მოგვიანებით, 1986 წელს, კ. კვიჟინაძემ აქ შეისწავლა 16 ქვასამარხი და 16 ქვევრსამარხი. მასალები გამოუქვეყნებელია. სამაროვანი კვიჟინაძის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით (ბოხოჩაძე, 1963, 3; კვიჟინაძე, 1975, 13). ხოლო ვერა თოლორდავა ქვევრსამარხებს ძვ.წ. IV საუკუნეებით ათარიღებს (თოლორდავა, 1980, 46).

**ასურეთი, სამაჩვეთი:**

თეთრიწყაროს რაიონში, ასურეთის ტერიტორიაზე, ადგილ სამაჩვეთში გაითხარა სამაროვანი, სადაც 32 სამარხი გამოვლინდა (კვიჟინაძე, 1975, 12).

სამარხეული ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია კერამიკით, გვხვდება ბრინჯაოს ნივთები - ფარაკიანი ბეჭედი, ფიალა, საკინძები, საყურეები, ზარაკები, ვერცხლისა და სხვადასხვა ნახევრად ძვირფასი ქვის მძივები. სამარხში მრავლად

გვხვდება იარაღი (კვიჟინაძე, 1965, 17). ბრინჯაოსაგან დამზადებული ფარაკიანი ბეჭედი შემთხვევითი აღმოჩენაა (ტაბ. X, 126, გ.ფ. 1711). ძეგლის გამთხრელი სამაროვანს ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით ათარიღებს (კვიჟინაძე, 1967, 65-66), ხოლო ვახტანგ შატბერაშვილი ასურეთის სამაროვანს უფრო აახალგაზრდავებს და მის თარიღად ძვ.წ. IV – III საუკუნეს მიიჩნევს (შატბერაშვილი, 2005)[16]. ბეჭდის ფორმას V ტიპში ვაერთიანებთ და ძვ.წ. IV-III საუკუნით ვათარიღებთ.

**აბელია:**

თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ აბელიაში 1954 და 1964 წლებში გაითხრა 25 სამარხი. სამარხეული ინვენტარი მრავალფეროვანია და წარმოადგენს კერამიკულ ნაწარმს, სამკაულსა და რკინის იარაღს. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ ერთ სამარხში. ბეჭედი რკალშეკრულია, ბოლოებში შევიწროებული ოვალური ფარაკით.

**ქვის სამარხი N6** - ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ბეჭედი, ძეწკვი და რკინის სამაჯურის ნატეხები (კვიჟინაძე, 1975, 2). კვიჟინაძე სამაროვანს ძვ.წ. V-IV სს. ათარიღებს. შატბერაშვილი სამაროვნის ქვედა თარიღად ძვ.წ. IV ს. მიიჩნევს, ხოლო ზოგიერთ სამარხს (N16) ძვ.წ. II-I საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში სვამს (შატბერაშვილი, 2005)[17]. N6 სამარში აღმოჩენილი ფარაკიანი ბეჭდის ფორმას მარგარიტა ლორთქიფანიძე აქემენიდური ტიპის ბეჭდებთან აკავშირებს და ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს. ბეჭდის ტიპს ემსგავსება ე.წ. ოქსუსის განძში შემავალ ბეჭედს, რომელსაც ძვ.წ. IV-III საუკუნეებით ათარიღებენ (Зеймалъ, 1979, 61. N.106). შესაბამისად, აბელიაში აღმოჩენილი ბეჭედის ტიპის მიხედვით სამარხიც ამავე პერიოდით უნდა იქნეს დათარიღებული (ტაბ. IX, 125).

**არდასუბანი:**

თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ არდასუბანში, მიწის სამუშაოების ჩატარების შედეგად რამდენიმე თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს სამკაული აღმოჩნდა. მოგვიანებით, ტერიტორიაზე სამი ქვევრსამარხი და ერთი ცხენის სამარხი გაითხარა. ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა მხოლოდ N1 ქვევრსამარხში.

[16] მასალა ინახება თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.
[17] მასალა ინახება თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, ჩამოცმული იყო რკინის ბეჭედთან ერთად მიცვალებულის ერთ თითზე.

**ქვევრსამარხი N1** - კერამიკული ჭურჭელი, რკინის დანისა და სატევრის ნატეხები, რკინის სამაჯურები, რკინის ბეჭდები, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. X, 137, გ.ფ. N1710), ოქროს საყურეები და მძივები, სამარხში კიდევ ორი რკინის ფარაკიანი ბეჭედი იყო (თუშიშვილი 1970, 129).

ნ. თუშიშვილი, N1, N2 და N4 სამარხებს ძვ.წ. V საუკუნით ათარიღებს, N3 სამარხს კი უფრო ადრეულად მიიჩნევს და სამარხის თარიღად ძვ.წ. VI საუკუნეს განსაზღვრავს (თუშიშვილი 1970, 139-140). შატბერაშვილის მიხედვით, N1 და N2 სამარხებში აღმოჩენილი რკინის ბურთულებღეროიანი სამაჯურები სამარხების თარიღს ძვ.წ. IV საუკუნემდე აახალგაზრდავებს (შატბერაშვილი, 2005). სამარხში აღმოჩენილი ფარაკიანი ბეჭედი ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის IV ჯგუფში ერთიანდება და ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით ვათარიღებთ.

სოსო მარგიშვილის აზრით, არდისუბნის N1 სამარხი განსხვავდება რიგითი ფენის სამარხებისაგან, რადგან სამარხში ძვირფასი ლითონის სამკაული და გამორჩეული ჭურჭელი გვხვდება. ასევე მრავალფეროვანია სამარხში ჩატანებული საბრძოლო იარაღი (მარგიშვილი, 1992, 100). ამ ნიშნებიდან გამომდინარე მკვლევარი თვლის რომ რიგით სამარხებსა და არდისუბნის სამარხს შორის ქონებრივი განსხვავება ცხადია, რაც შესაბამისად სოციალურ განსხავავებაზე უნდა მიუთითებდეს (მარგიშივლი 1992, 100).

**პაპიგორა:**

პაპიგორას სამაროვანზე, რომელიც სოფ. ასურეთის სიახლოვეს მდებარეობს, გაითხარა ანტიკური ხანის სამაროვანი. ძეგლზე სულ 79 სამარხი გამოვლინდა (თუშიშვილი & მარგიშვილი, 1987, 44-45). სამაროვანი ძვ.წ IV ს. და III ს. დასაწყისით თარიღდება (მარგიშვილი & ნარიმანიშვილი, 2004, 10-64).

79 სამარხიდან ვერცხლის ერთი ბეჭდის ფარაკი გამოვლინდა მხოლოდ N49 სამარხში. სამარხში დაკრძალულს ხელზე ეკეთა ვერცხლის ბეჭდის რკალი. როგორც ჩანს, იმავე ბეჭდისა. ფარაკისა და რკალის ფორმის მიხედვით, ბეჭედი IV ჯგუფში ერთიანდება. სამარხი ქალის კუთვნილებაა. N49 სამარხი განირჩევა

სამაროვანზე არსებული სხვა სამარხებისაგან ინვენტარის სიუხვითა და მრავალფეროვნებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ სამარხის სახით საქმე უნდა გვქონდეს რიგით მოსახლეობას შორის ქონებრივ უთანასწორობასთან (მარგიშვილი 1992, 99; შატბერაშვილი, 2005).

**ქვევრსამარხი N49** - დაკრძალულია ერთი მიცვალებული, სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა კერამიკული ჭურჭელი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაული. აღსანიშნავია სამარხში გამოვლენილი ოქროს სასაფეთქლე რგოლები, ვერცხლის მთვარისებრი საკიდები, ბრინჯაოს ზარაკები, საკინძები და მილაკები, ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი, მინისა და პასტის მძივები (მარგიშვილი & ნარიმანიშვილ, 2004, 55-55)[18].

**თეთრიწყარო (გარისის გორა):**

1956 წელს თეთრწყაროში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია 3 დაზიანებულ ქვაყუთსა და ერთ ქვევრსამარხს. ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა დაზიანებულ ქვაყუთში (ტაბ. V, 19, გ.ფ. N1270). ასევე გამოვლინდა კერამიკული ჭურჭელი, ვერცხლის სამაჯურები, ვერცხლის საყურე რგოლი, მინისა და მინისებური პასტის მძივები (ბოხოჩაძე, 1963, 30). ამავე ადგილას 1968 წელს კ. კვიჟინაძის ხელმძღვანელობით გაითხარა 38 სამარხი, თუმცა მათში ფარაკიანი ბეჭდები არ გამოვლენილა (კვიჟინაძე, 1975, 13).

სამარხები ბოხოჩაძემ ძვ.წ. VI-IV სს. დაათარიღა (ბოხოჩაძე, 1963, 35-37) ხოლო კვიჟინაძემ ადრეანტიკური და ელინისტური ხანით (კვიჟინაძე, 1975, 13). სამარხში აღმოჩენილი ფარაკიანი ბეჭედი ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის VI ჯგუფში ერთიანდება და ძვ.წ. IV-III საუკუნეებით ვათარიღებთ. მსგავსი ტიპის მართუთხაფარაკიანი რკალგახსნილი ბეჭდები აღმოჩენილი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

**ეცოს სამაროვანი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი):**

ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული 109 სამარხიდან ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა 7 სამარხში სულ 8 ცალი. ძვ,წ. II-I საუკუნეებით დათარიღებული 11 სამარხიდან თითო ცალი ბეჭედი აღმოჩნდა N16 და N17 სამარხებში

[18] მასალა ინახება თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

(შატბერაშვილი, 2020, 25-28). ბეჭდებში განირჩევა სამი ტიპი. ოთხი ნიმუში წარმოადგენს ბრინჯაოს მცირე ზომის ოვალურფარაკიან რკალგახსნილ ბეჭედს, რომელიც ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის მიხედვით VIII ტიპს მიეკუთვნება. ერთი ბეჭედი, რომლის მხოლოდ ფარაკია შემორეჩნილი, IV ჯგუფში ერთიანდება. კიდევ ორი ბეჭედი დამზადებულია ერთი მთლიანი ფირფიტისგან, ცალკე გამოყოფილი ფარაკის გარეშე და ერთიანდება IX ჯგუფში. სამარხები, სადაც აღმოჩნდა ფარაკიანი ბეჭდები, სოციალური კუთხით არ განსხვავდება სხვა სამარხებისგან და ასევე არ ფიქსირდება არანაირი კანონზომიერება ბეჭდის თანმხლები არტეფაქტის ჩატანებაში.

სამარხთა აღწერილობა:

**სამარხი N16** - დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა კერამიკული ჭურჭელი, რკინისა და ბრინჯაოს ორი ბეჭდი (ტაბ. VIII, 106) და ორი სამაჯური, რკინის საკინძი, ოქროსა და ვერცხლის სარჩულიანი გამჭვირვალე მძივები, ძვლის მძივი, სამარხის თარიღია ძვ.წ. II ს (შატბერაშვილი, 2020, 34).

**სამარხი N17** - დაკრძალული იყო მცირეწლოვანი ბავში. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა კერამიკული ჭურჭელი, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულება არ იკითხება, ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯური, კაური, რკინის საკინძი, მძივები. სამარხის თარიღია ძვ.წ. II ს. (შატბერაშვილი, 2020, 34-35).

**სამარხი N39** - ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. III.2.1), ბრინჯაოს ფარაკი (ტაბ. X, 136), ბრინჯაოს ძეწკვი, რკინის სამაჯური, სარდიონისა და ლურჯი მინის მძივები. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV-III სს (შატბერაშვილი, 2020, 41)

**სამარხი N59** - ესვენა ორი მიცვალებული, მამაკაცი და ქალი, სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა კერამიკული ჭურჭელი, რკინის შუბისპირი, რკინის ოთხი სამაჯური, რკინისა და ბრინჯაოს ფარაკიანი ორი ბეჭედი (ტაბ. VII, 79), ბრინჯაოს მშვილდსაკინძები, სარდიონისა და მინის მძივები. სამარხის თარიღია ძვ.წ. III ს (შატბერაშვილი, 2020, 47-48).

**სამარხი N60** - ესვენა ორი მიცვალებული, სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა კერამიკული ჭურჭელი, ბრინჯაოს ორი რგოლი, ორი სამაჯური, ოთხი ზარაკი, მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, რკინის სამაჯურები, და ბეჭედი, მინის მძივები. სამარხის თარიღია ძვ.წ. III ს. (შატბერაშვილი, 2020,48-49).

**სამარხი N64** - ჩვილის კუთვნილებაა. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულება არ იკითხება, ბრინჯაოს ზარაკი, მინის მძივები. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV-III სს (შატბერაშვილი, 2020, 50).

**სამარხი N91** - კერამიკული ჭურჭელი, რკინის საკინძი, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. X, 144), რკინის სამაჯურები, სარდიონისა და მინის მძივები. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV საუკუნე (შატბერაშვილი, 2020, 59-60)

**სხალთა:**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სხალთის სამაროვანზე გაითხარა ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებული 60 სამარხი (ნიკოლაიშვილი და სხვ., 2010, 430). ძეგლის შემსწავლელთა მიხედვით, სამაროვანი რიგითი მოსახლეობის განსასვენებელს წარმოადგენდა და მათში ვერ გამოიყო შედარებით მდიდრული სამარხები, სადაც ერთი ოქროს ნივთი მაინც იქნებოდა ჩატანებული (ნიკოლაიშვილ და სხვ., 2010, 437).

სამაროვანზე შესწავლილი 60 სამარხიდან, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ ორ სამარხში. სულ 3 ცალი (სამარხი N1, N43).

**სამარხი N1** - ქალის კუთვნილებაა. გარდა ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭდისა, სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, საკინძები, ძვლის ილარი, მძივები, ვერცხლის საკიდები, ხის სავარცხელი და სანელსაცხებლეს ფრაგმენტი (ნიკოლაიშვილი და სხვ., 2010, 433). ბრინჯაოს ბეჭდის ფორმა იმეორებს ნაშრომში შემუშავებული ტიპოლოგიის IV ტიპს და მასზეც მზის სიმბოლოა გამოსახული.

**სამარხი N43** - სამარხეულ ინვენტარს შეიცავდა ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი, რკინის სამაჯურები, საკინძი, პოლიქრომული მინის მძივები

(ნიკოლაიშვილი და სხვ. 2010, 435). ბეჭდები დაზიანებულია და მათზე გამოსახულების გარკვევა რთულია.

**ღრმახევისთავი:**

დმანისის რაიონში, სოფელ ვარდისუბნის მიდამოებში, ადგილ ღრმახევისთავში გაითხარა ძვ.წ. V-IV სს. დათარიღებული 43 სამარხი (აბრამიშვილი და სხვ., 1980, 23). 43 სამარხიდან 8 გაძარცვული იყო. სამარხეული ინვენტარის მიხედვით ჩანს, რომ სამაროვანზე რიგითი ფენის წარმომადგენლები იყვნენ დაკრძალულნი. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ ერთ სამარხში (ტაბ. XI, 151)[19].

**სამარხი N39 -** თიხის ქოთანი, ბრინჯაოს გახვრეტილი ფირფიტა, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (აბრამიშვილი და სხვ., 1980, 131). ვატო შატბერაშვილს სამარხეული კომპლექსების თარიღად IV ს. მეორე ნახევრი, ძვ.წ. IV-III სს. მიჯნა მიაჩნია (შატბერაშვილი, 2005). ბეჭდისგან მხოლოდ ოვალური მოყვანილობის ფარაკია შემორჩენილი რკალის უმნიშვნელო ნაწილით. მარგარიტა ლორთქიფანიძე ხსენებულ ბეჭედს აქემენიდური ხანის ბეჭდის ბერძნული ტიპის VII ტიპის სახესხვაობას მიაკუთნებს, რომელიც IV საუკუნით არის დათარიღებული (ლორთქიფანიძე, 1981, 55).

**კუშჩი:**

წალკის რაიონ სოფელ კუშჩიში გაითხარა 5 სამარხი, ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა ერთ მათგანში (Куфтин, 1948, 6-11, დავლიანიძე, 1983, 117).

**სამარხი N3 -** ქალის კუთვნილებაა. მასში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რკინის დანის ფრაგმენტები, სანელსაცხებლე, რკინის სამაჯურის ფრაგმენტები, ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, მინის მძივები და ვერცხლის ბეჭდის რკალი, რომლის ოვალური ფარაკი დაკარგულია (Куфтин, 1948, рис. 4). სამარხი ძვ.წ. IV ს. შუა ხანებით არის დათარიღებული (გაგოშიძე, 1982, 50). ბეჭდის ფორმაზე მსჯელობა შემორჩენილი ილუსტრაციების მიხედვით შეგვიძლია. ესაა თხელი ფირფიტის, ოვალურფარაკიანი ბეჭედი, ფარაკის ვიწრო ნაწილი მავთულისებრ გახსნილ რკალში გადადის. რკალის ბოლოები ერთმანეთზეა გადასული. ფარაკზე

[19] ბეჭედი დაკარგულია და კვლევისთვის მხოლოდ ჩანახატს ვეყდნობით.

დატანილია თხის სქემატური გამოსახულება, რომელსაც ერთ წყებად შემოვლებული აქვს ირიბი ხაზებისგან შედგენილი ჩარჩო. მსგავსი ტიპის ბეჭდები ნაშრომში შემუშავებული ტიპოლოგიის V ტიპში ერთიანდება, რომელსაც IV-III საუკუნის მიჯნით ვათარიღებთ.

**კამარახევი:**

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი წიწამურის სამხრეთით გამოვლინდა ძვ.წ. V-III სს. დათარიღებული კამარახევის სამაროვანი (რამიშვილი, 1959, 9).

სამაროვანზე გაითხარა 34 სამარხი. ინვენტარი აღმოჩნდა 24 მათგანში (რამიშვილი, 1959, 10). ძეგლის გამთხრელის აზრით, სამაროვანზე დაკრძალულთა ქონებრივი უთანასწორობა მკვეთრად შეიმჩნევა, რადგან ზოგ სამარხში გამოვლინდა საკმაოდ დიდი რაოდენობით სამკაული და ჭურჭელი, ხოლო უმეტესად სამარხეული ინვენტარი ღარიბულია. უინვენტარო სამარხებში ძირითადად ბავშვებია დაკრძალული (რამიშვილი, 1959, 10).

ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ N9 სამარხში მიცვალებულის მარცხენა ხელის თითზე. ბეჭედი დიდი ზომისაა, ოვალური ფარაკით და დაწახნაგებული შეკრული რკალით, რომელსაც III ჯფუში ვაერთიანებთ (ტაბ. IV, 3). ორმოსამარხი N9 ქალს ეკუთვნოდა და საკმაოდ მდიდარი იყო სამკაულით (რამიშვილი, 1959, 15).

1976-77 წლებში კამარახევის სამაროვნზე გაითხარა დამატებით 156 სამარხი. მათგან გამოქვეყნებულია 130 სამარხი, საიდანაც 20 ქვასამარხია, 110 ორმოსამარხი (ჯღარკავა, 1982, 139). სამაროვანზე გამოვლენილი მასალა პარალელებს პოულობს ისეთ ძეგლებთან როგორიცაა ვანი, სამადლო, ციხიაგორა და თარიღდება ძვ.წ. IV-III სს (ჯღარკავა, 1982, 141).

განხილული 130 სამარხიდან ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ ერთ სამარხში.

**სამარხი N65** ქალის კუთვნილებაა. სამარხში გამოვლინდა თიხის ნაწარმი და ბრინჯაოს სამკაული: ორი სამაჯური, საკინძი, მეწკვი, ილარი, მძივები და

ფარაკიანი ბეჭედი. ჯღარკავას ცნობით ბეჭედი ბრტყელფარაკიანია და მასზე გამოსახულება ყოფილა დატანილი[20] (ჯღარკავა, 1982, 162).

**უფლისციხე:**

ბამბების ნამოსახლარზე, რომელიც მდებარეობს უფლისციხის დასავლეთით, მდ. მტკვირს ნარცხენა ნაპირზე 1958-63 და 1964-65 წლებში გაითხარა ათი ორმოსამარხი (ხახუტაიშვილი, 1964, 75-82; ხახუტაიშივლი, 1970, 27-38). სამარხი N1 და N4, სადაც ფარაკიანი ბეჭდები აღმოჩნდა მან V-IV საუკუნეებით დაათარიღა, ხოლო N3 II-I საუკუნეებით (ხახუტაიშვილი, 1964, 105). მოგვიანებით, იულონ გაგოშიძემ N1 სამარხის თარიღად ძვ.წ. III საუკუნით გადაათარიღა (გაგოშიძე, 1979, 75; Bill, 2003, 229). სამარხებში აღმოჩენილი ბეჭდები სხვადასხვა ტიპისაა. N4 სამარხში გვხვდება ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან გამოჭრილი ბეჭედი სწორკუთხა ფარაკით, რომელიც ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის VI ჯგუფში ერთიანდება. ბეჭედს, მარგარიტა ლორთქიფანიძე, ძვ.წ. V-IV საუკუნეებით ათარიღებდა, თუმცა, ამ ტიპის ბეჭდები IV საუკუნის ბოლო და III საუკუნის სამარხებში არის აღმოჩენილი. N3 სამარხში გამოვლენილი ბეჭედი დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან, რკალგახსნილია, ფარაკის გარეშე. გამოსახულება დატანილია ბეჭდის ცენტრალურ, გაფართოებულ ნაწილზე. მარგარიტა ლორთქიფანიძე ბეჭედს IV-III საუკუნეებით ათარიღებდა, თუმცა, სამარხის თარიღად ხახუტაიშვილი ძვ.წ. II-I საუკუნეებს მიიჩნევს (ხახუტაიშვილი, 1964, 78). ბეჭედი ნაშრომის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით IX ჯგუფში ერთიანდება, რომელსაც ძვ.წ. III საუკუნის ბოლო და II საუკუნით ვათარიღებთ. კიდევ ერთი ბეჭედი გამოვლინდა N1 სამარხში, რომელსაც მარგარიტა ლორთქიფანიძე ძვ.წ. III საუკუნით ათარიღებდა. ბეჭედი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან არის დამზადებული, რკალგახსნილია და უნდა მივაკუთვნოთ VIII ტიპს, რომელსაც ძვ.წ. III – II საუკუნეებით ვათარიღებთ[21].

**სამარხი N1** - წარმოადგენდა წყვილად სამარხს. სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს თავგახსნილი, წელშეზნექილი სამაჯურები, ბრინჯაოს სამი ცალი

[20] უცნობია ბეჭდის ადგილმდებარეობა.

[21] ბეჭდები ინახება შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში. ვეყრდნობით ნაშრომის ილუსტრაციებს.

ბეჭედი, რომელთანაგ მხოლოდ ფარაკიანი იყო პირველი მიცვალებულის კუთვნილება, ბრინჯაოს საყურეები, რკინის ნივთები, პასტის მძივები და თიხის ჭურჭელი. სამარხი ხახუტაიშვილმა დაათარიღა ძვ.წ V-IV საუკუნეებით (ხახუტაიშვილი, 1964, 77). იულონ გაგოშიძემ კი ძვ.წ. III საუკუნით (გაგოშიძე, 1979, 75).

**სამარხი N3** - ბავშვისაა. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს ბრინჯაოს სამაჯური, ფრინჯაოს რკალგახსნილი ბეჭედი, პასტის მძივები, მინის სამი ცალი მრავალწახნაგა, პასტის მძივები, ხელადა. სამარხის თარიღია ძვ.წ. II-I საუკუნეები (ხახუტაიშვილი 1964, 78).

**სამარხი N4** - წარმოადგენდა წყვილად სამარხს. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს და რკინის სამაჯურები, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, რომელიც გამოვლინდა მეორე მიცვალებული მარჯვენა ხელი შუა თითზე, რკინის ბეჭედი, მასტისა და მინის მძივები და ყელსაბამი, თიხის ჭურჭელი. სამარხს დ. ხახუტაიშვილი ძვ.წ. V-IV საუკუნით ათარიღებდა თუმცა ბეჭედის ფორმის მიხედვით, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოზე ადრე სხვა არცერთ სამარხში არ ფიქსირდება, ბამბების სამაროვნის N4 სამარხიც ამავე პერიოდის, ან ცოტა უფრო მოგვიანო ხანის უნდა იყოს.

**ტახტიძირი:**

ქარელის მუნიციპალიტეტში, წითელბეგების (ტახტიძირის) სამაროვანზე გაითხარა 23 სამარხი, რომელიც ძვ.წ. IV ს. და III ს. დასაწყისი ხანით არის დათარიღებული. როგორც იულონ გაგოშიძე აღნიშნავს, გვიანაქემენიდური-ადრეელინისტური ხანის ტახტიძირის სამარხეული ინვენტარი სიმდიდრით ვერ შეედრება ამავე პერიოდის ვანისა და საირხის სამარხებს, თუმცა საკმაოდ მრავალფეროვანია და განსხვავდება რიგითი ფენის სამარხებიგან (გაგოშიძე, 2020, 15). ტახტიძირში გათხრილი სამარხები განხვავდება სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენელთა სამარხებისგან, რაც გამოხატულია სამარხთა კონსტრუქციასა და დაკრძალვის წესში და სამარხეული ინვენტარის შემადგენლობაში (გაგოშიძე, 2020, 52). იულონ გაგოშიძე მიიჩვენს, რომ სამაროვანზე დაკრძალულნი იყვნენ

ძალაუფლების მქონდე პირები, რომლებიც მართავდნენ ფრონეს ხეობას (გაგოშიძე, 2020, 53).

ძვ.წ. IV-III სს. ოცდასამი სამარხიდან ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა თერთმეტ სამარხში, სულ ოცდაცხრა ცალი. აქედან ცხრამეტი ვერცხლისაა, ათი ბრინჯაოსი. ვერცხლის ბეჭედი აღმოჩნდა თერთმეტ სამარხში (N3, 5, 7, 8, 12, 14, 15, 16, 17, 19, 20) ბრინჯაოსი ხუთ სამარხში (N3, 8, 15, 16, 20). იმ შვიდი სამარხიდან, რომლებშიც საბეჭდავი არ აღმოჩენილა, ორი (N1, N40) გათხრებამდე გაიძარცვა და ძეგლის გამთხრელის ცნობით ერთ-ერთ სამარხში ოქროს ბეჭედიც იყო, ორში (N9, N18) ბავშვი იყო დაკრძალული. თუმცა N16 სამარხშიც ბავშვი იყო დაკრძალული, სადაც 1 ბრინჯაოს და 3 ვერცხლის ბეჭედი აღმოჩნდა (გაგოშიძე 2020, 44).

გარდა ვერცხლისა და ბრინჯაოსი, ტახტიძირის ათ სამარხში გამოვლინდა ოცდაერთი რკინის ფარაკიანი ბეჭედი (N2, 3, 4, 5, 6, 7, 16, 17, 36, 39).

იმ სამარხებში, სადაც ორი მიცვალებულია დაკრძალული (N3, 7, 17) ფარაკიანი ბეჭდები ეკეთა მხოლოდ ერთს. ერთსა და იმავე პიროვნებას ერთდროულად ეკეთა ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის რამდენიმე ბეჭედი, ბეჭდები ეკეთათ ორივე ხელზე, უფრო მეტად მარჯვენაზე. სამაროვანზე ფარაკიანი ბეჭედი უკეთია ორივე სქესის წარმომადგენელს (გაგოშიძე 2020, 44).

ვერცხლის და ბრინჯაოს უმრავლესობას წრიული ან ოვალური ფარაკი და გახსნილი რკალი აქვს. ისინი ერთიანდებიან ნაშრომში შემუშავებული ტიპოლოგიის VII ჯგუფში. მსგავსი ტიპის ბეჭდები აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებისთვისაა დამახასიათებელი და მათ ე.წ. იბერიული ტიპის ბეჭდებადაც მოიხსენიებენ. 28 ბეჭდიდან რკალშეკრულია მხოლოდ სამი ბეჭედი.

**სამარხი N3** - წყვილადი, მთავარი მიცვალებულის ინვენტარი: ოქროს ფირფიტაგადაკრული ბრინჯაოს შტანდარტი, ვერცხლის გრეხილი გვერგვი და მძივებიანი ყელსაბამი, ოქროს საყურეები, ბრინჯაოს ფიბულა და ბრინჯაოს ღერაკი. პირში ედო ოქროს ფირფიტა. ხელზე ეკეთა ვერცხლის სამაჯურები და ბეჭდები. სამარხი ორმოს აღმოსავლეთი ნაპირის გასწვრივ იდო რკინის სალტეებიანი და ბუნიკიანი ხის კვერთხი - შტანდარტის ტარი. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ორი (გ.ფ. N1439, 1440), ბრინჯაოს ერთი (გ.ფ. N1441) და რკინის ერთი

ბეჭედი. ვერცხლის ორივე ბეჭედი გამოვლინდა მიცვალებულის მარჯვენა ხელთან (ტაბ. VI, 60). ერთ ბეჭედზე გამოსახულება არ იკითხვება. ბრინჯაოს ბეჭედი აღმოჩნდა მარცხენა მკლავთან (ტაბ. IX, 111), ხოლო რკინის ბეჭედი N2 მიცვალებულს ეკუთვნოდა. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV ს. ბოლო მეოთხედი (გაგოშიძე, 2020, 62).

**სამარხი N5** - დაკრძალულია 20 წლამდე ახალგაზრდა ქალი და ბავში. ინვენტარი: თიხის ჭურჭელი, ვერცხლის კოვზი, ვერცხლის კბილის საჩიჩქნი, ბრინჯოს ილარი, ოქროს, ბრინჯაოსა და რინის შტანდარტები, ოქროს საყურე რგოლები, ვერცხლისა და რკინის სამაჯურები, ოქროსა, სარდიონის, აქატისა და მინის მძივები. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ორი და რკინის ოთხი ფარაკიანი ბეჭედი. ვერცხლის ერთი ბეჭედი გამოვლინდა მიცვალებულის მარჯვენა ხელზე (გ.ფ. N1442), მეორე - მიცვალებულის მარცხენა ხელის თითზე რკინის ბეჭედთან ერთად (გ.ფ. N1443). ორივე ბეჭედზე გრიფონია გამოსახულია (ტაბ. IX, 113, 114) რკინის ორი ბეჭედი აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ხელთან, ერთი მარცხენასთან ხოლო ერთი მენჯის ძვლის უკან. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV ს. მესამე მეოთხედი (გაგოშიძე 2020, 70-72).

**სამარხი N7** - წყვილადი, ინვენტარი მხოლოდ N1 მიცვალებულს ეკუთვნოდა: ვერცხლის საყურე რგოლი და გვერგვი, მინის მძივები, რკინის სამაჯურის ფრაგმენტები, ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. IV, 4, გ.ფ. N1444), რომელიც მიცვალებულის ხელის არეში გამოვლინდა რკინის ფარაკიანს ბეჭედთან ერთად. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV ს. დასასრული (გაგოშიძე 2020, 82).

**სამარხი N8** - გაძარცვული და დაზიანებული იყო. სამარხში რამდენიმე ჩონჩხი და ცხენი იყო დამარხული. გამომდინარე იქიდან, რომ სამარხი საკმაოდ არეული იყო, მასში მაინც გამოიყო რამდენიმე დამოუკიდებელი ჯგუფი. პირველი ჯგუფი განხილულია როგორც N13 სამარხი, სადაც აღმოჩნდა მოზრდილი ადამიანის მხრის ძვლისა და ბავშვის ჩონჩხი. ბავშვის ძვლებთან გამოვლინდა ვერცხლისა და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები (ტაბ. VI, 61, გ.ფ. N1453, ტაბ. VII, 64, 1454). სამარხის თარიღია ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრი (გაგოშიძე, 2020, 84).

N8 სამარხში დაკრძალული პირველი მიცვალებული მამაკაცი უნდა ყოფილიყო. ხოლო მის ზურგს უკან გაიწმინდა ბავშვის ძვლები. პირველი მიცვალებულის მკერდის არეში გამოვლინდა ბრინჯაოს ოთხკუთხა საბეჭდავი, ქალცედონის კონუსური საბეჭდავი აღმოჩნდა მიცვალებუის გულ-მკერდის არეში, ხოლო ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი, გაურკვეველი გამოსახულებით, ბავშვის ძვლებთან გამოვლნდა (გ.ფ 1445). კიდევ ერთი ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. VII, 67, გ.ფ. 1446) გაიწმინდა პირველი ჩონჩხის აღმოსავლეთით მრავალფეროვან ინვენტართან ერთად. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV საუკუნის დასასრული - ძვ.წ. III ს. დასაწყისი (გაგოშიძე, 2020, 102).

**სამარხი N12** - 1 წლამდე ჩვილი იყო დაკრძალული. გამოვლინდა თიხის ჭურჭელი, მინის ალაბასტრონი, ბრინჯაოს ილარი, ბრინჯაოსა და ვერხლის საყურე რგოლები, ოქროს, ვერცხლისა და მინის მძივები, ვერცხლის სამაჯურები და ვერცხლის ორი ფარაკიანი ბეჭედი (გ.ფ. N1451; 1452), ერთი მათგანი აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ხელზე (ტაბ. VII, 80) მეორე - მარცხენაზე (ტაბ. X, 129). სამარხი ძვ.წ. IV ს. შუა ხანებით არის დათარიღებული (გაგოშიძე, 2020, 125)

**სამარხი N14** - სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა ვერცხლის, ოქროს, სარდიონის, გიშრის, აქატის, მინის მძივბი, ოქროს წყვილი საყურე რგოლი, ოქროს საკიდი, ვერცხლის ფიბულა და ზურგშედრეკილი სამაჯურები. ვერცხლის ორი ფარაკიანი ბეჭედი მიცვალებულს ეკეთა მარჯვენა ხელზე (ტაბ. IX, 112, გ.ფ. 1455, ტაბ. VIII, 102, გ.ფ. 1456). სამარხის თარიღია ძვ.წ. III ს. დასაწყისი (გაგოშიძე 2020, 130).

**სამარხი N15** - სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა კერამიკული მასალა, ვერცხლისა და რკინის სამაჯურები, ბრინჯაოს ფიბულა, ვერცხლის წყვილი საყურე რგოლი, სარდიონისა და პასტის მძივები, ვერცხლის ერთი და ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. IX, 123, გ.ფ. N1458, ტაბ. VII, 76, გ.ფ. N1459). ვერცხლის ბეჭედი მიცვალებულს ეკეთა მარჯვენა ხელზე (ტაბ. IV, 12, გ.ფ. N1457). სამარხის თარიღია ძვ.წ. IV ს. ბოლო წლები (გაგოშიძე 2020, 134).

**სამარხი N16** - დაკრძალული იყო დაახლოებით შვიდი წლის ბავშვი. სამარხში გამოვლინდა თიხის ჭურჭელი, პასტის იოტები, თვალადი მძივები,

ოქროს გოფრირებული მძივები, ბრინჯაოს ილარი, ზარაკები, ვერცხლის ფიბულა, ოქროს საყურე რგოლები, ვერცხლის სამაჯურები. ვერცხლის სამი (ტაბ. VII, 68, გ.ფ. N1460, ტაბ. X, 130, გ.ფ. N1461, გ.ფ N1462) და ბრინჯაოსა ერთი გატეხილი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მიცვალებულის ხელთან. რკინის ბეჭედი აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში. სამარხის თარიღია ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევარი (გაგოშიძე, 2020, 135).

**სამარხი N17** - სამარხში ორი მამამაკაცი იყო დაკრძალული. სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მწირია. წარმოდგენილია კერამიკით, ოქროს, ვერცხლის ბრინჯაოსა და რკინის სამკაულით. ერთ მიცვალებულს მარცხენა ხელის შუათითის მეორე ფალანგაზე ეკეთა რკინის ბეჭედი, მარჯვენა ხელის არათითზე - ვერცხლის (ტაბ. X, 135, გ.ფ. 1463) სამარხის თარიღი ძვ.წ. IV ს. შუა ხანებია (გაგოშიძე, 2020, 140).

**სამარხი N19** - ახალგაზრდა მამაკაცს ეკუთვნოდა. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამკაულით. ვერცხლის ერთი ფარაკიანი ბეჭედი მიცვალებულს ეკეთა მარცხენა ხელზე (ტაბ. IX, 107, გ.ფ. N1464). სამარხის თარიღია ძვ.წ. IV ს. შუა ხანები (გაგოშიძე, 2020, 146).

**სამარხი N20** - სამარხში ორი ჩონჩხი აღმოჩნდა. ერთი ბავშვს ეკუთვნოდა, მეორე პატარა ადამიანს დიდი თავით (ჯუჯა). სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამაკაულით. სამარხში გამოვლინდა ვერცხლისა ორი და ბრინჯაოს სამი ფარაკიანი ბეჭედი. ვერცხლის ორი (ტაბ. IX, 116, გ.ფ. 1465, ტაბ. V. 20, გ. ფ.1466) და ბრინჯაოს ორი ბეჭედი აღმოჩნდა პირველი მიცვალებულის მარჯვენა ხელზე (ტაბ. VIII, 86, გ.ფ. 1468, 1469). ბრინჯაოს ერთი ბეჭდები აღმოჩნდა პირველი მიცვალებულის მარცხენა ხელზე (ტაბ. X, 131, გ.ფ 1467). სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედითაა დათარიღებული (გაგოშიძე, 2020, 151).

**ქვიანა:**

ქვიანას სამაროვანი, რომელიც მდებარეობს ცხინვალის ნაცარგორასთან, გაითხარა 1948 წელს. N1 თხრილში გამოვლინდა სამარხი N7. ძეგლის გამთხრელის ცნობით, ბეჭდები მიცვალებულს მარცხენა ხელის თითებზე ეკეთა[22] (ტაბ. VII, 79).

მარგარიტა ლორთქიფანიძე აღნიშნულ ბეჭდებს ძვ.წ. VI საუკუნით ათარიღებს (ლორთქიფანიძე, 1969, 84-85), თუმცა ბეჭდის ტიპი შეესაბამება ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის VII ტიპს, რომელსაც ძვ.წ. IV-III საუკუნეებით ვათარიღებთ.

**ოხერახევი:**

ნიჩბისის თემში (მცხეთის მუნიციპალიტეტი), ოხერახევის სამაროვანზე 2019-2022 წლებში გაითხარა ადრეელინისტური პერიოდით, IV-III საუკუნეებით დათარიღებული 58 სამარხი (ნონეშვილი და სხვ., 2021, 83-98; ნონეშვილი და სხვ., 2022, 18-88; ნონეშვილი და სხვ., 2022, 23-162).

სამაროვანზე ჯამში გამოვლინდა რკინის 39 ფარაკიანი ბეჭედი. ყველა მათგანი კოროზირებული და ფრაგმენტირებულია. შესაბამისად, ფარაკზე გამოსახულების გარჩევა ვერ მოხერხდა. თითო ბრინჯაოს ბეჭედი აღმოჩნდა 2022 წელს შესწავლილ N10 და N28 სამარხებში, ვერცხლის ერთი ფარაკიანი ბეჭედი კი გამოვლინდა N27 სამარხში (ნონეშვილი და სხვ. 2022).

ბეჭდები ერთიანდება ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის VII ჯგუფში - წრიულფარაკიანი, ფარაკთან ოდნავ გაფართოვებული გახსნილი რკალით.

**სამარხი N10** - წარმოადგენდა კოლექტიურ სამარხს, რომლშიც ერთმანეთში არეული სამი ინდივიდის ძვლები გამოვლინდა. სამარხში აღმოჩნდა ორი პირმოყრილი ჯამი, მინის, სარდიონისა და გიშრის მძივები, რკინის სამაჯურის ფრაგმენტები და ბრინჯაოსა და რკინის ორი ფარაკანი ბეჭედი (ორივე მათგანი დაზიანებულია და შეუძლებელია გამოსახულების გარკვევა) (ნონეშვილი და სხვ. 2022, 28, სურ. 71)).

**სამარხი N27** - ინდივიდუალურია. მიცვალებულის მარცხენა ხელზე აღმოჩნდა რკინის ორი და ვერცხლის ერთი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ.VIII, 97), ასევე

---

[22] სამარხში გამოვლენილი სხვა ინვენტარისა და სამაროვანზე გამოვლენილი სხვა სამარხების შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. ნივთები სავარაუდოდ ინახება ცხივნალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ორი ცალი ვერცხლის და ერთი რკინის სამაჯური, სარდიონისა და მინის მძივები, ბრინჯაოს მცირე რგოლი, ბრინჯაოს ორი საკინძი და ბრინჯაოსვე ჯაჭვი (ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტირებული), ბრინჯაოს ილარი, ოქროს თხელი ფურცლის ხვიისაგან შედგენილი მძივები. თავის ქალის ზედა ნაწილში დაფიქსირდა ბრინჯაოს ფირფიტოვანი მცირე ზომის დისკო ცენტრალური ბურცობით, რომელიც გაფორმებული იყო მცენარეული და წერტილოვანი ორნამენტებით. ბრინჯაოს ჯაჭვთან გამოვლინდა რკინის მცირე ზომის დანა მასზე შერჩენილი მანჭვლებით. სამარხის დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთიც (ნონეშვილი და სხვ., 2022, 35, სურ. 176-190).

**სამარხი N28** - მიცვალებულის ზურგთან აღმოჩნდა ძლიერ ფრაგმენტირებული პირმოყრილი ჯამი, ქოთანი და ხელადა (ნონეშვილი და სხვ. 2022, 35. სურ. 191-195). ზედა კიდურებთან, ინდივიდის მარჯვენა ხელზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ცხოველის გამოსახულებით (ტაბ. VIII, 98).

**წნისისხევი:**

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. წნისისხევში გათხრების დროს გამოვლინდა ადრეელინისტური ხანის 45 სამარხი (ძვ.წ IV-III სს) (კვიჟინაძე, 1983, 28).

ბრინჯაოს თითო ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა სამ სამარხში (N1, 24, 33). (გ.ფ. ინვ. N1716, 1717, 1718). მათგან N24 და N33 სამარხებში დაფიქსირდა წყვილადი დაკრძალვა (Гамбашидзе и дрг. , 1984, 19) N24 სამარხში ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი პირველ მიცვალებულს ეკეთება მარცხენა ხელის თითის ერთ-ერთ ფალანგაზე. N33 სამარხში ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა პირველი მიცვალებულის მარცხენა ხელის ერთ-ერთ ფალანგაზე.

სამივე ბეჭედი დაზიანებულია და ვერ ხერხდება ფორმის დაზუსტება. სამაროვნის მასალები სრულად არ არის გამოქვეყნებული (ტაბ. IV, 11; ტაბ. X. 133).

**ვარსიმაანთკარი:**

სოფელი ვარსიმაანთკარი მდებარეობს დუშეთის რაიონში. სამაროვანზე არქეოლოგიური გათხრები 1972 წელს დაიწყო, ხოლო მოგვიანებით, 1981-1986 წლებში სამაროვანზე ინტენსიური არქეოლოგიური გათხერები წარმოებდა. ჯამში

გაითხარა 179 სამარხი. სამაროვანი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით თარიღდება, მასალის დიდი ნაწილი კი ძვ.წ. V-IV საუკუნეებისაა[23] (Мухигулашвили, 1982, 413-314; Bill, 2003, 239-242).

ჩვენთვის საინტერესო ლითონის ფარაკიანი თითო ბეჭედი გამოვლინდა ოთხ სამარხში - სამი ბრინჯაოს და ერთი რკინის ფრაგმენტირებული ბეჭედი. სამარხი, სადაც რკინის ფარაკიანი ბეჭედი დადასტურდა დათარიღებულია ძვ.წ. IV საუკუნით.

დაკრძალვის წესისა და ანთროპოლოგიური მონაცემების მიხედვით, დაკრძალულთა უმრავლესობა მამაკაცია, 57 ქალია, 11 ბავშვია.

სამარხებში, სადაც აღმოჩნდა ფარაკიანი ბეჭედი მიცვალებული მარცხენა გვერდზეა დასვენებული, რაც მანიშნებელია იმისა, რომ ისინი ქალის კუთვნილებაა. ბავშვის N153 სამარხშიც ჩონჩი მარცხენა გვერდზე იყო წარმოდგენილი.

**სამარხი N80** - სამარხის ნაწილი ნიაღვრის მიერ იყო წალეკილი. სამარხში ერთი მიცვალებული ფიქსირდება მარცხენა გვერდზე. შემორჩენილ სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა ხელადა, ჯამი, სამარილე და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (მუხიგულაშვილი, 2022, 47).

**სამარხი N153** - ბავშვის კუთვნილებაა. სამარხში აღმოჩნდა ჯამი, კოჭობი, ბრინჯაოს ორი სამაჯური და ბრინჯაოსვე ფარაკიანი ბეჭედი (მუხიგულაშვილი, 2022, 91-92).

**სამარხი N167** - მიცვალებული წარმოდგენილია მარცხენა გვერდზე. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა ხელადა, ბრინჯაოს ორი საყურე რგოლი, ბრინჯაოს საკინძი, სამაჯური და ორი ილარი, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, რკინის სამაჯური და გაურკვეველი ნივთი, ბრინჯაოსა და რკინის მძივები (მუხიგულაშვილი, 2022, 97-98).

ბეჭდებზე მარგარიტა ლორთქიფანიძეს უმუშავია. მკვლევარი N80 სამარხში აღმოჩენილ ბეჭედს (ტაბ. XI, 156) ბერძნულ სახელოსნოში მომუშავე ბერძენი

---

[23] ნაშრომის არ არის სრულად გამოქვეყნებული. მის შესახებ ინფორმაცია მომაწოდა ჯუანშერ ამირანაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ხელოსანის ხელს მიაწერს და ძვ.წ. V-IV საუკუნეებით ათარიღებს, ხოლო დანარჩენ ორ რკალგახსნილ ბეჭედს ადგილობრივად მიიჩნევს და ძვ.წ. IV საუკუნით ათარიღებს (ლორთქიფანიძე, 1995, 40-50).

**აწყური:**

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში გამოვლენილია ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული რამდენიმე ორმოსამარხი, რომელიც მრავალრიცხოვან სამარხეულ ინვენტარს შეიცავდა. დაკრძალულთა სქესი არ არის განსაზღვრული. სამარხებში გამოვლინდა თორმეტი ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი. მათგან სამი ბეჭედი გამოვლინდა N1 სამარხში, ხუთი ბეჭედი N3 სამარხში, ხოლო კიდევ ხუთი ბეჭედი N5 სამარხში (ლიჩელი, 2011, 25-47).

აწყურის სამარხებში გამოვლენილი ბეჭდები სხვადასხვა ტიპისაა. გხვდება თხელი ფირფიტისგან გამოჭრილი წრიულ და მართხუთხა ფარაკიანი რკალგახსნილი ბეჭდები, ასევე მასიური, რკალშეკრული ბეჭდები ოვალური ფარაკით.

**სამარხი N1** - აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი სამაჯური და ერთი საკიდი, ორი ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი, ზარაკები და პასტის მძივები (ლიჩელი 2011, 28).

**სამარხი N3** - გამოვლინდა ქვის, მინისა და ბრინჯაოს მძივები, ვერცხლის გვერგვი, ბრინჯაოს ოთხი სამაჯური, ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვია, ორი ზარაკი და ილარი (ლიჩელი 2011, 46). სამარხში ასევე გამოვლინდა ბრინჯაოს ხუთი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. V, 17., ტაბ. VI, 59., ტაბ. VII, 69, ტაბ. VIII, 90., ტაბ. XI, 155).

**სამარხი N5** - აღმოჩნდა ბრინჯაოს ხუთი ფარაკიანი ბეჭედი, ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძი, ილარი, საკიდები, მილაკები, მძივები და ბრინჯაოს ორი ქანდაკება (ლიჩელი, 2011, 31).

**ნაომარი გორა:**

საგარეჯოს რაიონში, ადგილს, რომელსაც უდაბნო ეწოდება, კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1989 წელს შეისწავლა ადრეელინისტური ხანის სამაროვანი (ნაომარი გორა 1). სულ გაითხარა 5 ქვევრსამარხი, საიდანაც 7 ცალი

ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა 2 სამარხში. სამარხების თარიღია ძვ.წ. IV-III საუკუნე.

სამარხი a - ინვენტარი: თიხის ქოთანი, ბრინჯაოს ხუთი ცალი ზარაკი, ბრინჯაოს ხუთი ცალი ფარაკიანი ბეჭედი, მინისა და სარდიონის მძივები, ძვლის ამულეტი, ნიჟარები, რკინის ნივთის ფრაგმენტები (Джавахишвили, 2006, 183-184). ხუთი ბეჭდიდან ერთზე მჯდომარე ქალია გამოსახული (ტაბ. IV, 9) დანარჩენ ოთხ ბეჭედზე კი ჰერაკლეს გამოსახულებაა (Джавахишвили, 2006, Таб. VI, 7-11).

სამარხი b - ინვენტარი: სარდიონის, აქატისა და მინის მძივები, ბრინჯაოს სამაჯური (Джавахишвили, 2006, 185). სამარხი შეიცავდა ბრინჯაოს ორ ფარაკიან ბეჭედს (ტაბ. V, 18, ტაბ. VII, 65).

ნაომარი გორის სამაროვანზე გამოვლენილი ყველა ბეჭედი, ერთის გარდა იმპორტია[24].

**ყოღოთო:**

1939 წელს, ქიზიყში, სოფ. ყოთოთოში, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილ N16 და N17 სამარხებში სხვა ინვენტართან ერთად ბრინჯაოს სამი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა[25] (ტაბ. V, 15, გ.ფ. 694; ტაბ. IV, 13 გ.ფ. 695; ტაბ. V, 16, გ.ფ. 696). ბეჭდები ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ბეჭდის ფორმებს იმეორებენ - ქვევითკენ ჩამოგრძელებული რკალშეკრული ბეჭდები ოვალური და წრიული ფარაკით, რომელიც ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის II ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ.

## §3.2. შემთხვევითი აღმოჩენები.

საქართველოს ტერიოტირაზე გამოვლენილი ფარაკიანი ბეჭდების მცირე ნაწილი შემთხვევით გამოვლენილი სამარხებიდან მომდინარეობს და ისინი სხვადასხვა მუზეუმში ინახება.

**კოდორეთი:**

[24] ნივთები ინახება საგარეჯოს მუზეუმში.
[25] სამარხში არსებული სხვა ინვენტარის შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.

ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა აბაშის რაიონ სოფელ ზანასთან გათხრილ ქვევრსამარხში, ადგილს, რომელსაც კოდორეთი ეწოდება (ტაბ. VI, 57). სამარხში ასევე გამოვლინდა ბრინჯაოს სამაჯურები, მძივები და კოლხური ნახევარდრაქმები[26]. კოდორეს ქვევრსამარხი ძვ.წ. III საუკუნის შაუახანები და II საუკუნის დასაწყისი ხანით თარიღდება (გვინჩიძე, 1987, 264-265, რამიშვილი, 2017, 170).

**წიფნარი:**

1985 წელს სოფელ წიფნარში შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი. სამარხეული ინვენტარი შეიცავს: კერამიკას, რომელშიც აღსანიშნავია შავლაკიანი კანთაროსი. აღმოჩნდა ასევე ბრინჯაოს სამაჯური, კოლხური მონეტები, და ფარაკიანი ორი ბეჭედი[27] (ვაშაკიძე, 1973, ტაბ. X. 11,12). წიფნარის ქვევრსამარხი ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო და III საუკუნის პირველი ნახევრით არის დათარიღებული (ვაშაკიძე, 1973, 78).

**დაფნარი:**

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დაფნარში, გარდა სისტემატური არქეოლოგიური გათხრებიდან მოპოვებული ნივთებისა, გვაქვს შემთხვევით აღმოჩენილი ფარაკიანი სამი ბეჭედი, რომელიც ქუთაისი მუზეუმში ინახება. ერთი ბეჭედი, ქუთაისი მუზეუმში 1934 წელს შესულა. გარდა ფარაკიანი ბეჭდისა, სამარხში გამოვლენილა დოქისა და ჯამის ფრაგმენტები, ელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკისა და ბრინჯაოს ფრაგმენტები (ჯიქია, 1971, 23)

ქუთაისის მიდამოებში შემთხვევით გამოვლენილი ქვევრსამარხებიდან ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები ასევე აღმოჩნდა მუხიანში (ტაბ.VI, 48), სამარხი ძვ.წ. III ს. მეორე ნახევრითაა დათარიღებული (ჟორჟოლიანი, 1988, 52-54, ჯიქია, 1993, 72, ჟორჟოლიანი, 2013, 255), **ქვიტირში** - 1 ცალი სამარხი ძვ.წ III ს. (ჯიქია, 1993, 74, ხელაძე, 2014, 161) **ფერეთში** 1 ცალი (ხელაძე, 2014, 161) და **ქვედა მესხეთში** - 4 ცალი (ჯიქია, 1993, 69).

**ბატნაოხორუ:**

[26] ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ინახება მარტვილის მხარეთმოცნეობის მუზეუმში
[27] ნივთები ინახება ჩოხატაურის მხარეთმოცნეობის მუზეუმში.

სენაკის სამხრეთ გარეუბანში სოფელ ბატნაოხორუსთან გათხრილი ძვ.წ. III-II საუკუნეების ორი სამარხიდან (გრიგოლია და სხვ., 1973, 32-33) ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა N2 სამარხში (გ.ფ. N1705; გ.ფ. N1706). ბეჭდები ერთი ტიპისაა - ლითონის თხელი ფირფიტისგან გამოჭრილი მრგვალი ფარაკით და გახსნილი რკალით, რომელიც ერთიანდება ნაშრომში შემუშავებული ტიპოლოგიის VIII ჯგუფში.

**ქვევრსამარხი N2** - სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი, მძივწამოცმული საყურე-რგოლი, მოოქრული, თეთრსარტყლიანი და წვრილი მძივები, გველისთავებიანი სამაჯურები და ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი, რომელიც იდო სამარხის სამრხეთ-დასავლეთ ნაწილში სამაჯურებთან ერთად (ტაბ. IX, 117, ტაბ. VI, 41). სამარხი ძვ.წ. II ს. მიწურულით არის დათარიღებული (გვინჩაძე, 2003, 26).

**ეშერა:**

სოხუმის მუნიციპალიტეტში, ქვემო ეშერაში, ე.წ. ვერეშჩაგინის ბორცვზე გამოვლინდა ორი სამარხი. მათგან ერთი კრემაციულია, ხოლო მეორე ინჰუმაციური. სამარხები ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება[28].

N2 სამარხში, სხვა მრავალ ინვენტართან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი. ბეჭდები მიცვალებულს მარცხენა ხელის ერთ-ერთ თითზე ჰქონდა ჩამოცმული[29] (Куфтин, 1949, 55). ორივე ბეჭედი განსხვავებული ტიპისაა. ერთი მიეკუთვნება VI ტიპს - ბრინჯაოს მთლიანი ფირფიტისგან გამოჭრილი მართკუთხა ფარაკიანი, რკალგახსნილი ბეჭედი (ტაბ. IX, 122), ხოლო მეორე - IX ტიპს, სადაც ბეჭედი ცალკე გამოყოფილი ფარაკის გარეშეა (Куфтин, 1949, рис. 16).

კიდევ ერთი ბეჭედი აღმოჩნდა 1968 წლის კამპანიის დროს გამოვლენილ სამარხში, რომელიც "მეომარი ქურუმის სამარხად" არის მოხსენიებული (ლორთქიფანიძე 1975, 53). ბრინჯაოს იმპორტულა ბეჭედზე ფსიეა არის გამოსახული (ტაბ. V, 33).

**წინწყარო (ალგეთი):**

---

[28] ნივთები ინახება სოხუმის მუზეუმში.

[29] ბეჭდები ინახება სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ წინწყაროში, მდ. ალგეთის პირას, 1940 წელს, მიწის სამუშაოების დროს ადგილობრივმა მოსახლეობამ მიაკვლია სამარხს, რომლის მდიდრული ინვენტარის ნაწილი სახელმწიფო მუზეუმს გადასცეს (შატბერაშვილი 2005, დისერტაცია, 20).

მუზეუმისათვის გადმაცემულ ინვენტარს შეადგენდა ელექტრუმის ბაგისა და თვალის საფარები, ელექტრუმისვე ბალთები და სამაჯურები. ასევე იყო ვერცხლის სამაჯურები, რკალგახსნილი, ვერცხლისა და ბრინჯაოს საკინძები, ლანგრები, ჩამჩა, მინის ფიალა, ბრინჯაოს ლაგმები, ბრინჯაოსვე სამფეხა და ვერცხლის გარსაკრავები, ვერცხლის ოთხი ცალი ფარაკიანი ბეჭედი (გ.ფ. NN776, 777, 778, 779) (შატბერაშვილი 2005, დისერტაცია 20).

სამარხში გამოვლენილი ნივთები მიუთითებენ დაკრძალულის მაღალ სოციალურ-ქონებრივ მდგომარეობაზე. სამარხში ქალია დაკრძალული, რომელიც ადგლობრივი საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო (მარგიშვილი 1992, 82).

სამარხის თარიღთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ბორის კუფტინმა იგი დაათარიღა აქემენიდური ხანით (Куфтин, 1941, 34), ხოლო ცირა დავლიანიძე სამარხი ძვ.წ. IV საუკუნეს მიაკუთვნა (დავლიანიძე, 1976, 118-147), იულონ გაგოშიძემ სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებით დაათარიღა (Гагошидзе, 1983, 12). უკანასნელი კვლევებით, სამარხის თარიღს ნანა გოგიბერიძე ძვ.წ. IV ს. ბოლო მეოთხედით განსაზღვრავს (Гогиберидзе, 2003, 79), რასაც იზიარებდა სოსო მარგიშვილიც (მარგიშვილი 1992, 81).

ამავე პერიოდს უნდა მივაკუთვნოდ ძეგლზე აღმოჩენილი ფარაკიანი ბეჭდებიც (ტაბ. V, 25; ტაბ. VIII, 93, ტაბ. IX, 110). ყველა მათგანი დაზიანებულია, თუმცა ფარაკისა და რკალის ფორმის მიხედვით VII ჯგუფში უნდა გაერთიანდეს.

**ყანჩაეთი:**

ქსნის ხეობაში, ახალგორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყანჩაეთთან შემთხვევით გამოვლინა სამარხი (გაგოშიძე 1964, 10).

იულონ გაგოშიძის ცნობებით, ყანჩაეთის ადრეანტიკური სამარხის გადარჩენილი ინვენტარი 79 ნივთს შეადგენდა. მათგან 33 ვერცხლის ნივთია, 31 ბრინჯაოსი და 13 რკინის. ოქროს ნივთებს მუზეუმამდე არ მოუღწევია.

ძეგლის აღმომჩენის ცნობით, სამარხში, ჩონჩხის თავის ქალის მიდამოებში, ვერცხლის ფარაკიან ბეჭდებთან ერთად იმავე ტიპის ოქროს ორი რკალგახსნილი ბეჭედიც ყოფილა. მისივე თქმით, ერთი ბეჭედის ფარაკზე ირემი იყო გამოსახული, მეორეზე მჯდომარე მამაკაცი და მის წინ მდგარი ხელებგაშლილი ქალი (გაგოშიძე 1964, 13).

სამარხში გამოვლინდა ვერცხლის ორი ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. VIII, 89, გ.ფ. N1720; ტაბ. V, 24, გ.ფ. N1721) და ვერცხლის ერთი ფარაკიანი ბეჭდის ნატეხი, რომელიც სავარაუდოდ ორივე ბეჭდების ტიპის უნდა ყოფილიყო (გაგოშიძე, 1964, 27). დღეისათვის ყანჩაეთის სამარხი ნანა გოგიბერიძის მიერ ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედით არის დათარიღებული (გოგიბერიძე 2003, 79). აღნიშნული ბეჭდები ე.წ. იბერიული ტიპის ბეჭდებს მიეკუთვნება, რომელიც VII ტიპში ერთიენდება და ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნით ვათარიღებთ.

**საძეგური (ახალგორის განძი):**

1908 წელს, ახალგორის მუნიციპალიტეტში, სოფელ საძეგურის მახლობლად შემთხვევით აღმოჩენილ ე.წ. "ახალგორის განძში," რომელიც შეიცავდა დაახლოებით 150 - ზე მეტ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთებს, გამოვლინდა ვერცხლის ორი (ტაბ. VII, 81; ტაბ. IX, 109)[30] და ოქროს ორი (ტაბ. IX, 107, გ.ფ. N861, ტაბ. IX, 110, გ.ფ. N862) ფარაკიანი ბეჭედი. ოთხივე ბეჭედი რკალგახსნილია და წარმოადგენს VIII ტიპს, რომელსაც ძვ.წ. IV-III საუკუნეებით ვათარიღებთ. სმირნოვმა "განძი" ძვ.წ. VI-V საუკუნეებით დაათარიღა, თუმცა მოგვიანებით ძეგლის ცალკეული ნივთები ძვ.წ. IV-III საუკუნეებს მიაკუთვნეს. კვლევებმა ცხადყო, რომ ე.წ. ახალგორი განძი წარმოადგენდა მდიდრულ სამარხს, რომელიც, სავარაუდოდ წარჩინებული პირის კუთვნილება უნდა ყოფილიყო (Смирнов, 1934, 139-146, ლორთქიფანიძე 2003, 28-43).

**ციხია-გორა:**

[30] ნივთები ინახება შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

1972 წელს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ციხია-გორაზე აღმოჩნდა ორმოსამარხი N1. სამარხში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები შეისწავლა მ. ლორთქიფანიძემ (ლორთქიფანიძე, 1984). სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს არანაირი ცნობა სამარხის აგებულებისა და მასში აღმოჩენილი სხვა არტეფაქტის შესახებ.

მარგარიტა ლორთქფინაძე, თავის ხელნაწერში, სამარხში აღმოჩენილ სამ ნივთს განიხილავს: ორი ჭრილაფარაკიანი ბეჭედი და ერთი ლურჯი მინის მრავალწახნაგა (ლორთქიფანიძე, 1984,48-53). ორივე ბეჭდის ფორმა მსგავსია - ბრინჯაოს ერთი ფურცლისგან დამზადებული რკალგახსნილი, მრგვალფარაკიანი ბეჭდები (იხ.ტიპი IV). მსგავსი ტიპის ბეჭდები ძირითადად დასავლეთ საქართველოს სამაროვნებზე ფიქსირდება და ძვ.წ. III და II საუკუნეების სამარხებიდან მომდინარეობს. ერთ ბეჭედზე ისრით განგმირული ირემი ყოფილა გამოსახული (ტაბ. VIII, 91), ხოლო მეორეზე ფრინველი (ლორთქიფანიძე, 1984, 48-53).

**თოხლიაური:**

1958 წელს, საგარეჯოს რიაონ სოფელ თოხლიაურში შემთხვევით მიაკვლიეს სამარხს. სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს ზარაკები, მძივები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი და ფარაკის ნაწილი (ტაბ. XI, 148, გ.ფ N1217, ტაბ. VI, 138, გ.ფ.1218). სამრხი დათარიღებულია ძვ.წ. IV-III საუკუნეებით (Bill, 2003, 228). ნივთები ინახება ს. ნაჯაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმში.

# თავი IV. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების სოციალური მნიშვნელობა: დანიშნულება, გამოყენება, სოციალური სტატუსი და სქესობრივი კუთვნილება.

ლითონის ფარაკიანი ბეჭდების სამარხეული კონტექსტის განხილვამ შესაძლებლობა მომცა შემესწავლა ისეთი საკითხები, რაზეც მსჯელობა შემთხვევითი მონაპოვრის შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნებოდა.

წინამდებარე თავში შევეცდები პასუხი გავცე რიგ მნიშვნელოვან და დარგისთვის ამ ეტაპზე აქტუალურ კითხვებს. მაგალითად, რა იყო ლითონის ფარაკიანი ბეჭდის ძირითადი ფუნქცია, თუკი ბეჭედი გამოიყენებოდა როგორც საბეჭდავი, როგორი იყო საბეჭდავის მფლობელის სოციალური სტატუსი და გენდერული კუთვნილება. რომელი ხელი და თითი იყო განკუთვნილი საბეჭდავი ბეჭდის სატარებლად. კვლევის ფარგლებში ასევე განიხილება იყენებდა და ატარებდა თუ არა ინდივიდი ერთზე მეტ საბეჭდავს.

## §4.1 ფარაკიანი ბეჭდების დანიშნულება: საბეჭდავი, სამკაული, ამულეტი?

ფარაკიანი ბეჭდის ფუნქციური დანიშნულება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მათი სოციალური როლის განსაზღვრის პროცესში.

ჯონ ბორდმანის კვლევის მიხედვით, არქაული და კლასიკური ხანის ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები უმეტესწილად გამოიყენებოდა როგორც საბეჭდავი, ხოლო ძვირფასი ლითონებისგან - ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული ბეჭდები არასდროს გამოიყენებოდა საბეჭდავად და მათი ფუნქციური დატვირთვა მხოლოდ სამკაული იყო (Boardman, 1975, 20). ეს შესაძლებელია შეესაბამებოდეს სინამდვილეს იმ შემთხვევაში, როდესაც ოქროსა და ვერცხლის ფარაკიან ბეჭდებზე არ გხვდება მოხმარების კვალი. თუმცა, ამ მოსაზრების საპირისპიროდ, არსებობს მრავალი ანაბეჭდი მინოსური და მიკენური ოქროს ბეჭდებისა, რაც გვიდასტურებს ფაქტს, რომ ეს ბეჭდები საბეჭდავებადაც გამოიყენებოდა (Becker, 2018, 597).

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი კლასიკური თუ ადრე ელინისტური პერიოდის სამარხებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ფარაკიანი ბეჭდების აღმოჩენა სამარხებში სხვა ტიპის სამკაულისგან განსხვავებით შედარებით იშვიათია. აღნიშნული გარემოება განაპირობებს ვარაუდს, რომ ფარაკიანს ბეჭედს არ ჰქონდა მხოლოდ დეკორატიული დატვირთვა. ფარაკიან ბეჭედთა ფუნქცია არც მხოლოდ ამულეტი იქნებოდა, რადგან ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ, ფარაკიან ბეჭედთა წარმოებასა და მათ სამარხებში ჩატანებას უფრო მასობრივი ხასიათი უნდა ჰქონოდა. მეტად სავარაუდოა, რომ ბეჭდებს ძირითად პრაქტიკული - საბეჭდავის ფუნქცია ჰქონდათ.

ციხია-გორას სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი ორი ბულა, რომელიც თ. მათიაშვილს განსაზღვრული აქვს როგორც ფარაკიანი ბეჭდის ანაბეჭდები, პირდაპირი მტკიცებულებაა მათი საბეჭდავად გამოყენებისა. თიხის ერთ ბულაზე დატანილია ირმის ორი იდენტური, ხოლო მეორე ბულაზე მდგომარე კაცის შვიდი იდენტური გამოსახულება (მათიაშვილი, 2005, 22).

ვანის N9 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფარაკიანი ბეჭედიც საბეჭდავს უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც მასზე ბერძნული ასოებით ამოტვიფრული სიტყვა ΔΕΔΑΤΟΣ ნეგატიურად არის შესრულებული. არის შემთხვევები, როდესაც ინტალიოზე გამოსახულების მარჯვენა ან მარცხენა მხარეს მდებარეობა განსაზღვრავს, იყო თუ არა ეს კონკრეტული ნივთი განკუთვნილი დასაბეჭდათ. მაგალითად, კამარახევში აღმოჩენილი გრძელნაწნავიანი მდგომარე ქალი, რომელსაც ყვავილი მარცხენა ხელში უჭირავს, ხოლო გვირგვინი მარჯვენა დაშვებულ ხელში, ზუსტად იმეორებს ბერძნულ-სპარსული ტიპის ქვის საბეჭდავის მსგავს გამოსახულებებს (Boardman, 2001, pl. 903). ფარაკიანი ბეჭდის საბეჭდავად გამოყენება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს მათი სამაკაულისა და ავგაროზის ფუნქციასაც. ბეჭედს ასევე შეიძლება ჰქონოდა ინსიგნიის ფუნქციაც (გაბუნია, 2023, Gabunia, 2023).

ვანის, საირხისა და ტახტიძირის სამაროვნებზე, სამარხებში, მთავარ მიცვალებულთან ერთად ფიქსირდება თანმხლები პირების დაკრძალვა, რომელნიც თითქმის ყოველთვის შემკულნი არიან ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, თუმცა,

როგორც სამარხებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ფარაკიანი ბეჭდები ახლავს მხოლოდ მთავარ მიცვალებულს. მაგალითად, ვანის ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებულ N11 სამარხში, სადაც ძვირფასი სამკაულით შემკული ოთხი მიცვალებული იყო დამარხული (ლორთქიფანიძე და სხვ. 1972, 239) ოქროს ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ მთავარი მიცვალებულის ხელზე. ტახტიძის ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო ათწლეულით დათარიღებულ N3 სამარხში, სადაც ორი მიცვალებული იყო დამარხული, ვერცხლის ორი და ბრინჯაოს ერთი ბეჭედი სწორედ მთავარი მიცვალებულის ინვენტარს წარმოადგენდა. ვერცხლის ბეჭდები აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ხელზე, ხოლო ბრინჯაოს ბეჭედი - მიცვალებულის მარცხენა მხართან (გაგოშიძე, 2020, 61-63). მსგავსი შემთხვევა ფიქსირდება საირხის N1 და N8 სამარხებში. N1 სამარხში, სადაც გამოვლინდა ორი მიცვალებულის ნაშთი, ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ მთავარ მიცვალებულთან (მახარაძე, 2007, 40). ოთხი მიცვალებული აღმოჩნდა N8 სამარხში. ყველა მათგანი შემკული იყო ოქროსა და ვერცხლის სამკაულით, თუმცა ბრინჯაოსა და ვერცხლის ორ-ორი ბეჭედი გამოვლინდა მხოლოდ მთავარ მიცვალებულთან (მახარაძე, 2007, 61-71). ვფიქრობ, ფარაკიანი ბეჭედი ამ შემთხვევებში წარჩინებულობის მაჩვენებელი/სიმბოლო იყო, რაც არ გამორიცხავს მათ საბეჭდავად გამოყენებასაც.

ამრიგად, შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდო, რომ ფარაკიანი ბეჭედი გამოიყენებოდა არა მხოლოდ როგორც სამკაული ან ამულეტი, არამედ როგორც საბეჭდავი (Gabunia, 2023).

საბეჭდავის გავრცელება კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარებასთანაა დაკავშირებული. ჰეროდოტეს მიხედვით, სპარსეთის იმპერიაში საბეჭდავებს ფართოდ იყენებდნენ. მისი ცნობის თანახმად, ყველა ბაბილონელი ატარებდა საბეჭდავს (Herodotus 1.195). საბეჭდავის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველების ჰეროდოტეს „ისტორიების" მე - 3 წიგნში მოთხრობილი ამბავი კუნძულ სამოსის ტირანის, პოლიკრატეს შესახებ. როდესაც პოლიკრატეს მოსთხოვეს თავიდან მოეშორებინა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი, ის გემით გავიდა ზღვაში და თავისი საბეჭდავი წყალში გადააგდო (Herodotus 1.41. 1-2).

## §4.2. ფარაკიანი ბეჭდის მფლობელის სოციალური სტატუსი.

ვის ჰქონდა უფლება ეტარებინა საბეჭდავი ბეჭედი? ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ლითონის საბეჭდავ ბეჭედთა მფლობელის სოციალური სტატუსის განსაზღვრა წარმოადგენს.

სამარხეული კომპლექსების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ადრეანტიკურ ხანაში, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის საბეჭდავი ბეჭდების ტარება მხოლოდ დიდებულთა პრივილეგიაა. აღნიშნულს ადასტურებს ბრილის, ვანისა და საირხის ძვ.წ. VI ს-ის ბოლო და ძვ.წ. V საუკუნეების მდიდრული სამარხები.

საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებულ რიგითი მოსახლეობის არც ერთ სამაროვანზე არ გამოვლენილა ლითონის ფარაკიანი ბეჭედი (კიკეთი, კოდისწყალი, ბეშთაშენი, კუმისი, ვარსიმაანთკარი და სხვ.). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფიჭვნარის კოლხური სამაროვანი, სადაც ძვ.წ. V საუკუნის 500 - მდე სამარხია შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ დაკრძალულთა უმრავლესობა რიგით მეთემეებს წარმოადგენენ და სამარხეული ინვენტარი შედარებით მოკრძალებულია, მაინც გხვდება ადგილობრივი და იმპორტული კერამიკული ნაწარმი, მონეტები და ოქროს, ბრინჯაოსა და რკინის სამკაული. თუმცა, არცერთ სამარხში ფარაკიანი ბეჭედი არ არის აღმოჩენილი. საპირისპირო სურათი იკვეთება ფიჭვნარის ამავე პერიოდის ბერძნულ ნეკროპოლზე, სადაც გათხრილია სოციალურად საშუალო ფენის წარმომადგენელთა 320 სამარხი. სამაროვანზე აღმოჩენილია ოქროსა და ვერცხლის ფარაკიანი ხუთი ბეჭედი. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, ადგილობრივი კოლხური მოსახლეობისგან განსხვავებით, სოციალურად საშუალო საფეხურზე მდგომ ბერძნებს ფარაკიანი ბეჭდების ხმარების ტრადიცია ძვ.წ. V საუკუნეშიც ჰქონიათ.

ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში, ოქროსთან ერთად ჩნდება ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინისაგან დამზადებული ფარაკიანი ბეჭდებიც. სწორედ ამ პერიოდიდან იზრდება იმ სამარხთა რაოდენობა, სადაც ფარაკიანი ბეჭდებია აღმოჩენილი. მართალია, ძვ.წ. IV

საუკუნის მეორე ნახევრის მდიდრულ სამარხებში მრავლად არის გამოვლენილი ოქროს ნაკეთობები, თუმცა, სამარხებზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ამ პერიოდში ოქროს ფარაკიანი ბეჭდები თანდათანობით ხმარებიდან გამოდის და მას ან ვერცხლი ანაცვლებს, ან ბრინჯაო, ან რკინა. საინტერესოა, რომ გვაქვს შემთხვევები ოქროსა და ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდების ერთსა და იმავე სამარხში მოხვედრისა მაშინ, როცა ოქროსთან ერთად ბრინჯაოს ბეჭედი სამარხებში არ არის აღმოჩენილი. ბრინჯაო გვხვდება ან დამოუკიდებლად, ან ვერცხლთან და რკინასთან ერთად. აღნიშნული ტენდენცია შესაძლოა მიუთითებდეს ბეჭდის მასალის შერჩევის დროს სოციალურ ან ფუნქციურ დიფერენციაციაზე.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილი ადრეელინისტური პერიოდით დათარიღებული 611 სამარხიდან ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა მხოლოდ 53 სამარხში, რაც საერთო რაოდენობის 8% - ს შეადგენს. მაგალითად, დაბლაგომში გათხრილი ძვ.წ. IV-III საუკუნის 55 ქვევრსამარხიდან ბრინჯაოს ოთხი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ ოთხ სამარხში (სამარხები N4, N7, N12 და N 19) (Куфтин, 1950, 44). დაფნარში 38 ქვევრსამარხიდან მხოლოდ სამ მათგანში გამოვლინდა ბრინჯაოს ხუთი ფარაკიანი ბეჭედი  (კიღურაძე, 1976, 40-41, 53-54). სავარაუდოა, რომ ეს სამარხები ეკუთვნოდა მოსახლეობის საშუალო ფენის წარმომადგენლებს, თუმცა, რიგ შემთხვევებში მათშიც შეინიშნება ქონებრივი უთანასწორობა (ცხრილი 1).

საგულისხმოა, რომ საბეჭდავი ბეჭდები, როგორც წესი, სწორედ  ქონებრივად გამორჩეულ სამარხებშია აღმოჩენილი (ზემო ფარცხმა, დაბლაგომი, ითხვისი). მაგალითად ძვ.წ. III-II საუკუნეებით დათარიღებული ზემო ფარცხმის 25 სამარხიდან, ბრინჯაოს ხუთი ბეჭედი გამოვლინდა სამ სამარახში (სამარხები N13, N16, N18). მათგან N16 სამარხში სხვა მასალასთან ერთაც ათი ცალი კოლხური თეთრი აღმოჩნდა, რაც დაკრძალულის სოციალური კუთხით გამორჩეულობაზე უსვამს ხაზს (დიაგრამა 1).

| სამაროვანი | სამარხების რაოდენობა | ბეჭდიანი სამარხების რაოდენობა |
|---|---|---|
| ნოქალაქევი | 42 | 10 |

| | | |
|---|---|---|
| ზემო ფარცხმა | 35 (9 უინვენტარო) | 3 |
| დაფნარი | 38 | 3 |
| დაბლაგომი | 55 | 5 |
| ფარცხანაყანევი | 14 | 1 |
| გუადიხუ | 91 | 6 |
| მოდინახე | 15 | 1 |
| საირხე | 14 | 4 |
| ითხვისი | 21 | 1 |
| ბრილი | 25 | 1 |
| ვანი | 28 | 9 |
| ფიჭვნარი | | |
| ბერძნული ნეკროპოლი (ძვ.წ. V ს) | 320 | 5 |
| ბერძნული ნეკროპოლი (ძვ.წ. IV ს) | 136 | 11 |
| ელინისტური ხანის სამაროვანი | 349 | 15 |

***ცხრილი 1.*** *ფარაკიანი ბეჭდების გავრცელება კოლხეთის სამაროვნებზე*




***დიაგრამა 1.*** *ფარაკიანი ბეჭდების გავრცელება კოლხეთის სამაროვნებზე*

საბეჭდავ ბეჭედთა მფლობელის სოციალური კუთვნილების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია ქვემო ქართლის მასალები, სადაც სისტემური გათხრების შედეგად ჩვენთვის საინტერსო პერიოდის 10 სამაროვანია მეტნაკლებად შესწავლილი, ხოლო ამ სამაროვნებიდან მომდინარე ფარაკიან ბეჭედთა საერთო რაოდენობა 21 - ია (ცხრილი 2).

| **სამაროვანი** | **სამარხების რაოდენობა** | **ბეჭდიანი სამარხების რაოდენობა** |
|---|---|---|
| ასურეთი, სამაჩვეთი | 32 | 1 |
| აბელია | 25 | 1 |
| არდასუბანი | 4 | 1 |
| პაპიგორა | 79 | 1 |
| გარისის გორა | 4 | 1 |
| ეცო | 109 | 7 |
| სხალთა | 60 | 2 |
| ღრმახევისთავი | 43 | 1 |
| კუშჩი | 5 | 1 |
| კამარახევი | 190 | 2 |
| უფლისციხე | 10 | 3 |
| ტახტიძირი | 23 | 11 |
| ოხერახევი | 58 | 3 |
| ნაომარი გორა | 5 | 2 |
| წნისისხევი | 45 | 3 |
| ვარსიმაათკარი | 179 | 3 |

***ცხრილი 2.*** *ფარაკიანი ბეჭდების გავრცელება იბერიის სამაროვნებზე*

სოსო მარგიშვილმა ქვემო ქართლის სამაროვნები სამ ჯგუფად დაჰყო და სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიაკუთვნა. პირველ ჯგუფში გააერთიანა ალგეთის (წინწყაროს) სამარხი და შავსაყდარა II მდიდრული სამარხები და მათში

დაკრძალულები ქონებრივად და სოციალურად დაწინაურებულთა წრეს მიაკუთვნა (მარგიშვილი, 1992, 98).

სამარხთა მეორე ჯგუფში სოსო მარგიშვილი აერთიანებს პაპიგორის სამაროვნის N49 ქვევრსამარხს, ასევე ენაგეთის სამაროვის N1, კუშჩის N3, არდისუბნის N1 და გარისის გორის (თეთრიწყარო) N23 სამარხებს (მარგიშვილი 1992, 99). მისი თქმით, ამ სამარხთა ინვენტარი საგრძნობლად არ განსხვავდება რიგითი სამარხებისგან, თუმცა, მათში გხვდება ძვირფასი ლითონის სამკაული და გამორჩეული ჭურჭელი, რაც უცხოა რიგითი მოსახლეობის სამარხებისათვის. მარგიშვილის აზრით, ამ ჯგუფსა და რიგით სამარხებს შორის სოციალური განსხვავება აშკარაა და საქმე უნდა გვქონდეს რიგით მოსახლეობაში არსებულ ქონებრივ უთანასწორობასთან (მარგიშვილი, 1992, 99).

მესამე და ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს რიგითი მოსახლეობის სამარხები შეადგენს. მათში ინვენტარი საკმაოდ ღარიბულია და წარმოდგენილია თიხის ჭურჭლის, ბრინჯაოს, რკინის და იშვიათად ვერცხლის სამკაულით (მარგიშვილი, 1992, 101).

როგორც დავინახეთ, ქვემო ქართლის მდიდრული სამაროვნებიდან ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩენილია წინწყაროში, ხოლო შავსაყდარა II - ის ყველა მდიდრული სამარხი გაძარცვულია (მარგიშვილი, 1992, 10-23). რიგით სამაროვნებზე ფარაკიანი ბეჭდები ფიქსირდება მხოლოდ ერთეულ სამარხებში. ეს სამარხები უმეტეს შემთხვევაში განსხვავებულია სხვა რიგითი სამარხებისაგან ინვენტარის მრავალფეროვნებით. აქვე დავამატებ, რომ მარგიშვილის მიერ მეორე ჯგუფში გაერთიანებულ ყველა სამარხში, რომელთაც რიგითი სამარხებისგან სოციალური სტატუსით გამოარჩევს და ქონებრივ უთანასწორობას მიაწერს, აღმოჩენილია ფარაკიანი ბეჭედიც (პაპიგორა N49, კუშჩი N3, არდისუბანი N1, ენაგეთი N1).

აღნიშნული მაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ განსხვავებით ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო და V საუკუნეებისა, როდესაც ფარაკიანი ბეჭედი სოციალურად მხოლოდ დაწინაურებული ფენის წარმომადგენელს ეკუთვნოდა, ძვ.წ. IV-III სს-ში საბეჭდავი ბეჭდის მფლობელი შეიძლება ყოფილიყო მოსახლეობის რიგითი ფენის

წარმომადგენელიც, თუმცა, ის უჭველად განსხავებული სოციალური სტატუსის მატარებელი უნდა ყოფილიყო (Gabunia, 2023).

ძვ.წ. IV-III საუკუნეებში, ლითონის ფარაკიანი ბეჭდის მფლობელი რომ უეჭველად განსხვავებული ქონებრივი სტატუსის მატარებელია და ამასთანავე განსაკუთრებული იურიდიული სტატუსის მქონე ინდივიდია, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ისეთი დიდი სამაროვნების გათხრებისას, როგორიცაა: აბელია, პაპიგორა, გარისის გორა, ეცო, კამარახევი, სამაჩვეთი, საბეჭდავი ბეჭდები სამარხებში ერთეულების სახით ფიქსირდება (დიაგრამა 2). ხოლო ამავე პერიოდის მრავალ სამაროვანზე - აბულმუგი, შავსაყდარა I, გომარეთი - საბეჭდავები საერთოდ არ აღმოჩენილა (გაბუნია, 2023). აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეელინისტური პერიოდით დათარიღებული, გათხრილი და შესწავლილი 848 სამარხიდან ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ 43 - ში, რაც საერთო რაოდენობის 5 % - ს შეადგებს.




***დიაგრამა 2.*** *ფარაკიანი ბეჭდების გავრცელება იბერიის სამაროვნებზე*

## §4.3. ფარაკიანი ბეჭდის მფლობელის სქესობრივი კუთვნილება.

მიუხედავად იმისა, რომ სამარხთა უმეტესობაში სქესი არ არის განსაზღვრული, კვლევამ დაგვანახა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდები ძვ.წ. VI საუკუნიდან მოყოლებული ძვ.წ. IV-II სს. ჩათვლით, გარდა მამაკაცებისა, დადასტურებულია ქალების სამარხებშიც (კუშჩი, ფიჭვნარი, ვანი, ითხვისი, კამარახევი, ტახტიძირი, ალგეთი, საძეგური, ვარსიმაანთკარი) და მეტიც, ძვ.წ. VI ბოლო და V საუკუნეში ბეჭდების უმავლესობა სწორედ ქალთა სამარხებში აღმოჩნა (ბრილი, საირხე, ვანი).

ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანებით დათარიღებული ვანის წარჩინებული კოლხი ქალის N11 სამარხი ერთ-ერთი ყველაზე მდიდრულია კოლხეთში. სამარხში ოთხი ადამიანის ჩონჩხი ფიქსირდება, რომლებიც შემკულნი იყვნენ სამკაულით, ხოლო მთავარი მიცვალებული გამოირჩეოდა ყველაზე მდიდარი შემკულობით, რაც უსვამდა ხაზს მის სოციალურ სტატუსს. ოქროს ერთი ფარაკიანი ბეჭედი სწორედ მისი კუთვინილება იყო (ლორთქიდანიძე და სხვ. 1972, 239). ქალისაა ვანის N6 სამარხიც, რომელშიც ოთხი ცალი ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა (ხოშტარია და სხვ. 1972, 115-117).

ტახტიძირის N5 სამარხის ინვენტარი 20 წლის ქალის კუთვნილებაა, რომელიც, სავარაუდოდ, ბავშვთან ერთად იყო დაკრძალური. ვერცხლის თითო ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა მიცვალებულის ორივე ხელზე (გაგოშიძე, 2020, 70-72).

კამარახევში, სადაც ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული 34 სამარხია გამოვლენილი, ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა მხოლოდ ქალთა სამარხებში (სამარხი N9 და N65) (რამიშვილი, 1959:10-16; ჯღარკავა, 1982, 162).

სხალთას სამაროვანზე, სადაც ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული 60 სამარხია გათხრილი, ბრინჯაოს ფარაკიანი სამი ბეჭედი გამოვლინდა ორ სამარხში. მათგან ერთი სამარხი N1 ქალის კუთვნილებაა (ნიკოლაიშვილი და სხვ. 2010, 433).

ითხვისის სამაროვანზე, სადაც გაითხარა 21 სამარხი, ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი მხოლოდ N2 სამარხში აღმოჩნდა, რომელიც ასევე ქალისაა. სამარხში გამოვლინდა ორი ქალი და ერთი ბავშვის ჩონჩხი. ბრინჯაოს ბეჭედი

მთავარი მიცვალებულის კუთვნილებაა. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებით თარიღდება (გოგიბერიძე, 2003, 79).

საინტერესო ვითარებაა ვარსიმაანთკარის სამაროვანზე, სადაც დაკრძალვის წესისა და ანთროპოლოგიური მონაცემების მიხედვით, დაკრძალულთა უმრავლესობა მამაკაცია, ქალი 57-ია, 11 ბავშვია. ფარაკიანი ბეჭედი კი მთელს სამაროვანზე მხოლოდ ქალის ორ და ბავშვის ერთ სამარხში გამოვლინდა (მუხიგულაშვილი, 2022).

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალები ცდილობდნენ მიეღწიათ საზოგადოებაში იმ პოზიციებისათვის, რომლებიც განეკუთვნებოდნენ მამაკაცურ სფეროებს. საისტორიო წყაროების თანახმად, ცნობილია, რომ იყვნენ მმართველი ქალები, ქურუმი ქალები, გადამწერი ქალები და ა.შ. (Seibert, 1973: 58-59). შუმერულ, ძველ ასირიულ და ძველ ბაბილონურ პერიოდში ქალის საბეჭდავის სტილი არ განსხვავდებოდა კაცის საბეჭდავის სტილისაგან (Stol, 2013, 388-89).

საქართველოს ტერიტორიაზე ფარაკიან ბეჭედთა ქალების სამარხებში აღმოჩენა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი ხასიათის არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, საზოგადოებაში ქალს შეთავსებული ჰქონდა ისეთი ფუნქციებიც, რაც საბეჭდავი ბეჭდის გამოყენებას საჭიროებდა. ქალი უძღვებოდა საშინაო მეურნეობას, გამომდინარე აქედან, ის ვალდებული იყო დაებეჭდა, მაგალითად, პროდუქტი, როგორც ეს მოთხრობილია ქალაქ მარის დედოფალ შიბტუმის შესახებ ზემოთ მოტანილ ცნობებში. ვანისა და საირხის სამარხებში აღმოჩენილი სარიტუალო ნივთებიდან გამომდინარე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ სამარხებში დაკრძალულნი იყვნენ ქურუმი ქალები (ინაძე, 1986, 42-49), ხოლო ქურუმ ქალთა ერთ-ერთი აუცილებელ ატრიბუტს, როგორც ჩანს, სწორედ საბეჭდავი ბეჭედი წარმოადგენდა.

ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ქალის სამარხებში ჩატანება დადასტურებულია ასევე პონტოს აპოლონიის ადრეელინისტურ სამაროვანზე. ჩეჩევას მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით იმ 23 სამარხიდან, სადაც ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა 13 შემთხვევაში დაკრძალული იყო ქალი, რაც მიანიშნებს მსგავს ტენდენციაზე ფართო რეგიონულ კონტექსტშიც.

## §4.4. ბავშის სამარხებში აღმოჩენილი ფარაკიანი ბეჭდები.

ფარაკიანი ბეჭდები აღმოჩენილია ბავშვის სამარხებშიც, თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათია და მხოლოდ 12% შეადგენს ბავშვის იმ სამარხებისა, სადაც ფარაკიანი ბეჭედია დადასტურებული. ბავშვის სამარხში ფარაკიანი ბეჭდის ჩატანება ჩვენთვის ცნობილი სამაროვნებიდან დადასტურებულია ექვს მათგანზე, სულ რვა სამარხში. (ნოქალაქევი - სამარხი N3; ვანი - სამარხი N10; ფიჭვნარი - სამარხი N93; ეცო - სამარხი N17; 64; ტახტიძირი - სამარხი N8, 12, 16, ვარსიმაანთკარი - სამარხი N153).

ნოქალაქვის **N3** ბავშვის ორმოსამარხში ბრინჯაოს სამი ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა, სამივე მათგანი რკალგახსნილია. გარდა ბეჭდებისა, სამარხეული ინვენტარი შეიცავდა ბრინჯაოს წყვილ საყურე რგოლს, მძივებს, ორ ცალ სამაჯურს. (ზამთარაძე, 1987, 215). ვანის N10 ბავშვის სამარხი მდიდრული ინვენტარით გამოირჩეოდა. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა წყვილი სასაფეთქლე რგოლი, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯური, ვერცხლის და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები, ბრინჯაოს ფარაკზე გამოსახულება არ იყო (სავ. N07-1:69/379, გ.ფ N1216). გარდა სამკაულისა, სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის კოლხური მონეტა და კერამიკული ნაწარმი (ლორთქიფანიძე და სხვ., 1972, 212, 213; თოლორდავა, 1986, 92). ბრინჯაოს ფარაკიანი თითო ბეჭედი აღმოჩენილია ეცოს N17 და N64 ბავშვის სამარხებში (შატბერაშვილი, 2020, 23-35, 50). ბავშვისაა ტახტიძირის N8, N12, N16 და N20 სამარხები. N8 სამარხში რომელშიც რამდენიმე მიცვალებული ესვენა ბავშვის ძვლებთან გამოვლინდა ბრინჯაოსა და ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდები (გ.ფ. N1453, 1454). სამარხი N12 - ში წლამდე ჩვილი იყო დაკრძალული. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ორი ფარაკიანი ბეჭედი (გ.ფ. N1451; 1452). ერთი მათგანი გამოვლინდა მიცვალებულის მარჯვენა ხელზე, მეორე - მარცხენაზე. სამარხში ასევე დაფიქსირდა ვერცხლის სამაჯურები, თიხის ჭურჭელი, მინის ალაბასტრონი, ბრინჯაოს ილარი, ბრინჯაოსა და ვერხლის საყურე რგოლები, ოქროს, ვერცხლისა და მინის მძივები, (გაგოშიძე, 2020, 125). **N16 სამარხი** დაახლოებით შვიდი წლის ბავშვს ეკუთვნოდა. ვერცხლის სამი (გ.ფ. N1460, 1461, 1462) და ბრინჯაოსა ერთი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მიცვალებულის ხელთან, რკინის ბეჭედი კი ყელის

არეში. სამარხში ასევე გამოვლინდა თიხის ჭურჭელი, პასტის იოტები, თვალადი მძივები, ოქროს გოფრირებული მძივები, ბრინჯაოს ილარი, ზარაკები, ვერცხლის ფიბულა, ოქროს საყურე რგოლები, ვერცხლის სამაჯურები (გაგოშიძე, 2020, 135). ბავშვის კუთვნილებაა ვარსიმაანთკარის სამაროვნის N153 სამარხი, რომელშიც სხვა ინვენტართან ერთად ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა (მუხიგულაშვილი, 2022, 91-92). ფიჭვნარის ელინისტურ სამაროვანზე დადასტურებულია ბავშვის კრემაციული სამარხი N93. სამარხში გამოვლინდა იმპორტული დოქი, ბრინჯაოს ექვსი ცალი სამაჯური, ხუთი ცალი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, სამ მათგანზე გამოსახულების გარკვევა ჭირს, წყვილი ვერცხლის საყურე რგოლი, სინოპური მონეტა და მინის მძივები (კახიძე & ვაშაკიძე, 2010, 223).

ლითონის ფარაკიანი ბეჭდის აღმოჩენა ბავშვის სამარხში დადასტურებეულია პონტოს აპოლონიის სამაროვანზეც - სულ სამ სამარხში. სამივე ბეჭდის მცირე ზომიდან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ ბეჭდებს ბავშვები სიცოხლეშივე ატარებდნენ (Chacheva, 2016, 147).

ფარაკიან ბეჭედთა სამარხში ჩატანება შემთხვევითი ხასიათის არ უნდა იყოს, თუმცა, რა დანიშნულებით ატანდნენ ბავშვებს ბეჭდებს დანამდვილებით თქმა ძნელია და ამის შესახებს მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა არის შესაძლებელი. თითქმის ყველა ბეჭედი, რომელიც ბავშვის სამარხებშია აღმოჩენილი რკალგახსნილია. შესაბამისად, დასაშვებია ვარაუდი, რომ ბეჭდებს ბავშვები სიცოცხლეშივე ატარებდნენ, თუმცა, ბეჭდის დანიშნულება, ალბათ, უფრო ავგაროზი და სამკაული იქნებოდა, რომელსაც, ბავშვი გარდაცვალების შემდგომ ცხოვრებაშიც გამოიყენებდა.

## §4.5. ერთ სამარხში აღმოჩენილი რამდენიმე ფარაკიანი ბეჭედი.

დანამდვილებით იმის თქმა, იყენებდა თუ არა ერთი ადამიანი რამდენიმე საბეჭდავს ერთდროულად შეუძლებელია, თუმცა ეს შესაძლებლობა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ შემთხვევაში, თუ ერთ ინდივიდთან სამარხში ერთზე მეტი ბეჭედია აღმოჩენილი, როგორც ეს ჩვენს მიერ განხილულ

მასალაში გვხვდება.

აწყურის ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული N3 სამარხი შეიცავდა ბრინჯაოს ექვს ფარაკიან ბეჭედს (ლიჩელი, 2011, 25-47). ვანის N19 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული, ვერცხლის ორი ბეჭედი გამოვლინდა მიცვალებულის მარჯვენა ხელის ერთ თითზე (მათიაშვილი, 2011, 16). ვერცხლის ორი და ბრინჯაოს სამი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა ტახტიძირის N20 სამარხში. მათგან ოთხი ბეჭედი დადასტურდა მიცვალებულის მარჯვენა ხელთან ხოლო ბრინჯაოს ერთი ბეჭედი მარცხენასთან. N17 სამარხში მიცვალებული რკინის ბეჭედი ეკეთა მარცხენა თითის მეორე ფალანგაზე, ხოლო ვერცხლის ბეჭედი მარჯვენა ხელის არათითზე (გაგოშიძე, 2000, 140-150). ოქროს ორი და ვერცხლის ხუთი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა ვანის N24 სამარხში მთავარი მიცვალებულის მარჯვენა ხელის არეში. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით არის დათარიღებული (Kacharava & Kvirkvelia, 2009, 282-83). ოქროს ორი და ვერცხლის ორი ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა ვანის N9 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებით არის დათარიღებული (ლორთქიფანიძე და სხვ., 1972, 203).

მსგავსი ვითარებაა ნოვოროსიისკის მიდამოებში გამოვლენილ სამაროვანზე - “ზატირსკი 1”, სადაც ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული სამაროვნის გათხრებისას ლითონის ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა 11 სამარხში, სულ 26 ცალი. მაგალითად N15 სამარხში აღმოჩნდა სულ ხუთი ბეჭედი, რომელთაგან ორი მიცვალებულს ეკეთა მარჯვენა ხელზე, ერთი - მარცხენაზე, ხოლო ორი აღმოჩნდა სამარხის მარჯვენა მხარეს (Трейстер и дрг., 2014, 236)

სხვასხვა საბეჭდავის გამოყენებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ძველი აღმოსავლური ცნობა ქალაქ მარის დედოფალ შიბტუმის შესახებ. დედოფალმა მიიღო წერილი ქმრისაგან, რომელიც სთხოვდა მეუღლეს, მისი ნივთები დაებეჭდა იმ საბეჭდავით, რომელზეც იყო წარწერა “სიბტუმი, იარიმ-ლიმის შვილი, ზიმრი-ლიმის მეუღლე” (Stol, 2013, 388).

ვოლენფელსი ურუქის ლურსმული წარწერების ანაბეჭდების მიხედვით მოგვითხრობს ერთი კაცის შესახებ, რომელიც ძვ. წ. 276 წლიდან 230 წლამდე,

დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მოიხმარდა შვიდ საბეჭდავს და ავტორის თქმით, ეს საერთო წესი იყო სხვებისთვისაც (Wallenfels, 1996, 119). ვოლენფელსი, ასევე აღნიშნავს, რომ ინდივიდი საბეჭდავს ცვლიდა საშუალოდ ყოველ მეშვიდე ან მერვე წელს, ხოლო ახალი საბეჭდავის მიღების შემდეგ ძველი ნადგურდებოდა (Wallenfels, 1990, 756-757).

წერილობითი წყაროების მიხედვით, ერთადერთი ადამიანი, რომელიც რამდენიმე განსხვავებულ საბეჭდავს მოიხმარდა, იყო რომის იმპერატორი ავგუსტუსი. ის იყენებდა ოთხ სხვადასხვა საბეჭდავს, თუმცა არა ერთდროულად, არამედ სხვადასხვა დროს (Simpson, 2005, 185-188).

მართალია, წერილობითი წყაროები ამას არ გვიდასტურებენ, თუმცა არქეოლოგიური მონაცემები - კერძოდ, სამარხებში რამდენიმე ფარაკიანი ბეჭდის ერთროულად აღმოჩენა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ადამიანი ერთდროულად იყენებდა რამდენიმე განსხვავებულ საბეჭდავს.

ნაშრომში განხილულ სამარხებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ერთსა და იმავე მიცვალებულს ზოგ შემთხვევაში ერთდროულად ჩანატებული ჰქონდა ერთი ან სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული რამდენიმე ფარაკიანი ბეჭედი. ბეჭდები მიცვალებულს ეკეთა ორივე ხელზე, სხვადასხვა ან ერთსა და იმავავე თითზე ორი ბეჭედი ერთად. ბეჭდები ძირითადად აღმოჩენილია მიცვალებულის მარჯვენა ხელზე.

ჯონ ბორდმანის ცნობის მიხედვით, ოლიმპოს სამაროვანზე ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედები მიცვალებული მარცხენა ხელის შუა თითზე იყო მოთავსებული (Boardman, 1970, 237). საინტერესოა, რომ მსგავსი ტენდენცია დასტურდება ფიჭვნარის ბერძულ სამაროვანზე, სადაც ბეჭდები ძირითად სწორედ მიცვალებულის მარცხენა ხელის არეშია აღმოჩენილი. ეს გარემოება, შესაძლოა, მანიშნებელია იმისა, რომ ფიჭვნარის ბერძნულ მოსახლეობაში ბეჭდების მარცხენა ხელზე ტარების ტრადიცია კვლავ შენარჩუნებული იყო. ლითონის ფარაკიანი ბეჭდები უმეტესად მარცხენა ხელზეა გამოვლენილი ასევე თრაკიაშიც, პონტონს აპოლონიის ადრეელინისტურ სამაროვანზე. ბეჭდები ძირითად შემთხვევაში აღმოჩნილია მესამე და მეოთხე თითზე. ზოგ შემთხვევაში ერთ თითზე

დაფიქსირებულია ორი ან მეტი ბეჭედი (Checehva, 2017, 135-136).

განსხვავებით ოლიმპოსა და პონტოს აპოლონიის სამაროვნებსგან, სადაც, მიცვალებულს საბეჭდავი ბეჭედი ეკეთა ყოველთვის მარცხენა ხელის მესამე, ან მეოთხე თითზე, საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია ადგილობრივ მოსახლეობის სამარხებში ამგვარი წესი არ ფიქსირდება.

მნიშვნელოვანია ასევე ფაქტი, რომ ლითონის ფარაკიანი ბეჭდების დიდ ნაწილზე შეინიშნება ხმარების კვალი - მაგალითდ ზედაპირის ცვეთა და ფარაკზე ზემოქმედების ნიშანი. აღნიშნული მახასიათებელი მიუთითებს ბეჭდების სიცოცხლეშივე აქტიურ გამოყენებაზე და გამორიცხავს ვარაუდოს რომ ისინი მხოლოდ სამარხში ჩასატანებლად იყო დამზადებული.

# თავი V. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ტიპოლოგია და ქრონოლოგია

თითზე სატარებელი ლითონის პირველი ფარაკიანი ბეჭდები საბერძნეთსა და ეგვიპტეში ბრინჯაოს ხანიდან დასტურდება (Marshall, 1907, XV). ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ანტიკური ბეჭდების ფორმებს, ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა ინგლისელმა მეცნიერმა, ფ. მარშალმა (Marshall, 1907).

ანტიკური ბეჭდების ფორმების დღეისათვის გავრცელებული კლასიფიკაცია ინგლისელ მკვლევარს, ჯონ ბორდმანს ეკუთვნის, რომელმაც, თავის ნაშრომში ფარაკისა და რკალის ფორმის მიხედვით გამოჰყო ბეჭდების 17 ტიპი და შესაბამის ქრონოლოგიურ ჯგუფებს მიაკუთვნა. ბორდმანი აღნიშნავს, რომ გარდა მის მიერ განხილული ტიპებისა, არსებობს ბეჭდების მრავალრიცხოვანი ლოკალური ვარიანტები (Boardman, 1970, 212).

ბორდმანის კლასიფიკაციის მიხედვით, სტანდარტული ფორმა ადრეული კლასიკური ხანის ბეჭდებისათვის არის გვიან არქაული პერიოდის ფოთლისებურფარაკიანი, მრგვალრკალიანი ბეჭდები. ძვ.წ. IV საუკუნეში ფარაკი ფართოვდება და ოვალლურ ფორმას იძენს. ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულისთვის გავრცელებული ფორმაა დიდი, მრგვალი ფარაკი და მასიური რკალი. ამავე პერიოდში პოპულარობით სარგებლობს ე.წ. ოვალურ-წრიული ფარაკები დაწახნაგებული რკალით (Boardman, 1970, 212).

აქემენიდურ ბეჭდებს შორის, ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს პატარა, წაწვეტებულფარაკიანი, წვრილრკალიანი ბეჭდები. გვხვდება ასევე მრგვალი და ოვალური ფარაკიც. რკალი ხშირ შემთხვევაში დაწახნაგებულია.

ეს და ამ ტიპის სხვა ბეჭდები ყველაზე უკეთ ოქსუსის განძით არის წარმოდგენილი, ხოლო ამავე ტიპის კვიპროსისა და მემფისის ბეჭდები პროვინციული წარმოშობისაა (Boardman, 1970, 322). აქემენიდური ფარაკიანი ბეჭდების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციის წყაროს სპარსეთსა და მესოპოტამიაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული თიხის ანაბეჭდები წარმოადგენს. განსაკუთრებით საინტერესოა ურის სპარსულ

სამარხებში აღმოჩენილი ბეჭდის ანაბეჭდები, ასევე ნიფურისა და პერსეპოლისის ლურსმულ დამწერლობიანი ფირფიტები, რომელზეც წაწვეტებული და ოვალურფარაკიანი ბეჭდის ანაბეჭდებია დაფიქსირებული (Boardman, 1970, 322).

კლასიკურ პერიოდში ბეჭდები ძირითადად ძვირფასი ლითონების, ოქროსა და ვერცხლისგან მზადდებოდა. იშვიათად გამოიყენებოდა ელექტრუმი. ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული ბეჭდის თითქმის ყველა ტიპი ბრინჯაოშიც მეორდება, თუმცა, როგორც ბორდმანი აღნიშნავს, შესრულების დონე და კვეთის ხარისხი მკვეთრად განსხვავდება ოქროსა და ვერცხლის ბეჭდებისაგან (Boardaman, 1970, 215). არსებობს რკინის ფარაკიანი ბეჭდებიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა კოროზირებულია, რაც შეუძლებელს ხდის ბეჭდის ფორმების განსაზღვრასა და ფარაკზე გამოსახულების გარჩევას.

რაც შეეხება ბეჭდების დამზადების ტექნიკას. ბორდმანის კვლევის მიხედვით, ე.წ. მძიმე ბეჭდები ჩამოსხმული იყო სამნაწილიან ყალიბში. ბეჭდების დამზადების ნახსენებ ტექნიკას ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იყენებდნენ. პირველი და მეორე ტიპის ბეჭდის ფარაკი და რკალი ცალ-ცალკე მზადდებოდა და შემდეგ ხდებოდა მათი ერთმანეთზე მირჩილვა, ხოლო ზოგიერთი ბეჭედი არქაულ პერიოდში მიღებული წესით მზადდებოდა, რაც ფარაკის გამოჭედვას და შემდეგ რკალის ბოლოების ერთმანეთზე მირჩილვას გულისხმობდა (Boardman, 1970, 215).

ფარაკიანი ბეჭდების ლოკალურ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ბეჭდებიც, რომელთა უმეტესობა, სხვადასხვა მეცნიერის აზრით, ადგილობრივი ნაწარმია (ლორთქიფანიძე, 1975; ლორთქიფანიძე, 1981; გაგოშიძე, 2009, 16; ჯავახიშვილი, 2015). აღნიშნული ბეჭდები არ არის ერთგვაროვანი და მათში რამდენიმე ტიპის გამოყოფაა შესაძლებელი, რაც ჩემი კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადგილობრივი ფარაკიანი ბეჭდები ორგვარია - რკალშეკრული და რკალგახსნილი. ორი ჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი რკალგახსნილ ბეჭდებშიც: ბეჭდები, რომლის რკალის ბოლოები ერთმანეთზეა გადასული და ბეჭდები რომლის რკალის ბოლოები პირი-პირზეა მიბჯენილი. მარგო ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, რომ რკალგახსნილი ბეჭდები

მხოლოდ საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი თუმცა, რკალგახსნილი ბეჭდები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა პანტიკაპეიონში, დნეპრიისპირეთსა და ყობანის ყორღანებში. იულონ გაგოშიძე და ქეთევან ჯავახიშვილი ფიქრობენ, რომ ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და საქართველოში ამ ტიპის ბეჭდები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა შექმნილიყო (გაგოშიძე, 1964, 33; ჯავახიშვილი, 2015, 6). რკალგახსნილი ფარაკიანი ბეჭდები ასევე აღმოჩენილია ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული დევე-ჰუიუკის ე.წ. სამხედრო სამაროვანზე, თურქეთში (Moorey, 1980, 85, fig. 12).

მარგარიტა ლორთქიფანიძე თავის ნაშრომში ფორმის მიხედვით ბეჭდების ოთხ ძირითად ტიპს გამოჰყოფდა: რკალგახსნილი და რკალშეკრული ფარაკიანი ბეჭდები,რკალგახსნილი რგოლები და მასიური ბეჭდები (ლორთქიფანიძე, 1969, 47).

გარდა ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაოსა, სამარხებში მრავლად არის აღმოჩნილი რკინის ფარაკიანი ბეჭდებიც. რკინის ბეჭდები, უმეტეს შემთხვევაში ძლიერ კოროზირებული და ფრაგმენტულია, რაც ხელს უშლის მორფოლოგიურ და ტექნოლოგიურ მახასიათებლებზე დაფუძნებული ტიპოლოგიის შექმნის მცდელობას. სამარხებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ რკინის ბეჭდები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მხოლოდ ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებიდან ვრცელდება. საგულისხმოა, რომ რკინის ბეჭდების გავრცელების კუთხით მგავსი ვითარებაა აპოლონიასა (დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე, შავი ზღვის სამხრეთ დასავლეთ სანაპირო, თრაკია) და ოლინთოსში. აღნიშნულ ძეგლებზე რკინის ბეჭდები სწორედ ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება (Chacheva, 2017, 141; Robinson, 1941, 132-158)

მორფოლოგიურად, რკინის ბეჭდები ბრინჯაოსთან შედარებით მეტად დიდი და მძიმეა, ფარაკი ძირითად შემთხვევაში მრგვალია, გვხვდება ოვალურებიც. ბეჭდების ცუდი დაცულობის გამო რთულია დანამდვილებით ითქვას იყო თუ არა მასზე გამოსახულებები, თუმცა, ცნობილია დიდი რაოდენობით რკინის ფარაკიანი ბეჭდები, რომელებზეც გამოსახულებებია დატანილი.

რკინის ფარაკიანი ბეჭდების სამკაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი გამოვლენილია ცენტრალური საბერძნეთში - კორიკოსის გამოქვაბულში (Zagdoun, 1984, N6, 10, 33-45). თრაკიაში, ელინისტური პერიოდის სამარხებში, კერძოდ მესარაბიასა და ოდესოსში ასევე მრავლად გამოვლინდა რკინის ფარაკიანი ბეჭედები, რომელთაგან ზოგიერთი აღმოჩნდა ისეთ სამარხებში, რომლებიც გამოირჩეოდნენ მდიდრული არტეფაქტებით (Chacheva, 2017, 142).

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბეჭდებში ფარაკისა და რკალის ფორმის მიხედვით გამოვყვავი ცხრა ძირითადი ტიპი. ბეჭდები დამზადებულია როგორც ძვირფასი ლითონებისგან (ოქრო, ვერცხლი), და ბრინჯასგან (ტაბ. II.1).

ბეჭდების უმრავლესობა ხასიათდება ფართო, ოვალური ან წრიული ფარაკით, გვხვდება ასევე სწორკუთხა ფარაკები და ბეჭდები, რომელსაც არ აქვს ცაკლე გამოყოფილი ფარაკი (ტაბ. XII).

## §5.1. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ფორმები.

**ტიპი I**. ტიპური არქაული ბერძნული ფორმის ბეჭდები. აქვთ ოვალური, წაწვეტებული ფარაკი ოდნავ განზიდული, ქვედა ნაწილში გასქელებული რკალით (ჯავახიშვილი 2015, 6). ბეჭდის ეს ტიპი გამოვლენილია მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ვანი, საირხე, ფიჭვნარი, ბრილი) (ლორთქიფანიძე, 1975, 80-88; მახარაძე & წერეთელი, 2007, სურ. 38, ლორთქიფანიძე, 1975, 17, სურ. 1). ბეჭდები ძვირფასი ლითონების, ოქროსა და ვერცხლისგანაა დამზადებული და ერთიანდებიან ბორდმანის არქაული ბეჭდების კლასიფიკაციის N ჯგუფში, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება და კლასიკური პერიოდის I და II ჯგუფებში, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. V სუკუნით (Boardman, 1970, 214).

ფარაკებზე ძირითადად სხვადასხვა ცხოველის გამოსახულება გვხვდება, რომელსაც შემოვლებული აქვს ერთი ან ორი რიგისგან შედგენილი წერტილოვანი ჩარჩო. ვანში, საირხესა და ფიჭვნარში გამოვლენილი ბეჭდები იმპორტს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ბრილის ორი ბეჭედი, თავისი ფორმით, მართალია იმეორებს გვიანარქაული, ძვ.წ. VI საუნის ბეჭდის ფორმას, თუმცა, გამოსახულების

სტილის მიხედვით ადგილობრივ ნაწარმად უნდა ჩაითვალოს.

**ტიპი II.** მასიური, მძიმე რკალშეკრული ბეჭდები, აღმოჩენილია კამარახევში (რამიშვილი, 1959, 15), ტახტიძირში (გაგოშიძე, 2020, 99) ყოღოთოსა (ლორთქიფანიძე, 1981, 78) და აწყურში (ლიჩელი, 2011, 25-47).

ბეჭდები ფორმის მიხედვთ ბორდმანის კლასიფიკაციის IX და XI ჯგუფებს შეესაბამება, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. IV საუკუნის იმეორე ნახევრით (Boardman, 1970, 2014; ლორთქიფანიძე, 1981, 78). ბეჭდები ძვ.წ. IV საუკუნის კომპლექსებშია აღმოჩენილი და ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

**ტიპი III.** დიდი ზომის ბეჭდები, დაწახნაგებული რკალით, რომელიც მხრებთან ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის ამობურცულზურგიან, დაწახნაგებულ ფარაკს უერთდება. ბეჭდები ოქროსა და ვერცხლისგანაა დამზადებული, აღმოჩენილია ვანში ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებით დათარიღებულ სამარხში (ლორთქიფანიძე, 1975, 88-99).

**ტიპი IV.** წრიულფარაკიანი, ბეჭდები. ფარაკი დარჩილულია მრგვალი მავთულის ვიწრო რკალზე. ბეჭედი ფორმით თანაბარ რგოლს წარმოადგენს. დამზადებულია ბრინჯაოს ან ვერცხლისგან. აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებით დათარიღებულ სამარხებში: არდასუბანი (ლორთქიფანიძე, 1981, 66), ეცო (რამიშვილი, შატბერაშვილი, 1997, 21), ტახტიძირი (გაგოშიძე, 2020, 141, N411), პაპიგორა (მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004, 53, ტაბ. XXXIX, 4). ყველა მათგანზე ასტრალური სიმბოლო - მზეა გამოსახული.

**ტიპი V.** თხელი ფირფიტის, ფართო ოვალურფარაკიანი ბეჭდები, ფარაკის ვიწრო ნაწილი მავთულისებრ გახსნილ რკალში გადადის. რკალის ბოლოები ერთმანეთზეა გადასული.

მსგავსი ფორმის ორი ბეჭედია გამოვლენილი. ერთი ითხვისში (გაგოშიძე და სხვ. 2006, 40-55), ერთიც ასურეთში, სოფ. სამაჩვეთში (კვიჟინაძე, 1975, 12). ორივე ბეჭდის ფარაკზე ფანკასტიკური ცხოველია გამოსახული, რომელთაც ერთ წყებად შემოვლებული აქვს წერტილოვანი ჩარჩო, რაც არქაული ბეჭდების დამახასიათებელი ნიშანია, შესაბამისად, მარგარიტა ლორთქიფანიძე ასურეთის და

ითხვისის ბეჭდებს გვიანარქაული ხანით, ძვ.წ. VI საუკუნით ათარიღებდა (ლორთქიფანიძე, 1969, 83-84; ლორთქიფანიძე, 1981, 63-65).

აღსანიშნავია, რომ ორივე ბეჭედი შედარებით გვიანდელ ძვ.წ. IV საუკუნის შუა და ძვ.წ. IV-III - ით დათარიღებულ კომპლექსებშია აღმოჩენილი (Гогиберидзе 2003, 79; შატბერშვილი, 2005). შესაბამისად, ბეჭდები სწორედ IV-III საუკუნეთა მიჯნით უნდა დათარიღდეს.

**ტიპი VI.** ბრინჯაოს მთლიანი ფირფიტისგან გამოჭრილი მართკუთხა ფარაკიანი, რკალგახსნილი ბეჭდები. აღმოჩენილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ბეჭდების აღმოჩენის ადგილებია: თეთრიწყარო (ლორთქიფანიძე, 1969, 40-4, სურ. 30; 83, ტაბ. IV, 38), უფლისციხე (ლორთქიფანიძე, 1969, 102-103, N.70; ხახუტაიშვილი, 1967, 78-79, ტაბ. XLVII, 2), დაფრნარი (ლორთქიფანიძე, 1975, 67-68, სურ. 12), ეშერი (Куфтин, 1949, 55, სურ. 16, ტაბ. VI), ლარილარი (ჩართოლანი, 1968, 308; თორთლაძე, გველესიანი, 2019, 77), ნოქალაქევი (ზამთარაძე, 1987, 219-220, სურ. 48), ბრილი (შემთხვევითი მონაპოვარი, გამოუქვეყნებელი), აწყური (ლიჩელი, 2011, 25-47).

მარგარიტა ლორთქიფანიძე თეთრიწყაროში აღმოჩენილ ბეჭედს მესოპოტამიურ გლიპტიკურ ძეგლებს უკავშირებს და სტილისტური თავისებურებების მიხედვით ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისი ხანით ათარიღებს (ლორთქიფანიძე, 1969, 41). უნდა აღინიშნოს, რომ სამარხები, სადაც ამ ტიპის ბეჭდებია აღმოჩენილი, დათარიღებულია ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნით და III საუკუნითაა დათარიღებული და მეტად სავარაუდოა, რომ ამ ტიპის ბეჭდებიც სწორედ IV-III საუკუნეებში მზადდებოდა.

ბეჭდებზე სხვადასხვა გამოსახულებაა დატანილი, ძირითადი თემა ცხოველია. ამ ტიპის ყველა ბეჭედს, ფორმის გარდა, აერთიანებს გამოსახულების წერტილოვან ჩარჩოში ჩასმის ტენდენცია.

**ტიპი VII.** საშუალო სისქის ოვალურფარაკიანი ან წრიულფარაკიანი ბეჭდები. ფარაკთან ოდნავ გაფართოებული რკალით. ბეჭდები ძირითადად რკალგახსნილია. რკალი ძირითად შემთხვევაში მრგვალგანივკვეთიანია, ზოგჯერ სიგრძეზე დაუყვება წახნაგი. ამ ტიპის ბეჭდები გამოვლენილია მხოლოდ

აღმოსავლეთ საქართველოში (ყანჩაეთი, საძეგური, ალგეთი, ტახტიძირი და სხვ.) და მკვლევრები იბერიული ბეჭდების სახელწოდებით მოიხსენიებენ (ლორთქიფანიძე, 1980, ჯავახიშვილი, 2015). ბეჭდები ძვირფასი და არაძვირფასი ლითონების, ოქრო, ვერცხლისა და ბრინჯაოსგაანა დამზადებული. ბეჭდების ფორმა ემსგავსება ბორდმანის კლასიფიკაციის IX ტიპს, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის შუა და ბოლო წლებით არის დათარიღებული (Boardman, 1970, 214).

სამარხები, სადაც მსგავსი ტიპის ბეჭდებია აღმოჩენილი ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება. ბეჭდებზე სხვადასხვა ტიპის გამოსახულებებს ვხვდებით. პოპულარობით სარგებლობს ფანტასტიკური არსება - გრიფონი, და სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებები. ბეჭდებიც ძვ.წ. IV-III საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

**ტიპი VIII.** ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან გამოჭრილი წრიულფალფარაკიანი, რკალგახსნილი ბეჭდები. გავრცელებულია ძირითადად დასავლეთ საქართველოში. აღმოჩენილია დაბლაგომში (ლორთქიფანიძე, 1969, გვ. 86-87), დაფნარში (ლორთქიფანიძე, 1975, 65-66, ტაბ. VII, a. გვ. 69, ტაბ. VII, 16), ბატნაოხორუში (ლორთქიფანიძე, 1975, 74-79, სურ. 16, 17), ნოქალაქევში (ზამთარაძე 1987, 211-217), ვანში (ლორთქიფანიძე, 1976, 159, ტაბ. 132.7), ლარილარის სამაროვანზე (თორთლაძე, გველესიანი, 2019, 76-77). მსგავსი ტიპის ბეჭდები აღმოჩნდა სამცხეშიც, აწყურში (ლიჩელი, 2011, 25-47) და აღმოსავლეთ საქართველოში - ციხია გორაზე.

ბეჭდებს მარგო ლორთქიფანიძე ძვ.წ IV საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებდა (ლორთქიფანიძე, 1975, 79), თუმცა, სამარხები, სადაც ამ ტიპის ბეჭდებია აღმოჩენილი ძვ.წ. III და II საუკუნეებით თარიღდება და ბეჭდებიც ამავე პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ. ფარაკზე ყველაზე ხშირ შემთხვევაში ფრინველის გამოსახულება გვხვდება.

**ტიპი IX.** ბეჭდები ცალკე გამოყოფილი ფარაკის გარეშე. გამოსახულება ამოჭრილია რკალის შუაში, გაფართოებულ ნაწილზე. მსგავსი ტიპის ბეჭდები ძირითადად რკალგახსნილია. რკალშეკრული ბეჭედი გაფართოებული ფარაკით გამოვლენილია მხოლოდ ფიჭვნარში (ლორთქიფანიძე, 1975, 31, სურ. 5).

ბეჭდები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისეთ დასავლეთ საქართველოში. მათი აღმოჩენის ადგილებია: დაფნარი (ლორთქიფანიძე, 1975, 71, ტაბ. X 37); მუხიანი (გ.ფ. N1714,1715), დაბლაგომი (ლორთქიფანიძე, 1975, 61-63, სურ. 11); ქვედა მესხეთი (ლორთქიფანიძე 1969, ტაბ. V, 62, 63, 64); ეშერა (ლორთქიფანიძე, 1969, 96-97, ტაბ. V. 60); ფიჭვნარი (ლორთქიფანიძე, 1975, 31, სურ. 5); ედისი (ლორთქიფანიძე 1969, 97, ტაბ. V.61); მარაბდა ((ტაბ. VII, 77, გ.ფ. 1308); ნასტაგისი (ტაბ. VIII, 104, 77); ეცო (რამიშვილი, შატბერაშვილი, 1977, 20); უფლისციხე (ხახუტაიშვილი, 1964, 77).

მარგარიტა ლორთქიფანიძე ამ ტიპის ბეჭდებს ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო და III საუკუნეებით ათარიღებს (ლორთქიფანიძე, 1975, 34), თუმცა, უნდა აღინიშოს, რომ ყველა სამარხი, სადაც მსგავსი ტიპის ბეჭდებია აღმოჩენილი მოგვიანო პერიოდით თარიღდება. კერძოდ, მუხიანის, ქვედა მესხეთისა და ეშერის სამარხები ძვ.წ. III საუკუნეს განეკუთვნება. ეცოს სამარხი, სადაც ამ ტიპის ბეჭედია აღმოჩენილი დათარიღებულია ძვ.წ. II საუკუნით (რამიშვილი, შატბერაშვილი, 1977, 21), ხოლო ნასტაგისის სამარხი ძვ.წ. I საუკუნის დასაწყისით (Бохочадзе, 1982, 102).

საინტერესოა ამ ტიპის ბეჭდებზე დატანილი გამოსახულებები. ეშერას, ედისის, მარაბდის, ეცოსა და ნასტაგისის სამარხებში აღმოჩენილ ცალებზე მტაცებელი ცხოველია გამოსახული. გამოსახულების ორივე მხარეს გეომეტრიული სახეებია დატანილი, რაც, სავარაუდოდ ინტალიოს ბეჭდის რკალისგან გამოყოფის სურვილით იყო გამოწვეული (ტაბ. VII, 77., ტაბ. VIII, 104-106). ვფიქრობთ, მეტად სავარაუდოა, რომ ბეჭდები ძვ.წ. III და II საუკუნეებში მზადდებოდა.

ამრიგად, კვლევის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ლითონის ფარაკიან ბეჭდებში ფარაკისა და რკალის ფორმის მიხედვით გამოიყო ბეჭდის ცხრა ძირითადი ტიპი. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭედების უმრავლესობა სამარხებიდან მომდინარეებს, რაც ფარაკიან ბეჭედთა გამოჩენისა და მათი არსებობის ქრონოლოგიური დიაპაზონის განსაზღრისათვის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

## §5.2 ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ქრონოლოგია

განხილულ ბეჭედთა ქრონოლოგიური დიაპაზონი **ძვ.წ. VI-II საუკუნეებია.** უმეტეს შემთხვევაში, დროის ერთსა და იმავე პერიოდში, განსხვავებული ტიპის ბეჭდები თანაარსებობენ. ბეჭდების ყველაზე მეტი ტიპის არსებობა ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე დადასტურდა (ტაბ. II, 2). ბეჭდის ტიპების ძირითადი ნაწილი გვხვდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ხოლო რამდენიმე ტიპი კონკრეტული რეგიონისთვისაა დამახასიათებელი.

ზემოხსენებული ბეჭდის ცხრა ტიპი გადანაწილებულია ოთხ ქრონოლოგიურ ჯგუფში:

1. **ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო და V საუკუნე.**

ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს და V საუკუნეში გავრცელებულია ოქროსა და ვერცხლის ტიპური არქაული და კლასიკური ბერძნული ფორმის ადგილობრივი და იმპორტული I ტიპის ბეჭდები, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირდება (ბრილი, ვანი, საირხე, ფიჭვნარი).

2. **ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი.**

**ძვ.წ. IV** საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოში ხმარებაში შემოდის მასიური, მძიმე რკალშეკრული ბეჭდები (II ტიპი) და ბრინჯაოს ან ვერცხლისგან დამზადებული მრგვალფარაკიანი, ბეჭდები, რომლის ფარაკი დარჩილულია მრგვალი მავთულის ვიწრო რკალზე (ტიპი IV). ამავე პერიოდში, დასავლეთ საქართველოს სამაროვნებზე გამოვლენილია დიდი ზომის ბეჭდები, დაწახნაგებული რკალით, რომელიც მხრებთან ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის ამობურცულზურგიან, დაწახნაგებულ ფარაკს უერთდება (ტიპი III). ბეჭდები ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხებში გვხვდება და ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

3. **ძვ.წ. IV - ძვ.წ. III საუკუნეთა მიჯნა.**

ძვ.წ. IV - ძვ.წ. III საუკუნეთა მიჯნაზე პოპულარობით სარგებლობს ე.წ. იბერიული ტიპის ბეჭდები, ოვალური ან მრგვალი ფარაკით და გახსნილი რკალით. მსგავსი ტიპის ბეჭდები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთვისაა

დამახასიათებელი და დამზადებულია ოქრო, ვერცხლისა და ბრინჯაოსგან (ტიპი VII). ამავე პერიოში, **ძვ.წ. IV-III** საუკუნეების მიჯნითა და **ძვ.წ. III** საუკუნით დათარიღებულ სამაროვნებზე როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენლია ბრინჯაოს მთლიანი ფირფიტისგან გამოჭრილი სწორკუთხაფარაკიანი, რკალგახსნილი ბეჭდები (ტიპი VI). საინტერესო ჯგუფს ქმნის ასევე ბრინჯაოს თხელი ფირფიტის, ოვალურფარაკიანი ორი ბეჭედი. ფარაკის ვიწრო ნაწილი მრგვალ მავთულისებრ გახსნილ რკალში გადადის (ტიპი V). ერთი აღმოჩენილია ძვ.წ. IV საუკუნის შუა წლებით დათარიღებულ ითხვისის სამაროვანზე, მეორე კი ძვ.წ. IV-III საუკუნის ასურეთის (სოფ. სამაჩვეთი) სამაროვანზე.

4. **ძვ.წ. III და II საუკუნეები.**

**ძვ.წ.** III და II საუკუნეებით დათარიღებულ სამაროვნებზე გვხვდება ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან გამოჭრილი მრგვალფარაკიანი,რკალგახსნილი ბეჭდები (ტიპი VIII). ამ პიტის გავრცელების გეოგრაფიული არეალი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ძირითადად დასავლეთ საქართველოთი შემოიფარგლება.

**ძვ.წ. III** საუკუნის ბოლოსა და **II** საუკუნეების სამაროვნებზე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია ბეჭდები ცალკე გამოყოფილი ფარაკის გარეშე (ტიპი IX). გამოსახულება რკალის შუა, გაფართოებულ ნაწილზეა დატანილი,ინტალიო ბეჭდის დანარჩენი ნაწილისგან გამოყოფილია ორნამენტული ჩარჩოთი, ამ ტიპის ბეჭდები ძირითადად რკალგახსნილია. ძვ.წ. II საუკუნის შემდეგ, ფარაკიანი ბეჭდები ხმარებიდან ქრება.

# თავი VI. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ტექნიკური კვლევა

ძვ.წ. VI-II საუკუნეების ლითონის ფარაკიანი ბეჭდების სახელოსნო ცენტრების საკითხებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია მასალის რენტგენო ფლოურესცენტრული სპექტრული კვლევები. შესაბამისად, ლითონის (ვერცხლი, ბრინჯაო) ნივთების ქიმიური შედგენილობის დადგენის მიზნით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში დაცული ფარაკიანი ბეჭდების კვლევა არადესტრუქციული რენტგენოფლოურესცენციური მეთოდით, Elva-X სპექტომეტრით განხორციელდა[31]. კვლევისათვის შეირჩა ძვ.წ. VI-II საუკუნეებით დათარიღებული ვერცხლის 22 და ბრინჯაოს 45 ფარაკიანი ბეჭედი.

ნაშრომში პირველად იქნება წარმოდგენილი გლიპტიკური ძეგლების საკვლევი ჯგუფის ფლუორესცენციის სპექტომეტრის გამოყენებით წარმოებული კვლევის შედეგები.

კვლევის მიზანი იყო შემდეგი საკითხების დადგენა:

- რა შენადნობები გამოიყენებოდა ლითონის ფარაკიანი ბეჭდების დამზადებისას.
- არსებობს თუ არა კორელაცია ლითონის ქიმიურ შედგენილობასა და ბეჭდის ტიპს შორის.
- მსგავსი ტიპის ბეჭდები დამზადებულია ერთსა და იმავე, თუ სხვადასხვა სახელოსნოებში.

## §6.1. კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში დაცული ექსპონატების ანალიზი არადესტრუქციული რენტგენოფლუორესცენციური Elva-X

[31] კვლევა განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის საკონსერვაციო-კვლევით ლაბორატორიაში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ნინო ქებულაძეს და საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრაციისა და კონსერვაციის დეპარტამენტის უფროსს ნინო კალანდაძეს.

სპექტრომეტრით განხორციელდა, რომლის საშუალებითაც გამოსაკვლევი ნიმუშის რენტგენოფლუორესცენციური სპექტრების რეგისტრაცია, რენტგენის ფლუორესცენციის ხაზის ენერგიის და ინტენსივობის გაზომვა და გამოსაკვლევი ნიმუშების ელემენტების შედგენილობის განსაზღვრა ხორციელდება. ანალიზები ჩატარდა 45 კილო-ელექტროვოლტით (keV), 100 წამი ცოცხალი დროით. კონცენტრაციის ხარისხი (წონის %-ში) განისაზღვრა რეგრესის კვადრატული მოდელის საშუალებით, მასალის შესაბამისი სტანდარტის ანალიზის საფუძველზე. ნიმუშის საანალიზო ფართობი 7 კვადრატულ მილიმეტრს შეადგენდა.[32]

რენტგენოფლოურესცენციური XRF (X-Ray fluorescence) ანალიზები საკმაოდ გავრცელებული ტექნიკაა არქეომეტრიაში და, ბოლოს ხანს, ხელოვნების ნიმუშების შესასწავლად ეს ტექნიკა საკმაოდ ხშირად გამოიყენება. XRF ანალიზები ნივთების ზედაპირის თვისობრივ შესწავლას გულისხმობს. ამ მეთოდით გამოსაკვლევი ნიმუშების ელემენტების შედგენილობის განსაზღვრა ხორციელდება (Speakman et al., 2011, 3485). ქიმიური ანალიზით შენადნობში შემავალი ელემენტების მხოლოდ საშუალო რაოდენობრივი თანაფარდობა განისაზღვრება. სრულდება მინიმუმ სამი ანალიზი თითოეული ნიმუშის ზედაპირის სხვადასხვა უბანზე და საშუალო მონაცემის მიხედვით ხდება დასკვნის გამოტანა. კვლევის დროს განისაზღვრება თითოეული ნივთის ქიმიური შედგენილობა ცხრილის სახით. ეს პროცესი არ აზიანებს არტეფაქტს, რაც ამ მეთოდის ერთი-ერთი უპირატესობაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, ამ მეთოდის გამოყენებისას, კოროზიით გამოწვეული ცდომილებები ყოველთვის არსებობს და ამის თავიდან აცილება რთული პრობლემაა (Pearce, 2018, 82).

არტეფაქტების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ნივთების შესაძლო წარმომავლობა. ამავდროულად, ლითონში არათავისთავადი ნივთიერებების დადასტურების საფუძველზე, ერთსა და იმავე ტიპის ნამუშევრებს შორის გამოიყოფა საერთო თუ განმასხვავებელი ნიშნები

[32] ცნობა მომაწოდა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის საკონსერვაციო კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ისტ. დოქტორმა - ნინო ქებულაძემ.

(ვაჩაძე, 2018, 72).

მონაცემთა შესწავლისა და ინტერპრეტაციისათვის პრინციპული კომპონენტების ანალიზი (PCA) პროგრამა PAST4 - ში დამუშავდა. პრინციპული კომპონენტის ანალიზი (PCA) არის სტატისტიკური მიდგომა, რომელიც გარდაქმნის კორელაციური ცვლადების რაოდენობას არაკორელირებული ცვლადების უფრო მცირე რაოდენობად. ძირითადი კომპონენტის ანალიზი აღმოაჩენს ჰიპოთეტურ ცვლადებს (კომპონენტებს) რომელიც აღრიცხავს რაც შეიძლება მეტ ვარიაციებს მონაცემთა ბაზაში. PCA გამოიყენება მონაცემთა ბაზის შესამცირებლად ორ ცვლადამდე (პირველი ორი კომპონენტი). ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტები კორელირდება ძირითადი ცვლადებისგან.

## §6.2. კვლევის შედეგები

**ვერცხლის ბეჭდები (ცხრილი 3).**

სპექტრულმა ანალიზმა აჩვენა, რომ წარმოდგენილ 22 ნიმუშში ვერცხლის შემცველობა 78% - დან 98 % - მდე მერყეობს. ყველაზე მაღალი სინჯის ვერცხლის შენადნობისგანაა დამზადებული ყანჩაეთის ორი (გ.ფ. N1720, 1721), ტახტიძირის ორი (გ.ფ. N1140, 1463) ალგეთის ერთი (გ.ფ. N778) და ბრილის ორი (გ.ფ. N1899, 1900) ბეჭედი. მათში ვერცხლის შემცველობა 93% - დან 98% - მდეა. სპილენძის შემცველობა ფიქსირდება ყველა ბეჭედში და მისი პროცენტული მაჩვენებელი მერყეობს 0,6% - დან 13% - მდე, მათგან ექვს ბეჭედში 3% - მდე, თექვსმეტ ბეჭედში 12.5% - მდე. თუთია დაფიქსირებულია თხუთმეტ ბეჭედში, მათგან 1% - ზე ნაკლებია ცხრა ბეჭედში, ხოლო 2% - დან 14.3% - მდე ფიქსირდება ექვს ბეჭედში. კალის შემცველობა დაფიქსირდა თერთმეტ ბეჭედში 0.88% - დან 8.54% - მდე (დიაგრამა 3). დანარჩენი ელემენტები ლითონში წარმოდგენილია კვალის სახით და 0.8% - ზე ნაკლებია (Fe, Pd, Cd, Ni, Au).

| ნივთის N | Ag | Cu | Au | Zn | Rh | Fe | Pd | Sn | Cd | Ni |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 776 | 88.14 | 11.7 | | | | 0.11 | 0.02 | | | 0.03 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 777 | 86.32 | 0.64 | | 11.13 | | 1.8 | | | | 0.11 |
| 778 | 97.36 | 2.46 | | | | 0.17 | | | | |
| 779 | 92.57 | 5.31 | | | | 0.16 | 0.02 | 1.9 | 0.05 | |
| 1439 | 88.82 | 7.57 | | 2.74 | | 0.87 | | | | |
| 1440 | 95.01 | 4.61 | | 0.03 | | 0.29 | | | 0.06 | |
| 1442 | 87.97 | 1.05 | | 7.1 | | 1.08 | | 2.8 | | |
| 1443 | 90.15 | 4.54 | | 2.36 | | 0.29 | | 2.65 | | |
| 1451 | 89.78 | 10.14 | | | | 0.06 | 0.02 | | | |
| 1452 | 88.1 | 9.53 | | | | 0.07 | | 2.25 | 0.05 | |
| 1453 | 83.04 | 12.5 | | 0.07 | | 0.24 | 0.02 | 4.07 | 0.06 | |
| 1456 | 95.56 | 3.99 | | 0.04 | | 0.44 | | | | |
| 1460 | 81.81 | 9.14 | | 0.06 | | 0.39 | | 8.54 | 0.06 | |
| 1462 | 92.24 | 6.64 | | | | 0.16 | | 0.88 | 0.08 | |
| 1463 | 94.47 | 1.88 | | 0.02 | | 0.4 | 0.02 | 3.22 | | |
| 1464 | 89.63 | 7.12 | | | | 0.11 | 0.01 | 3.13 | | |
| 1465 | 78.38 | 4.69 | | 14.3 | | | | 2.6 | | |
| 1466 | 89.95 | 1.08 | | 8.21 | | 0.76 | | | | |
| 1720 | 98.37 | 0.93 | | 0.42 | | 0.28 | | | | |
| 1721 | 94.04 | 4.06 | | 0.06 | | 0.17 | 0.02 | 1.66 | | |
| 1899 | 93.32 | 5.46 | | 0.04 | | 1.17 | | | | |
| 1900 | 94.51 | 4.07 | 1.31 | 0.09 | 0.03 | | | | | |

***ცხრილი 3.*** *ვერცხლის ბეჭდების ქიმიური შედგენილობა % - ში.*

რენტგენოფლოურესცენციური კვლევის შედეგად, ვერცხლის ბეჭდებში, შესაძლებელი გახდა მასალის 5 ქიმიური ჯგუფის გამოყოფა:

1. ვერცხლი არ არის ლეგირებული (გ.ფ. N1720).

2. Copper-silver: ვერცხლი ლეგირებულია სპილენძით (გ.ფ. N776, 778, 1440, 1451, 1456, 1460, 1462, 1899, 1900).
3. Silver-zinc: ვერცხლი ლეგირებულია თუთიით (გ.ფ. N777, 1439, 1466).
4. Silver-copper-tin-zinc: ვერცხლი ლეგირებულია სპილენძით, თუთიითადა კალით (გ.ფ. N1442, 1443, 1465).
5. Silver-copper-tin: ვერცხლი ლეგირებულია სპილენძით და კალით (გ.ფ. N779, 1452, 1453, 1463, 1464, 172).




**დიაგრამა 3.** *ძირითად ელემენტთა კონცენტრაციული განაწილების ჰისტოგრამა.*

განხილულ ბეჭდებში სპილენძის შემცველობა უმეტეს შემთხვევაში 3% - ს აღემატება. ვერცხლის ნივთებში ბუნებრივ მინარევადაა მიჩნეული 3% - მდე შემავალი სპილენძი, ხოლო 3% - ზე ზემოთ, ვერცხლის საჩამოსხმო თვისებების გასაძლიელებლად და აგრეთვე გაიაფების მიზნით საგანგებოდ უმატებენ (დვალი, 1977, 67; კალანდაძე & ქებულაძე, 2020, 303).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სპილენძის ზრდასთან ერთად იზრდება ვერცხლის სიმაგრე, წელადობა და ჭედადობა. ეს შენადნობი სუფთა ვერცხლზე უკეთ პრიალდება და ემორჩილება მექანიკურ დამუშავებას (დვალი, 1977, 67). გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საკვლევ მასალაში სპილენძის შემცველობის მაღალი მაჩვენებელი, ფარაკზე გამოსახულების დატანის ტექნიკასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ვერცხლი იმ ლითონებს განეკუთვნება, რომელსაც ადამიანი უძველესი ხანიდან იყენებს. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ვერცხლის უძველესი ნივთები ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრითაა დათარიღებული (დვალი, 1977, 62). ამ პერიოდიდან მოყოლებული, ფართოდ იყენებდნენ ვერცხლის ისეთ შენადნობებს როგორიცაა Ag-Cu, Ag-Pb, Ag-Pb-Cu, 1% - 6% სპილენძისა და 0,1 - 1,6% ტყვიის შემცველობით (გეწაძე და სხვ., 2004, 63).

საქართველოს ტერიტორიაზე ვერცხლი ძირითადად პოლიმეტარულ გამადნებათა სისტემებშია გავრცელებული, რომლებიც ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და მცირე კავკასიონის სისტემებშია განლაგებული და ძვ.წ. III ათასწლეულიდან მუშავდება (ინანიშვილი, 2014, 36-37).

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ანტიკური ხანის ვერცხლის ნივთები ძირითადად შეიცავს სპილენძს, ტყვიას და თუთიას. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ვერცხლის ის ნივთები რომელიც არ შეიცვას თუთიას მიღებულია ტყვია-ვერცხლის პოლიმეტალური მადნიდან, ხოლო ნივთები რომელშიც მინარევის სახით ფიქსირდება თუთია, მიღებულია ტყვია-თუთია-ვერცხლის პოლიმეტალური მადნიდან, ხოლო ტყვია-ვერცხლისა და თუთიის პილიმეტალური მადნები ფართოდაა გავრცელებული საქართველოში (დვალი, 1977, 69-72; ფოფორაძე, კალანდაძე, 2007, 86). შესაბამისად, ჩვენს მიერ განხილულ

ბეჭდებში თუთიის არსებობა, სავარაუდოდ, უნდა მიანიშნებდეს ფარაკიანი ბეჭდების დასამზადებლად ტყვია-ვერცხლი-თუთიის პოლიმეტალური მადნების გამოყენებაზე.

აღსანიშნავია, რომ ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდებიდან, არც ერთ მათგანში არ გამოვლენილა ტყვია. ვერცხლი, რომელშიც ტყვიის რაოდენობა 0,1% - ზე ნაკლებია მიჩნეულია სუფთად - იგი ორჯერ კუპელირებულია, ხოლო თუ ტყვია 0,1% - ზე მეტია, მაშინ იგი არ არის სუფთა, რადგან იგი ერთხელ კუპელირებულად ითვლება (დვალი, 1977, 66). როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებიდან ჩანს, ფარაკიანი ბეჭდის დამზადებისას ხელოსნები ვერცხლის ორჯერ კუპელირების მეთოდს მიმართავდნენ.




***დიაგრამა 4***. *ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდების კორელაციის ტაბულა*

კორელაციის ტაბულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (დიაგრამა 4), ვერცხლი (Ag) და პალადიუმი (Pd) ერთმანეთთან დადებით კორელაციაშია, რაც მანიშნებელია იმისა რომ ეს ორი ელემენტი ერთმანეთზე დამოკიდებულია. თუ გაიზრდება ერთი ელემენტის რაოდენობა, გაიზრდება მეორეც. ხოლო ვერცხლი

დანარჩენ ელემენტებთან უარყოფით კორელაციაშია. შესაბამისად ნიმუშებში, რომელშიც ვერცხლის შემცველობა მაღალია ახასიათებთ სპილენძის (Cu), თუთიის (Zn) კალის(Sn), ნიკელისა (Ni) და კადმიუმის (Cd) ნაკლები შემცველობა.

ვერცხლისა და სპილენძის უარყოფითი კორელაცია შესაძლოა იყოს ინდიკატორი იმისა, რომ ვერცხლზე სპილენძი საგანგებოდაა დამატებული.

კვლევის შემდგომ ეტაპზე ავირჩიე ის ორი ელემენტი რომელთაც ყველაზე დიდი გავლენა აჩვენა ლითონის დამზადებაში და შევქმენი მათი X-Y დიაგრამები (დიაგრამა 5).

სპილენძისა (Cu) და ვერცხლის (Ag) დიაგრამის თანახმად, ტახტიძირში აღმოჩენილი ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდების შემცველობას ახასიათებთ ფართო ვარიაცია (ტახტიძირის ბეჭდები დიაგრამაზე აღნიშნულია იასამნისფერი წერტილებით).




***დიაგრამა 5.*** *ძირიადი ელემენტების კორელაციული დამოკიდებულების გრაფიკი.*

ტახტიძირის სამაროვანზე გამოვლენილი ვერცხლის თოთხმეტი ბეჭდიდან ხუთი ლეგირებულია სპილენძით, ორი ლეგირებულია სპილენძითა

და თუთიით, სამი სპილენძით, თუთიითა და კალით, ხოლო ოთხი ბეჭედი სპილენძითა და კალით. როგორც ჩანს, ტახტიძირის ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდების შექმნისას, ლითონის დამზადების ტექნოლოგია იყო ნაკლებად სტანდარტიზირებული, რაც გულისხმობს იმას, რომ სპილენძისა და ვერცხლის შედგენილობის ზუსტი პროცენტულობა არ არის დაცული, თუმცა ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს მათ ერთ სახელოსნოში დამზადების შესაძლებლობას.

მსგავსია ბრილის ორივე ბეჭდის ელემენტები და პროცენტურლი მაჩვენებელი, რაც მათი ერთი სახელოსნოდან მომდინარეობისა და იდენტური ტექნიკით დამზადების მანიშნებელი უნდა იყოს (დიაგრამაზე ბრილის ბეჭდები აღნიშნულია ნარინჯისფერი წერტლებით).

საინტერესოა, ბრილის ერთ-ერთ ბეჭედში (გ.ფ. N1899) აღმოჩენილი როდიუმის კვალი - 0.03%, რომელიც სხვა არც ერთ ბეჭედში არ ფიქსირდება. როდიუმი ძვირფას ლითონებს მიეკუთვნება და მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, იუველირები იყენებენ როგორც დეკორატიულ დამცავ საშუალებას თეთრი ოქროსა და ვერცხლის საუველირო ნაკეთობების დასაფარად (ფოფორაძე, 2005, 29). ბრილის ბეჭედში როდიუმი კვალის აღმოჩენა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ვერცხლის რაფინირების პროცესთან. როგორც ცნობილია, რაფინირების ტექნიკის დანერგვა და და მისი მასიური გამოყენება ძვ.წ VI საუკუნის შემდგომ იწყება და დაკავშირებულია ლიდიაში სამონეტო მიმოქცევის შემოღებასთან (ქობალია, 2023, 149).

ყანჩაეთის სამარხში გამოვლენილი ორი ბეჭდიდან ერთი (N1720) მაღალი სინჯის სუფთა ვერცხლისგანაა დამზადებული (98%), ხოლო მეორე ბეჭდის (N1721) ვერცხლი ლეგირებულია სპილენძითა და კალით, სადაც ვერცხლის შემცველობა 94,04% - ია, სპილენძის - 4,06%, ხოლო კალის - 1,66%.

| ნივთის N | Fe | Cu | Zn | As | Ag | Sn | Sb | Pb |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 663 | 11.788 | 28.506 | | | 0.701 | 48.838 | | 10.167 |
| 664 | 4.742 | 33.739 | | 1.431 | 2.076 | 56.858 | | 1.155 |
| 694 | | 84.479 | | | 0.243 | 9.017 | | 6.262 |
| 695 | | 78.919 | | | 0.318 | 7.724 | | 13.04 |
| 696 | | 79.958 | | | 0.378 | 5.765 | | 13.899 |
| 780 | 0.288 | 79.07 | | | 0.289 | 20.353 | | |
| 926 | 1.199 | 28.289 | | | 0.184 | 63.619 | | 6.808 |
| 1125 | 0.242 | 52.854 | | | 0.449 | 42.909 | | 3.546 |
| 1130 | | 86.784 | | | 0.203 | 12.44 | | 0.572 |
| 1141 | | 62.738 | 20.2 | | 0.153 | 13.92 | | 2.989 |
| 1158 | 0.174 | 83.766 | 5.617 | | 0.397 | 7.507 | | 2.538 |
| 1213 | | 71.703 | | | 0.364 | 23.988 | | 3.944 |
| 1217 | 0.137 | 57.389 | 24.619 | | 0.271 | 13.525 | | 4.059 |
| 1270 | | 75.298 | | | 0.15 | 23.531 | | 1.021 |
| 1288 | 2.939 | 58.154 | 6.292 | | 1.773 | 19.277 | 0.764 | 10.801 |
| 1289 | 2.528 | 50.298 | | | 0.96 | 42.844 | 0.506 | 2.863 |
| 1290 | | 73.255 | 13.283 | | 0.143 | 12.603 | | 0.717 |
| 1291 | 1.923 | 53.123 | | | 0.35 | 40.769 | | 3.834 |
| 1292 | 0.367 | 77.013 | | | 0.182 | 18.584 | | 3.854 |
| 1293 | 2.716 | 51.892 | | 5.46 | 0.482 | 32.838 | 0.424 | 6.187 |
| 1308 | 0.12 | 87.541 | | | 0.252 | 10.822 | | 1.265 |
| 1350 | 0.174 | 72.42 | | | 0.427 | 26.134 | | 0.845 |
| 1441 | | 85.597 | | | 0.543 | 13.333 | | 0.528 |
| 1446 | | 86.921 | 2.313 | | 0.229 | 9.725 | | 0.812 |
| 1454 | | 85.214 | | | 0.319 | 12.047 | | 2.421 |
| 1458 | | 94.67 | 0.47 | | 0.268 | 3.757 | | 0.834 |
| 1459 | | 95.437 | | | 0.31 | 3.855 | | 0.398 |
| 1468 | | 95.292 | | | 0.345 | 3.581 | | 0.783 |
| 1469 | | 90.747 | | | 0.276 | 7.405 | | 1.572 |
| 1601 | | 58.437 | 18.612 | | 0.256 | 21.078 | | 1.618 |
| 1604 | | 86.587 | 2.067 | | 0.26 | 10.349 | | 0.737 |
| 1605 | 0.799 | 41.175 | | 3.293 | 0.603 | 46.955 | | 7.176 |
| 1608 | 1.914 | 45.144 | | | 0.056 | 52.886 | | |
| 1705 | 0.714 | 25.211 | | 0.657 | 0.469 | 72.674 | | 0.274 |
| 1706 | 1.408 | 24.517 | | 0.753 | 0.585 | 72.041 | | 0.697 |
| 1711 | | 65.541 | | | 0.37 | 28.976 | | 5.113 |
| 1714 | | 82.084 | | | 0.216 | 16.07 | | 1.63 |
| 1715 | 1.065 | 75.112 | | | 0.27 | 21.451 | | 2.102 |
| 1716 | | 68.632 | 23.34 | | 0.192 | 7.836 | | |
| 1717 | | 61.959 | 23.553 | | 0.312 | 11.572 | | 2.604 |
| 1718 | | 44.468 | 34.985 | | 0.386 | 8.625 | | 11.537 |

***ცხრილი. 4.*** *ბრინჯაოს ბეჭდების ქიმიური შედგენილობა % - ში*

**ბრინჯაოს ბეჭდები (ცხრილი 4).**

სპექტრულმა ანალიზმა აჩვენა, რომ არტეფაქტები სპილენძის სხვადასხვა შენადნობისგანაა დამზადებული. მადნისეული მინარევებიდან გვხვდება რკინა (Fe), დარიშხანი (As), ვერცხლი (Ag) და ანთიმონი (Sb).

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბეჭდების დამზადებისას ლითონში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს კალა (Sn), ტყვია (Pb) და თუთია (Zn).

რენტგენოფლოურესცენციური კვლევის შედეგად გამოვლენილი ელემენტებიდან ლითონში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია კალა, რომელიც ყველა ბეჭედში ფიქსირდება და რომლის შემცველობა 3% - დან 72% - ის ფარგლებში მერყეობს.

ბეჭდების უმრავლესობაში, ოც მათგანში, კალის შემცველობა 3% - დან 15% - ის ფარგლებშია, თერთმეტ ბეჭედში კალის შემცველობა 15% - დან 40% - მდეა, რვა მათგანი შეიცავს 40% - დან 63% - მდე კალას, ხოლო ორ ბეჭედში კალის რაოდენობა 73% - მდეა.

ტყვიის შემცველობა ორ ბეჭედში საერთოდ არ გამოვლენილა, თორმეტ ბეჭედში ფიქსირდება კვალის სახით, ყველაზე ხშირად ტყვიის რაოდენობა ბეჭდებში 1% - დან 3% - მდე გვხვდება, სულ ცამეტ მათგანში. 3% - დან 10% - მდე ტყვია ფიქსირდება ცხრა ბეჭედში, ხოლო 10% - ზე მეტი ხუთ შემთხვევში. ტყვიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 13.8% - ია.

შესწავლილი ბეჭდებიდან თუთია გამოვლინდა მხოლოდ თერთმეტში. აქედან ერთ ბეჭედში დაფიქსირდა კვალის სახით, სამ ბეჭედში 2% - დან 10% - მდე, ხოლო 10% - ზე მეტი თუთია დაფიქსირდა შვიდ ბეჭედში. თუთიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 34.9% - ია.

სპილენძის შედგენილობა ლითონში მერყეობს 24% დან 96% - მდე. მათგან ხუთ ბეჭედში სპილენძის რაოდენობა დაბალია 24% - დან 50% -მდე, ათ ბეჭედში 40% - დან 60% - მდე, ცხრა ბეჭედში 60% - დან 75% - მდე, ცხრა ბეჭედში 76% - დან 85% - მდე, ხოლო რვა ბეჭედი შეიცავს 86% - დან 95% - მდე სპილენძს (დიაგრამა 6).

რაც შეეხება დარიშხანს, იგი მხოლოდ ხუთ ბეჭედშია გამოვლენილი. აქედან

ორ ბეჭედში უმნიშვნელო რაოდენობით ხოლო სამში 1% დან 5% - მდე.

რკინის რაოდენობა ცხრამეტ ბეჭედში დაფისქირდა. ცხრა ბეჭედში 1% - ზე ნაკლები, ცხრა ბეჭედში 1% დან 4% - მდე, ხოლო ერთ ბეჭედში რკინის რაოდენობა 11% - ზე მეტია. ანთიმონი აღმოჩნდა მხოლოდ სამ ბეჭედში კვალის სახით.




***დიაგრამა 6.*** *ძირითად ელემენტთა კონცენტრაციული განაწილების ჰისტოგრამა.*

ლითონის შენადნობების მიხედვით, ბრინჯაოს ბეჭდებში გამოიყო მასალის ოთხი ქიმიური ჯგუფი:

1. **სპილენძ-კალა-ტყვია** (Cu-Sn-Pb), რომელშიც გაერთიანებულია ოცი ბეჭედი. ლითონში სპილენძის რაოდენობა მერყეობს 28% დან 90% - მდე, კალის

რაოდენობა 7% დან 64% მდე, ხოლო ტყვიის რაოდენობა 1% დან 14% - მდე.

2. **სპილენძ-კალა-თუთია** (Cu-Zn-Sn), რომელშიც გაერთიანებულია სამი ბეჭედი. ლითონში სპილენძის რაოდენობა მერყეობს 68% დან 86% - მდე,თუთიის რაოდენობა 2% დან 23% - მდე, ხოლო კალის რაოდენობა 7% დან12% - მდე.

3. **სპილენძ-კალა-ტყვია-თუთია** (Cu-Sn-Pb-Zn), რომელშიც გაერთიანებულია შვიდი ბეჭედი. ლითონში სპილენძის რაოდენობა მერყეობს 44% - დან 58% - მდე.

4. **სპილენძ-კალა** (Cu-Sn), რომელშიც გაერთიანებულია თერთმეტი ბეჭედი, მათგან სპილენძის რაოდენობა მერყეობს 45% დან 96% - მდე, ხოლო კალა 3% დან 72% - მდე. ზოგიერთ შემთვევაში, კვალის სახით დადასტურებულია ტყვია თუთია და დარიშხანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნივთების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრისას თითქმის შეუძლებელია კოროზიით გამოწვეული ცდომილებების თავიდან არიდება, რისი მაგალითიცაა ჩვენს მიერ განხილულ რამდენიმე ბეჭედში კალის სპილენძზე ბევრად უფრო მაღალი შემცველობა.

ძვ.წ. VI-I საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ფერადი ლითონის დამუშავებისთვის დამახასიათებელია მაღალპროცენტული შემცველობის მრავალკომპონენტიანი ლიგატურის მქონე ბრინჯაოს წარმოება. გამოიყენება კალიანი, კალა დარიშხნიანი, ბრინჯაოს სხმულები. მალეგირებელი კომპონენტების კომპლექსური შემცველობით კი გაზრდილია შენადნობთა საჩამოსხმო თვისებები (ინანიშვილი, 2014, 73).

საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ტიპის სპილენძის მადანი და 200 - მდე მადანგამოსავალია ცნობილი, რომლებიც სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში ლოკალურადაა განლაგებული (ინანიშვილი, 2014, 27).

ორკომპონენტიანი, კალიანი ბრინჯაოსგან დამზადებულ ბეჭდებში გამოვლენილი ტყვია, რომლის შემცველობა 0.39% - დან 0.83% - მდეა, მადნისეულად შეიძლება ჩაითვალოს. კალიანი ბრინჯაოს ნივთები, რომელშიც მცირე რაოდენობით ფიქსირდება ტყვია გვხვდება ძვ.წ. IV-III საუკუნეების ტახტიძირისა და სანთას სამაროვანზე, ასევე სამადლოზე, ძეგვში, თრიალეთშია აღმოჩენილი (კალანდაძე & ქებულაძე, 2020, 302).

ანტიკური პერიოდის ბრინჯაოს ნაწარმის შემადგენელი კომპონენტებიდან კალა ერთადერთი ელემენტია, რომლის გამოყენება საქართველოში შუაბრინჯაოს პერიოდში იწყება (ბახტაძე, სარაჯიშვილი 1974, 111; კალანდაძე, ქებულაძე, 2020, 302). კავკასიაში კალის ბუნებრივი საბადოები არ არის აღმოჩენილი. მეცნიერთა ვარაუდით, კალა იმპორტს წარმოადგენდა და კავკასიაში მცირე აზიიდან ან ხმელთაშუა ზღვის აუზიდან შემოდიოდა (ინანიშვილი, 2014, 64).

კალიანი ბრინჯაო მაღალი მექანიკური და ფიზიკური მაჩვენებლებით ხასიათდება. კალის რაოდენობის გაზრდა იწვევს საჩამოსხმო თვისებების გაძლიერებას, რადგან იზრდება შენადნობის სისალე, დროებითი წინააღმდეგობა და სიმკვრივე, ხოლო მცირდება შენადნობის პლასტიკურობა და დნობის ტემპერატურა (ბახტაძე & სარაჯიშვილი, 1974, 111). მასიური იარაღები ჩვეულებრივ დამზადებულია 10% - მდე კალის შემცველობით, ხოლო სამკაულები მზადდებოდა კალის მაღალი კონცენტრაციით 13% დან 15% - მდე. კალის მაღალი შემცველობა ასევე იძლევა ოქროსფერ ტონს, რაც ბრინჯაოს უფრო მიმზიდველს ხდიდა (Ashenkazi et al., 2012, 531).

კალიანი ბრინჯაო ფართოდ გამოიყენება ძვ.წ. IV საუკუნემდე, ხოლო ძვ.წ. III საუკუნიდან მას კალა-ტყვიით ლეგირებული შენადნობი ცვლის (ინანიშვილი, 2007, 51). ძვ.წ. IV ბოლო პერიოდსა და ძვ.წ. III საუკუნეებში ტყვიის შემცველი სამკომპონენტიანი ბრინჯაოს შენადნობები ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. სამკომპონენტიანი, ტყვიანარევი კალიანი ბრინჯაოსგან დამზადებული ნივთები გამოვლენილია ახალგორში, საირხეში, ბეშთაშენში და სანთას სამაროვანზე (კალანდაძე & ქებულაძე, 2020, 303).

კალიან ბრინჯაოზე ტყვიის დამატებით ეცემა მისი მექანიკური თვისებები და იზრდება შენადნობის ჭრით დამუშავების უნარი და სიმკვრივე (ბახტაძე, სარაჯიშვილი 1974, 113), რაც ჩვენს მიერ გამოკვლეული ბეჭდების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იქნებოდა ფარაკზე გამოსახულების მისაღებად.

რაც შეეხება ოთხკომპონენტიან სპილენძი-კალა-ტყვია-თუთიის შენადნობს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთი შენადნობები საუკეთესო საჩამოსხმო თვისებებით გამოირჩევია (ბახატაძე & სარაჯიშვილი, 1974, 114).

შენადნობში თუთიის არსებობა ახსნილია ტყვია-თუთიის შემცველი სპილენძის მადნების გამოყენებით, ან სპილენძისა და ტყვია-თუთიის მადნების შერევით (ზახატაძე & სარაჯიშვილი, 1974, 114, კალანდაძე & ქებულაძე, 2020, 303). აღსანიშნავია რომ თუთია სპილენძის შენადნობს პლასტიკურობას და სიმტკიცეს მატებს (ქებულაძე & კალანდაძე 2019, 84). ინგლისელი მკვლევარი, ლუკასი აღნიშნავს, რომ თუთიის შემცველი სპილენძის მადნები გვხვდება ეგვიპტესა და კავკასიაში, კერძოდ საქართველოში (Лукас, 1985, 350).

ანტიკური ხანის საქართველოში ხმარებაშია კალიანი და ტყვიანარევი კალიანი ბრინჯაო. ხშირად კალასთან ერთად შეინიშნება თუთიის შემცველობაც. ზოგჯერ კი სამივე მალეგირებელი კომპონენტი - კალა, ტყვია და თუთია ერთდროულადაა წარმოდგენილი. მადნისეული მინარევებიდან კი აღინიშნება ნიკელი, რკინა, ანთიმონი, ბისტუმი, ვერცხლი და დარიშხანი (ზახტაძე, სარაჯიშვილი 1974, 100). იასენენის თანახმად, ტყვიანარევი კალიანი ბრინჯაოს წარმოების ცენტრი მთიან კავკასიაში ივარაუდება (ზახტაძე & სარაჯიშვილი, 1974, 110).




***დიაგრამა 7.*** *ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდების კორელაციის ტაბულა*

კორელაციის ტაბულით თუ ვიმსჯელებთ დავინახავთ, რომ ბეჭდებში კალა (Sn), ვერცხლი (Ag), დარიშხანი (As), ტყვია (Pb) და სტიბიუმი (Sb) ერთმანეთთან

დადებით კორელაციაში და ნიმუშში ერთი ელემენტის ზრდა, გამოიწვევს დანარჩენების ზრდას, ხოლო სპილენძი (Cu) უარყოფით კორელაციაშია ყველა სხვა ელემენტთან გარდა თუთიისა და შესაბამისად, ნიმუშებში რომელიც ფიქსირდება დიდი რაოდენობით სპილენძი, ნაკლებია ყველა სხვა ელემენტი (დიაგრამა 7).

კვლევის შემდგომ ეტაპზე, ძვ.წ. IV-II საუკუნეების ბრინჯაოს ბეჭდები დავყავი ჯგუფებად მათი ფორმების მიხედვით (სხვადასხვა ჯგუფი აღნიშნულია განსხვავებული ფერებით) და შევქმენი ლითონში ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტების X-Y დიაგრამები (დიაგრამა 8).




***დიაგრამა 8.*** *ძირითადი ელემენტების კორელაციული დამოკიდებულების გრაფიკი.*

საკვლევ მასალაში ყველაზე დიდ ჯგუფს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ძვ.წ. III-II საუკუნის ბრინჯაოს რკალგახსნილი ბეჭდები შეადგენს, რომელიც დიაგრამაზე აღნიშნულია ნარინჯისფერი წერტილებით. აღსანიშნავია, რომ ეს ჯგუფი გამოირჩევა ლითონში კალის მაღალი პროცენტული შედგენილობით. სპილენძისა (Cu) და კალის (Sn) გრაფიკის

მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბეჭდების ამ ჯგუფს ახასიათებს ფართო ვარიაცია, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მათი დამზადების ტექნიკა არ არის სტანდარტიზირებული. ამ ჯგუფის ძირითადი ნაწილი დამზადებულია სპილენძ-კალა-ტყვიის შენადნობისგან, თუმცა გვხვდება სპილენძ-კალა-თუთიისა და კალიანი ბრინჯაოს შენადნობებიც.

მაგალითად ბატნაოუხორუს ქვევრსამარხში აღმოჩენილი ორივე ბეჭედი (გ.ფ. N1705, 1706) კალიანი ბრინჯაოსგანაა დამზადებული. ასევე გვხვდება ტყვიის, ვერცხლისა და დარიშხანის კვალი. ბატნაოუხორუს ბეჭდებში მსგავსი ელემენტების არსებობა და პროცენტული თანხვედრა გვარწმუნებს, რომ ორივე ბეჭედი ერთ სახელოსნოში, ერთი ტექნიკითაა დამზადებული.

დაბლაგომისა და დაფნარის (გ.ფ. N1289, 1291) ბეჭდები სპილენძ-კალა-ტყვიის შენადნობისგანაა დამზადებული. მსგავსი ელემენტების და პროცენტული მაჩვენებელის თანხვედრა გვაფიქრებინებს რომ ბეჭდები შესაძლოა ერთ სახელოსნო ცენტრში დამზადდა.

რაც შეეხება ტახტიძირის ჯგუფის რკალგახსნილ ბეჭდებს, რომელიც დიაგრამაზე აღნიშნულია იისფერით, უმეტესობა დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსგან, ხოლო ორი მათგანი სპილენძ-კალა-ტყვიის შენადნობსგან, სადაც ტყვიის შემცველობა 1.5% და 2.45% - ია. ტახტიძირის ბეჭდები ხასიათდებიან ლითონში სპილენძის ყველაზე მაღალი შემცველობით 85% - დან 90% - მდე. ბეჭდებში სპილენძისა და კალის შემცველობის პროცენტულობის ერთმანეთთან სიახლოვე და დანარჩენი მალეგირებელი ელემენტების თანხვედრა გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთ სახელოსნოში მზადდებოდა.

საინტერესოა ყოღოთოში აღმოჩენილი რკალშეკრული სამი ბეჭედი (გ.ფ. N694, 695, 696), რომელიც გამოსახულების სტილისა და ფორმის მიხედვით განსხვავებულ ჯგუფს ქმნის (ბეჭდები აღნიშნულია ფირუზისფერი წერტილებით). ბეჭდების დასამზადებლად გამოყენებულია სპილენძ-კალა-ტყვიის (Cu-Sn-Pb) შენადნობი. X-Y დიაგრამაზე სამივე ბეჭედს გვერდიგვერდ ვხვდებით, რაც მათი ქიმიური შედგენილობის მსგავსებითაა გამოწვეული, შესაბამისად სავარაუდოა რომ სამივე მათგანი ერთ სახელოსნოში, ერთი ტექნიკით დაამზადეს.

მსგავსი შედგენილობა ახასიათებს ასევე წნისისხევის სამაროვანზე გამოვლენილი სამივე ბეჭედს (გ.ფ N1716-1718), რომელიც ოთხკომპონენტიანი სპილენძ-კალა-ტყვია-თუთიის შენადნობისგანაა დამზადებული, სადაც მთავარი მალეგირებელი ელემენტი თუთიაა.

## §6.3. ფარაკიანი ბეჭდების დამზადების ტექნიკა

ანტიკურ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა დიდი გავლენები იქონია ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე. შესაბამისად, ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეებით ხასათდება ამ პერიოდის მეტალურგიული და ლითონდამუშავების საწარმოო ცენტრები. ცალკე დარგებად ჩამოყალიბებულია ფერადი ლითონების დამუშავება და ოქრომჭედლობა (ინანიშვილი, 2007, 50).

კოლხეთი რომ სხვადასხვა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რეგიონია ჯერ კიდევ ძვ.წ. XIII საუკუნეში არგონავტებისთვის იყო ცნობილი. სტრაბონის მიხედვით, არგონავტების ლაშქრობა სწორედ კოლხეთის ოქროთი, ვერცხლით, რკინთა და სპილენძით სიმდიდრით იყო გამოწვეული (Strabo 1.2.39).

ძვ.წ. V-I საუკუნეებში კოლხეთსა და იბერიაში გამოვლენილი მრავალრიცხოვანი სამკაული და მათი დამზადების ტექნოლოგიისა და სტილის ერთგვაროვნება ადგილობრივ პროფესიონალ ოქრომჭედელთა სკოლების არსებობაზე მიუთითებს და ანტიკური ხანის საქართველოში სახელმწიფოებრივი მასშტაბის სახელოსნო გაერთიანებათა არსებობაც ივარაუდება (ინანიშვილი, 2014, 86). დროის ამ მონაკვეთში, ადგილობრივ ხელოსანთა მიერ შემუშავებული და დამკვიდრებული ოქროსა და ვერცხლის დამუშავების ისეთი ხერხებია ცნობილი როგორიცაა: ჩამოსხმა ცვილის მოდელით, გამოჭედვა-კვერვა, თეგვა, რჩილვა, გაწელვა, მოცვარვა, მომინანქრება, მოსავადება (ინანიშვილი, 2014, 84).

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ადილობრივივ ოსტატებს არ გაუჭირდებოდათ ადვილად დაუფლებოდნენ ფარაკიანი ბეჭდების დამზადებისა და მათზე გამოსახულების დატანის ტექნიკას.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების

დამზადების ტექნიკა არ არის ერთგვაროვანი. გვხვდება როგორც დამოუკიდებლად დამზადებული ფარაკი, რომელიც შემდეგ არის მირჩილული რკალზე, ასევე ერთი მთლიანი ფირფიტისგან გამოჭრილი რკალგახსნილი ბეჭდები. დიდი ზომის მძიმე ბეჭდები ჩამოსხმული უნდა იყოს.

ბეჭდის VI და VIII ტიპების დამზადების ტექნიკა ერთგვაროვანია. ისინი დამზადებული უნდა იყოს ბრინჯაოს ერთი მთლიანი ფირფიტისგან და მასზე გამოსახულება ხელით, საჭრისის დახმარებით უნდა იყოს ამოკვეთილი. ნაჭედი უნდა იყოს IX ტიპის ბეჭდებიც, რომელსაც ცალკე გამოყოფილი ფარაკი არ აქვს. ჭედურობა ლითონის ტექნოლოგიური დამუშავების ერთი-ერთი უძველესი ხერხია, რომელიც ნამზადზე ჩაქუჩის დარტყმით ხორციელდება. ცივ ჭედვას ექვემდებარება ოქრო, ვერცხლი და სპილენძი. ჭედვა ნამზადის დეტალების მიღების ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიური და სწრაფი საშუალებაა (ფოფორაძე, 2005, 54).

ერთმანეთის დამოუკიდებლად არის დამზადებული VII ტიპის ბეჭდების რკალი და ფარაკი, რომელიც შემდეგ ერთმანეთზე უნდა იყოს მირჩილული. VII ტიპის ბეჭდებს, შიდა მხარეს, ვიზუალური დაკვირვების შედეგად, თითქმის ყოველთვის ემჩნევა რჩილვის კვალი. რკალი და ბეჭდის ფარაკი ერთმანეთზეა მირჩილულია IV ტიპის ბეჭდების შემთხვევაშიც.

რჩილვა ნივთის დამზადების ბოლო ტექნოლოგიური ეტაპია. ძირითადად სამი სახის რჩილვის მეთოდია გავრცელებული: 1. მეტალის შენადნობით რჩილვა; 2. სინთეზირებული შეერთება; 3. სპილენძის მარილზე დაფუძნებული რჩილვა (ქობალია, 2023, 158). ბეჭდებზე ვიზუალური დაკვირვებით უნდა ითქვას, რომ რკალის ფარაკთან მირჩილვის შემთხვევაში 1 და 2 მეთოდი გამოიყენებოდა.

რაც შეეხება გამოსახულებებს, ბეჭდებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ფარაკზე გამოსახულება ხელით, სხვადასხვა საჭრისის დახმარებითაა მიღებული და არც-ერთ შემთხვევაში არ არის გამოყენებული ბურღი.

---------

წინამდებარე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების დამზადების ტექნიკა არ არის ერთგვაროვანი. გვხვდება როგორც დამოუკიდებლად დამზადებული ფარაკი, რომელიც შემდეგ არის მირჩილული რკალზე, ასევე ერთი მთლიანი ფირფიტისგან გამოჭრილი რკალგახსნილი ბეჭდები. დიდი ზომის მძიმე ბეჭდები კი ჩამოსხმული უნდა იყოს. ფარაკებზე გამოსახულება ხელის საჭრისით,ბურღის გამოყენების გარეშე არის დატანილი.

ინტერდისციპლინური კვლევის ფარგლებში უნდა ითქვას, რომ შესწავლილი ფარაკიანი ბეჭდები დამზადებულია ლითონის სხვადასხვა შენადნობებისგან და არ დგინდება კორელაცია ბეჭდის ფორმასა და ლითონის შედგენილობას შორის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო ბეჭდების პატარა ზომით და საჭირო ლითონის მცირე რაოდენობით, შესაბამისად, მათ დამზადებისთვის იყენებდნენ იმ ლითონებს, რომელიც იმ მომენტში ხელოსნისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქრობთ რომ ბეჭდები იმავე სახელნოებში მზადდებოდა, სადაც სხვა სამკაული.

ამავდროულად, საინტერესო ფაქტია ერთ სამაროვანზე გამოვლენილი ფარაკიანი ბეჭდების მთავარი ელემენტების პროცენტულების ერთმანეთთან სიახლოვე და დანარჩენლი მალეგირებელი ელემენტების თანხვედრა. ასეთ შემთხვევებს ვხვდებით წნისისხევის სამაროვანზე, სადაც სამივე ბეჭედი მსგავსი შემადგენლობისაა. ბეჭდები დამზადებულია ოთხკომპონენტიანი სპილენძ-კალა-ტყვია-თუთიის შენადნობისგან, სადაც მთავარი მალეგირებელი ელემენტი თუთიაა. მსგავსია ყოღოთოს სამარხში აღმოჩენილი სამივე ბეჭდის შედგენილობაც. დიდ მსგავსებას ვხედავთ დაბლაგომისა და დაფნარის ბეჭდების ქიმიურ შედგენილობაშიც. თუმცა ეს მონაცემები არ არის საკმარისი კონკრეტული სახელოსნოებზე მსჯელობის დაწყებისათვის.

სპექტრული ანალიზიდან ჩანს, რომ ძვ.წ. IV-II სს-ში, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდების დიდი ნაწილი დამზადებულია ლითონის სამკომპონენტიანი სპილენძ-კალა-ტყვიის (Cu-Sn-Pb) შენადნობისგან, ასევე წარმოდგენილია სამკომპონენტიანი

სპილენძ-კალა-თუთის (Cu-Zn-Sn), ოთხკომპონენტიანი სპილენძ-კალა-ტყვია-თუთიის (Cu-Sn-Pb-Zn) და ორკომპონენტიანი კალიანი ბრინჯაოს (Cu-Sn) შენადნობებისგან დამზადებული ცალებიც. მადნისეული მინარევებიდან გვხვდება რკინა, დარიშხანი, ვერცხლი და სტიბიუმი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ანტიკური ხანის ფერადი ლითონდამუშავებისთვის დამახასიათებელია მაღალპროცენტული შემცველობისა და მრავალკომპონენტიანი ლიგატურის მქონდე შენადნობების წარმოება. ესენია: სპილენძ-კალა, სპილენძ-კალა-ტყვია, სპილენძ-კალა-ტყვია-თუთია (ქებულაძე, ძიგუა, გოგინაშვილი, 2016, 430). შესაბამისად, როგორც კვლევამ გვაჩვენა, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდებისთვის გამოყენებული კომპონენტები არ არის უცხო ძვ.წ. IV-III საუკუნეების ძეგლებზე აღმოჩნილი სამკაულისაგან.

ლითონის შენადნობის მიხედვით ვერცხლის ბეჭდებში გამოიყო ხუთი ჯგუფი: 1. ვერცხლი რომელიც არ არის ლეგირებული; 2. ვერცხლი ლეგირებული სპილენძით (Copper-silver). 3. ვერცხლი ლეგირებული თუთიით (Silver-zinc); 4. ვერცხლი ლეგირებულია სპილენძით, თუთიითა და კალით (Silver-copper-tin-zinc):; 5. ვერცხლი ლეგირებულია სპილენძით და კალით (Silver-copper-tin).

ვერცხლის ბეჭდების დამზადებისას მთავარი მალეგირებელი ელემენტი სპილენძია, რომლის შემცველობა 1% დან 11% - მდეა. ვერცხლი მერყეობს 78%-98% - ის ფარგლებში. გამოყენებულია ასევე კალა (2%-4%) და თუთია (1%-8%). ვერცხლისა და სპილენძის შენადნობი ნაკლებად ძვირადღირებულია ვიდრე სუფთა ვერცხლი, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოდ რომ ვერცხლში სპილენძის შერევა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ეკონომიკური მდგომარებოსთან. ამავდროულად სპილენძის გამოყენება აუმჯობესებს შენადნობის მექანიკურ თვისებებს, შესაბამისად, იგი გამოიყენებოდა ლითონის მეტად გამყარების მიზნითაც. ბეჭდებში კვალის სახით წარმოდგენილია როდიუმი, რკინა, პალადიუმი, კადმიუმი და ნიკელი. ბეჭდებში არ გამოვლენილა ტყვია, რაც ორჯერ კუპელირების მეთოდის გამოყენებაზე მიგვანიშნებს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, ქიმიურ ანალიზებზე დაყრდნობით, რთულია დაზუსტებით რაიმეს თქმა ბეჭდების წარმომავლობის

შესახებ, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ლითონის ფარაკიანი ბეჭდების დამზადებისას გამოყენებულია საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ანტიკური ხანის მეტალურგიისათვის დამახასიათებელი კომპონენტები, რაც, ამყარებს ვარაუდს ბეჭდების ადგილობრივ სახელოსნოებში დამზადების შესახებ.

# თავი VII. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების გამოსახულებათა კლასიფიკაცია

ლითონის ფარაკიანი ბეჭდების გამოსახულებათა კლასიფიკაცია დაფუძნებულია მის კომპოზიციურ და იკონოგრაფიულ დეტალებზე და არ აქვს კავშირი სტილთან და კვეთის ტექნიკასთან. კლასიფიკაციის პირველ ეტაპზე მოტივის მიხედვით გამოსახულებები დაყოფილია შვიდ კომპოზიციურ ჯგუფად (დიაგრამა 9):

I. ადამიანის თავის გამოსახულებები
II. ადამიანის მთლიანი ფიგურები
III. ანთროპომორფული ღვთაებები
IV. ცხოველები
V. ფანტასტიკური არსებები
VI. ასტრალური სიმბოლოები, გეომეტრიული ფიგურები და მცენარეული მოტივები.
VII. სხვადასხვა

კლასიფიკაციის მეორე და მესამე ეტაპზე გამოყოფილია ქვეჯგუფები და ქვეკატეგორიები თემატიკისა და სიუჟეტების გათვალიწინებით. კლასიფიკაცია დაგვეხმარება გავიგოთ თუ რომელი მოტივები იყო პოპულარული ძველ საქართველოში, ასევე შეგვიძლია მსჯელობა ბეჭდის მომხმარებლებსა და გამოსახულებების შერჩევას შორის რაიმე კორელაციის არსებობის შესახებ.

ლითონის ფარაკიანი ბეჭდების გამოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI ბოლო პერიოდიდან მოყოლებული ძვ. წ II საუკუნის ჩათვლით, აქტიური სახელოსნოების არსებობაზე მიუთითებს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ბეჭდის მომხმარებლის სტილისტურ გემოვნებას. სტილისტურ გემოვნებაში ძირითადად ადგილობრივი თავისებურებები იკვეთება თუმცა, ამავდროულად იგძნობა ბერძნული და აღმოსავლური კულტურის გავლენები.

**პირველ ჯგუფში** ერთიანდება ადამიანის თავის გამოსახულებიანი ბეჭდები. აღნიშნულ ჯგუფში ბრინჯაოს ორი ბეჭედია შესული.

**მეორე ჯგუფი** მოიცავს ადამიანის მთლიანი ფიგურის გამოსახულებებს. ეს ჯგუფი თავის მხრივ იყოფა ხუთ ქვეჯგუფად - ქალის ფიგურები, კაცის ფიგურები, ორი ან მეტი ადამიანის გამოსახულებები, ქურუმები, ჰიბრიდული ფიგურები და საბრძოლო სცენები. ჯგუფში შესულია ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ოცდასამი ბეჭედი.

**მესამე ჯგუფი** აერთიანებს ოქროს, ვერხლისა და ბრინჯაოსგან დამზადებულ თოთხმეტ ბეჭედს, რომელზეც ანთროპომორფული ბერძნული ღვთაებებია გამოსახული: ჰერმესი, ეროტი და აფროდიტე, ეროტი, ტიხე, ფსიქეა, სატირი/მარსიასი, აპოლონ კითარადოსი, ჰერაკლე, ჰერაკლე და ომფალე. გამოსახულებათა სტილისტური ანალიზის საფუძველზე ჯგუფში შესული ყველა ბეჭედი გარდა ერთისა ბერძნულ იმპორტს მივაკუთვნეთ.

**მეოთხე ჯგუფში** ერთიანდება ცხოველთა გამოსახულებები, რომელიც დაყოფილია რამდენიმე ქვეჯგუფად და ქვეკატეგორიად; ეს ჯგუფი ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი და მასში შედის სხვადასხვა ლითონისგან დამზადებული სამოცდარვა ფარაკიანი ბეჭედი.

**მეხუთე ჯგუფში** შედის ფანტასტიკური არსებები, რომელიც მოიცავს ოთხ ქვეჯგუფს: გრიფონები, პეგასები, ჰიპოკამპი, ფრთოსანი ლომი და გაურკვეველი ფანტასტიკური არსებები, სულ ოცდარვა ბეჭედი.

**მეექვსე ჯგუფი** მოიცავს ასტრალურ სიბოლოთა გამოსახულებებს, ასევე გეომეტრიული ფიგურებსა და მცენარეული მოტივებს, რომელიც ვერცხლისა და ბრინჯაოს თორმეტი ბეჭდითაა წარმოდგენილი.

**მეშვიდე ჯგუფი** აერთიანებს სხვადასხვა გამოსახულებებს, რომელშიც შესულია ბრინჯაოს ოთხი ბეჭედი რიტონის გამოსახულებით, ასევე ბრინჯაოს ორი ბეჭედი ცხოველის შეწყვილებული პროტომის გამოსახულებით, და თითო ბეჭედი რომელზეც გამოსახულია აფრიანი ნავი, ნიჟარა, ჭურჭელი, ცხოველის ბიუსტი და ლირა.




***დიაგრამა 9.*** *ფარაკიანი ბეჭდების გამოსახულებათა კლასიფიკაცია*

## §7.1 იკონოგრაფიული ჯგუფები და მათი მიმოხილვა

ლითონის ფარაკიანი ბეჭდები დაყოფილია შვიდ იკონოგრაფიულ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი თემატიკისა და სიუჟეტის გათვალისწინებთ მოიცავს ქვეჯგუფს ან ქვეკატეგორიას. ტაბულებზე ბეჭდები მოცემულია გამჭოლი ნუმერაციით. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში დაცულ ბეჭდებს იქვე ახლავს საინვენტარო ნომერი.

I. თავი ან ბიუსტი (ტაბ. III, 2; 1-2)

ა. კაცი (1)

ბ. ქალი (2)

II. ადამიანის მთლიანი ფიგურები (ტაბ. IV, 3-14; ტაბ. V; 15-26)

ა. ქალი (3-9)

ბ. კაცი (10-14)

გ. ორი ან მეტი ადამიანის გამოსახულება (15)

დ. ქურუმები ან თაყვანისმცემლები (16-19)

ე. ჰიბრიდული ადამიანები (20-22)

ვ. საბრძოლო სცენები (23-26)

1. ადამიანისა და ცხოველის ბრძოლა (23)

2. მხედარი (24-26)

III. ანთროპომორფული ღვთაებები (ტაბ. V; 27-40)

ა. ჰერმესი (27)

ბ. ეროტი და აფროდიტე (28-29)

გ. ეროტი (30)

დ. ჰერაკლე და ომფალე (31)

ე. ტიხე (32)

ვ. ფსიქეა (33-34)

ზ. სატირი/მარსიასი (35)

თ. აპოლონ კითადოროსი (36)

ი. ჰერაკლე  (37-40)

IV. ცხოველები (ტაბ. VI, VII, VIII;  41-106)

ა. ფრინველები (41-62)

ბ. ლომი (63-66)

1. ნავარდის პოზაში (63-65)

2. მჯდომარე (66)

გ. ცხენი (67-71)

დ. ხარი (72-73)

ე. ირემი (74-79)

ვ. ჯიხვი (80)

ზ. თხა (81-84)

თ. ძაღლი (85, 85a)

ი. ქურციკი (86)

კ. ტახი (87)

ლ. კურდღელი (88)

მ. ცხენი და ფრინველი (89)

ნ. დელფინი და თევზი (90)

ო.  დაჭრილი ცხოველები (92-93)

1. ირემი (91-92)

2. მგელი (93)

პ. ცხოველთა ორთაბრძოლა (94-95)

1. გრიფონი და ირემი (94)

2. მტაცებელი (ჯიქი) და ირემი (95)

ჟ. გაურკვეველი ცხოველები (96-106)

V. ფანტასტიკური არსებები (Tab. IX, X.1; 107-134)

ა. გრიფონები (107-116)

ბ. ფრთოსანი ცხენი (პეგასი) (117-123)

გ. ჰიპოკამი (124)

დ. ფრთოსანი ლომი (125)

ე. გაურკვეველი ფანტასტიკური არსებები (126-134)

VI. ასტრალური სიმბოლოები, გეომეტრიული ფიგურები და მცენარეული მოტივები (ტაბ. X.2. 135-145a)

VII. სხვადასხვა (ტაბ. XI; 146-156)

ა. რიტონი (146-149)

ბ. ორი ცხოველის შეწყვილებული პროტომა (150-151)

გ. აფრიანი ნავი (152)

დ. ჭურჭელი (153)

ე. ნიჟარა (154)

ვ. ხარის თავი (155)

ზ. ლირა (156)

**ჯგუფი I. ადამიანის თავის გამოსახულებები.**

პირველი ჯგუფის ბრინჯაოს ბეჭედზე წარმოდგენილია მაღალმუზარადიანი მამაკაცის თავი პროფილში მარცხნივ (ტაბ. III, 2. 1). გამოსახულების ცუდი დაცულობის გამო, მამაკაცის სახის ნაკვთების გარჩევა სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, გაირჩევა მუზარადის ტიპი, რომელიც ემსგავსება არქაულ ბერძნულ სკარაბეოიდებზე გამოსახულ მეომართა მუზარადებს და შესაძლოა კორინთული ტიპის მუზარადებს

დავუკავშიროთ (Boardman 1968a, cat. no. 8, 13; Boardman, 1968b, cat. no. 313). ქეთევან რამიშვილი თვლის, რომ ეცოს ბეჭედზე წარმოდგენილი გამოსახულება რომელიმე ბერძნული დედნიდან მოგვიანებით გადმოიღეს (რამიშვილი & შატბერაშვილი, 1997, 20).

ადამიანის თავის გამოსახულება პროფილში, რომელიც ასრულებდა ე.წ. შემავსებელი მოტივის ფუნქციას დიდი პოპულარობით სარგებლობდა მესოპოტამიურ ცილინდრებზე ჯერ კიდევ ისინ ლარსისა და ძველ ბაბილონურ პერიოდებში. მსგავსი გამოსახულებები ასევე დადასტურებულია ძვ.წ. მეორე ათასწლეულიდან მოყოლებული ჩრდილო სირიულ და ანატოლიურ ცილინდრულ საბეჭდავებზე.

შუა მინოსურ პერიოდში, მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან, დასავლურ საბეჭდავებზე ადამიანის თავის გამოსახულება ხდება მთავარი ან ცენტრალური ელემენტი. ბორდმანი ვარაუდობს, რომ ეს გამოსახულებები შესაძლოა მიჩნეულ იქნეს სამეფოს საგვარეულო წარმომადგენლების პორტრეტებად (Boardman, 1970, 34).

არქაული პერიოდიდან, ადამიანის თავის გამოსახულება პროფილში, როგორც  მთვარი მოტივი, მრავლად გვხვდება საბეჭდავებსა და აღმოსავლურ ბერძნულ მონეტებზე. ხსენებული მოტივი ასევე პოპულარულია კლასიკურ ხანაში, ძვ.წ. მეხუთე და მეოთხე საუკუნეების გემებსა და ფარაკიან ბეჭდებზე (Boardman, 1970, 219, fig. 220).

ბერძნული კულტურის გავლენა თვალსაჩინოდ ვლინდება აქემენიდური იმპერიის ფარგლებში აღმოჩენილი საბეჭდავების ანაბეჭდებზე, განსაკუთრებით პერსპეროლისისა და ნიფურის განძებში. აღნიშნულ ანაბეჭდებზე ხშირად გხვდება წარჩინებულ პირთა და ღვთაებათა იკონოგრაფიული გამოსახულებები (Shmidt, 1957 Pl. 12, no. 50; Legrain, 1925, no. 971, 972).  მოტივი ასევე წარმოდგენილია ურის სპარსულ სამარხში გამოვლენილ ანაბეჭდებზე, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით არის დათარიღებული (Collon, 1996, pl. 21).

ელინისტური პერიოდიდან, რეალისტური პორტრეტი და სამეფო წარმომადგენლების, გმირებისა და ღვთაებების იდეალიზირებული

გამოსახულებები წარმოდგენილია გემებსა და ფარაკიან ბეჭდებზე. ამავე დროს, გლიპტიკურ ძეგლებზე ჩნდება კერძო პირთა გამოსახულებები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან სამეფო, ჰეროიკული თუ საღვთო ატრიბუტების გარეშე (Wallenfels, 1990, 70). თავისა და ბიუსტის გამოსახულებები ფართოდაა გავრცელებული სელევკიდების ოფიციალურ საბეჭდავებზე ურუქიდან (Wallenfels, 1990, nos. 3-33) და ტიგრის სელევკიიდან (Mcdowell, 1935, 31).

ეცოს ბრინჯაოს ბეჭედი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული ადგილობრივი რკალგახსნილი ბეჭდების ტიპს უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო გამოსახულება ბერძნული იკონოგრაფიული გავლენით უნდა შექმნილიყო, რაც მკაფიოდ წარმოაჩენს ელინისტური ეპოქის კულტურულ სინთეზს, რომლის შედეგად ადგილობრივი ხელოსნები აქტიურად ითვისებდნენ ბერძნულ მხატვრულ ტრადიციებს.

პირველ ჯგუფში უნდა განვიხილოთ ასევე ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ქალის პორტრეტული გამოსახულებით (ტაბ. II, 2. 2)

ბეჭედის ფორმა, ბორდმანისეული კლასიფიკაციის XVII ტიპს, ე.წ. პტოლემაიოსების ტიპის ბეჭდებს განეკუთვნება, რომელიც ელინისტურ ხანაში, ძვ.წ. IV-III საუკუნეებში იყო გავრცელებული (კახიძე, 2010, 70-71, ტაბ. 153; Boadman, 1970, 214, 285).

ქალის გამოსახულების ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით, ინტალიო ელინისტური ეგვიპტის დედოფლის, ბერენიკა II - ის პორტრეტულ გამოსახულებად უნდა მივიჩნიოთ (ჯავახიშვილი, 2015, 27; Gabunia, 2022, 21, fig. 4).

ბერენიკა II (ძვ. წ. 246–222) იყო კირენეს მეფე მაგასის ქალიშვილი (Mørkholm, 1991, 101). იგი იყო პირველი დედოფალი პტოლემაიოსთა დინასტიაში, რომელსაც მიენიჭა უფლება თავისი პორტრეტი მონეტებზე გამოესახა (Kyrieleis, 1975, 99). ბერენიკა II-ის პორტრეტები, მისი მაღალი პოპულარობის გამო, წარმოდგენილია არა მხოლოდ მონეტებზე, არამედ მცირე და მონუმენტური ხელოვნების სხვადასხვა ძეგლებზე.

ბერენიკა II-ის სამონეტო ემისიის ორი პერიოდი გამოიყოფა. პირველი პერიოდი უკავშირდება დროს, როდესაც ბერენიკა დამოუკიდებლად მეფობდა კირენაში (ძვ. წ. 246 წლამდე), ხოლო მეორე - მას შემდეგ, რაც ის გახდა პტოლემაიოს III-ის მეუღლე (ძვ. წ. 246 წლიდან) (Kyrieleis, 1975, 94).

პირველ ეტაპზე გამოშვებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მონეტები წარმოადგენდა კირენული ღირებულების მქონე ნომინალებს. ამ მონეტებს ახასიათებთ შედარებით დაბალი მხატვრული ხარისხი, რის გამოც ისინი ნაკლებად საყურადღებოა პორტრეტის იდენტიფიკაციის თვალსაზრისითაც (Kyrieleis, 1975, 94). მეორე პერიოდის მონეტები, განსხვავებით პირველი ეტაპისგან, გამოირჩევა განსაკუთრებით მაღალი მხატვრული ღირებულებით. ბერენიკა II-ის პორტრეტები ამ მონეტებზე ელინისტური მონეტების პორტრეტულ ხელოვნებაში ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევა (Gross, 1929, tab. 365, 5–6; Kyrieleis, 1975, 95)

ბერენიკა II - ის გამოსახულებები ხშირად გვხვდება ფარაკიან ბეჭდებზე. მათგან ფიჭვნარის ბეჭედთან ყველაზე დიდ მსგავსებას პოულობს ტარენტუმის პროვინციაში, ქალაქ მოტოლში აღმოჩენილი ოქროს ბეჭედზე დატანილი ქალის პორტრეტული გამოსახულება ე.წ. “Melon coiffure” თმის ვარცხნილობით (Boardman, 1970, 362, No. 1008). ჩვენთვის საინტერესო პარალელს წარმოადგენს ასევე პანტიკაპეიონში აღმოჩნილი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ბერენიკე II – ის პორტრეტული გამოსახულებით (Неверов, 1974, 110, 15a, b).

ფიჭვნარში აღმოჩენილი ბეჭდის გამოსახულება ბერენიკე II - ის სამონეტო პორტრეტებთან ერთ-ერთ ყველაზე მიახლოებულ პარალელს წარმოადგენს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ბეჭედი ფიჭვნარის სამაროვანზე დაკრძალულმა პირმა პტოლემაიოსების სამეფო კართან უშუალოდ დაახლოებული პირისგან მიიღო. ეს გარემოება მიუთითებს არა მხოლოდ კულტურული ურთიერთობების არსებობაზე, არამედ შესაძლოა, მიანიშნებდეს ინდივიდის მაღალ სოციალურ სტატუსსა და პოლიტიკურ-დიპლომატიურ წრეებთან კავშირზეც.

**ჯგუფი II - ადამიანის მთლიანი ფიგურები.**

მოცემულ ჯგუფში გამოყოფილია ექვსი ქვეჯგუფი: ქალის გამოსახულებები რომელიც დაყოფილია ორ კატეგორიად: ფეხზე მდგომი ქალები და მჯდომარე ქალები. მეორე ქვეჯგუფი აერთიანებს მამაკაცის გამოსახულებებს, მესამე ჯგუფში შედის ადამიანის ერთზე მეტი გამოსახულება, მეოთხე ქვეჯგუფში შედის ქურუმები ან თაყვანისმცემლები, მეხუთე ქვეჯგუფში ჰიბრიდული ადამიანები, ხოლო მეექვსე ქვეჯგუფი - საბრძოლო სცენები ორ ქვეკატეგორიას მოიცავს - ადამიანისა და ცხოველის ბრძოლის სცენა და მხედარის გამოსახულებები.

**ა). ქალის გამოსახულებები.** ლითონის ფარაკიანი ბეჭედი ქალის გამოსახულებით სულ შვიდი ცალია აღმოჩენილი. სტილისტურად გამოსახულებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ორ ბეჭედზე ე.წ. “ბერძნულ-სპარსულ” გლიპტიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიუჟეტის მიხედვით შექმნილი ფეხზე მდგომი სპარსელი ქალის გამოსახულებაა ამოკვეთილი (ტაბ. IV, 3-4).

ე.წ. “სპარსელი ქალის” მოტივი გვხვდება ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებული აქემენიდური ხანის ძეგლებზე: ოქროს მართკუთხა ფირფიტებზე და ვერცხლის ცილინდრულ ხუფზე (Curtis & Searight, 2003, fig. 32-36; Dalton, 1929, fig. 119). გლიპტიკურ მასალაში “სპარსელი ქალი” ფართოდაა გავრცელებული ბერძულ-სპარსულ გემებსა და ლითონის ფარაკიან ბეჭდებზე. “სპარსელი ქალს” უწოდებენ ფეხზე მდგომი ან ტახტზე მჯდომი ქალის გამოსახულებას პროფილში, რომელსაც აღმოსავლური ტიპის სახის ნაკვთები და აღნაგობა აქვს - წვრილი წელი, ფართო თეძოები. ქალს ტიპური სპარსული ან მიდიური სამოსი აცვია. თხელი, ნაოჭმიყრილი, გრძელმკლავება მაჯებთან გაგანიერებული ქიტონი, ფეხზე - ჭვინტიანი ფეხსაცმელი, თავზე კი, ხშირ შემთხვევაში, ქსოვილის თავსაფარი აფარია. “სპარსელ ქალს” ხელში სხვადასხვა საგანი უჭირავს: ყვავილი, სარკე, ფიალა, ალაბასტრონი, კილიკი, ფრინველი ან რგოლის ფორმის გვირგვინი. ეს ატრიბუტები პირის საფარეშო, ან საკულტო რიტუალებთან დაკავშირებულ ნივთებადაა მიჩნეული. კომპოზიცია ძირითადად ერთფიგურიანია, თუმცა, ზოგჯერ, ქალის გამოსახულება ორ ან სამფიგურულ კომპოზიციაშია ჩართული (რამიშვილი, 2021, 15).

ჩვენს მიერ განხილულ ორ ბეჭედზე ქალს ცალ ხელში სასმისი ან ყვავილი უჭირავს, მეორეში - რკალი. ორივე გამოსახულებაზე სპარსელი ქალი კეფაზე შეკრული, წელამდე ჩამოშვებული გრძელი თმითაა წარმოდგენილი და წელში გამოყვანილი, კოჭებამდე კაბა აცვია. გამოსახულებები ერთმანეთისგან სტილისტურად მალიან განსხვავებულია. განსხვავებით ტახტიძირის ინტალიოსაგან, რომელიც სქემატური და უხეშად შესრულებულია (ტაბ. IV, 4), კამარახევის ბეჭედი (ტაბ. IV, 3) მეტ მსგავსებას პოულობს ბერძნულ-სპარსულ გლიპტიკურ ძეგლებზე წარმოდგენილ ე.წ. "სპარსელი ქალის" გამოსახულებასთან, რომელიც დატანილია როგორც ჭრილა ქვებზე, ისე ლითონის ბეჭდებზე (Richter, 1968, 503; 506; 507; 508, 510; Boardman, 1970, 903; 854; 876; 879). გამოსახულებები მსგავსი სიუჟეტით წარმოდგენილია ასევე ტიგროსის სელევკიის თიხის ანაბეჭდებზეც (Invernizzi, 1995, fg. 12; 13; 16). ქეთევან ჯავახიშვილი ჩვენს მიერ განხილულ ორივე ბეჭედს ადგილობრივ, თუმცა სხვადასხვა მხატვრულ სკოლებში დამზადებულად მიიჩნევს (ჯავახიშივილი, 2015, 10).

ძვ.წ. V-IV საუკუნეების ბერძნულ გლიპტიკურ ძეგლებზე ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სიუჟეტს - დაბალ სკამზე მჯდომ სხვადასხვა საქმით დაკავებულ მანდილოსანს უნდა გამოხატავდეს ჯგუფში გაერთიანებული სამი ბეჭედი (ტაბ. IV, 7-9). მათგან ორი ბეჭედი (ტაბ. IV, 7-8), ქეთევან ჯავახიშვილის აზრით, დასავლეთ ბერძნულ ნახელავს უნდა წარმოადგენდეს (ჯავახიშვილი, 2011, 121-122).

სტილისტური მახასიათებლების მიხედვით, ადგილობრივად უნდა იყოს დამზადებული ოქროსა (ლორთქიფანიძე, 1975, 88-89) და ბრინჯაოს ორი ბეჭედი რომელზეც უზურგო სკამზე მჯდომი ქალია გამოსახული (ტაბ. IV, 5, 6).

დაბალ სკამზე მჯდომი ქალის ფიგურა, რომელიც სხვადასხვა საქმითაა გართული (წერს, უკრავს, უჭირავს ყვავილები, ფრინველები და ა.შ), ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თემაა ბერძნულ გლიპტიკაში როგორც გემებზე, ისე ფარაკიან ბეჭდებზე. ეს თემა ასევე გვხვდება ბერძნული სახვითი ხელოვნების სხვა ძეგლებზეც, კერძოდ, სკულპტურასა და ვაზათმხატვრობაში (Richter, 1968, 271-276). ძვ.წ. V-IV საუკუნეებში, ბერძენი ქვისმჭრელები ადამიანის სხეულის ანატომიას კარგად იცნობენ. ამ პერიოდში ქალთა მჯდომარე ფიგურები წარმოდგენილია

თავისუფლად, მსუბუქ პოზებში. ქვისა და ლითონის მჭრელი ოსტატები ინტალიოებზე სამოსის სიმსუბუქისა და ქსოვილის გამჭვირვალობის გადმოცემასაც კი ახერხებდნენ (ლორთქიფანიძე, 1976, 146).

გარდა ბერძნულისა, ამავდროულად, ეს თემა პოპულარობით სარგებლობს ე.წ. ბერძნულ-სპარსული სტილის გლიპტიკურ ძეგლებზეც, რომელზეც სხვადასხვა საქმით დაკავებული სპარსელი ქალია გამოსახული (Boardman, 1970, 990, 991; Barak & Amorai-Stark, 1989, Pl. 74, fig. 1).

მარგარიტა ლორთქიფანიძე, დაბალ სკამზე მჯდომი მანდილოსნის გამოსახულებას ბერძნული ჭრილა ქვების იმ ჯგუფს უკავშირებს, რომელიც გარდამავალ ეპოქას - მკაცრი სტილიდან თავისუფალზე მიეკუთვნება (ლორთქიფანიძე, 1975, 92). ჯონ ბორდმანი, ხსენებული ბეჭდის განხილვისას მას ბერძნულ-სპარსულ ტიპს მიაკუთვნებს (Boardman, 1994a, 220). დედატოსის ბეჭედთან მიმართებაში საინტერესოა ორი ბეჭედი ოქსუსის განძიდან. ორივე ბეჭდის ფარაკზე გამოსახულია ტახტზე მჯდომი ნაწნავიანი ქალი: ერთი ხელში ფრინველითა და ყვავილით, მეორე ყვავილითა და რგოლით (Dalton, 1964, fig. 103, 104). ხსენებული ბეჭდები ბერძნულ-სპარსული გლიპტიკის წრეში არის გაერთიანებული (Boardman, 1970, 322). ჯონ ბორდმანს, "დედატოსის" ბეჭდის გამოსახულების სტილი ბერძნულ-სპარსულ ტიპს აგონებს და თვლის, რომ ადგილობრივმა ხელოსნებმა ბერძნული ბეჭდების ტიპებზე დაკვირვების შედეგად შეითვისეს ის დეტალები, რაც მათ სურდათ, ადგილობრივი ტრადიციების სრულად დათმობის გარეშე (Boardman, 1990, 220). "დედატოსის" ბეჭედზე წარმოდგენილი ქალის გამოსახულება სტილისტურად დიდ მსავსებას ამჟღავნებს ლუვრში დაცული ოქროს ფარაკიანი ბეჭდის გამოსახულებასთან (Boardman, 1970, pl. 707). ორივე შემთხვევაში აშკარაა მისწრაფება ნატურალიზმისაკენ და ხაზგასმულია ქალის სახის ინდივიდუალური თავისებურები.

ვანის დედატოსის ოქროს ბეჭდის მსგავსი სიუჟეტი, ორ კვიპაროსს შორის, დაბალ, უზურგო სკამზე მარჯვენა პროფილში მჯდომი ქალის გამოსახულება, რომელსაც ცალ ხელში თასი უჭირავს, არის ამოკვეთილი ბრინჯაოს ბეჭედზე ნოქალაქევიდან (ტაბ. IV, 6). გამოსახულების პარალელად უნდა მოვიყვანოთ

სიცილიაში აღმოჩენილი ძვ.წ. IV საუკუნის დასავლურ ბერძნული ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი, რომელზეც ანალოგიური კომპოზიციაა წარმოდგენილი (Spier, 1992, no. 59).

ნოქალაქევში აღმოჩენილი ბეჭედი მიეკუთვნება დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ბეჭდების ტიპს და ერთიანდება ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის VIII ჯგუფში, რომელსაც ძვ.წ. III-II საუკუნეებით ვათარიღებთ. ხსენებული ბეჭედი ძვ.წ. II საუკუნის სამარხშია გამოვლენილი. დედატოსის ბეჭედთან შედარებით, ნოქალაქევის ინტალიოს გამოსახულება გამარტივებულია, სტილი გაუბრალოვებული, დეტალები არ არის გამოკვეთილი, კვეთა ზედაპირულია. როგორც ჩანს, ხსენებული მოტივი დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. II საუკუნეშიც კი შემორჩა.

**ბ) კაცის გამოსახულებები.** რაც შეეხება მეორე ქვეჯგუფს, ორ ბეჭედზე გამოსახულია მარჯვნივ მიმავალი მამაკაცი, ერთზე - მარცხნივ (ტაბ. IV, 12-14). გამოსახულებები სტილისტურად განსხავებულია. ორ მათგანს წელში გამოყვანილი, მოკლე კაბა აცვია. ერთს ცალ ხელში ჯოხი (ან მახვილი?), მეორეში კი გაურკვეველი საგანი (შესაძლოა ქისა) უჭირავს (ტაბ. IV, 13), ხოლო მეორე მამაკაცი ხელით ჯოხს ეყრდნობა (ტაბ. IV, 14).

აქემენიდური პერიოდის გლიპტიკურ ძეგლებზე, ჯოხზე ან შუბზე დაყრდნობილი მამაკაცის გამოსახულება საკმაოდ გავრცელებული მოტივია. მსგავსი თემა გვხვდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურ კომპოზიციებში ჩართული და განსაკუთრებით ხშირია ბერძნულ-სპარსულ გემებზე. ასეთი გამოსახულებებისათვის დამახასიათებელია მშვიდი, სტატიკური პოზა - ფიგურა თითქოს უძრავია, შემოსული ტანზე მჭიდროდ მორგებული სამოსით, რომელიც ხაზს უსვამს წელის შევიწროებულ ფორმას (Maximova, 1928, abb. 5; 8, 13; 14). ჰეროდოტე თავის ისტორიის წიგნში აღნიშნავს, რომ ყველა ბაბილონელი “ფლობს მისთვის დამზადებულ ხელჯოხს” (Herodotus 1.195).

ძნელად ასახსნელი სცენა, რომელსაც გლიპტიკურ ძეგლებზე ანალოგი არ ეძებნება, არის გამოსახული ვანის ბეჭედზე. მასზე დაბალ, უზურგო სკამზე მჯდომარე ხელგაშლილი მამაკაცია გამოხატული, რომელსაც მარჯვენა ხელში

გრძელი ტოტი უჭირავს, მარცხენაში - დიდი ზომის რგოლი (ტაბ. IV, 10). კიდევ სამი, მცირე ზომის რგოლია გამოსახული მარცხენა ხელსა და მუხლს შორის. კომპოზიციას პირდაპირი ანალოგიები არ ეძებნება, თუმცა მარგარიტა ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ ლითონის მჭრელი ხეთური გლიპტიკური ძეგლების გავლენას განიცდიდა (ლორთქიფანიძე, 1976, 150).

**გ) ორი ან მეტი ადამიანის ფიგურა.** მესამე ქვეჯგუფში ერთიანდება ბეჭდები სიუჟეტით, რომელზეც ადამიანის ორი ან მეტი ფიგურაა გამოსახული.

ჯგუფში შემავალი ბეჭედი აღმოჩენილია ყოღოთოში, რომელზეც გამოსახულია მოცურავე ნავში ერთმანეთის უკან მსხდომი სამი ადამიანის ფიგურა პროფილში მარცხნივ (ტაბ. V, 15). ნავი მრავალნიჩბიანია, ცხივი და კიჩო წაწვეტებული აქვს, რას მანიშნებელია იმისა, რომ ინტალიოზე მცირე ხომალდია ამოკვეთილი (ლორთქიფანიძე, 1975, 80-81, სურ. 16). გამოსახულება სუმარული და სქემატურია, ფიგურები დისპროპორციულია.

პირდაპირი პარალელი ინტალიოზე გამოსახულ ხომალდს არ მოეძებნება, თუმცა სიუჟეტი ყველაზე მეტად ემსგავსება განდჰარაში აღმოჩენილ ანაბეჭდზე დატანილ გამოსახულებას ნავში მსხდომი სამი ადამიანისა (Rahman & Falk, 2011, 63, inv.241). ცნობილია კიდევ რამდენიმე ადრეკლასიკური ხანის სკარაბეოდი, რომელზეც ბეძნული სამხედრო მრავალნიჩბიანი ხოლამდია გამოსახული (Boardman, 1970, No. 457, 453, 953).

რთულია აიხსნას ინტალიოზე მენიჩბეები არიან გამოსახულნი თუ მეომრები, თუმცა დანამდვილებით უნდა ითქვას რომ მჭრელისთვის ბერძნული სამხედრო ტიპის ღომალდი იმ დროისათვის ცნობილი იყო.

**დ) ქურუმები.** დაბალი საკურთხევლის წინ მდგომი ქურუმი, რომელსაც გაწვდილ ხელში რაღაც საგანი (ბარსომი) უჭირავს, უნდა იყოს გამოსახული ბეჭდებზე ყოღოთოდან, აწყურიდან, და ნაომარი გორიდან (ტაბ. V, 16-18) თაყვანისცემის სცენებთან უნდა იყოს დაკავშირებული ჯგუფში გართიანებული კიდევ ერთი ბეჭედი (ტაბ. V, 19).

თაყვანისცემის სცენები ნეო-ბაბილონურ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივია და ძვ.წ. V საუკუნესა და მის შემდგომ პერიოდშიც აგრძელებს არსებობას (Bregstein, 1993, 16).

ყოღოთოს, აწყურისა და ნაომარი გორის ბეჭდების გამოსახულებების პარალელად გამოდგება ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი. მათგან ერთი აღმოჩენილია პასარგადში, რომელზეც დაბალი საკურთხევლის წინ მდგომი ქურუმია გამოსახული (Stronach, 1978, 181, fig. 163a), ხოლო მეორე ცნობილია კერძო კოლექციიდან და დაცულია ჟენევის ისტორიის მუზეუმში (Vollenweider, 1983, 36, fig. 63). ბულები მსგავსი სიუჟეტით მომდინარეობს ელინისტური პერიოდის ბაბილონიდან, კერძოდ ურუქიდან (Wallenfels, 1994, 20-21, fig. 54-57) და ტიგროსის სელევკიიდან (Invernizzi, 1984, 31, fig. 5). ნეო-ბაბილონური პერიოდის ბულები ქურუმების გამოსახულებით ასევე გამოვლენილია ნიფურსა (Bregstein, 1993, n. 215-260) და პერსეპოლისში (Shmidt, 1957, 47, Pl 13, N 61, 62).

სამივე გამოსულება სტილისტური მახასიათებლებისა და განსხავებული კვეთის მანერის მიხედვით, ადილობრივ სახელოსნოში დამზადებულად უნდა მივიჩნიოთ. გამოსახულებები მესოპოტამიური გლიპტიკის გავლენით უნდა იყოს შექმნილი, ხოლო მსგავსი სიუჟეტის არსებობა პოსტაქემენიდურ ხანაში ტრადიციის უწყვეტობის შენარჩუნების მაგალითია.

**ე) ჰიბრიდული ადამიანები.** ქვეჯგუფში შემავალ ორ ბეჭედზე ჰიბრიდული ადამიანი უნდა იყოს გამოსახული. მათგან ტახტიძირში აღმოჩენ ბეჭედზე გამოსახულია პირდაპირ მდგომარე ფიგურა, შემოსილი წელში გამოყვანილი ქვემოთ მსხვილ ნაკეცებად გაშლილი მოკლე სამოსით. მარცხენა ხელი წელთან აქვს მიტანილი, მარჯვენა იდაყვში მოხრილ ხელში მცენარის შტო უჭირავს. გამოსახულების წინ ოთხსხივიანი მნათობია გამოსახული (ტაბ. V, 20). გამოსახულება სქემატურია, თუმცა განირჩევა სახე, რომელიც ფრინველის თავს მოგვაგონებს. კიდევ ერთი ბეჭედი, რომელზეც ადამიანის ტანითა და ლომის თავის დასრულებული გამოსახულებაა ამოკვეთილი, აღმოჩენილია ვანში (ტაბ. V, 21).

**ვ) საბრძოლო სცენები.** 1. ადამიანისა და ცხოველის ბრძოლა.

საბრძოლო სცენას უნდა მივაკუთვნოთ ჯგუფში შემავალ ორ ბეჭედზე წარმოდგენილი რთული კომპოზიცია, რომელიც ადამიანისა და მხეცის ბრძოლას ასახავს. ორ ფეხზე შედგარი ფანტასტიკური მტაცებელი რქოსანი ცხოველი თავს ესხმის ზურგზე გართხმულ ადამიანს. რქოსანი ცხოველის ზურგს ზემოთ ნახევარი მთვარეა ამოკვეთილი (ტაბ. V, 23). გამოსახულება სქემატურია, ტლანქი ნამუშევარია.

ადამიანისა და ცხოველის ბრძოლის სცენა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მოტივს აქემენიდური ხანის ხელოვნებაში. აღნიშნული თემატიკა სათავეს ნეო-ასირიული და ნეო-ბაბილონური ცილინდრული საბეჭდავების ტრადიციიდან იღებს. მოტივი ხშირად გხვდება აქემენიდური ნიფურისა და ტიგრის სელევკიის ელინისტური პერიოდის ანაბეჭდებზე (Legrain, 1925, no. 901-952; Wallenfels, 1989, no. 47-48).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ბეჭედზე წარმოდგენილ სცენას, სადაც მხეცი ამარცხებს ადამიანს, ზუსტი პარალელი ამ ეტაპზე არ იძებნება, გამოსახულებაში აშკარად იგრძნობა აღმოსავლური ხელოვნების ზეგავლენა.

ქვეჯგუფში შემავალ, ვანში აღმოჩენილ ოქროს ბეჭდის ფარაკზე დატანილია ჰიბრიდული არსების გამოსახულება ცხოველის თავითა და ადამიანის ტანით, რომელსაც თავს ესხმის მტაცებელი ცხოველი (ტაბ. V, 22).

2. **მხედარი.** მეორე ჯგუფი აერთიანებს ასევე მხედართა გამოსახულებებს. რქოსან ცხენზე ამხედრებული შუბოსანი მამაკაცის ფიგურაა გამოსახული ბეჭდებზე ყანჩაეთიდან, ალგეთიდან და ვანიდან (ტაბ. V, 24-26). ყანჩაეთისა და ალგეთის გამოსახულებებზე, რომელიც უსიცოცხლო და გახევებულია იგრძნობა სტილის ერთიანობა, რასაც ვერ ვიტყვით ვანის ბეჭედზე, რომელიც რამდენადმე განსხვავებულია, და მეტ მსგავსებას ბერძნული სამყაროს გლიპტიკურ ძეგლებთან იჩენს. მარგარიტა ლორთქიფანიძე სამივე ბეჭედს ადგილობრივ სახელოსნოებში დამზადებულად თვლის და ვანის ბეჭდის მხედარს დიონისეს განსახიერებად მიიჩნევს (ლორთქიფანიძე, 1975, 94-96; ლორთქიდანიძე, 1981, 40-54, 59-62). იულონ გაგოშიძე ყანჩაეთის ბეჭედზე გამოხატულ შუბოსან მხედარს ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებს და მთვარის ღვთაებად მიიჩნევს (გაგოშიძე, 1964, 39).

ვანის ბეჭდის შორეულ პარალელად შეიძლება მივიჩნიოთ თლიას სამაროვანზე აღმოჩენილი ძვ.წ. VII საუკუნის ბრინჯაოს სარტყლის სიუჟეტი, რომელზეც წარმოდგენილია ცხოველთა და ადამიანთა პროცესია. სარტყელზე გამოსახულ მხედარს ხელში ლაგამი და მათრახი უპყრია, ზურგზე მოგდებული აქვს მშვილდი და კაპარჭი ისრებით, ცხენს წინ ჰკიდია ცხოველის ნიღბიანი ადამიანის თავის გამოსახულება (ხიდაშელი, 1982, 32).

ცხენზე მჯდომი შეიარაღებული მხედრის გამოსახულება ერთ-ერთი გავრცელებულია მოტივია ე.წ. ბერძნულ-სპარსული პერიოდის გლიპტიკაში. ცნობილია  ქვის საბეჭდავები (Boardman, 1970, pl. 843; 863, 881-83, 886, 888) და ბულები ნიფურიდან (Legrein, 1925, n. 985, 987), ელინისტური ურუქიდან (Wallenfels 1994, 23, n.72), ტიგრის სელევკიიდან (Invernizzi, 1995, fig, 7), დასკილეიონიდან (Kaptan, 2002, 108, Ds.89), სადაც მსგავსი სიუჟეტები გვხვდება, თუმცა ვანის, ყანჩაეთისა და ალგეთის გამოსახულებები ინდივიდუალური მახასიათებლებით გამოირჩევიან და მსგავსებას არ ამჟღავნებენ ამ პერიოდის არც ბერძნულ და არც აღმოსავლურ გლიტიკურ ძეგლებზე დატანილი მხედრების გამოსახულებებთან, შესასაბამისად სამივე მათგანი, ადგილობრივ სახელოსნოებში დამზადებულად უნდა მივიჩნიოთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში, რქიანი ცხენის გამოსახულება დაკავშირებულია სელევკიდთა სამეფოში მოჭრილ მონეტებთან. აღნიშნული მოტივი დამახასიათებელია სელევკიდეთა იმპერიის  მეფეთა მონეტებისთვის, სელევკე I ნიკატორიდან დაწყებული, ანტიოქოს IV - ის პერიოდით დასრულებული (ძვ.წ. 312-164) (Wallenfels, 1994, 700). მონეტებზე ვხვდებით როგოც რქიანი ცხენის ბიუსტს (Houghton & Lorber 2002, 474, add. 16; 64-65, cat. no. 145-146), ასევე მამაკაცს, ამხედრებულს რქიან ცხენზე (Houghton & Stewart, 1999, 27).

მიუხედავად იმისა, რომ მოტივის ინტერპრეტაციის მრავალი მცდელობა არსებობს, მისი ზუსტი მნიშვნელობა კვლავ სადავოა. რქიანი ცხენი ხშირად ასოცირდება დიონისესთან ან ალექსანდრე მაკედონელთან. მონეტები, რომელზეც რქიანი ცხენია გამოსახული დაკავშირებულია სელევკიდების სამხედრო გამარჯვებასთან, შესაბამისად, რქიანი ცხენის მოტივი ინტერპრეტირებულია

როგორც სელევკიდების არმიის სიმბოლო. აღსანიშნავია, რომ მონეტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელზეც რქიანი ცხენის მოტივია გამოსახული, მოჭრილია სელევკე I-ის იმპერიის ირანულ ნაწილში. ეს გარემოება მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა მოტივის ირანულ კულტურულ კონტექსტში გააზრებისთვის. ირანულ ტრადიციაში ცხენს გამორჩეული მნიშვნელოვაბა ჰქონდა და, სავარაუდოდ, ის დაკავშირებული იყო სამეფო ძალაუფლებასთან. რქები, როგორც იკონოგრაფიული ელემენტი დამახასიათებელი იყო ბაბილონის კულტურისთვის და წარმოადგენდა ღმერთებისა და მეფეების ტრადიციულ ატრიბუტს (Wójcikowski, 2021). სელვკე I ის ეკბატანაში ძვ.წ. 295-293 წლებში მოჭრილ მონეტებზე გამოსახული რქიან ცხენი ბუცეფალად არის იდენტიფიცირებული, ხოლო მხედარი ალექსანდრე მაკედონელის გამოსახულებად (Houghton & Stewart, 1999).

ჩვენს ბეჭდებსა და სელევკიდების მონეტებზე რქოსან ცხენზე ამხედრებული მხედირის საერთო მოიტივი აშკარაა, ამ გამოსახულებათა წარმომავლობა აღმოსავლური, დასავლური და ადგილობრივი ტრადიციების სინთეზს უნდა წარმოადგენდეს.

**ჯგუფი III - ანთროპომორფული ღვთაებები.**

ბერძნული ღვთაებები არის გამოსახული ლითონის თორმეტ ფარაკიან ბეჭედზე. ყველა ბეჭედი დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი. გამოსახულების სტილისტური თავისებურებების საფუძველზე, აღნიშნული ბეჭდები იმპორტულად უნდა ჩაითვალოს და, სავარაუდოდ ბერძნული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან არის შემოტანილი.

იმპორტული ჯგუფის დასავლეთ საქართველოში არსებობა, რა თქმა უნდა, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან კოლხეთსა და საბერძნეთს შორის მჭიდრო სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

ბეჭდებზე გამოსახულია ბერძნული ანთროპომორფული ღვთაებები: ჰერმესი; ჰერაკლე, ეროტი და აფროდიტე; თიმიატერიონის წინ მჯდომარე

აფროდიტე მისი საღმრთო ფრინველებით - გედითა და ყანჩით; ეროტი; ტიხე; ფსიქეა; სატირი/მარსიასი და აპოლონ კითადოროსი (ტაბ. V. 27-36).

ანტიკური პერიოდის ბერძნულ ინტალიოებზე ყველაზე ხშირად გამოსახულ ღვთაებებს შორის ჰერმესი, აფროდიტე და ეროტი გამოირჩევიან. არსებობს მოსაზრება, რომ ძველ ბერძნულ სამყაროში საბეჭდავები კონკრეტული იკონოგრაფიით ინიციაციის პროცესთან იყო დაკავშირებული. ამ კონტექსტში საბეჭდავი აღიქმებოდა როგორც სიმბოლური ნიშანი იმისა, რომ ბეჭდის მფლობელმა გაიარა რიტუალური გარდასახვის პროცესი, ანუ გარკვეული მდგომარეობიდა გადავიდა ახალ, განსხვავებულ სოციალურ ან ცხოვრებისეულ ეტაპზე. არსებული მოსაზრების თანახმად, მსგავსი ტიპის საბეჭდავებზე ხშირად გამოსახავდნენ სხვადასხვა ჰიბრიდულ არსებებს - სფინქსი, გრიფონი, სატირსა და სირინოზებს, ასევე მოთოლოგიურ გმირებს, მაგალითად ჰერაკლე ან ღვთაებებს - ჰერმესსა და აფროდიტეს. ჰერმესი და აფროდიტე ხშირად განიხილებიან როგორც მაინიცირებელი ღვთაებები, რადგან ჰერმესი დაკავშირებულია სიმწიფის და გარდასახვის რიტუალებთან, ხოლო აფროდიტე მამაკაცის სექსუალური მომწიფების პროცესთან (Arnal, 2024, 36).

ჯგუფში შემავალ ერთ ბეჭედზე გამოსახულია დაბალ სკამზე მჯომი წელს ზემოთ შიშველი მამაკაცი, რომელსაც მუხლებზე ქალი უზის (ტაბ. V, 31).

მსგავსი სცენის ყველაზე ადრეული ნიმუშები წარმოდგენილია ე.წ. ეტრუსკულ რელიეფურ ბეჭდებზე, რომელიც ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრით არის დათარიღებული. ოქროს სამივე ბეჭედზე გამოსახულია სასიყვარულო სცენა - წელს ზემოთ შიშველი მამაკაცი, რომელიც კოცნის მის მუხლებზე მჯდომ ქალს (Boardman, 1966, 11, no. IX, X, XI).

ვანის ბეჭდის მსგავსი გამოსახულება გამოვლენილია ურში, ძვ.წ. V საუკუნის სამარხში აღმოჩენილ თიხის ბულაზე (Collon, 1996, 77, pl.23, 13i, d). ვარაუდობენ, რომ ურის ანაბეჭდების მფლობელი იყო გემების მჭრელი, რომელიც აგროვებდა გემებს, ფარაკიან ბეჭდებსა თუ სხვა გლიპტიკურ ძეგლებს, რომელიც იმ დროს ხელმისაწვდომი იყო სპარსეთის იმპერიაში (Collon, 1996, 79).

ასევე, ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებული სელინუსის აკროპოლისიდან

(სიცილია), მომდინარეობს ასობით თიხის ჭურჭელის ნატეხი ზედ დატანილი ანაბეჭდებით, სადაც მსგავს სიუჟეტს ორ ანაბეჭდზე ვხვდებით (Pigorini, 1883, pl. VII, I-II).

მსგავსი გამოსახულება ცნობილია ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ვერცხლის ბეჭედზე, რომელსაც ფრედერიკ მარშალი ძვ.წ. IV-III საუკუნით ათარიღებს (Marshall, 1907, 174, N1092). ბრინჯაოს ერთი ბეჭედი აღმოჩენილია სტიმფალოსში (არკადიის ჩრდილო-აღმოსავლეთით) ე.წ. ათენას საკურთხეველში, სადაც იდენტურ სიუჟეტს ვხვდებით (Young, 2001, 119, pl. 6). ეს მოტივი ასევე გვხვდება ცენტრალურ საბერძნეთში, კორიკოსის გამოქვაბულში აღმოჩენილ ორ ბეჭედზე. მათგან ერთი ვერცხლისაა, მეორე ბრინჯაოსი. ორივე ბეჭედი ძვ.წ. IV საუკუნით არის დათარიღებული (Young, 2014, no. 101; Zagdun, 1984, no. 129; 173). კიდევ ერთი ბრინჯაოს ბეჭედი ამავე სიუჟეტით გამოქვეყნებულია აუქციონის კატალოგში (Gorny, 2011, 109, N177). უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი გამოსახულება არ გამოირჩევა დახვეწილობით. განსაკუთრებულად უხეშადაა გადმოცემული სახის ნაკვთები და ვარცხნილობა ვანის ბეჭედზე. დღემდე ცნობილი მსგავსი სიუჟეტის გამოსახულებიდან, ყველაზე მეტ სიახლოს ვანის გამოსახულება ურის სამარხში აღმოჩენილ ბულასთან ამჟღავნებს. მსგავსია ქალის ჯდომის პოზა, ასევე მამაკაცის არაბუნებრივად გრძელი, ძირს დაშვებული ხელი, ფართო ხელის მტევნითა და მკვეთრად გამოკვეთილი თითებით. ქეთევან ჯავახიშვილი თვლის, რომ ვანის ბეჭედი დასავლური ბერძნული ცენტრის უხეში სტილის ნახელავი უნდა იყოს და ძვ.წ. IV ს-ით ათარიღებს (ჯავახიშვილი 2001, 122-123).

გამომომდინარე იქიდან, რომ ცნობილია ანაბეჭდები მსგავსი გამოსახულებით, უნდა ვივარაუდოთ რომ გამოსახულება საბეჭდავად გამოიყენებოდა. რთულია დანამდვილებით ითქვას ყოველდღიური ცხოვრების სცენასთან გვაქვს საქმე თუ რაიმე მითოლოგიურ სიუჟეტთან, რადგან, გამოსახულებებთან ერთად არ არის წარმოდგენილია რაიმე ატრიბუტი, რაც სიუჟეტის ზუსტი განსაზღვრის შესაძლებლობას მოგცემდა. თუმცა, შესაძელებია გამოითქვამს ვარაუდი, რომ ბეჭედზე წარმოდგენილი სცენა ჰერაკლესა და

ომფალეს მითოლოგიური სიუჟეტის ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ჰერაკლეს ლიდიის დედოფლის, ომფალეს მსახურება მიესაჯა სამი წლის ვადით. მოგვიანებით, ომფალე ჰერაკლეს მეუღლე ხდება და აიძულებს როლების გაცვლას. თავად ატარებს ჰერაკლეს ტრადიციულ ატრიბუტებს - ლომის ტყავსა და ხელკეტს, ხოლო ჰერაკლე გამოსახულია ქალის ტანსაცმელში, ხანდახან კი - ქსოვის ან ომფალეს მსახურების პროცესში. (Boardman, 1994b, 52).

ომფალესა და ჰერაკლეს გამოსახულება ერთად საკმაოდ იშვიათია კლასიკური პერიოდის საბერძნეთში და პოპულარობით სარგებლობს გვიან რესპუბლიკურ ხანაში (Dasen & Spadini, 2001, 63). ომფალეს იკონოგრაფიული გამოსახულება, სადაც ის ჰერაკლეს ატრიბუტებითაა წარმოდგენილი ძვ.წ. IV საუკუნიდან არის დასასტურებული, მხოლოდ ძვ.წ. I საუკუნეში გვხვდება ომფალესა და ჰერაკლეს წყვილადი გამოსახულება (Boardman, 1994b, 52). ძვ.წ. IV საუკუნის ოქსუსის ბეჭედზე, შიშველი ომფალე წარმოდგენილია ლომის ტყავით და ხელჯოხით (Dalton, 1964, pl. XVI, cat.no. 102). ოქსუსის ბეჭდის გამოსახულებაზე ლომის ტყავის გადმოცემისა და ვანის ბეჭდზე წარმოდგენილი ქალის სამოსის მსგავსება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ვანის ბეჭედზე გამოსახული ქალის ტანსაცმელი შესაძლოა ლომის ტყავად მივიჩნიოთ. ამ დეტალზე დაფუძნებით, შესაძლებელია გამოთქვას მოსაზრება, რომ ვანის ბეჭდზე ასახული სიუჟეტი ომფალესა და ჰერაკლეს როლების გაცვლის ერთ-ერთ უძველეს ვიზუალურ გამოხატულებას წარმოადგენს.

პომპეის I საუკუნის ფრესკაზე ჰერაკლე შიშველ მდგომარეობაშია წარმოდგენილი ომფალეს გვერდით, რომელსაც ტანზე ლომის ტყავი აქვს მოსხმული და მარცხენა მკერდი შიშველი დაუტოვებია - ისევე, როგორც ეს ვანის ბეჭდის გამოსახულებაზეა აღბეჭდილი (Boardman, 1994b, 48, no. 29). მსგავსი იკონოგრაფიული მახასიათებლები გვხვდება ასევე I საუკუნის გემზე გამოსახულ ომფალეს ბიუსტზეც, სადაც ის ლომის ტყავით შემოსილი და ცალი მკერდით შიშველი ჩანს (Boardman, 1994b, 50, no. 45). აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. I საუკუნით დათარიღებულ სარდიონის ინტალიოზეც წარმოდგენილია ჰერაკლესა და

ომფალეს ბიუსტები, რომელთა გამოსახულება მკაფიოდ ემსგავსება ვანის ბეჭდზე ასახულ სცენას (Zwierlein-Diehl, 1973, no. 269).

ამ პარალელების გათვალისწინებით, უფრო მეტად დასაჯერებლად ჟღერს ჰიპოთეზა, რომ ვანის ბეჭედზე ასახული სიუჟეტი ასახავს ჰერაკლესა და ომფალეს მითოლოგიური ეპიზოდის ერთ-ერთ ადრეულ ვარიანტს. ფიგურათა პროპორციების დარღვევა, რაც განსაკუთრებულად სახის ნაკვთების გადმოცემისას შეინიშნება, რთულად დასაჯერებელს ხდის აზრს, რომ ეს ბეჭედი ბერძენი ოსტატის ნახევალი იყოს. შესაბამისად, ფვიქრობ, ბეჭედი კოლხი ოსტატის ნახელავს უნდა წარმოადგენდეს.

ჰერაკლეს კულტი კოლხეთში ძვ.წ. III საუკუნიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა, რასაც ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჰერაკლესთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის არქეოლოგიური ძეგლები და ამასთანავე ანტიკური წერილობითი წყაროები მოწმობს (ჭყონია, 1982, 83). ბერძენი ისტორიკოსის, აპიანეს (90-170 წწ.) ცნობის მიხედვით, სარდალმა პომპეუსმა კოლხეთში ლაშქრობისას “მოიარა კოლხები, არგონავტთა, დიოსკურებისა და ჰერაკლეს აქ ყოფნის ამბის შესატყობად და განსაკუთრებით კი უნდოდა ენახა ტანჯვის ადგილები, რადგან ამბობდნენ, პრომეთე კავკასიონის ქედზე იყო მიჯაჭვული” (აპიანე, მითრიდატეს ომები, 103, ლორთქიფანიძე, 1966, 146). ბერძნული მითის თანახმად ჰერაკლემ გაათავისუფლა კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე, რასაც ვკითხულობთ სამოსელი ისტორიკოსის დურისის (ძვ.წ. 340-275 წწ.) ცნობებში: “კავკასიის მცხოვრებნი მხოლოდ ზევსს და ათენას არ სწირავდნენ მსხვერპლს, ვინაიდან ისინი იყვნენ პრომეთეს დასჯის მიზეზნი, ჰერაკლეს კი იმის გამო, რომ პრომეთეს მჯიჯგნავი არწივი განგმირა, განსაკუთრებით სცემენ თაყვანს (ლორთქიფანიძე, 1966, 146).

სპეციალური აღნიშვნის ღირსია კახეთში, “ნაომარის გორის” ელინისტური სამაროვნის ერთ სამარხში გამოვლენილი ხუთი ბეჭედი, საიდანაც ოთხზე, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარი ბერძენი გმირი, ჰერაკლეა გამოსახული. ოთხივე გამოსახულებაზე ჰერაკლე წარმოდგენილია ჰერალდიკური და სტატიკური მანერით. ხელოვნებაში ჰერაკლე ხშირად გამოისახებოდა როგორც ძლიერი

მამაკაცი, რომელიც ისვენებს თავისი გმირობების შემდეგ, თან ახლავს მისი იდენტობისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ატრიბუტი (Джавахишвили, 2006, таб. VI, 7-10).

“ნაომარი გორის” პირველ ბეჭედზე ჰერაკლე გამოსახულია ჯოხზე დაყრდნობილი, ფარით ხელში. მსგავსი გამოსახულება ცნობილია ბრიტანეთის მუზეუმიდან და დათარიღებულია თანადროული პერიოდით, ძვ.წ. IV საუკუნით (Marshall, 1907, cat. no. 1241).

მეორე ბეჭედზე ჰერაკლე გამოსახულია ჯოხზე დაყრდნობილი, ლომის თავით. ერთ-ერთი მითის თანახმად, ჰერაკლემ მოკლა ნიმეის ლომი, რის შემდგომ ხელოვნების ნიმუშებზე იგი ხშირად სწორედ მკლავზე გადაკიდებული ან შემოსილი ლომის ტყავით გამოისახებოდა (Boardman, 1970, 197-198). მსგავსი გამოსახულება, თუმცა სტილისტურად სრულიად განსახვავებული, მომდინარეობს ტარანტოდან. გემაზე გამოსახულია ჯოხზე დაყრდნობილი ჰერაკლე ლომის თავით. ბორდმანი ამ გამოსახლებას მირონის ცნობილი ქანდეკების უცნაურ ვერსიად მიიჩნევს (Boardman, 1970, 198, pl. 485). ე.წ ქანდაკების პოზაში მდგომი ჯოხზე დაყრდნობილი ჰერაკლე ლომის თავით წარმოდგენილია ძვ.წ. მეოთხე საუკუნის ლითონის ოვალურ ფარაკიანი ბეჭდის ანაბეჭდზე სამარიიდან (პალესტინა) (Leith, 1990, Pl. 14.1).

მესამე ბეჭედზე ჰერაკლე გამოსახულია ჯოხზე დაყრდობილი, მარცხენა ხელში მშვილდით და მკლავზე გადაკიდებული ლომის ტყავით. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი იდენტური გამოსახულებით მომდინარეობს მცირე აზიიდან, ქალაქ სმირნიდან. ორივე ბეჭედი ბორდმანის კლასიფიკაციის VII ტიპის ანალოგიურია, რომელიც ძვ. წ IV საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება (Boardman & Vollenweider, 1978, fig. 8. No. 157). .

მეოთხე ბეჭედზეც მსგავსი სიუჟეტია გამოხატული - ჯოხზე დაყრდნობილი ჰერაკლე ლომის ტყავით, თუმცა გამოსახულება ზემოთ განხილულისგან სტილისტურად განსხვავდება. ჰერაკლეს გამოსახულება ემსგავსება აშმოლეს მუზეუმში დაცული ძვ.წ. III საუკუნის ბრინჯაოს ბეჭდის გამოსახულებას,

რომელზეც ჰერაკლე ე.წ. ქანდაკების პოზაშია წარმოდგენილი (Boardman & Vollenweider, 1978, no. 169).

სტილისტური ანალიზის მიხედვით, ბრინჯაოს სამ ბეჭედს ჰერაკლეს გამოსახულებით, ქეთევან ჯავახიშვილი მცირე აზიის სახელოსნო ცენტრში დამზადებულად მიიჩნევს, ხოლო მეოთხე ბეჭედი, მისი ვარაუდით, ბერძნული სამყაროს რომელიმე პროვინციული ცენტრიდან უნდა იყოს (Джавахишвили, 2006, 191).

**ჯგუფი IV - ცხოველები.**

მეოთხე ჯგუფში შედის ცხოველთა გამოსახულებები. ლითონის ფარაკიან ბეჭდებზე ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოველები გვხვდება. ყველაზე ხშირად გვხვდება ფრინველისა და ცხენის გამოსახულებები, თუმცა წარმოდგენილია სხვა სახეობებიც: ლომი, ირემი, ხარი, ჯიხვი, თხა, ტახი, ქურციკი, ძაღლი, დელფინი და თევზი.

ცალკეულ შემთხვევებში ცხოველის სახეობის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა, რაც განპირობებულია ამა თუ იმ კონკრეტული ცხოველისთვის დამახასიათებელი ვიზუალური მახასიათებლების არარსებობის გამო. ცხოველები გამოსახულია როგორც დამოუკიდებლად, ასევე წყვილად. ზოგიერთ შემთხვევაში, ცხოველთან ერთად გამოსახულია ასტრალური სიმბოლოები. გარდა ამისა, გვხვდება ცხოველთა ბრძოლის სცენები და დაჭრილი ცხოველის გამოსახულებები.

ცხოველთა გამოსახულებებში ყველაზე ხშირად წაროდგენილია ფრინველები (ტაბ. VI). ანტიკური ხანის გლიპტიკაში ფრინველის გამოსახულება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივია (ლორთქიფანიძე, 1985, 32). საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ფარაკიან ბეჭდებში ფრინველის თემა ყველაზე ხშირადაა წარმოდგენილი, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფრინველთა გამოსახულებები ძირითადად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბეჭდებზე გვხვდება (ვანი, ლარილარი, ბატნაოუხორუ, დაფნარი, დაბლაგომი, ნოქალაქევი) და სტილისტურად ერთგვაროვანია, რაც ერთიან მხატვრულ ტრადიციაზე მიუთითებს.

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ფრინველის გამოსახულება მხოლოდ ტახტიძირის ორ ბეჭედზეა ამოკვეთილი და სტილისტურად სრულად განსხავდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ბეჭდებზე გამოსახული ფრინველებისგან (ტაბ. VI. 60, 61).

აღნიშნულ ჯგუფში შესულია ლითონის 23 ფარაკიანი ბეჭედი, რომელზეც ფრინვლეთა სხვადასხვა სახეობის გამოსახულებაა წარმოდგენილი. გვხვდება: ბატი (ტაბ. VI, 51), მტრედი (ტაბ. VI, 48, 59), არწივი (ტაბ. VI, 48, 57), დედალ-მამალი ქათამი (ტაბ. VI, 62). რამდენიმე ფრინველის სახეობის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება დამახასიათებელი დეტალების ნაკლებობის გამო.

ორ შემთხვევაში გვხვდება ფრინველის წყვილი გამოსახულება. მათგან აღსანიშნავია ვანში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან დამზადებული ფარაკიანი ბეჭედი, რომელზეც ხესთან ჰერალდიკურად გამოსახული ერთმანეთის პირისპირ მდგომი არწივებია ამოკვეთილი (ტაბ. VI, 43). გამოსახულებაზე მუშაობის პროცესში, თანადროული პერიოდის ანალოგიურ მოტივს ვერ მივაკვლიეთ, თუმცა, სირიულ, ასირიულ და აქემენიდურ ცილინდრულ საბეჭდავებზე ე.წ. სიცოცხლის ხესთან ჰერალდიკურად გამოსახული არსებები ხშირად გვხვდება. ესენია: სფინქსები, რქოსანი ცხოველები, ღვთაებები თუ სხვადასხვა პერსონაჟები. ჩვენი გამოსახულება, კომპოზიციის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო პერიოდით დათარიღებული რვაწახნაგა ქალცედონის პირამიდულ საბეჭდავს უახლოვდება, რომელზეც მამლების ჰერალდიკური გამოსახულებაა დატანილი, ფრინველებს შორის კი მცენარეა გამოსახული (Richter, 1956, tab. X, 64). ხსენებულ კონუსისებრ საბეჭდავს ჯონ ბორდმანი აქემენიდური პერიოდის პირამიდული საბეჭდავების ორიენტალიზირებულ ჯგუფს მიაკუთვნებს (Boardman, 1970, 27, no. 70).

ვანის ბეჭდის ტიპი ადგილობრივი რკალგახსნილი ბეჭდების ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო გამოსახულება სტილისტურად ახლოს დგას დაბლაგომის ფრინველის გამოსახულებასთან. შესაბამისად, ფარაკიანი ბეჭედი ადგილობრივ სახელოსნოში დამზადებულად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა გავლენები

აღმოსავლური გლიპტიკური სკოლიდან მომდინარეობს თუ ბერძნულად, ძნელი სათქმელია.

ფრინველთან ერთად, ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია დამატებითი, ე.წ. შემავსებელი მოტივები. ფრინველები გამოსახულია მცენარესთან ერთად (ტაბ. VI, 44, 46, 55). ხშირად ფრინველთან ერთად გამოსახულია მთვარე, ან წერტილებით შედგენილი ციური მნათობი (ტაბ. VI, 46, 47, 58-61). ფრინველი, რომელსაც ნისკარტით გველი უჭირავს გამოსახულია დაფნარისა (ტაბ. VI, 45) და ლარილარის (ტაბ. VI, 49) ბეჭდებზე. დაფნარის ცალზე ფრინველის უკან გამოსახულია ნახევარმთვარე. ფრინველი და მის წინ მცენარის ტოტია გამოსახულია დაფნარის, ფიჭვნარისა და ლარილარის ბრინჯაოს ფარაკიან ბეჭდებზე (ტაბ. VI, 44, 46, 50). ფიჭვნარის ბეჭედზე მცენარის ტოტთან ერთად გვხვდება ციური მნათობის გამოსახულება.

ცხოველთა ჯგუფში ერთიანდება ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩენილი ლარილარსა და ციხია გორაზე. ორივე მათგანზე იდენტური სიუჟეტია გამოსახული - რქებდატოტვილი, მსრბოლელი ირემი, რომელსაც ზურგში შუბი აქვს მოხვედრილი (ტაბ. VIII, 91-92). ორივე ბეჭდის გამოსახულება ერთი სტილით არის შესრულებული და სტილისტური ანალოგი საქართველოს ფარგლებს გარეთ არ ეძებნება. ლარილარისა და ციხია-გორას ბეჭდები კვეთის სტილის, სიუჟეტის, გამოსახულებისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით, ერთმანეთის იდენტურია და შესაბამისად, ორივე მათგანი ერთ სახელოსნოში, ერთი ხელოსნის მიერ დამზადებულად უნდა იქნეს მიჩნეული. ბეჭდის ფორმა მიესადაგება საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული რკალგახსნილი ბეჭდების VIII ტიპს, რომელიც ადგილობრივ, სავარაუდოდ კოლხურ სახელოსნოში მზადდებოდა.

საინტერესოა ჯგუფში შემავალი ორი ბეჭედი, რომელზეც ორი ცხოველის ბრძოლის თემაა გამოსახული. საირხის ბრინჯაოს ბეჭედზე გხვდება ირემი, რომელსაც გრიფონი ესხმის თავს (ტაბ. VIII, 94), ხოლო ვანის ბეჭედზე გამოსახულია მტაცებლის (ჯიქი) და ირმის ბრძოლის სცენა (ტაბ. VIII, 95). ორი ცხოველის ბრძოლის თემა, განსაკუთრებით კი ლომისა და ირმის, გლიპტიკურ ხელოვნებაში უძველესი დროიდან ჩნდება და სხვადასხვა პერიოდისა და

წარმოშობის საბეჭდავებზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ მოტივს წარმოადგენს.

ძვ.წ. VI საუკუნიდან ლომისა და ირმის ბრძოლის სცენა გლიპტიკურ ძეგლებზე ფართოდ ვრცელდება და ბორდმანი მათ აღმოსავლურ-ბერძნულ სახელოსნოებს აკუთვნებს (Boardman, 1968, 122-124). კლასიკური ხანიდან სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშებზე აგრესორის როლში გვევლინება გრიფონიც, რომელიც თავს ესხმის სხვადასხვა ცხოველს (Boardman, 1970, 198, pl. 511). ორი ცხოველის ბრძოლის თემა პოპულარულია ასევე აქემენიდური ხანის ე.წ. ბერძნულ-სპარსულ ხელოვნებაში. ბორდმანის მიხედვით ბერძნებმა ხსენებული მოტივი აღმოსავლეთიდან შეითვისეს, თუმცა ლომისა და გრიფონის გამოხატვის სტილი ამ ტიპის საბეჭდავებზე კვლავ ბერძნული დარჩა (Boardman, 1970, 324).

ვანისა და საირხის ბეჭდების გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერით თუ ვიმსჯელებთ, სადაც ცხოველის ფიგურები უსიცოცხლო, გახევებული და დაუმუშავებელია, ორივე ბეჭედი ადგილობრივ სახელოსნოში დამზადებულად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც აღმოსავლური ხელოვნების გავლენა მეტად ემჩნევა ვიდრე ბერძნულისა.

საირხეში, ძვ.წ. IV საუკუნის მეორე მეოთხედით დათარიღებულ სამარხში გამოვლენილია ოქროს ბეჭედი მოსიარულე ხარის გამოსახულებით (ტაბ. VII. 73) ხარის თავი დახრილ მდგომარეობაში, თითქოს შერკინებისთვის ემზადება. ხარის გამოსახულებები საბერძნეთში პოპულარობით ძვ.წ. VI საუკუნიდან სარგებლობდა (Richter, 1968, no. 387-392). ძვ.წ. V და IV საუკუნეებში, კლასიკური ხანის ბერძნულ გემებსა და ფარაკიან ბეჭდებზე ჩნდება ჩვენთვის საინტერესო მოტივი - შერკინებისთის მომზადებული ხარი, მკვეთრად დაწეული თავითა და აწეული ცალი ჩლიქით (Boardman, 1970, no. 498, 499). ხარის იგივე პოზა ასევე გხვდება თანადროულ ბერძნულ-სპარსულ გემებსა და ფარაკიან ბეჭდებზე (Boardman, 1970, no. . 898-899).

გარდა გლიპტიკური ძეგლებისა, გამოსახულების ეს ტიპი წარმოდგენილია ძვ.წ. V საუკუნის მესამე მეოთხედის ტურინის მონეტებზე იტალიაში (Boardman, 1970, 198), ხოლო ალექსანდრე მაკედონელის შემდგომ, ხსენებული მოტივი

აღმოსავლეთში სელევკიდების მონეტების გამოსახულებებზე ჩნდება (Boardman, 1970, 312).

ფორმის მიხედვით, საირხის ბეჭედი ბორდმანის კლასიფიკაციის VII ტიპს უნდა მივაკუთვნოთ, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისი ხანით თარიღდება (Boardman 1970, 214). გამოსახულება არ გამოირჩევა პლასტიკურობით, დეტალები დაუმუშავებელია. ხარის გამოსახულება აერთიანებს შერკინებისთვის მომზადებული ხარისა და მოსიარულე ხარის ტიპურ პოზას, რაც იკონოგრაფიული სინთეზის შედეგად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბეჭედი ბერძნული ხელოვნების გავლენით ადგილობრივ სახელოსნოში უნდა დაემზადებინათ.

მოსიარულე ხარის გამოსახულებიანი კიდევ ერთი ვერცხლის ბეჭედი აღმოჩენილია ვანში. ხარი ვანის ბეჭედზე რეალისტურად და პლასტიკურად არის გამოსახული. კარგად არის გადმოცემული წვრილი ნაჭდევებით გამოხატული ბალანი, ფეხის სახსრები და ჩლიქები. ვანის ბეჭედს ქეთევან ჯავახიშვილი ძვ.წ. IV საუკუნით ათარიღბს და პარალელური მასალის საფუძველზე, აღმოსავლურ-ბერძნულ ნახელავად მიიჩნევს (ჯავახიშვილი, 2011, 127).

სტილისტური მახასიათებლების მიხედვით, აღმოსავლურ-ბერძნულ ნახელავად არის მიჩნეული ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული კიდევ რამდენიმე ბეჭედი ვანიდან, რომელზეც გამოსახულია სხვადასხვა ფრინველები და ლომი (ჯავახიშვილი, 2011, 121-128).

ვანის ვერცხლის ბეჭედის ფარაკზე გამოსახულია მხტუნავი ხახადაღებული ლომი. ცხოველს გრძელი, S - ისებრი კუდი აქვს. გამოსახულება რეალისტური და პლასტიკურია. ოსტატურად არის გადმოცემული ნაჭდევებით გამოსახული ფაფარი, ლომის მკერდის კუდი და ბრჭყალები (ტაბ. VII, 63).

ლომის გამოსახულებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა აღმოსავლურ და დასავლურ ხელოვნებაში. ცხოველის გამოსახულებები მრავლად გხვდება ძვ.წ. IV-V საუკუნეების აქემენიდურ ცილინდრულ საბეჭდავებსა (Никулина, 1994, fig. 432, 441) და ბერძნულ და ე.წ. ბერძნულ-სპარსულ სკარაბეოიდებსა და ფარაკიან ბეჭდებზე (Boardman, 1970, No. 575, 576, 865, 866). მხტომარე, ხახადაღებული ლომის

გამოსახულება ერთ-ერთი პოპულარული მოტივია ასევე ურუქის სელევკიდების პერიოდის ანაბეჭდებზეც (Wallenfels, 1994, no. 839-845).

ბერძნულ-აღმოსავლურ სტილს უკავშირებს ქეთევან ჯავახიშვილი ნაომარი გორის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ბეჭედზე დატანილი ჩასაფრებული ძუ ლომის გამოსახულებას (ტაბ. VII, 65), რომელსაც ყველაზე ახლო პარალელი კულ-ობას ძვ.წ. IV საუკუნის ყორღანში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე დატანილი ძუ ლომის გამოსახულების სახით მოეპოვება (Артамонов, 1966, таб. 241).

მჯდომარე ლომია გამოსახული აწყურის ბრინჯაოს ფარაკიან ბეჭედზეც (ტაბ. VII, 66). გამოსახულება დაზიანებულია, თუმცა განირჩევა ნაჭდევი ხაზებით შესრულებული ფაფარი, მაღლა აწეული კუდი და ნიადაგის ზოლი. კომპოზიციურად მსგავსი, თუმცა სტილისტურად განსხვავებული გამოსახულება გხვდება ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ სკარაბეოიდზე (Boardman, 1975, 83, no. 2).

ცხოველთა გამოსახულება გხვდება კიდევ რამდენიმე იმპორტულ ფარაკიან ბეჭედზე. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ადრეული იმპორტული გლიპტიკური ძეგლებიდან აღსანიშნავია ვანში აღმოჩენილი ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო და ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისი ხანით დათარიღებული ტიპური არქაული ფორმის ბეჭდები რომლის ოვალურ, წაწვეტებულ ფარაკზე გამოსახულია ნიამორი, თხა, და კატისებრთა ოჯახის რომელიღაცა წარმომადგენელი (ტაბ. VII, 83-84, 96). იგივე პერიოდისაა საირხეში გამოვლენილი ოქროს ფარაკიანი ბეჭედი დაჩოქილი თხის გამოსახულებით ( ტაბ. VII, 82).

**ჯგუფი V - ფანტასტიკურ არსებები.**

მეხუთე ჯგუფი აერთიანებს ფანტასტიკურ არსებებს, სადაც შედის ა) გრიფონები, ბ) ფრთოსანი ცხენები გ) ჰიპოკამპი დ) ფრთოსანი ლომი და ე) გაურკვეველი ფანტასტიკური არსებები, რომელიც "ურჩხულებად" შეგვიძლია მოვიხსენიოთ.

**ა) გრიფონები** - ქვეჯგუფში შესულია ლითონის ათი ფარაკიანი ბეჭედი, რომელზეც გრიფონის გამოსახულებაა ამოკვეთილი. გრიფონები წარმოდგენილია დამოუკიდებლად, პროფილში მარჯვნივ, ან ზურგისკენ თავშექცეული, ზემოთ

აღმართული და ბოლოში მოხრილი ფართო ფრთით. გრიფონთან ერთად ალგეთის ბეჭედზე გამოსახულია ნახევარმთვარე (ტაბ. IX, 110) ხოლო ახალგორის განძში შემავალ ბეჭედზე - მზის სიმბოლო (ტაბ. IX, 115). საგულისხმოა, რომ გრიფონის გამოსახულებები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს გლიპტიკურ ძეგლებზეა წარმოდგენილი და თითქმის არ გვხვდება დღევანდელ დასავლეთ საქართველოში. ბეჭდები დამზადებულია ძვირფასი (ოქრო, ვერცხლი) ლითონისა და ბრინჯაოსგან.

გრიფონი აღმოსავლური წარმოშობის მითიური ფრინველია ლომის ტანით, კუდით, ფრთებითა და ფრინველის თავით. გრიფონის გამოსახულების უძველესი ნიმუში გლიპტიკურ ძეგლებზე სუსადან მომდინარეობს და ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულის მესამე მეოთხედითაა დათარიღებული. ძვ.წ. 17 საუკუნიდან გრიფონის გამოსახულებები ეგეოსურ სამყაროშიც ვრცელდება და პოპულარობით სარგებლობს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ სამყაროში. გლიპტიკური ძეგლებზე გრიფონები გამოსახულია მწოლიარე, მჯომარე, მდგომარე, მოსიარულე, ორ ფეხზე შემდგარი ან ე.წ. ნავარდის პოზაში (Wallenfels, 1994, 70).

ბერძნული და აქემენიდური ტიპის საბეჭდავებზე გამოსახული გრიფონების შედარებითი ანალიზის შედეგად, ქეთევან ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ადგილობრივი ოსტატების მიერ შექმნილი გრიფონების ტიპი ბერძნული გლიპტიკურ ძეგლებთან უშუალო კონტაქტით კი არ შეიქმნა, არამედ აქემენიდური ხელოვნების ძეგლების გავლენით (ჯავახიშვილი, 2015, 10).

უნდა აღინიშნოს, რომ გრიფონის გამოსახულებები უმეტესად ფიქსირდება ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის VII ტიპის ბეჭდებზე, რომელიც ადგილობრივ, იბერიულ ნაწარმად არის განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ გრიფონის მოტივი ფართოდ არის გავრცელებული როგორც ბერძნულ, ისე აღმოსავლურ ხელოვნებაში, იბერიულ მასალაში მისი კონკრეტული სახეები ასახავს განსხვავებულ, ლოკალურად ჩამოყალიბებულ მხატვრულ ტრადიციას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გრიფონების იკონოგრაფიული სახე იბერიაში დამოუკიდებლად განვითარდა და მოდიფიცირდა.

**ბ) ფრთოსანი ცხენი (პეგასი).**

ქვეჯგუფში წარმოდგენილ შვიდ ბეჭედზე ფრთოსანი ცხენი - პეგასია გამოსახული. შვიდივე ბეჭედზე ცხენი პროფილში მარცხნივ, ე.წ. ნავარდის პოზაშია მოცემული.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ მითოლოგიაში პეგასი ხშირად გვხვდება, პეგასის დამოუკიდებელი გამოსახულება ადრეანტიკური ხანის გლიპტიკურ ძეგლებზე არც თუ ისე გავრცელებულია. ბორდმანი აღნიშნავდა, რომ აქემენიდურ პერიოდში ფრთოსანი ცხენის გამოსახულებები სპარსელებზე მეტად ბერძენი ხელოსნებისათვის იყო ცნობილი (Boardman, 1970a, 29).

პეგასის მოტივი პოპულარობით სარგებლობდა ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებულ კორინთულ მონეტებზე (Coupar, 2000, p. A-E). ჩვენს ბეჭდებზე გამოსახული ფრთოსანი ცხენის პარალელად შეიძლება განიხილოთ ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებული ბრინჯაოს ბეჭედი სტიმფალოსიდან, რომელზეც პეგასია წარმოდგენილი ნავარდის პოზაში (Young, 2001, pl.4), აგრეთვე კორიკოსის გამოქვაბულში აღმოჩენილ ბრინჯაოს ბეჭედი დათარიღებული ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით (Zagdoun, 1984, n. 28). თუმცა, ორივე გამოსახულება სტილისტურად განსხვავებულია ჩვენი ბეჭდებისგან.

ფრთოსანი ცხენის გამოსახულებიან ბეჭდებში სამი სტილის გამოყოფა გახდა შესაძლებელი. კვეთის ტექნიკისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით, ერთი სახელოსნოში დამზადებულად უნდა მივიჩნიოთ ნოქალაქევის ორი (ტაბ. IX, 118, 120), რიყიანების ველის (ტაბ. IX, 119), ლარილარისა (ტაბ. IX, 121) და ეშერას (ტაბ. IX, 122) ბეჭდები. აღნიშნულ გამოსახულებებს აერთიანებს ფრთოსანი ცხენის გრძელი, მორკალური რქა და S - ისებრი მოყვანილობის გრძელი კუდის გადმოცემის ხერხი. ყველა გამოსახულება შესრულებულია მაღალმხატვრულად, სავარაუდოდ ერთი ნიმუშის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ფრთოსანი და ამავე დროს რქოსანი ცხენის გამოსახულება არც არქაულ და არც მოგვიანო პერიოდის გლიპტიკურ ძეგლებზე ვერ მივაკვლიეთ (Boardman, 1967, fig. BII 3; BII 4; Davidson & Thompson, 1975, fig. 45 n. 15; fig. 46 n. 3). ამასთან, რქოსანი ცხენის მოტივი პოპულარია საქართველოში. რქოსანი ცხენი წარმოდგენილია ქვიანას სამაროვნისა და ყანჩაეთის ბეჭდებზე (ლორთქიფანიძე,

1969, ტაბ. IV, 41; ტაბ. V 42). ასევე, ე.წ. დედატოსის სამარხში აღმოჩენილ ფარაკიან ბეჭედზე (ლორთქიფანიძე, 1975, 93-96). კომპოზიციურად მსგავი ინტალიო აღმოჩენილი ფარცხანაყანევშიც. ბეჭედზე რქიანი ფანტასტიკური ცხოველია გამოხატული.

ჩვენს მიერ განხილული ყველა ბეჭედი ფრთოსანი ცხენის გამოსახულებით ადგილობრივ ტიპს წარმოადგენს, ხოლო გამოსახულებას აღმოსავლური ხელოვნების გავლენა მეტად ემჩნევა ვიდრე ბერძნულისა. გამოსახულების შორეულ პარალელად შეიძლება მოვიყვანოთ სუზაში, დარიოსის სასახლეში აღმოჩენილი რელიეფური გამოსახულება რქიანი ფრთოსანი ცხოველისა (Daucé, 2013, fig. 346). სტრაბონის ცნობის თანახმად, კავკასიაში ბინადრობენ რქიანი ცხენები ირმისებური თავით (Strabo 15.1.56).

სტილისტურად განსხავებულია ბატნაოხორუს ფარაკიან ბეჭედზე გამოსახული პეგასი, რომლის ქვემოთ ნახევარმთვარეა გამოსხული (ტაბ. IX, 117), ასევე განსხვავებული, მანერული სტილით არის შესრულებული ტახტირის ბეჭედზე გამოსახული პეგასი (ტაბ. IX, 123).

**გ) ჰიპოკამპი**

ფიჭვნარის ელინისტურ სამაროვანზე გათხრილ ერთ-ერთ სამარხში (კახიძე & შალიკაძე, 2023, n.62) აღმოჩენილი ბეჭდის ფარაკზე, სავარაუდოდ, გამოსახულია ჰიპოკამპი - ზღვის მონსტრი (ტაბ. IX, 124). ბეჭედი ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის IX ჯგუფში ერთიანდება, რომლებიც ადგილობრივად მზადდებოდა. ბეჭდის ტიპისა და სამარხის თარიღის გათვალისწინებით, ბეჭედი ძვ.წ. III საუკუნის ბოლო პერიოდით უნდა დათარიღდეს.

ჰიპოკამპი, იგივე "ზღვის ცხენი", წარმოდგენილია ცხენის პროტომის წინა ნაწილითა და თევზის ბოლოთი. ზღვის ცხენი გამოისახება ფრთით, ან მის გარეშე. ზღვის მონსტრის უადრესი გამოსახულება საბერძეთის ე.წ. "კუნძულის გემებზე" გვხვდება, რომელიც ძვ.წ. VII – VI საუკუნეებით არი დათარიღებული. ძვ.წ. V და IV საუკუნის სკარაბეოიდებზე პოსეიდონი და ნერევსი სწორედ ზღვის ცხენებზე არიან ამხედრებულნი (Richter, 1978, No. 47) ფრთიანი ზღვის ცხენია გამოსახული

აქემენიდური ხანის ცისფერი ქალცედონის პირამიდულ საბეჭდავზეც (Bernheimer, 2007, 56, GP-13).

ძვ. წ IV საუკუნეში ჰიპოკამპი გამოისახება S - ისებური ტანით, დელფინთან ან თევზთან ერთად. ზღვის ცხენის გამოსახულებები გვხვდება როგორც ბერძნულ, ასევე ე.წ. ბერძნულ-სპარსულ გემებზე (Boardman, 1970, fig. 243, pls. 654, 788, 789, 979). ზღვის ცხენის ერთ-ერთი გვიანი გამოსახულება აღბეჭდილია ელინისტური, სელევკიდური ხანის ურუქის ბულაზე, რომელიც ძვ.წ. 126 წლით თარიღდება. ბულაზე გამოსახულია ფრთიანი ზღვის ცხენი დელფინთან ერთად (Wallenfels, 1990, No. 743).

უნდა აღინიშნოს, რომ ფიჭვნარის ბეჭდის გამოსახულების სტილი სრულიად განსხვავდება ბერძნულ და აღმოსავლურ გლიპტიკურ ძეგლებზე ამოკვევთილი ჰიპოკამპებისაგან და ადგილობრივ ნამზადს უნდა წარმოადგენდეს.

**დ) ფრთოსანი ლომი**

მწოლიარე ფრთოსანი ურჩხული, სავარაუდოდ ფრთოსანი ლომი უნდა იყოს გამოსახული აბელიაში აღმოჩენილ ფარაკიან ბეჭედზე (ტაბ. IX, 125). ფრთოსანი ურჩხულის მოტივი ძველ აღმოსავლურ გლიპტიკაში ერთ-ერთი მთავარი თემაა და აქემენიდურ პერიოდშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ფრთოსანი ლომის გამოსახულება გავრცელებული თემაა სპარსულ ხელოვნებაში და მხატვრული ხელოსნობის სხვადასხვა თემატიკაში ხშირად გამოიყენებოდა (Basiri & Dastan, 2020). ფრთოსანი ლომი არც არქაული ხანის ბერძნული გლიპტიკისთვისაა უცხო, თუმცა ბორდმანი გამოსახულებას ბერძნულ მოტივიდა არ თვლიდა და აღმოსავლურ კულტურას უკავშირებდა (Boardman, 1968, 125).

ფრთოსანი ლომის მწოლიარე თუმცა სტილისტურად გასხვავებული გამოსახულებები  გვხვდება ნიფურში, ე.წ. მურაშუს არქივში, ლითონის საბეჭდავი ბეჭდის ანაბეჭდებზე (Bregstein, 1993, no. 390-392).

მ. ლორთქიფანიძემ ბეჭედი ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრით დაათარიღა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით ბერძნულ ორიენტალიზირებულსა ბერძნულ-სპარსულ სტილს დაუკავშირა (ლორთქიფანიძე, 1981, 86), თუმცა ბეჭდის ფორმის მიხედვით ძვ.წ. IV საუკუნის უნდა იყოს.

ჯგუფი VI - ასტრალური სიმბოლოები, გეომეტრიული ფიგურები და მცენარეული მოტივები.

ჯგუფში შესულია ლითონის თორმეტი ცალი ფარაკიანი ბეჭედი. მათგან სამ ბეჭედზე ტოლფერდა სამკუთხედებისგან შედგენილი ვარსკვლავისებრი გეომეტრიული სახეა ამოკვეთილი (ტაბ. X, 140-142). სამივე ბეჭდის გამოსახულება ემსგავსება ერთმანეთს, ამავდროულად ერთმანეთისგან განსხავებული ტიპისაა. დაბლაგომისა და ფიჭვნარის ბეჭდებზე ექვსქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული (ტაბ. X, 140, 142), ხოლო დაფნარის ბეჭედზე - ხუთქიმიან მანათობელ სახეს ვხვდებით (ტაბ. X, 141). ფიჭვნარისა და დაფნარის ბეჭდებზე მნათობის შუაგულში ამოკვეთილია ვარდული, ხოლო დაბლაგომის ცალზე ვარსკვლავისებრი გამოხატულება ცენტრში თითქოს "კვანძით" ბოლოვდება (ლორთქიფანიძე 1969, 87). სამივე გამოსახულებაზე ვარსკვლავის ფერდებს შორის მოთავსებული არეები წერტილოვანი ორნამენტითაა შევსებული.

დანარჩენ ბეჭდებზე მნათობის - მზის გამოსახულებაა ამოკვეთილი შუაში ამოღებული გულით და გარშემო წმინდა ხაზებით გამოსახული სხივებით (ტაბ. X, 135-138), ზოგ შემთხვევაში მნათობის გამოსახულებას წერტილოვანი მოჩარჩოება შემოუყვება (ტაბ. X, 141), ხოლო ზოგჯერ სხივები წრითაა შემოსაზღვრული (ტაბ. X, 135,136).

ჯგუფი VII - სხვადასხვა

ჯგუფში შესულია შვიდი ქვეჯგუფი და მოიცავს თერთმეტ ბეჭედს. მათგან სამი გამოსახულება, კვეთის სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ბერძნულ იმპორტს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. XI, 153, 154, 156).

ა) რიტონი

მეშვიდე ჯგუფი ბრინაჯოს ოთხ ფარაკიან ბეჭედს აერთიანებს, რომელზეც ცხოველის ფორმის რიტონია გამოსახული. ბეჭდები აღმოჩენილია საქართველოს სხვადასხვა, ერთმანეთისგან გეოგრაფიულად დაშორებულ პუნქტებში. მათგან ორი არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის მოპოვებული. ერთი - აწყურის ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ სამაროვანზე, ხოლო მეორე - ფიჭვნარის ამავე

პერიოდის სამარხში (ტაბ. XI, 146, 147). დანარჩენი ორი ბეჭედი შემთხვევით არის აღმოჩენილი კახეთის რაიონ სოფელ თოხლიაურიდან და რაჭაის სოფელ ბრილში (ტაბ. XI, 148, 149). ბეჭდებზე გამოსახული რიტონები განსხვავებულია: ორზე ცხენის თავით დასრულებული რიტონია გამოსახული (ტაბ. XI, 148, 149), ერთზე ხარის თავით (ტაბ. XI, 147), ხოლო მეოთხე მათგანზე, ბეჭდის ცუდი დაცულობის გამო ჭირს გამოსახულების გარჩევა (ტაბ. XI, 146).

რიტონი ცხოველის ფორმის ღვინის რიტუალური სასმისია, რომლის უძველესი ნიმუშები ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება და ფართოდ იყო გავრცელებული აქემენიდურ და ბერძნულ სამყაროში. რიტონი სოციალურად მაღალი სტატუსის სიმბოლოს წარმოადგენდა. რიტონების ტიპებს შორის გამოყოფენ ე.წ. გრძელყელიან რიტონს ცხოველის პროტომის დაბოლოვებით და მოკლეყელიან რიტონს ცხოველის თავის დაბოლოვებით (Veleva, 2008, 14). ჩვენს მიერ განხილულ ბეჭდებზე რიტონის პირველი ტიპია წარმოდგენილი.

გლიპტიკურ ძეგლები, მსგავსი გამოსახულებით სულ რამდენიმეა ცნობილი. მათგან აღსანიშნავია ათენის მუზეუმში დაცული ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულის ბერძნული ვერცხლის ბეჭედი, რომლის ფარაკზე გამოსახულია რიტონი ირმის პროტომით (Richter, 1968, 67, N175). ასევე, ცენტრალურ საბერძნეთში, კორიკოსის გამოქვაბულში აღმოჩენილია ძვ.წ. IV საუკუნით დაღარიღებული სამი ბეჭედი, რომელზეც რიტონებია გამოსახული. მათგან ერთ, ბრინჯაოს ბეჭედზე გვხვდება ფრთოსანი ირმის პროტომით დაბოლოვებული რიტონი (Zagdoun, 1984, 214, N93). ბრინჯაოს მეორე ბეჭედზე გამოსახულია ხელი, რომელსაც ირმის პროტომით დაბოლოვებული რიტონი უჭირავს (Zagdoun, 1984: 218, N109), ხოლო მესამე ბეჭედი რკინისაა, გამოსახულია ადამიანის თავით დასრულებული რიტონი (Zagdoun, 1984: 218, N236). საინტერესოა, ცისფერი ქალცედონის სკარაბეოდზე გამოსახული რიტონი ანტილოპას თავით, რომელსაც ბორდმანი ბერძნულ-სპარული გემების ჯგუფს მიაკუთვნებს და ძვ.წ. IV საუკუნით ათარიღებს (Boardman, 1970, 316, pl. 994). ფრთოსანი სფინქსისთავიანი რიტონია გამოსახული ურში აღმოჩენილ ერთ-ერთ ბულაზე, რომელიც აქემენიდური ქვის ანაბეჭდს წარმოადგენდა და

დათარიღებულია ძვ.წ. V საუკუნით (Boardman, 1970, 350, fig. 315, Collon, 1996, 574 n.832).

გლიპტიკური ძეგლებისგან განსხვავებით, ძვირფასი ლითონისგან დამზადებული რიტონები სხვადასხვა ცხოველის პროტომით მრავლად არის აღმოჩენილი სხვადსხვა ძეგლებზე როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ სამყაროში.

ირანული ტორევტიკის მიბაძვით დამზადებული რიტონია აღმოჩენილი სოფ. მთისძირში, ძვ.წ. V-IV სს. დათარიღებულ სამარხში, რომელიც წარჩინებულ პირს ეკუთვნოდა (გამყრელიძე, 1982, 73-80).  რიტონი დაზიანებულია. იგი წარმოადგენს გრძელყელიან, ე.წ. ყანწისმაგვარ რიტონს, რომელიც ვაც-კაცის ფიგურით ბოლოვდება. გელა გამყრელიძე, რიტონს მხატვრული სტილის თვალსაზრისით (რქები გადმოცემულია დაღარული, წრიული ხაზებით და ვაც-კაცის მკერდზე გამოხატული ცხოველის ყურების ფოთლისებური მოყვანილობა) აღმოსავლურ,  აქემენიდურ სტილს უკავშირებს (გამყრელიძე, 1982, 79, ბრაგვაძე, 2021, სურ. 48).

საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე რიტონია აღმოჩენილი. მათ შორისაა სოფელ გუდაუთასთან გამოვლენილი ბრინჯაოს რიტონი გარეული თხის პროტომით (Кривицкий, 1977, 33); დაბა ყაზბეგიდან ვერცხლის რიტონი ვერძის თავიანი პროტომით (წითლანაძე, 1976, 52, ტაბ. XV3); ყაზბეგშივა გამოვლენილი კიდევ ერთი, ხბოს თავის გამოსახულებიანი ვერცხლის რიტონი, რომელიც ამჟამად ინახება ერტმიტაჟში; ბორჯომთან, ბორნიღელეს სამაროვნის ბრინჯაოს რიტონი (Гамбашидзе, 1995, გვ.50, ტაბ.65); ვერცხლის რიტონია აღმოჩენილი სოფ. გომთან (გამყრელიძე, 2010, 138155). ვანის ნაქალაქარიდანაა ტახის თავიანი თიხის რიტონი; უფლისციხის ნაქალაქარიდან თიხის რიტონი; მდინარე წებელდის ხეობიდან მინის სამი რიტონი (Воронов, 1969, 76-77, სურ. 20; 7, 8, 11);

მოოქრული ვერცხლის ორი რიტონი, რომელიც ცხენის პროტომით ბოლოვდება ცნობილია თრაკიიდან (ბოროვოს განძი; ბაშოვა) და ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისი პერიოდით არის დათარიღებული (Valeva, 2008, 14. Fig. 16, 17). ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებული ცხენის პროტომიანი რიტონი გამოვლენილია ასევე

ერებუნში, ერევანი (Treister, 2012, 123, fig 2; Algamor, 2021, fig.7;). ორი რიტონი ცხენის პროტომის დაბოლოვებით ინახება მიჰოს მუზეუმში და მომდინარეობს ბაქტრიიდან (Valeva, 2008, 16; fig. 18,19). მსგავსი ტიპის მოოქროვილი რიტონი აღმოჩენილია პოლტავაში და დაცულია ერმიტაჟში (Valeva, 2008, 21, fig. 21). კიდევ ერთი ვერცხლის რიტონი, ცხოველის პროტომის დაბოლოებით მომდინარეობს ანატოლიიდან (Ghirshman, 1964, 176).

განხილული ბეჭდები მიეკუთვნება ჩვენს მიერ გამოყოფილ ადგილობრივი ბეჭდების IV და V ტიპებს, ხოლო მათზე გამოსახული რიტონები სტილისტური თვალსაზრისით განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენენ აღმოსავლურ, კერძოდ კი აქემენიდურ ტიპის რიტონებთან.

**ბ) ორი ცხოველის შეწყვილებული პროტომა.**

წარმოდგენილი ქვეჯგუფი ბრინჯაოს ორ ბეჭედს აერთიანებს. ერთი აღმოჩენილია ნოქალაქევში, რომელსზეც გამოსახულია ორი ცხენის შეწყვილებული პროტომა (ტაბ. XI, 150), ხოლო მეორე ღრმახევისთავში, რომელზეც ერთმანეთთან ზურგით შეზრდილი ორი სხვადასხვა ცხოველია გამოსახული და მათ ზემოთ ნახევარმთვარე (ტაბ. XI, 151). მიუხედავად იმისა რომ ბეჭედი დაკარგულია შემორჩენილია მისი გამოსახულების ჩანახატი (ლორთქიფანიძე, 1971, 53, სურ.8).

მოტივი წარმოშობით ძველაღმოსავლურია და აქემენიდური პერიოდის არქიტექტურაში პოპულარობით სარგებლობდა (Herzfeld, 1941, 239-240). ცხოველის ორმაგპროტომიანი კაპიტელები ცნობილია პერსეპოლისიდან და პასარგადიდან (Herzfeld, 1941, XXXIX, XVIII, XL). აქემენიდური არქიტექტურული დეტალი - კაპიტელი, ორი ზურგშექცეული ხარის შეზრდილი პროტომით იშვიათი გამოსახულებაა გლიპტიკურ ძეგლებზე და გვხვდება მხოლოდ ოქსუსის განძში შემავალ ფარაკიან ბეჭედზე (Boardman, 1970, 989). ზურგით შეზრდილი ორი ფრთოსანი სფინქსის გამოსახულებაა ამოჭრილი ასევე სასახლის სტილის პირამიდულ საბეჭდავზე (Boardman, 1970a, n.136). ფრთოსანი ცხენის შეზრდილი ორი პტორომაა გამოსახული ძვ.წ. მეოთხე საუკუნის შუა პერიოდით

დათარიღებულ თიხის ბულაზე სამარიიდან (პალესტინა) (Leith, 1990, pl. 50.1) და თიხის ბულაზე ნიფურიდან (Legrain, 1925, 844).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეს არქიტექტურული დეტალი სულ ოთხი ცალი ფიქსირდება. მათგან ერთი გამოვლენილი ზესტაფონის მახლობლად, ერთი ვანში, საირხეში და ერთიც ციხია-გორის სატაძრო კომპლექსიდანაა ცნობილი, სადაც, აღმოჩენილია კაპიტელი ორი ხარის შეწყვილებული პროტომით (ცქიტიშვილი, 2003:13).

ორივე გამოსახულება, შეიძლება ითქვას, რომ პრიმიტიულად არის შესრულებელი და, სავარაუდოდ, ადგილობრივი ხელოსნის ნახელავს უნდა წარმოადგენდეს, თუმცა, იკონოგრაფიული მოტივის შერჩევა და კომპოზიციური გადაწყვეტა მკაფიოდ ასახავს აქემენიდური ხელოვნების გავლენას.

აღნიშნული ბეჭდები ნათელ მაგალითს წარმოადგენს იმისა, თუ როგორ ხდებოდა აღმოსავლური კულტურული ელემენტების ლოკალური ადაპტაცია და რეპრეზენტაცია.

**ვ) ხარის თავი**

საინტერესო იკონოგრაფიული მოტივია აწყურის ფარაკიან ბეჭედზე წარმოდგენილი ხარის თავის ფრონტალური გამოსახულება, რომლის რქებს შორის, ნახევარ მთვარე უნდა იყოს ამოკვეთილი (ტაბ. XI. 155). ფორმის მიხედვით, ბეჭედი ადგილობრივი სახელოსნოს ნაწარმი უნდა იყოს, ხოლო სამარხი, რომელშიც ბეჭედი გამოვლინდა ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნით არის დათარიღებული.

ხარის თავის ფრონტალური გამოსახულება დასავლურ და აღმოსავლურ გლიპტიკურ ტრადიციებში ერთ-ერთ გამორჩეულ და გავრცელებულ იკონოგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს. იგი ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულიდან გვხვდება როგორც დამატებითი მოტივი ჩრდილო სირიულ და კვიპროსულ ცილინდრულ საბეჭდავებსა და კრეტაზე აღმოჩენილ ლენტოიდებზე. ხარის თავის გამოსახულებები ასევე გვხვდება გიან არქაული და კლასიკური პერიოდის გლიპტიკურ ძეგლებზე (Wallenfels, 1990, 697).

ხარის გამოსახულბა ანფასში ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში გვხვდება ფინიკიურ მონეტებზე (Williams, 1972, 281-284). ხსენებული მოტივი ასევე მეორდება

ელინისტურ პერიოდში კერძოდ სარდისში სელევკე I - ის მმართველობის ხანაში და სელეკე II – ის მმართველობის დროს ტიგრის სელევკიაში (Wallenfels 1990, 697).

რკინის ორი ფარაკანი ბეჭედი მსგავსი გამოსახულებით აღმოჩენილია ცენტრალურ საბერძნეთში, კორიკოსის გამოქვაბულში (Zagdoun, 1984, N279, N317), ასევე გვხვდება დელფოსის ოვალურ ანაბეჭდსა (Perdrizet, 1908, no. 615, fig. 881) და ელინისტური პერიოდის ურუქის ბულაზე, რომელიც წარმოადგენს ფარაკიანი ბეჭდის ანაბეჭდს (Wallenfels, 1990, 697, no. 1056, 1057).

შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აწყურის ბეჭდის ადგილობრივი წარმომავლობისა, ბეჭედზე ასახული მოტივები და სიმბოლიკა არსებითად უკავშირდება ფართო გეოგრაფიულ რეგიონებსა და კულტურებს, რაც მიუთითებს იმ ინტერკულტურულ კავშირზე, რომელიც ამ პერიოდის საქართველოსა და მის მეზობლებს შორის არსებობდა.

**დ) ლირა**

ბრინჯაოს ფარაკიან ბეჭედზე გამოსახულია ორი ერთმანეთთან ზურგშექცევით მდგომი სირაქლემა, რომელთა შორის შვეულად სიმია გაბმული. კომპოზიცია მთლიანობაში ბერძნულ მუსიკალურ ინსტრუმენტს - ლირას ან კითარას - წარმოადგენს (ტაბ. XI, 156). აღნიშნული გამოსახულება უნიკალურია საქართველოს არქეოლოგიური მასალისთვის და არ მოეპოვება პარალელები ადგილობრივ გლიპტიკურ ძეგლებში.

მარგარიტა ლორთქიფანიძე გამოსახულებას ბერძნულ სახელოსნო ცენტრში მოღვაძე ბერძენი ოსტატის ნახელავად მიიჩნევს და ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისი ხანით ათარიღებს (მუხიგულაშვილი, 2022, 163).

იდენტურ გამოსახულებას ვხვდებით ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებულ ბრინჯაოს ბეჭედზე ე.წ ბოროვსკის კოლექციიდან (Bernheimer, 2007, 75, GF.22). ვარსიმაანკარისა და ე.წ. ბოროვსკის კოლექციიდან მომდინარე ბეჭდის კომპოზიციას შორის სტილისუტირ და იკონოგრაფიული მსგავსება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ისინი შესაძლოა საბერძნეთის ერთი და იმავე სახელოსნოდან მომდინარეობდეს.

**დამატებითი მოტივები.**

ლითონის ფარაკიან ბეჭდებზე დამატებით მოტივად წარმოდგენილია ასტრალური სიმბოლოები, ცხოველები და მცენარეული ორნამენტი. ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია ერთზე მეტი ე.წ. შემავსებელი მოტივი. მათგან, ყველაზე ხშირად გვხვდება ნახევარმთვარის გამოსახულება - სულ თვრამეტ ბეჭედზე (ტაბ. XI, 2). რვასხივიანი მნათობია წარმოგენილი სამ ბეჭედზე, ხოლო ვარსკვლავი ერთ ბეჭედზე. მზის თუ ვარდულის გამოსახულებაა წარმოდგენილია ერთ ბეჭედზე. მზე და ნახევარმთვარე ერთად წარმოდგენილია ორ ბეჭედზე, ვარსკვლავი და ნახევარმთვარე - ერთზე.

გარდა ასტრალური სიმბოლოებისა, შემავსებელ ელემენტად გვხვდება მცენარეული მოტივები (მცენარის ტოტი), გველი, ფრინველები და დეკორატიული ელემენტები როგორიცაა წერტილებით შევსებული ფონი. რაც შეეხება ნიადაგის ზოლის გამოსახვას, როგორც ჩანს, მისი გამოხატვა პოპოულარობით არ სარგებლობდა. ნიადაგის ზოლი სულ ექვს ბეჭედზეა გამოსახული, რომელთაგან ორი ბეჭედი იმპორტია.

საგულისხმოა, რომ ჩვენს მიერ განხილულ ბეჭედთა თანადროულ ბერძნულ თუ ბერძნულ-სპარსულ გლიპტიკურ ნიმუშებზე ასტრალურ სიმბოლოთა გამოსახვა ძალიან იშვიათია. ნახევარმთვარის გამოსახულება გხვდება მურაშუს განძის 133 ანაბეჭდზე, რომლებიც ტიპურ ბაბილონურ სიუჟეტებს წარმოადგენენ. შემავსებელ ელემენტად ნახევარმთვარეა ასევე გამოსახული ელინისტური ურუქის ანაბეჭდებზე. აქემენიდური პერიოდის საბეჭდავებისთვის დამახასიათებელ შემევსებელ ელემენტს ფრთიანი დისკო წარმოადგენს, რაც ჩვენს საბეჭდავებზე არ გვხვდება.

ლითონის ადგილობრიც ფარაკიან ბეჭდებზე მთავარ გამოსახულებასთან ერთად ასტრალურ სიმბოლოების გამოხატვა ადგილობრივ, ძველ ქართულ რწმენა-წარმოდგენებს უნდა უკავშიდებოდეს.

--------

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ლითონის ფარაკიან ბეჭდებზე დატანილი გამოსახულებები არ გვაძლევს

ინფორმაციას ბეჭდის მფლობელის კონკრეტული საქმიანობის ან სოციალური კუთვნილების შესახებ. ერთ-ერთ გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს ჩვენს მიერ გამოყოფილი ჯგუფი ბეჭდებისა, რომელზეც მხედრის გამოსახულებაა დატანილი.

განხილული ბეჭდების გამოსახულებათა სიუჟეტის ზუსტი განსაზღვრა სიძნელეებთან არის დაკავშირებული და რთულია იმის თქმა, თუ კონკრეტულად რას გამოხატავს ეს კონკრეტული სცენა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსეპოლისისა და ნიფურის ადმინისტრაციული არქივების მიხედვით, იმ საბეჭდავების მფლობელი, რომელზეც ბრძოლის სცენაა გამოსახული, მაღალი სოციალური სტატუსის მატარებელია. როგორც ადმინისტრაციული კონტროლის იარაღი ეს საბეჭდავები გამოიყენებოდა კერძო და ოფიციალურ დონეზე და მიმოქცევაში იყო შეზღუდულ, მმართველ ელიტასთან მიახლოებულ სოციალურ გარემოში. საბრძოლო სცენები ასევე გამოსახულია სამკაულსა და დასაკრძალავ ძეგლებზე. არსებობს მოსაზრება, რომ აქემენიდურ ხანაში გამოსახულებები საბრძოლო სცენებით ამკობდა ელიტურ სახლებსა და მეფის სასახლესაც კი (Xin, 2014, 259-262). ვარაუდს, რომ გლიპტიკური ძეგლები ნარატიული სცენებით (საბრძოლო, სამონადირეო), უმეტესად საზოგადოების ელიტურ ფენას ეკუთვნოდა, ამყარებს ჩვენს მიერ განხილული სამი ფარაკიანი ბეჭდის აღმოჩენის არქეოლოგიური კონტექსტი. სამივე ბეჭედი აღმოჩენილია სამარხებში, რომელთა ინვენტარი განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩეოდა რაც დაკრძალულის მაღალ სოციალურ-ქონებრივ მდგომარეობაზე მიუთითებდა და, საფიქრებელია, რომ სამარხები ადგილობრივ გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა.

აქემენიდურ იმპერიაში, "სპარსელი ქალის" თემა, როგორც გლიპტიკური გამოსახულება მიჩნეულია პრივილეგირებული სოციალური ფენისთვის განკუთვნილ საბეჭდავებად. იმის გათვალიწინებით, რომ კამარახევის N9 სამარხი, სადაც ბეჭედი აღმოჩნდა ინვენტარით ყველაზე მდიდრულია სამაროვანზე გათხრილ 150 - მდე სამარხს შორის. საბეჭდავები მსგავსი გამოსახულებით აქაც სოციალურად დაწინაურებულ პირთა კუთვნილად უნდა იქნეს მიჩნეული.

ბეჭდის გამოსახულებებსა და მის მფლობელს შორის პირდაპირი კორელაციის არქონა იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ მომხმარებლის პირადი გემოვნება და იმდროინდელი მოდა იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენდა ბეჭდის მფლობელის მიერ გამოსახულების შერჩევაზე.

გამოსახულებათა იკონოგრაფიული ჯგუფების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ გამოსახულებათა ყველაზე გავრცელებული თემა ცხოველებია. მათ შორის პოპულარობით სარგებლობს ფრინველთა გამოსახულებები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფრინველთა გამოსახულებები ძირითადად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ბეჭდებზე გვხვდება. პოპულარულია ასევე ფანტასტიური არსებების გამოსახვა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივი არის გრიფონი. გრიფონები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბეჭდებზე გვხვდება, რომელიც ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგიის VII ტიპს, ე.წ. "იბერიული ტიპის" რკალგახსნილ ბეჭდებს წარმოადგენენ.

მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად მკვეთრად დაშორებულ პუნქტებში - ლარილარსა და ციხია-გორაზე აღმოჩენილი ბეჭდები იდენტური გამოსახულებით. ორივე ბეჭედზე გამოსახულია იდენტური სიუჟეტი, შესრულებული ერთი სტილით, რაც მათ საერთო წარმომავლობაზე მიანიშნებს. ლარილარის ბეჭედი მეორე საკრემაციო მოედანზეა გამოვლენილი, რომელსაც შოთა ჩართოლანი ძვ.წ. V ის ბოლო და ძვ.წ. III საუკუნის ბოლო წლებით ათარიღებდა (ჩართოლანი, 1996, 144), ხოლო ციხია-გორას ბეჭედი სამარხში აღმოჩნდა, თუმცა მისი თანმხლები ინვენტარი და ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. ორივე ბეჭედი ერთი ტიპისაა, რომელიც, ძირითადად დასავლეთ საქართველოს სამაროვნებზე ფიქსირდება და ძვ.წ. III და II საუკუნეების სამარხებიდან მომდინარეობს. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ორივე ბეჭედი დამზადებულია ერთსა და იმავე სახელოსნოში - სავარაუდოდ, კოლხეთში - და, შესაძლოა, ერთი და იმავე მჭრელის მიერ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბეჭდების მფლობელებს ერთმანეთთან გარკვეული სოციალური ან ნათესაური კავშირი ჰქონდათ.

საინტერესო იკონოგრაფიულ პარალელს ვხედავთ “დედატოსის” ბეჭედზე გამოსახულ ქალსა და ვანის N10 ბავშვის სამარხში აღმოჩენილ სკამზე მჯდომ მამაკაცს შორის - ორივე ფიგურას ხელში ერთი და იმავე ტიპის მცენარეული ტოტი უჭირავს. მცენარეული მოტივი გვხვდება ასევე ნოქალაქევში აღმოჩენილ ძვ. წ. II საუკუნით დათარიღებულ ბეჭედზე, რომელზეც გამოსახულია მჯდომარე ფიგურა. აღნიშნული ტოტი, სავარაუდოდ, სიმბოლურ დატვირთვას ატარებს და შესაძლებელია, საღმრთო ხის სიმბოლოს წარმოადგენდა.

წარმოჩენილი კვლევის შედეგებმა ცხადად აჩვენა, თუ რამდენად მრავალფეროვანი და ეკლექტურია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფარაკიანი ბეჭდების გამოსახულებები და მათი სტილისტური მახასიათებლები. გლიპტიკური მოტივების რეპერტუარი მჭიდროდ უკავშირდება იმ იკონოგრაფიულ წყაროებს, რომლებიც დამკვიდრებულია არქაული, კლასიკური და ელინისტური პერიოდის საბერძნეთში, ასევე მესოპოტამიისა და აქემენიდური ირანის მხატვრულ ტრადიციებში. ამ სტილისტური მრავალფეროვნების ფონზე, ფარაკიანი ბეჭდებზე ასახულია ადგილობრივი მხატვრული ტრადიციის უწყვეტობა, რაც მოწმობს კულტურული გავლენების ორგანულ შერწმაზე ადგილობრივ საზოგადებაში.

ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ ადგილობრივი ტიპის ფარაკიან ბეჭდებზე დატანილი გამოსახულებები, როგორიცაა რიტონი, ორი ცხოველის შეწყვილებული პროტომა, “სპარსელი ქალი”, “სპარსელი კაცი”, ქურუმები, ცხოველთა ბრძოლის თემა, გრიფონები, აშკარად მიუთითებს აღმოსავლური, კერძოდ კი აქემენიდური ხელოვნების გავლენაზე. აღნიშნულ ბეჭდებზე წარმოდგენილი მოტივები, ცხადყოფს ამ პერიოდში ადგილობრივ ხელოსნობაში აღმოსავლური ხელოვნების გავლენის არსებობას, რაც იმ დროს საქართველოში განვითარებული კულტურული ცვლილებებსა და ინტერკულტურულ ურთიერთობებს შედეგს წარმოადგენდა.

ადგილობრივ სახელოსნოებში დამზადებული ბეჭდების გარდა, გვაქვს ჯგუფი ბერძნული იმპორტული ბეჭდებისა, რომელზეც უმეტესად ანთროპომორფული ღვთაებებია გამოსახული. ბეჭდები ძირითად შემთხვევაში

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გხვდება, ხოლო მათი გავრცელება კოლხეთსა და საბერძნეთს შორის მჭიდრო სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

იმპორტული ბეჭდები აღმოჩენილია კახეთის რაიონშიც, კერძოდ, “ნაომარი გორის” ერთ-ერთ სამარხში, სადაც მიცვალებულს თითებზე ხუთი ბეჭედი ეკეთა, მათგან ოთხზე კი ჰერაკლე იყო გამოსახული. აშკარაა, სამარხში დაკრძალული პირისათვის ჰერაკლეს კულტის მნიშვნელობა, რაც მის რწმენა-წარმოდგენებს უნდა უკვაშირდებოდეს.

# თავი VIII. საერთაშორისო კულტურული კონტაქტები

გლიპტიკური ხელოვნების განვითარება და გავრცელება საქართველოში მჭიდროდ იყო დამოკიდებული გარე სამყაროსთან ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე. საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაში გლიპტიკური ძეგლების ხასიათში. შექმნილი პოლიტიკური ვითარების მიხედვით, საქართველოში ვრცელდება როგორც აღმოსავლური ქვეყნების გლიპტიკური ძეგლები, ისე დასავლური. შესაბამისად, გავლენას განიცდის ადგილობრივი გლიპტიკური ნახელავიც, რომელიც გარკვეული თავისთავადობით ხასიათდება, თუმცა მაინც ძირითადად ხელოვნების ამ დარგის განვითარების საერთო ხაზს მიჰყვება.

გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ გლიპტიკური ძეგლები წარმოადგენს მნიშვნელოვან მატერიალურ წყაროს საქართველოს მოსახლეობის კულტურული დონისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობების საკითხის შესწავლისათვის.

გლიპტიკურ ძეგლებზე მსჯელობისას, საინტერესოა პარალერულად თვალი გავადევნოთ ზოგადად საიუველირო ხელოვნების განვითარების ისტორიას ჩვენთვის საინტერესო პერიოდში.

გვიან ბრინჯაო და ადრეული რკინის ხანის კოლხეთი აქტიურად მონაწილეობდა იმ პერიოდში არსებულ ინტერკულტურულ ურთიერთობებში, რაც ძვირფასი ლითონის დამუშავების ტრადიციებშიც აისახა. აღნიშნული პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები გამოხატავს იმ სტილისტურ და ტექნოლოგიურ ტრადიციებს, რომელიც დამახასიათებელია როგორც ხლემთაშუაზღვისპირეთის ისე ახლო აღმოსავლეთის შიდა რეგიონებისთვის (ქობალია, 2023, 173). ადრეული რკინის ხანის ქართული ოქრომჭედლობის სკოლა შეხების წერტილებს ავლენს წინა აზიურ (მანა, ურარტუ), დასავლურ ანატოლიურ და ორიენტალიზებული სტილის იონურ ოქრომჭედლობასთანაც. ასევე მსგავსება იკვეთება ეტრუსკულ ოქრომჭედლობასთანაც (გაგოშიძე, 1981, 14).

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში წინარეანტიკური ხანის საიუველირო ხელოვნება

განვითარების უმაღლეს ეტაპს აღწევს და, ამ პერიოდში, ოქრომჭედლობის მნიშვნელოვანი ცენტრი ცენტრალური კოლხეთის ზღვისპირა რეგიონია, თუმცა, ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოდან კოლხეთში მნიშვნელოვანი ცვილებები შეინიშნება. ცენტრალური კოლხეთის სანაპირო ზოლი კარგავს დომინანტურ პოზიციას და წამყვანი ცენტრები შიდა და მთიან რეგიონში, კერძოდ რაჭაში ინაცვლებს (ქობალია, 2023, 177). ბრილის სამაროვნაზე დაკვირვების შედეგად, მკვლევარი ნინო ქობალია ამ პერიოდის ოქრომჭედლობაში შემოსულ სიახლეებად განიხილავს: სხივანა საყურეებს, გრეხილრკალიან, ბოლოებდაბრტყელებულ დიადემებს, საკისრე რგოლებს, დასაკერებლებს, ფიგურული საკიდებსა თუ სხვა ნივთებს და თვლის, რომ სწორედ ამ პერიოდიდან იწყება იმ ნივთების პროტოტიპების გამოჩენა, რომლებიც მოგვიანებით, ადრეანტიკურ ხანაში, კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრებში მოღვაწე არისტოკრატიული ფენის მთავარ ატრიბუტებს ქმნიან (ქობალია, 2023, 177).

ნინო ქობალიას ამ მოსაზრების გასამყარებლად, დამატებით არგუმენტს უნდა წარმოადგენდეს ბრილის N20 სამარხში (სამარხს ნინო ქობალია ძ.წ. VI საუკუნით ათარიღებს) აღმოჩენილი ვერცხლის ორი ფარაკიანი ბეჭედი. ფორმის მიხედვით ბეჭდები გვიანარქაულ ხანას უნდა მივაკუთვნოთ და ანალოგიური მასალის საფუძველზე ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო წლებით უნდა დავათარიღოთ (Marshall. 1907, 8, 36; Boardman 1967, 25). ბეჭდის ფორმა ანალოგიურია გვიანარქაული ხანის ჯონ ბორდმანის კლასიფიკაციის N ტიპის ბეჭდებისა რომლის ძირითადი ნაწილი აღმოჩენილია კვიპროსში (Boardman, 1970, 157), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიცია, სტილი და კვეთის მანერა მკვეთრად განსხვავდება ამ ტიპის ბეჭდებზე დატანილი გამოსახულებებისგან.

ბრილის ბეჭდის გამოსახულება გრაფიკული სტილითაა შესრულებული და ვფიქრობ, მნიშვნელოვან მსგავსებას პოულობს ძვ.წ. IX-VII საუკუნეების ე.წ. “კავკასიურ ცხოველურ” სტილთან. კავკასიური ცხოველური სტილი დასავლეთ ამიერკავკასიაში კოლხურ ყობანური ცულებისა და სხვა ძეგლების დეკორში ვლინდება, ხოლო ცენტრალურ ამიერკავკასიაში - სარტყლების გრაფიკულ ორნამენტში (ხიდაშელი, 1982, 135).

ზრილის ორივე ბეჭედზე რქებდატოტვილი ირემი უნდა იყოს გამოსახული. კავკასიური სარტყლებისა და კოლხური-ყობანური ცულების მხატვრული დეკორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახე სწორედ ირემია, რადგან ირემი ამიერკავკასიაში ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ღვთაებასთან არის დაკავშირებული. ირმის გამოსახულებებები გვხვდება ამავე პერიოდის ბრინჯაოს ქანდაკებებში, რომელიც თითქმის ყველა სარიტუალო ძეგლზეა დადასტურებული (ხიდაშელი, 1982, 138).

ვანის N24 სამარხში გამოვლენილი თავსამკაულის ელემენტი - ჭვირული სამაგრი, რომელზეც წარმოდგენილია ირემი, შველი, ლომი და ფრინველები ასევე უშუალოდ უნდა დავუკავშიროთ კოლხურ ცულებსა და სარტყლებიზე გავრცელებულ მოტივებს (კაჭარავა & ხარაბაძე, 2020, 10).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კავკასიური იკონოგრაფიულ სტილის გვიანდელ გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ ვანის N6 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭდის ფარაკზე დატანილი ფანტასტიკური არსების გამოსახულება ცხოველის თავითა და ადამიანის ტანით, რომელსაც თავს ესხმის მტაცებელი ცხოველი. ხსენებული ბეჭდის გამოსახულების პარალელად გამოდგება სამთავროს სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე დატანილი გამოსახულება ფანტასტიკური არსებისა (ხიდაშელი, 1982, ტაბ. VII). სტილისტურად ვანის N6 სამარხიდან მომდინარე ბეჭდის გამოსახულება ემსგავსება ვანის N11 სამარხში გამოვლენილ ოქროს ფარაკიან ბეჭედს, რომელზეც ფანტასტიკური-სინკრეტული ღვთაებაა გამოსახული. მარგარიტა ლორთქიფანიძე მიიჩნევდა, რომ ორივე ბეჭედი ადგილობრივ, უცნობ სახელოსნოში იყო დამზადებულადი, ხოლო გამოსახულების სახე ორიენტალიზირებული ბერძნული ხელოვნების გავლენით ჩამოყალიბდა (ლორთქიფანიძე, 1975, 87). კულტურული კონტინუუმის კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება ყანჩაეთის ბეჭედზე დატანილი რქიანი ცხენისა და ფრინველის გამოსახულება, რომლის ანალოგიური კომპოზიცია გვხვდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს სარტყელზე ჩაბარუხის განძიდან და თლიას სამაროვნიდან (ხიდაშელი, 1982, კატ. No.9; 10, 13);

ამრიგად, დღევანდელ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ოქრომჭედლობის სხვა ნიმუშებთან ერთად, ადგილობრივად დამზადებული ლითონის ფარაკიანი ბეჭდები, საქართველს ტერიტორიაზე პირველად სწორედ ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს ჩნდება. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მთლიანი ტერიტორია აქტიურადაა ჩართული ინტერკულტურულ ურთიერთობებში, რაც სათანადოდ აისახა გლიპტიკურ ძეგლებზეც კერძოდ, საბეჭდავის ტიპზე, ბეჭდების ფორმებზე, გამოსახულებათა სტილზე და იკონოგრაფიაზე.

როგორც ჩანს, დროის ამ პერიოდში ადგილობრივი ხელოსნებისათვის უკვე ცნობილია არქაული ბერძნული ტიპის ბეჭდის ფორმა და გამოსახულების ჩარჩოში ჩასმის ტენდენცია, ამავდროულად, კვეთის სტილი ადგილობრივია და ძვ.წ. IX-VII საუკუნეების სარტყლებსა და კოლხურ ცულებზე დატანილი სტილის გვიანდელ გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს, რაც კულტურული კონტინუუმის მანიშნებელია.

ძვ.წ. V საუკუნიდან კოლხეთის საზოგადეობაში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმოქმნის პროცესი იწყება, რისი მაგალითიცაა საირხისა და ვანის ამავე პერიოდით დათარიღებული მდიდრული სამარხები, სადაც მმართველი ზედა ფენა - კერძოდ კი არისტოკრატიის წარმომადგენლები იკრძალებოდნენ. ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ხმარებაში შემოსვლა იმდროინდელი საზოგადოების სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის შედეგი უნდა ყოფილიყო.

ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისიდან ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანამდე დიდი გარდატეხის ეპოქაა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. ე.წ. პოსტაქემენიდური პერიოდი ბერძენ-მაკედონელთა მიერ აქემენიდური მემკვიდრეობის ათვისებისა და ახალი ელინისტური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პერიოდია.

ამავე პერიოდში, კერძოდ ძვ.წ. IV საუკუნეში, საქართველოში თითქმის ერთდროულად იჩენს თავს კულტურული ინოვაციების მთელი სერია, რასაც ელინურ ან ელინიზირებულ სამყაროსთან საქართველოს კონტაქტებით ხსნიან (გაგოშიძე, 2010, 68). აღმოსავლური კერძოდ აქემენიდური გავლენებიც თითქმის თანაბრად ვრცელდება ქართლში და კოლხეთში. ელინური იმპორტი კოლხეთის

გავლით ქვემო ქართლში აღწევს და პირიქით, აღმოსავლური იმპორტი ქართლის გავლით ვანში და ფიჭვნარში ჩადის (გაგოშიძე, 2010, 68). სწორედ ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან, საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ შემოდის ყოფაში ადგილობრივ სახელოსნოებში დამზადებული ფარაკიანი ბეჭდები. მათი ხმარების ინტენსიფიკაცია, სავარაუდოდ, ამ პერიოდში მომხდარ პოლიტიკურ, კულტურულ, და სოციალურ ცვილებებთან უნდა იყოს პირდაპირ კავშირში.

ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანიდან კოლხეთი განსაკუთრებულ ძლიერებას აღწევს და განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა ძვ.წ. IV ს საუკუნის სამარხები ვანში და საირხეში. ამავე პერიოდში ქართლშიც ჩნდება ანალოგიურად მდიდრული სამარხები (წინწყარო, საძეგური, ყანჩაეთი, შავსაყდარა, ენაგეთი, ტახტიძი). ძვ.წ. IV და III საუკუნეების იბერიაში უკვე არსებობს კარგად ორგანიზებული თეოკრატიული ცენტრები, სადაც მოღვაწეობენ სტრაბონის მიერ დასახელებული ქურუმები, რომელბიც იბერიის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის მეორე გვარში არიან გაერთიანებული და ფლობენ როგორც თეოკრატიულ, ისე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და სამხედრო ხელისუფლებას (ლიჩელი, 2001, 58).

ძვ.წ. III საუკუნის პირველ ნახევარში იქმნება ქართლის სამეფო - კვავკასიის იბერია. ამ დროს, ძვ.წ. 280 წლისთვის ერთიანი კოლხური სამეფო აღარ არსებობს და წყდება კოლხური მონეტების ემისიაც (გაგოშიძე, 2010, 68). თუმცა, დასავლეთში ვანის, საირხის, დაბლაგომისა და ფიჭვნარის, ხოლო აღმოსავლეთში სამადლოს, კავთისხევისა და ტახტიძირის ძვ.წ. III საუკუნის მდიდრული სამარხები კულტურული კონტინუუმის მაუწყებელია (გაგოშიძე, 2010, 68).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ფარაკიან ბეჭდებში, გამოსახულების სტილისტური მახასიათებლების მიხედვით, ბერძნული იმპორტული მასალის გამოყოფა გახდა შესაძლებელი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აქემენიდური წარმოშობის იმპორტული ბეჭდები ამ ეტაპზე არ ფიქსირდება. იმპორტული ბეჭდების უმრავლესობა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი. იმპორტული ჯგუფის დასავლეთ საქართველოში გავრცელება, რა თქმა უნდა, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა

ხანებიდან კოლხეთსა და საბერძნეთს შორის მჭიდრო სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

ბერძნული სამყაროდან შემოსული იმპორტული ბეჭდების ერთი ჯგუფი აღმოჩნდა კახეთში, კერძოდ ნაომარი გორისა და არაგვის ხეობის სოფელ ვარსიმაანთაკარის ელინისტური პერიოდის სამაროვანზე. ნაომარი გორის რამდენიმე ფარაკიანი ბეჭდის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ისინი მცირე აზიის, კერძოდ კი ქალაქ სმირნაში დამზადებულად მივიჩნიეთ. აღნიშნული ბეჭდების აღმოსავლეთ საქართველოში მოხვედრის გზები, სავარაუდოდ, უნდა დავუკავშიროთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ელინისტური კულტურის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში სწორედ მცირე აზიიდან ხდებოდა (ლორთქიფანიძე, 1977, 25).

მარგარიტა ლორთქიფანიძე კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ იმპორტულ ბეჭდებში სამ მნიშვნელოვან ჯგუფს გამოჰყოფდა: 1. მატერიკული საბერძნეთის სახელოსნოებიდან გამოსული ნახელავი 2. დიდი საბერძნეთის სხვადასხვა სახელოსნოს ნაკეთობანი და 3. ბეჭდები აღმოსავლურ-ბერძნული სახელოსნოებიდან (ლორთქიფანიძე, 1975, 109). კოლხეთს ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო წლებიდან მოყოლებული ვიდრე IV საუკუნის ბოლომდე მჭირდო ურთიერთობა ჰქონდა იონიის სახელოსნო ცენტრებთან. ძვ.წ. VI საუკუნის პირველი ნახევრიდან კავშირს ამყარებს ატიკის, პელოპონესის, სამხრეთ იტალიის, სიცილიისა და მცირე აზიის ზოეგიერთ ბერნულ სახელოსნოებთან. მარგარიტა ლორთქიფანიძის დაკვირვებით, დასავლურ-ბერძნული ნაკეთობა კოლხეთის ზღვისპირეთშია შემოსული (გუადიხუ, ქობულეთ-ფიჭვნარი, ეშერა), ხოლო აღმოსავლურ-ბერძნული - იონური სახელოსნოების ნახელავს ვანში ვხვდებით (ლორთიფანიძე, 1975, 110).

მარგარიტა ლორთქიფანიძე, თავის ნაშრომში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ნაწილს ბერძნულ-სპარსულ გლიპტიკურ ძეგლებთან აკავშირებს (ლორთქიფანიძე, 1981, 110). მანვე, თავის წიგნში, რომელიც კოლხეთის ძვ.წ. V-III საუკუნეების გლიპტიკურ ძეგლებს ეხება, ძალიან ფრთხილად გამოთქვა მოსაზრება, რომ ფარაკიან ბეჭდებთან

მიმართებაში, შესაძლებელია ბერძნულ-კოლხური სტილის შესახებ საუბარი, თუმცა დასძენს, რომ ეს საკითხი სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს (ლორთქიფანიძე, 1975: 112). ბერძნულ-სპარსული ხელოვნების გავლენით, ქართლში დამზადებულად მიიჩნევს ქეთევან ჯავახიშვილი ბეჭდებს ყოღოთოდან და ნაომარი გორიდან (ჯავახიშივილი, 2015, 11).

იულონ გაგოშიძეს მიაჩნია, რომ ფარაკიანი ბეჭდების ერთი ნაწილი ჯონ ბორდმანის მიერ გამოყოფილ ბერძნულ-აღმოსავლური საბეჭდავების წრეში უნდა მოექცეს, რადგან მათი ფორმისა და საერთო კვეთის ტექნიკა ბერძნულია, თუმცა ის ბერძენი ხელოსნის ნახელავს არ უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ფარაკზე დატანილი გამოსახულებათა თემატიკა აღმოსავლურია, მათ შორის რამდენიმე წმინდა აქემენიდურიც (გაგოშიძე, 2009, 16).

ტერმინი “ბერძნულ-სპარსული” პირველად გერმანელმა მეცნიერმა ა. ფურტვენგლერმა გამოიყენა იმ საბეჭდავთა მიმართ, რომლებიც მომდინარეობდა აქემენიდური იმპერიის დასავლეთი რეგიონებიდან და დაათარიღა ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრითა და IV საუკუნის დასაწყისით (Furtwangler, 1900, 116). საბეჭდავების ძირითადი ნაწილის წარმომავლობა უცნობია. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მრავალი მოსაზრება ამ საბეჭდავთა წარმომავლობის ცენტრების, შემქმნელი ოსტატების ეროვნებისა თუ კულტურული კუთვნილების შესახებ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ე.წ. ბერძნულ-სპარსული საბეჭდავები შექმნილია სპარსეთის კარზე მოღვაწე იონელი ბერძნების მიერ სპარსელი მომხმარებლისათვის, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს რომ საბეჭდავები სპარსელი ოსტატების მიერ ბერძნული ხელოვნების გავლენით შეიქმნა. განსხვავებული მოსაზრება აქვს ნიკულინას, რომელიც ვარაუდობს, რომ ე.წ. ბერძნულ-სპარსული საბეჭდავები მცირე აზიის იმ ადგილობრივ მოსახლეთა შემოქმედებაა, რომლებიც ერთდროულად განიცდიდნენ ბერძნული და ირანული ხელოვნების გავლენას (Никулина, 1966, 20).

ჯონ ბორდმანმა ბერძნებისა და სპარსელების თანამშრომლობის შედეგად შექმნილ გლიპტიკაში სამი კლასი გამოჰყო: სასახლის სტილი, ბერძნული სტილი

და შერეული სტილი. მან ე.წ. ბერძნულ-სპარსული ან, როგორც შემდეგ უწოდა, ბერძულ-აღმოსავლური საბეჭდავები შერეული სტილის ჯგუფში განიხილა. შერეული სტილი მოიცავს 11 ჯგუფს და მათი გავრცელების არეალი სცილდება მცირე აზიის ფარგლებს. ამ ჯგუფში გამოყოფილ ბერნის ჯგუფის საბეჭდავებს იგი პოსტაქემენიდური და ელინისტური პერიოდით ათარიღებს (Boardman, 1970, 303–329).

ჯონ ბორდმანი, თავის ნაშრომში აღნიშნავს ე.წ. ბერძნულ-სპარული საბეჭდავების სახელოსნოების ლოკალური პუნქტების დადგენის სირთულეს, თუმცა საბეჭდავების გავრცელების არეალისა და სტილის მიხედვით, მათი დამზადების ძირითად არეალად ანატოლია მიაჩნია. სახელოსნოების არსებობას ასევე ვარაუდობს სამხრეთ ელინიზირებულ სამეფოებში: კირიაში, ლიკიასა და სიცილიაში (Boardman, 1970, 326).

მირანდა მარვინმა თავის დისერტაციაში, ბერძნულ-სპარსული გლიპტიკა ახლებულ კონტექსტში განიხილა. მარვინთან ვკითხულობთ: “კითხვა არ უნდა დაისვას იმის შესახებ გემა ეკუთვნის ბერძნულ თუ სპარსულ ხელოვნებას ან ვინ არის მისი შემქმნელი, ბერძენი თუ სპარსელი ოსტატი, არამედ მნიშვნელოვანია ის, თუ რომელ ქალაქში და რა პერიოდში იქმნებოდა ეს გემები”. მისი მიზანი იყო აღედგინა კონტექსტი უცნობი წარმომავლობის საბეჭდავებისა და ახლიდან დაეჯგუფებინა ლოკალიზებული სახელოსნოების მიხედვით. ის იმედოვნებდა, რომ განსაზღვრავდა სპეციფიურ რეგიონალურ გარემოს, სადაც გარკვეული სტილისტური ვარიანტები იწარმოებოდა (გაბუნია, 2023, 80-81), თუმცა ამ საკითხის კვლევა მას არ გაუგრძელებია (Marvin, 1973, 19).

ჯენიფერ გეითსი თავის ნაშრომში აკრიტიკებს ჯონ ბორდმანისა და სხვა მკვლევრების მოსაზრებებს ბერძნულ-სპარსულ გლიპტიკასთან დაკავშირებით (Gates, 2002, 105-132, გაბუნია 2023, 81-82). გეითსის თქმით, კლასიკურ არქეოლოგებში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ტენდენცია სტილისა და ეთნიკური კუთვნილების შეერთებისა, რაც გამოიხატება განსაკუთრებით ბერძნული ხელოვნების დაკავშირებაში ძველ ახლო აღმოსავლურ კულტურებთან. მკვლევრის აზრით, ეს პრობლემატური ჯგუფი ხელოვნურად შექმნეს კლასიკურმა

არქეოლოგებმა და ხელოვნების ისტორიკოსებმა იმისათვის, რომ აღეწერათ და განეხილათ უცნობი წარმომავლობის საბეჭდავების კოლექციები და დაემტკიცებინათ აქემენიდურ იმპერიაში წარმოებული მატერიალური კულტურის ძეგლები როგორც მარგინალური ნაწილი ბერძნული სტილისა. გეითსი დასძენს, რომ ძალიან ბევრი ასეთი საბეჭდავი, რომელიც ბორდმანმა განიხილა როგორც ბერძნულ-სპარსული სტილისა, სავარაუდოდ არც კანონიკურად ბერძნულია და არც სპარსული (Gates, 2002, 118).

მკვლევრის აზრით, სტილი არ უნდა განვიხილოთ როგორც პირდაპირი ინდიკატორი მისი მწარმოებლის თუ მომხმარებლის ეთნიკური იდენტობისა ან ჯგუფური კუთვნილებისა, რადგან სტილი არის შეთვისებული ან ნასწავლი. ოსტატს არ სჭირდება იყოს სპარსელი ან ბერძენი იმისთვის, რომ გამოხატოს სპარსელი კაცი პერსეპოლისურ საკარო სტილში, ან ათენას ფიგურა პერიკლეს პერიოდის ათენიდან (Gates, 2002, 119).

